

N1
2016

העיתון

1852







2016/1

ყველთვიური ლიტერატურული –
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი
ამირან გომართელი

მთ. რედაქტორის მოადგილეები
ბალათერ არაბული
სოსო გოლიაძე

რედაქტორთა ჯგუფი
ანდრო ბუაჩიძე
თამარ გელიტაშვილი
ელზა მეტრეველი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
და დიზაინი
ქეთევან მერკვილაძე
ნანა ყანდაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე:
ვანო კეზუა – „ავტოპორტრეტი“
მეოთხე გვერდზე:
ჰერმან ჰესე – „პეიზაჟი“
მეორე და მესამე გვერდებზე:
ფელიქს ვარლამიშვილის
ნამუშევრების ილუსტრაციები

ჟურნალი გაფორმებულია
მარიამ გოგილიძის და **ვანო კეზუას**
გრაფიკული ილუსტრაციებით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ. №1
ტელ.: 2-98-36-43
ciskari1852@gmail.com
<https://www.facebook.com/ciskari1852>

სარედაქციო საბჭო

ანდრო ბედუკაძე
თავმჯდომარე

ვანო ამირხანაშვილი
ნაირა ბუბიევი
ლევან ბრეგაძე
დავით თედორაძე
ზვიად კვარაცხელია
ესმა კოკოსკერია
გიორგი ლობჯანიძე
ავთანდილ ნიკოლეიშვილი
ნინო სადღობელაშვილი
თამაზ ტყემალაძე
თემურ ჭკუასელი
ბესიკ ხარანაული

ჟურნალი გამოდის
თბილისის მუნიციპალიტეტის
ფინანსური მხატვრობის




სარჩევი

თამაზ ჭილაძე ახალი ათასწლეულის კართან	3	რეცენზია შორენა ქურთიშვილი „სალი კოლხელი“	105
პოეზია ჯარჯი ფხოველი ლექსები	7	ახალი თარგმანები დინა რუბინა ლუბკა. მოთხრობა თარგმნა ტატა კოტრიკაძემ	110
პროზა ოთარ ჯირკვალიშვილი ლაზარე. მოთხრობა	15	ქართული მხარალი აფხაზურ ენაზე გურამ ოდიშარია მოთხრობები თარგმნა ირმა ოსიამ	131
გიორგი ლორთქიფანიძე ხილვა. მოთხრობა	27	არტრევიუ მარიკა კახაძე ჩრდილი და სინათლე ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტზე	142
პრიბია • ესეისტია გია სიამაშვილი ზამთრისპირის ჩანანერები	66	ალინა ქადაგიშვილი დიკენსის „საშობაო სიმღერა“ მარჯანიშვილის თეატრში. ჰერმან ჰესე და სხვა მხატვრები	146 148
გილბერტ კით ჩესტერტონი მხოლოდ რამდენიმე ესეი თარგმნა გურამ გოგიაშვილმა	80		
გურამ ბენაშვილი ანალიტიკური ფრაგმენტები	90		
ინტერვიუ ნინო სადღობელაშვილი ესაუბრება ნინო პოპიაშვილს	99		

ხელმოწერების გასაფორმებლად
დაგვიკავშირდით ტელეფონის
ნომრებზე:
591 20 25 40;
599 56 56 44;
591 00 90 49.

შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

თამაზ ჭილაძე



ახალი ათასწლეულის კართან

XI საუკუნის მიჯნაზე ერთდროულად გაოცებისა და სიამაყის გრძნობა გვიპყრობს – ჩვენისთანა მცირერიცხოვანმა, მსოფლიოს ალბათ ყველაზე საბედისწერო წერტილში მცხოვრებმა, უამრავი მტრისგან დაჭრილმა და დაფლეთილმა ხალხმა არა მარტო მოვალნიეთ აქამდე, არამედ შევინარჩუნეთ კიდევ ჩვენი ენა, რჯული, ეროვნება და კულტურა, რაც იგივე ოცნებაა უკეთეს მომავალზე. ჩვენც, როგორც ყველა კულტურულ ერს, მარადისობის რუკაზე საკუთარი სივრცე და საკუთარი გზა გაგვაჩნია, თუმცა ისტორიის მანძილზე უკვე რამდენჯერმე გადაგვიყვანეს იმ გზიდან იძულებით, რის გამოც საკმაოდ ჩამოვშორდით არა მარტო დანარჩენ მსოფლიოს, არამედ საკუთარ მომავალსაც.

ჩვენც ევროპელები ვართ და არა მარტო იმიტომ, ევროსაბჭოს წევრად რომ მიგვიღეს ან უკვე გასულ საუკუნეში, არამედ ევროპაა ჩვენი გენეტიკურად ბუნებრივი, მშობლიური გარემო, ევროპული ბუნებისაა ჩვენი აზროვნება, ცხოვრების წესი და, რაც მთავარია, კულტურა. მით უფრო გულდასანყვეტი ფაქტია, რომ მშობლიურმა სამყარომ – ევროპამ – არ იცის ეს, ჯერჯერობით, კარგად ვერ გაუცნობიერებია, რადგან ჩვენმა ვერაგმა

მტრებმა დიდი ხნის წინ გამოგვაცალკევეს, დაგვიმარტოხელეს როგორც მგლებმა – ჯოგს მონყვეტილი ირემი და ჩვენც ამაოდ ველით, ამაოდ ვუხმობთ მშველელს. დღეს უკვე ცივილიზებული მეთოდებით „მონესრიგებული“ მშვიდობის ვითარებაში გვგლეჯენ და გვიფლეთენ სხეულს და მოუშუშებელი, მარად პირ-შეუკრავი ჭრილობებით სულმეძრულნი ვდგავართ ახალი ათასწლეულის კართან, ვდგავართ და ვიმედოვნებთ, ახალი საუკუნე სამართლიანობის აღდგენისა და დამკვიდრების ხანა იქნება. მაგრამ ვინ ან როგორ უმკურნალებს დედის გულს, რომელსაც „საქართველოს გოლგოთად“ წოდებულ ჭუბერის უღელტეხილზე ხელჩანთით შვილის გვამი გადმოაქვს, რადგან უღელტეხილის იქით ერთი ადლი მინაც კი არ დაუტოვეს, ბავშვის ცხედარი რომ მიეზარებინა?!

დიახ, დიდი ტკივილი და საფიქრალი გადმოგვყვა წარსულიდან და ჯერ მთავარი ეროვნული საქმე წინა გვაქვს: სამაჩაბლოცა და აფხაზეთიც ჯერ დასაბრუნებელია. ამ ქვეყნად ცოტა რამ შეიძლება იყოს უფრო სამართლიანი, ვიდრე შენი მინის განთავისუფლება. ილია ჭავჭავაძე ამბობდა: „თავისუფლების მშოვნელი ამქვეყნად მარტო თოფია“-ო და როგო-

რი მშვიდობისმოყვარე და დემოკრატი არ უნდა იყოს დღევანდელი მსოფლიო, ამ სიტყვების მთქმელს ექსტრემისტობას მაინც ვერ დასწამებს. პირიქით, ალბათ ის უფრო უკვირს ჩვენგან, ჩვენი მიწების მიმტაცებელსა და მიმთვისებელს „საუკუნოვან ძმასა და მეგობარს“ რომ ვუწოდებთ.

ჩვენ დაჭრილი ხალხი ვართ და თავისუფლებისკენ მიმავალი ჩვენი გზა უდაბნოზე კი არა, ჯოჯოხეთზე გადის. შეიძლება ამიტომაც ახლავს ჩვენს ყველანაირ საქმიანობას სატანის ირონიული ღიმილი, იმიტომაცაა, ასე რომ გვიჭირს ყველაზე საშინელი სენისგან – აზროვნების ინერციისგან – გათავისუფლება. ისევე უკან ვიხედებით. თითქოს ამდენ გაჭირვებას, უსინათლობას, შიმშილსა და განუკითხაობას თავისუფლების გულისთვის კი არ ვითმენთ, არამედ ისევე მონობაში დასაბრუნებლად, უფრო ზუსტად, მონობაში დაბრუნების გასამართლებლად.

გასული საუკუნის ბოლო ათწლეულში ქართული ტრადიცია თავის კულმინაციას მიუახლოვდა. ქართველ ხალხს ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს მინა გამოსცლოდეს ფეხქვეშ, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით. როგორც მოსალოდნელი იყო, ორი გზაც ამკარად გამოიკვეთა და ორივე აუტანელ ყოველდღიურობას გაურბის, ოღონდ, ერთი ხსნისკენ მიემართება, მეორე კი – დაღუპვისაკენ. გზები კი გამოჩნდა, მაგრამ ახლა არჩევანის არანაკლებ მნიშვნელოვანი პრობლემა წარმოიშვა და ამჟამად მხოლოდ ხალხზეა დამოკიდებული, რომელ გზას აირჩევს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გავარკვიოთ, ვანსხვავეთ თუ არა ერთმანეთისაგან გადარჩენასა და დაღუპვას. ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არც ისე იოლია, როგორც ზოგიერთს შეიძლება მოეჩვენოს. ზოგჯერ ადამიანისა თუ ხალხის ცხოვრებაში დგება ისეთი კრიტიკული მომენტი, როდესაც დაღუპვის გზა ნარკომანის ტკბილ ზმანებებსა ჰგავს, გადარჩენისა კი ტანჯვა-წამების

სინონიმად აღიქმება, გამუდმებულ სიფხიზლესა და გარჯას მოითხოვს, რასაც, ცოცხა გამხელილი სჯობს, დიდი ხანია გადავეჩვიეთ. თუნდაც ამიტომ, დღევანდელ დღეს განუზომელია კულტურის, კერძოდ კი მწერლობის როლი და მნიშვნელობა, რამდენადაც მხოლოდ ის უბრუნებს სამოქალაქო ომისგან ბრბოდ ქცეულ ხალხს თავის ნამდვილ სახეს, ანუ ისევე ხალხად გარდაქმნის. ხალხია თავისუფლების ღირსი და არა ბრბო, რადგან ბრბოს ღირსების გრძნობა არ გააჩნია. საკუთარი ღირსების შეგრძნება სასწაულებრივი ქმედებისათვის ალაგზნებს ადამიანს. დავითის მიერ აღზრდილმა ღირსეულთა თაობამ ველური ურდოები დაამარცხა დიდგორის ბრძოლაში, რომლის გადამრჩენი ინერცია დღემდე გვინარჩუნებს წონასწორობას ამ მოსიპულ პლანეტაზე...

ყველა კულტურულ ქვეყანაში არსებობს ტრადიციული წარმოდგენა, დამოკიდებულება მწერლობასა და ხელოვნებისადმი, ერთგვარი ეროვნული იერარქია, მე ვიტყვოდი, გალაქტიკა, სადაც თითოეულ „პლანეტას“, ანუ მწერლობასა და ხელოვნების დარგებს თავისი ადგილი უჭირავს, თავის „ორბიტაზე“ ტრიალებს. საქართველოში ამ გალაქტიკის ცენტრში მწერლობა დგას, რომელიც თავისი ცენტრიდანული ძალით ერთგვარად აწესრიგებს კიდევ ხელოვნების დარგების მოძრაობას კულტურის დიად სამყაროში და ეს არავის ეთაკილება, პირიქით, მწერლობისადმი უღრმესი მონინება სტიმულს აძლევს მუსიკოსს თუ მხატვარს, მსახიობსა თუ რეჟისორს მეტ წარმატებას მიაღწიოს თავის საქმიანობაში, რაც თავადაც არაერთხელ აღუნიშნავთ. ასეთი ჰარმონიული ურთიერთობა გარანტიაა საერთოდ კულტურის ცხოველმყოფელი ზემოქმედებისა ცხოვრებაზე. „ნიგნი ყოველ ხელოვნებათა დედაა“-ო, ამბობს ესქილე „მიჯაჭვულ პრომეთეში“...

მწერლობაა ყველგან, სადაც ქართველი ადამიანი ვაზს სხლავს, სახლს აშე-

ნებს, სპექტაკლს დგამს თუ ვარსკვლავებს აკვირდება. თამამად შეიძლება ითქვას, არ არსებობს ქართველი ადამიანი (ყოველ შემთხვევაში, ნამდვილად არ არსებობდა ამ ბოლო დრომდე!), რომლის პიროვნებაც არ იყოს დამუხტული ქართული მწერლობის გზებითა თუ სიბრძნით და ეს რალაცით მაინც ხელს არ უწყობდეს თითოეულ მათგანს პირად ცხოვრებასა თუ საქმიანობაში. აი, ეს გახლავთ მწერლობის დანიშნულება – თუკი მისი განსაზღვრა აუცილებელია – ალაგზნოს ადამიანის სული თავისუფალი ფიქრისთვის, ოცნებისთვის... დანარჩენს თავად ადამიანი გააკეთებს.

ყველაზე დიდი და მძაფრი ომები, რომლებიც კაცობრიობას გადაუტანია, კულტურათა ომები იყო, კულტურას დაუპყრია ქვეყნები, მთელი მატერიკები, აუყვავებია ხალხები, ხოლო უკულტურობას, მსგავსად სხვა დიდი კატასტროფებისა, დაუღუპავს და საერთოდ გაუქრია პირისაგან მიწისა, მილიტარისტული თვალსაზრისით, უძლიერესი სახელმწიფოები. ამ შემთხვევაში, მონღოლების გახსენებაც საკმარისია. კულტურათა ომებში საქართველომ საკვირველი გამძლეობა და შემართება გამოიჩინა. საქართველო გადაარჩინა თავისმა კულტურამ. ქართული კულტურა, უნიკალური მშვენიერების, ჰუმანისტური სულისკვეთებისა თუ მომხიბლავი კეთილშობილების წყალობით, თავისთავად, ყოველგვარი ძალდატანების გარეშე, მკვიდრდებოდა სხვა ხალხთა ზნე-ჩვეულებებში, სიმღერებში, ცეკვებში, ჩაცმულობაში – თითქმის მთელი კავკასიის მასშტაბით. საგულისხმოა ასეთი ფაქტი: როგორც კი კულტურა გამოითიშა, განიდევნა ხალხთა ურთიერთობებიდან, მაშინვე თავი იჩინა ექსტრემიზმმა და სიძულვილმა.

გასული საუკუნე ჩვენი მარადიული წინამძღვრის მკვლევლობით დაიწყო, ახალი საუკუნე მისი უკვდავი აზრის ახალი გამობრწყინებით იყოს აღბეჭდილი. მართალია, ახალი საუკუნის კარიბ-

ჭესთანაც ვერაფრით გავახარებთ ჩვენს მასწავლებელს, მაგრამ ერთი რამ კი შეგვიძლია თამამად მოვასხენოთ: დღესაც თავისუფლების იმ ვარსკვლავისკენ მივისწრაფვით, რომელიც მან ჩვენი სულის კოსმოსში აღმოაჩინა და ერთხელ და სამუდამოდ დაგვიდგინა, როგორც დიადი ეროვნული ორიენტირი.

ჩვენ ის ხალხი ვართ, რომლისთვისაც მომავალი და თავისუფლება იდენტური ცნებებია. მაგრამ ჯერ როგორმე ფიზიკურად უნდა გადავრჩეთ, რაც, რასაკვირველია, სულიერ გადარჩენასაც გულისხმობს. ეკონომიკური სიდუხჭირე, რომელშიაც სხვათაშორის, ჩვენი მცდელობით მოვყევით, გაცილებით ნაკლებად სახიფათოა, ვიდრე ის სულიერი კატასტროფა, რომელსაც მხოლოდ ჩვენივე ძალისხმევითა და მონდომებით თუ ავიცილებთ თავიდან.


ახალი წლის, ახალი საუკუნის, ახალი ათასწლეულის კართან ლოგიკურად იბადება კითხვა: არსებობს კი რაიმე გადამრჩენი ძალა, ანუ არსებობს თუ არა „გზა ხსნისა“? ამ კითხვაზე პასუხს სხვაზე უმალ, ალბათ ნათელხილვის ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება გასცემდა, მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ მწამს სიტყვის იდუმალი ძალა და მისი ღვთაებრივი უნარი ერის გაერთიანებისა. ვერც ერთი პოლიტიკური იდეა ისე ვერ შეკრავს საერთო თრთოლვით ქართველთა გულებს, როგორც, თუნდაც, აკაკის „ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტო“. სიტყვა არის ადამიანის სულის ხმა, ღმერთის შუქი ადამიანის არსებაში. სიტყვა იგივე საქმეა, საქმე – იგივე სიტყვა და მათი გათიშვა, მათი დაპირისპირება ხელოვნურია და საბედისწერო. სიტყვა და საქმე უზენაესი ნების ორი, ერთმანეთში შერწყმული, შენივთული იპოსტასია და, ამდენად, ორივე ერთნაირად ცხოველმყოფელია. ღმერთმა ადამიანი შექმნა „ხატად თვისად“, ანუ სიტყვა არა მარტო ღმერთია, არამედ ადამიანიცაა. ამიტომ ბოლომდე უნდა შევინარჩუნოთ ადამი-

ანობა, როგორც ნათლის დამამკვიდრებელი ფენომენი, როგორც დიადი საქმე. სამყაროში ნათლის დამკვიდრების აქტი, როგორც ჩანს, ჯერ არ დამთავრებულა, ჯერ კიდევ გრძელდება და, იმედია, ახალ საუკუნეში საქართველოსაც მოეფინება ღვთაებრივი სინათლე. ასე რომ, მწამს გადამჩენი ძალის არსებობა და ეს ძალა ქართველი ხალხია, რომელიც თავისი ტანჯული ცხოვრებითა და უნიკალური ქმნილებებით უმტკიცებს მსოფლიოს, ნამდვილად რომ ღირსია თავისუფლებისა, მაგრამ ახლა ისიც უნდა დავამტკიცოთ, თავისუფლების შენარჩუნებაც რომ შეგვიძლია. დღევანდელ დღეს სახელმწიფოებრიობის დამკვიდრება არა მხოლოდ მსოფლიო პროცესებში მონაწილეობას გულისხმობს, არამედ ერის სულიერ აღორძინებასაც, რაც, თავის მხრივ, ცხოველმყოფელ ძალად აქცევს, კულტურად გარდაქმნის გაჩენის დღიდან თანდაყოლილ ოცნებას უკეთეს მომა-


ვალზე. თავისუფალი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული სახელმწიფო საქვეყნოდ გამოაბრწყინებს ჩვენი ერის არა მარტო უძველეს ისტორიას, არამედ ასევე უძველესსა და დიდებულ ხელოვნებასა და მწერლობას.

დარწმუნებული ვარ XXI საუკუნე თავისუფალ პიროვნებათა და თავისუფალ ერთა საუკუნე იქნება. გულდასაწყვეტია, რომ ქართველ ხალხს ჯერ ადამიანურად არც კი უცხოვრია, მაგრამ მიუხედავად ამისა, არასოდეს დაუკარგავს ღირსების გრძნობა, არასოდეს დანებებია „შეჩვეულ ჭირს“ და გამუდმებით „შეუჩვეველი ლხინისკენ“ მიილტვოდა. დე, XXI საუკუნეში მაინც ასრულებოდა თავისი ძველისძველი ოცნება, მიეღწიოს იმისთვის, რაც, მართლაც რომ მოწამებრივი ცხოვრებით დაიმსახურა.

2001 წ.



ჯახი ფსოვი



გუბე

გუბდება გული:
ამ გუბეში წარსული სჩანს
ჩამავალი მზის წამწამივით...
სჩანს ბედისწერის ნაფოტები, საბედისწერო...

გუბე, სადაც თევზებთან ერთად
გველიც ტორტმანებს, გასენილი და გულუძრავი,
და მისი შხამის ქაფი ტრიალებს...

გუბე, სადაც მე და შენი აჩრდილები და
დავინწყების ჯანლები
და ქარები მიმწუნებოვანი
ქსოვენ ხსოვნის აბლაბუდას,
ქსოვენ ძველი სიტყვების ბადეს,
სტრიქონებად რომ ამაგრებს,
კონებად რომ კრავს
ჩამავალი მზის ნათება გველისპირული...

გუბდება გული:
ის წარსულის მზის ნაბიჯებით
გუშინდელ დღეს დაეხრება
და თან წაიღებს
სიტყვებს და ფურცლებს
და ტკივილებს
და მოგონებებს
და შენს სტრიქონს სააღსარებოს...

ჯახირი

და ჩემი გული, როგორც გითხარი,
დარდით ნაკერი და განბანილი...
და ლექსი, ძნელად წასაკითხავი,
ვარსკვლავიანი ცის ანბანივით.

და ყოფნის ყეფა, აქ რომ იგრძენი:
 აუხსნელობა შენი მომავლის...
 და გაზომილი სიცოცხლის სიგრძე
 და მწუხარება გაუზომავი...

და ეს ქვეყანა, დაცლილ ყანწივით,
 და კვლავ აავსებ და კვლავ დაცლი და...
 მწარეა შენი შორი გზანვრილი:
 გასაუბრება გინევს მაცილთან...

მისი სიტყვები გულს გიშხამავენ,
 თან ვარსკვლავების ისმენ ცით ხავილს:
 და გრჩება ოხრად ისევ ამავე
 ანბანით ლექსი წასაკითხავი!

ქვალი

არა, არავინ არ დაგიჯერებს...
 ისინი ხომ, ღვთის შეწევნით, ბევრნი არიან...

და კიდევაც რომ დაგიჯერონ,
 ეს ხომ მეორე დაბადებას დაემსგავსება,
 როცა უცხო ვინმედ იბადები და:
 თითქოს ძეგლად იბადები და თანახმა ხარ,
 ცისქვეშ რო იდგე,
 ამ უდაბნოს რო ამძიმებდე,
 თანაც, ესეც კი არ შეგეძლოს,
 რო ხანდახან კარი გაულო
 აკრძალულ სიტყვებს... და ხანდახან
 ამ სიტყვებში დანყველილი გული დამარხო!..

არა, არავინ არ დაგიჯერებს;
 ჯერ კიდევ მაშინ არა სჯეროდათ,
 ამ აღმართზე რო ადიოდი
 ოფლისმღვრელი,
 ქვებზე ტერფებგადატყაული...

ხომ გხედავდენ,
 მაგრამ ქვადიდს ვერა ხედავდენ,
 საღვთო ცას რო აჩვენებდი,
 საღვთო ცისთვის რო მიგქონდა,
 საღვთო ცრემლით რო ხატავდი
 ამ უდაბნოს გამონვულ ზურგზე...

ვინმე მაგანმა, ვინც დაინახა,
 მუშტი დაირტყა: საკუთარი გული ჩაქოლა...
 დაინახა და დაიჯერა საღვთო სიმართლე,
 რომ ეს ქვადიდი კი არ იყო,
 წიგნი იყო,

აღმართებზე შენ რო წერდი,
სტრიქონებად აგროვებდი
და ხატავდი უდაბნოში მთვარის ფურცლებზე...

სტრიქონები,
უცხო ლოდად შემკვრივებული:
ქვადიდი, აღმა რო ათრიე,
გულოხერი რითაც ჩაქოლე!

არა, არც ეხლა დაგიჯერებენ...
არავინას მაშინაც ხომ არა სჯეროდა,
სხვები როგორ დაგიჯერებენ!

თითქოს თვითონაც არა გჯერა,
ნიგნი როა: შენ ქვადიდი დაარქვი და...
ამ აღმართზე იწერება,
ამ აღმართებს ეწირება... და ამ აღმართზე
საბუთები რო გაგიჩითოს ვინმე მავანმა,
დაიჯერებენ: სიზიფე გქვია
კიდევ ერთი მეტსახელი... და
შენი გაჩენის ავთარილიც აქა სწერია:
1943. 18 ოქტომბერი,
არახიჯის ძველისძველი სამშობიარო:
ბოსელი,
სადაც ერთდროულად
შენ და შენი სიკვდილი გაჩნდით!



სულ მინდა, დედა დამესიზმროს,
რომ ვუსაყვედურო
მოხუცი ობივატელის სიტყვებით:
რატომ თავისმკვლელად არ გამაჩინე?

მაშინ ხომ ჩემს გულს,
სუყველაფრით უკმაყოფილოს,
ასე ხშირ-ხშირად არ ჩავნიხლავდი!

მხოლოდ ერთ ხანჯარს ვაკმარებდი,
არაგვთან ერთ ჩახუტებას ვაკმარებდი,
ავნადირთან და ავგველთან
მხოლოდ ერთ შეხვედრას ვაკმარებდი!..

აბრაქადაბრა

ცხოვრობდა ისე, როგორც იგავი:
დაუსაზღვრელი და მიამიტი...
ბოლოს ხსოვნიდან აღიგავა და
კვლავ უხსოვრობის ნისლს მიემატა...

და ასე მოდის მოაქუამამდე
 მისი წრიალი: ცა რუდუნების...
 იმ უხსოვრობას ხსოვნა ადარდებს
 და ხსოვნა ერთვის წარუდინებელს...

აბრა: სიზმარზე სიზმრის გადაბმა,
 აბრა: რო ნათობს კანდელაბრივით...
 აბრა აბი და აბრა ჯანდაბა,
 ამბრა უმბრი და აბრაკადაბრა...

ავტოპორტრეტი. 2015.

არაგვის სიტყვა: ცის ფესვებთან
 თავდახრილი მთა რომ გადმოგცემს,
 წნორები რომ იმეორებენ...

ცის ერთგული ვარ, მაგრამ თავი გამახსენეს:
 საარაგვოს მთებმა დამხანჯრეს...
 მთების კვალდაკვალ ვითომკაცმა,
 საფლავისკე მიმავალმა,
 სხვამაც დამხანჯრა!..

ეხლა ამ ცის ერთგული ვარ და
 ეხლა ამ მთების ერთგული ვარ და:

ამ ნახანჯრალებს
 ერთგულების ფიცით მოვუვლი!
 არაგვის სიტყვებს,
 ცის ფესვებთან
 თავდახრილმა მთამ რო გადმომცა,
 ჩემს მწარე სიტყვებს გადავურევ:
 გველის ნაკბენებს...
 ჩემს მწარე სისხლს გადავურევ,
 ისე მწარეს, რომ
 სისხლის ბაზარზე სულ არავინ დახედავს და
 გროშადაც არ გაიყიდება:
 იმ მწარე გროშად,
 ჩემს ძველისძველ გვარს რომ ამაგრებს!



მტოვებს შავდარდი, ცაში აჭრილი.
 გული გაურბის წყვედიადის ავსენს...
 უდაბნოს მგზავრებს: სიტყვებს დაჭრილებს
 გველის გვემული ბორკილი ავხსენ
 და შენთვის მომაქვს: თითქოს მთვრალივით
 ეს ნაოხარი და უდაბური
 სიტყვების ბურღო: მთვარე ნალევი,

ნაჯახირევი, ლექსში დაბმული
 ცა, ღამეული ღუმლით სავსე:
 აქ მანგის ფესვი უნდა მოვთხარო...
 გული გაურბის სიტყვების ავსენს...
 მშვიდობით, დარდო, ნასამოთხარო!



მიმწუხრში ვარსკვლავთა გარიყვანი:
 სიტყვაში იგრძენი ცის ლივლივი...
 და ეს მთა, ხელში რო აიყვანე:
 გულში ჩაგრჩენია ტკივილივით...
 და შუალამურ ხარახურაში
 ლექსის მეუფეს დარდებს უსაღებ...
 მერმე შავგულის კარებს ხურავ შენ:
 ტკივილებს ამწყვდევ, როგორც ტუსაღებს!

სიტყვა

გლოვობ: გულდარდი გამოგელია,
 დატოტნი ფურცელს, ჯანლით მოფენილს...
 და სიტყვას დაფლეთ მარტომგელივით:
 წვალობ ნუხილით ნამუყოფელი.

ისევ ამოდის, გულში რო დაფლე
 ის მზე, ის ხსოვნა, ნარუდინები...
 მისდევ ავღამეს და ენის თაფლეთს,
 სადაც მარხია მთვარის მინები...

და ქრება ეს ხმა და მიწრეტილი
 კივილის კვალზე კვნესის კრუალა...
 სტრიქონის ბოლოს ვარსკვლავ-წერტილი
 კანკალით ეძებს თავის ყრუალაგს...

და კვნესის ისიც: მარტო, ეული:
 ზედ გამოყრილი დარდის წვეთები...
 სიტყვა, მწყრალი და მწუხრდალეული
 და მგლის ყმუილით დანაფეთები...

კვნესა

და კვნესას აბჯენ ყავარჯენივით...

კვნესას კვნესა ემატება შავ ღამეებში...
 და ავსიტყვა ემატება და
 იმას დროის გრიგალები ვეღარ უძლებენ...
 ვეღარ უძლებენ მთვარის ფურცლები,

ველარ უძლებენ სიზმრები და
 ველარ უძლებს პოეტის გული,
 თვითონაც რო ყოველწამიერ
 სტრიქონს კენესის სააღსარებოს...

და კენესას აბჯენ ყავარჯენივით...
 ეს არის შენი შავი ტექსტი და
 კენესას კენესა ემატება შავ ღამეებში...

კენესია კენესა: ის ცეცხლს გიკიდებს!

კერპი

და კერპი ვინმე: ისტორიის შავი წიგნიდან
 ერთი ფურცელი ამოხეული...

ის იმ უღრანის ბინადარია,
 სადაც მგზავრი გზას ვერ გაიგნებს...

და იმ ცოდვილის ნაშეირია,
 ვინც უგზო გზა გამოიარა,
 თან რომ მოჰყვა მემკვიდრეობით
 გველისმჭამელის მწუხარება,
 კენესა: გველისშხამდალეული
 პოეტის,
 ვისაც ეს სიტყვები გულს უხანჯრავენ,
 ვინც თვითონაც შავი წიგნის ფურცელია,
 მრუდე ხელით ამოხეული...
 და უდაბნოს მგზავრია და, ამ კერპზე რო წერს,
 ესეც, ალბათ, ეპატიება...
 შესაძლოა, უარესი რამეც წამოსცდეს!

თვითონაც კერპის თანამგზავრია,
 თანაც, მაცილის ნაწერების წამკითხველი და
 მაცილის გზების გამლორღველი და
 მაცილის გულის კენესას ისმენს,
 იმის სისხლიან ფრჩხილებს დასცქერს,
 თითებიდან გამოჟონილებს...

და კერპი ვინმე:
 კერპი მავანი, კერპი მკივანი,
 ისტორიის შავი წიგნიდან
 ერთი ფურცელი ამოხეული...



მაცილის ცრემლში არეული მელნით
ინერება შენი ლექსი, სააღსარებო...

ინერება შენი სიტყვა:
ის აჩნია გულს ნახშირივით...
და აჩნია შავი სიტყვები
ამ ფურცელს:
გველის შხამგარეულ მელნით რო წერე...
სისხლით რო წერე...
აღბათ, კიდეც დაგენანება,
ეს ფურცელი ცეცხლს რო აჩუქო!

და სიმართლეს უნდა ითქვას,
სულერთია შენი სიტყვა ცეცხლს ვერ ასცდება:
შესაძლოა, ამ მთაბარში
სულ შემთხვევით
ის გულის ცეცხლს გადაეყაროს!

ყოველდღე

შენ დაგეკარგა დილა სისხამი:
ისე გაგექცა, როგორც ნადირი...
შემოგეხვია მხრებზე ის ღამე,
პირშავი გველის წელიწადივით...

ქარს გაჰყვა ძველი ჟამის ნუგეში...
ეხლა სხვა დროის ჭირხლი გაბერებს...
ყოველდღე ამწყვდევ თვალისგუგებში
სიტყვებს და ქარებს, ქარისნაბერებს.

სიზმარი

დიდი ძებნა აღარ უნდა:
შენ იმისი სიზმარი ხარ, დაუსრულები,
ვისაც სამშობლოს მტრები ჭირივით სძულს და
ღამეს ათევეს კბილთა ღრჭიალით...

ვისაც ენატრება გაღვიძება
ისეთ ვარსკვლავზე,
სადაც მტრები დაივიწყეს დიდი ხანია...

აღბათ, მალე ასეც მოხდება:
სიზმარში ხომ აღარ დარჩა
არაფერი აუსრულები...

მთვარის ფაფახი

შავი ფაფახი ახურავს მთვარეს:
 თმებზე ჰკიდია ლოლუები დეკემბრისანი...
 ფიფქები სცვივა შავ ღამეში
 იმის ოხრად მოლალულ თვალებს:
 გაყინული ცრემლები და
 გაყინული სხივები და გაყინული
 ნისლის ფიქრები...

ფიფქებად კენესის და ახურავს
 შავი ღამის შავი ფაფახი...
 შავ სტრიქონებად ეფინება
 ვარსკვლავებით დახვრეტილ ფურცელს...

ეხლა პოეტსაც მოუხდება ზამთრის ღამეში
 ფაფახი, მთვარის დანაკარები...

დიდი ამბავი: ვაჟა-ფშაველას
 პლაგიატორი თუ დაარქვეს
 ამ უმთვარო, ამ უპატრონო
 და გაყინულ და ამღვრეულ საქართველოში!

არაგვის ძილი

არაგვს ხმამალლა ეძინა ნუხელ:
 ძილში სხვა დროს იხსენებდა,
 იმ დროს,
 ყრმობის სიზმარივით მთებში რო დარჩა...
 და იხსენებდა იმათ, ამ გზით რო ჩაიარეს,
 ქართული სიტყვის უდაბნოში
 მაშინ ვისაც შემოაღამდა...

არაგვს ხმამალლა ეძინა ნუხელ:
 ის მწარე სიტყვებს მეუბნებოდა
 და მმოძღვრავდა:
 მაშინ, როცა დაწყველილი სიბერე მოდის,
 მწერლობას უნდა დაემშვიდობო!

მე შენი მჯერა, არაგვო, და სიმწრით ნაცვეთი
 კალმით დასმული ბოლონერტილით
 ამ ქალაღდის და სიტყვების და მთაკლდეების
 მწარე უდაბნოს ვემშვიდობები!

მთახ ჯიხპანიშვიდი



ლაზარი

1.

როდესაც ბეთანიაში, ზეთისხილის მთის ფერდობზე გაშენებულ ბაღში, გასავათებული, სურნელოვან ხეებს შორის დავხეტებოდი, რათა ყურადღება შიმშილიდან სხვა რამეზე გადამეტანა, არ ვიცი, როგორ, თითქოს არაფრიდან ამოიზარდაო, მზით შედედებული ჰაერის ნაპრალიდან კაცი დაიბადა, ჩემ წინ აისვეტა და ეჭვიანი, მოჭუტული თვალებით მომაჩერდა. თუმცა დაბალი არ მეთქმის, ჩემზე ერთი თავით მაღალი იქნებოდა. ვერ მივხვდი, ვინ იყო და რა უნდოდა, ჩვენი უფალი რამდენიმე წლის წინათ გარდაცვლილიყო და, რადგან იუდეის გამგებელს, რომის დავალებით, საგანგებო თვალთვალი ჰქონდა დაწესებული ქრისტიანებზე, ვფრთხილობდით. სახე მოვარიდე, შევბრუნდი, გზის გაგრძელება ვცადე, მოულოდნელად მკლავში ხელი ჩამავლო – ისეთი ძალითა და სიმტკიცით, ნაბიჯი ვეღარ გადავდგი. შემდეგ, ნდობის მოსაპოვებლად, მარცხენა ხელი მაღლა ასწია, ცხვირთან მომიტანა და საჩვენებელი თითის უცნაური მოძრაობით ჰაერში თევზის ფიგურა მოხაზა, თუმცა ეს ისე უხეიროდ და ნაძალადევად

გააკეთა, ბრიყვიც კი მიხვდებოდა, ქრისტიანი რომ არ იყო. ვფიქრობ, არასდროს უნდა გამოიყენო სიმბოლოები, თუ ის გულიდან არ მომდინარეობს, თვალთმაქცობა ადვილად გამოსაცნობი მანკიერებაა. ქვაზე მიმითითა, ჩამოვსხდეთო. ჩამოვსხედით. ახალა დავაკვირდი, ღმერთო ჩემო, საიდან მეცნობა ეს ადამიანი – ასეთი ლამაზი, ანგელოსის ხელით ნაშენი სახის ნაკვთები ახლოდან არასდროს მენახა. სხეული, ერთი შეხედვით, არანაირ ძლიერებას არ ავლენდა, მაგრამ ახლაც მახსოვს მისი მკლავის ძალა, რომელმაც ადგილზე გამაქვავა. წვერი წითური ჰქონდა, უცნაურად შევერცხლილი, თანაბრად შეჭრილი და დავარცხნილი; თმა და წარბები – შავი, ოდნავ გაჭალარავებული. ეს შეხამება სახეს უბუნდოვანებდა, თითქოს ნისლშია შთანთქმულიო. ძნელია ასეთი გარეგნობის დამახსოვრება. ტუჩის მარჯვენა მხარეს ნაიარევს წვერიც ვერ უფარავდა, ეს ჭრილობა რალაც უცნაური მოხაზულობით ერწყმოდა ცხვირის ნესტოებს, შემდეგ კი სადღაც იკარგებოდა. ამ კაცს მომნუსხველი გარეგნობა ჰქონდა, ადვილად დაგიყოლი-

ებდა... ეჰ, როგორ განსხვავდებოდა მისი სხეული ჩემი დამჭკნარი, გაყვითლებული და დაუძღურებული სხეულისაგან.

– ქრისტიანი ხარ? – მკითხა. უნდობლად შევხედე, მიმიხვდა.

– აჰ, თევეზი არ იყო საკმარისი, – თქვა და დაამატა, – რატომ არასდროს გამომდის სიცრუე. – და უცებ უბიდან ხმიადი ამოაძვრინა, – ალბათ, მშიერი იქნები, მსმენია, ქრისტიანებს უჭირთო, – შემდეგ საიდანღაც მის ხელში პატარა, თავდახურული დოქი გაჩნდა, – ეს კი ლიბანის ღვინოა, პური გავტეხთო.

არ ვიცო, რატომ, ინსტინქტურად ხელი ხმიადისკენ წავიღე. ვერ ვიტყვი, რომ შიმშილის გამო, რადგან მადა უკვე დაკარგული მქონდა. გატეხა და მომანოდა, შემდეგ დოქს მოხადა თავი, მოსვა და ისიც გამომიწოდა. როგორც კი ღვინო დავლიე, ზეთისხილის თავბრუდამხვევმა სურნელებამ მთელი ძალით დამიარა ტანში, ისე მსუბუქად ვგრძნობდი თავს, თითქოს ეს-ესაა ცოდვები მომეტევა...

– ვინ ხარ და რა გინდა-მეთქი, – ჩავეკითხე.

– შენთან პეტრემ გამომგზავნა, აი, იმან, კლდეს რომ უწოდებთ.

– პეტრემ? – გამიკვირდა და შევცბი.

– ჰო, იერუსალიმის ტაძრის კარიბჭესთან ყური მოვკარი, ის და რამდენიმე ადამიანი ჯვარცმულზე ლაპარაკობდნენ. მივედი და გამოველაპარაკე, რომში აპირებს წასვლას.

მართლა უნახავს. ვიცოდი, პეტრეს იმ დღეებში უფალი ეჩვენა და უთხრა რომში წადიო...

– რისთვის გამოგგზავნა?

– მითხრა, ეგ ოთხი დღე მკვდარი იყო, მერე უფალმა აღადგინა, მასავით გააცოცხლებს სხვებსაც, თუ არ გჯერა, ჩადი და ჰკითხო. თან ისიც მითხრა, სად უნდა მენახე, თევეზის მოხაზვაც იმან მასწავლა და, თუ მაინც არ დაგიჯერებს, უთხარი პეტრემ გამომგზავნაო...

განვრისხდი. ნუთუ პეტრე ასე წინ-

დაუხედავად მოიქცა...

– პეტრე რატომ გენდო?

– მიცნო.

საიდან მეცნობა ეს კაცი!

– საიდან?

– მაგაზე მერე, ჯერ შეკითხვაზე მიპასუხე.

– რა შეკითხვაზე?

– მართლა მოკვდი და გაცოცხლდი?

– აბა, საიდან უნდა ვიცოდე?!

– რა?

– მოკვდი თუ არა.

– როგორ, მოკვდი თუ არა, არ იცი?

– ადამიანმა, როდესაც კვდება, არ იცის, რომ მკვდარია.

– და, სანამ მოკვდება?

– სანამ მოკვდება, იცის, რომ უნდა მოკვდეს.

– ვერაფერი გავიგე. არ გჯერა, რომ მკვდრეთით აღგადგინეს?

– მჯერა, მაგრამ ამის დადასტურება არ შემიძლია. მეც, როგორც სხვებს, უფრო მწამს, ვიდრე ვიცი. სიკვდილის საიდუმლო მიუწვდომელია, მას ვერავინ გამოცდის. თუ ადამიანი თავის არსებობას ეჭვქვეშ დააყენებს, ის ღმერთს აუჯანყდება.



– ამბობენ, გამოქვაბულიდან გამოვიდა საფენებში გახვეულიო?

- ეგ ეგრე იყო.
- და, მიცვალებულთა საუფლო?
- რა მიცვალებულთა საუფლო?
- შენ ხომ იქ იყავი?..

– გაინტერესებს, ვნახე თუ არა იქ ვინმე? გონიერი ადამიანი ხარ. მკვდარი ვიყავი, სიკვდილი კი არის არარა!

– ეგრეც ვიცოდი. – ნამოდგა, წასვლა დააპირა.

ძალები მოვიკრიბე და შევეძახე: – ახლა შენ მიპასუხე!

- რაზე?
- ვინ ხარ და რატომ გაინტერესებს ეს ყველაფერი?

– მე ის ვარ, ხალხის რჩეული, ვისაც შეუძღეს, როცა თქვენს უფალს ძელზე კიდებდნენ, თუმცა ეს ჩემი ბრალი არ იყო!

გამახსენდა. გონება გამინათდა. ვიღვრივ: ბარაბა!

თუმცა ის უკვე იქ აღარ იყო – ჰაერმა შთანთქა.

2.

ამ ამბის შემდეგ, ასე, რამდენიმე კვირის თავზე, როცა ყველას რომში წასული ეგონა, პეტრე მოციქული მოულოდნელად ბეთანიას ენვია და მოითხოვა იქ მოღვაწე ქრისტიანთა მცირე კრებულის მონახულება, ყველას შეუთვალა, დღეს, მზის ჩასვლისას, სიმონ კეთროვანის სახლში ვიკრიბებითო. შეიკრიბნენ. მოციქულმა მართლაც გულში ჩამწვდომად ისაუბრა, გაამხნევა და განამტკიცა სამწყსო, შეფარვით მოსალოდნელ სასტიკ დევნაზეც გადაუკრა ორიოდე სიტყვა. მისი ქადაგება რალაცნაირი სევდით იყო სავსე, აღთქმული სასუფეველის მაგივრად საუბრობდა რწმენაში სამაგალითო, წამებულ მამაკაცებზე, აბელიდან მოყოლებული, ახლახან მათ თვალწინ ჩაქოლილი სტეფანეს ჩათვლით. ადრე მდევნელ სავლეს, მოციქულ პავლეს ღვანლზეც ისაუბრა, იმაზე, თუ რა შეემთხვა მას დამასკოს-

კენ მიმავალს გზაზე, შემდეგ – როგორ გადაურჩა ორჯერ სიკვდილს, ერთხელ კი, როდესაც გალატიაში ჩაქოლეს და მკვდარი ეგონათ, ქალაქგარეთ გაათრეს და იქ დააგდეს, მოსულიერდა, ადგა, იმავე ქალაქში შევიდა, ხალხის გადასარჩენად ქადაგება განაგრძო. ყველა ძალიან გაამხნევა პავლეს მაგალითმა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერავინ მიხვდა, რა იყო ამგვარი ქადაგების მიზანი სულიწმინდით სავსე კაცისაგან, შეკითხვის დასმა კი ვერავინ გაუბედა.

ქადაგება დასრულდა. ხალხი წასასვლელად მოემზადა. მოკრძალებულ ვახშამზე მხოლოდ ხუთი ადამიანი დარჩა: მოციქული პეტრე, სიმონ კეთროვანი, ლაზარე, მართა და მარიამი – მისი დები... პეტრემ პური გატეხა, აკურთხა და საუბარი წამოიწყო:

– მარიამ, მარიამ, გახსოვს ის ბედნიერი დღე, როცა ყველანი აქ ვისხედით უფალთან ერთად?

– მახსოვს, პეტრე, მაგ დღეს რა დამავიწყებს... მე რომ არ ჩამეშხამებინა მხიარულება... – ეს თქვა და თავდახრილმა შეუმჩნევლად ჩაილიმა.

– მაშინ მეორედ დაბანე და თმით შემშრალე უფალს ფეხები; პირველად ცრემლით, მეორედ – სუფთა წარდის ძვირფასი სურნელოვანი ნელსაცხებლით. მახსოვს, ჭურჭელი რომ გატეხე, იუდა შემლიღვივით ფეხზე წამოიჭრა, რას სჩადი, გავყიდდით და ფულს ღარიბებს დავურიგებდითო. ხედავ, როგორ შესტკიოდა გული ღარიბებზე?! – ყველას გაეციონა. განაგრძო:

– ის კი არა, ჩვენც აგვიყოლია, რა ადვილად ჰყვება ადამიანი ბოროტებას, რომელიც სიკეთითაა შენიღბული, როგორ ვატკინეთ ყველამ გული უფალს... განა ღარიბები ახლაც ჩვენთან არ არიან?! უფალი? უფალიც ჩვენთანაა. გვითხრა მაშინ, მარად მარიამის ამ საქციელზე ილაპარაკებენო და, აგერ, ჩვენც ვლაპარაკობთ...

– დიახ, ჩემი და ძალიან გონიერია,



– ჩაერთო მართა. – მახსოვს, ერთხელ, როდესაც ჩვენი უფალი სტუმრად სახლში გვყავდა, ფერხთით მიუჯდა და გაფაციცებით უსმენდა, მე კი სადილს ვამზადებდი, რის გამოც უფალმა მისაყვედურა, საქმლის კეთებას გირჩევნია, ჩამოჯდე და შენც მოისმინო...

– ეგრე უხეშად არ გეტყოდა, – თქვა სიმონ კეთროვანმა, – ჩვენს უფალს დიდი სიფრთხილე ახასიათებდა. ვერ წარმოიდგინო, როგორი სიყვარულით მომექცა, როდესაც განმკურნა, ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს არასდროს მქონოდე კეთრი...

– მართალია სიმონი, – თქვა ლაზარემ, – მაშინ მეც სახლში ვიყავი, ლაპარაკი მესმოდა, ეგრე არ უთქვამს.

– ეჰ, – ნაღვლიანად ამოიხვნეშა პეტრემ, – ნეტა, მართლა გაგვეყიდა ეგ ნელსაცხებელი 300 დინარად და მიგვეცა იუდასთვის, იქნებ, აღარც გაეცა 30 ვერცხლად მოძღვარი. – თავიდან გაციინათ, მერე კი რალაცნაირად ყველა დანაღვლიანდა. მარიამს გაახსენდა უფლის სიტყვები, როდესაც ნელსაცხებელი ფეხებზე დაასხა – ამით შენდა უნებურად სიკვდილისთვის მომამზადეო და ცრემლები ჩამოსცვივდა...

შემდეგ, ისე, რომ თავი ზევით არც აუწევია, ლაზარემ ჩაილაპარაკა: – ძმავო პეტრე, ჩვენ რომში გვეგონე, აქ რატომ ჩამოხვედი, შენმა ქადაგებამ ყველა დაგვაფიქრა.

– ალბათ, იმას მსაყვედურობ, ბარაბა რომ გამოგიგზავნე, – რბილად მიუგო პეტრემ, – შეიძლება მართალიც ხარ.

ბარაბას გაგონებაზე მარიამი შეცბა, თავზარდაცემულმა დუმილი ამჯობინა...

– სულ მაინტერესებდა, ასე რატომ ენდე? – თქვა ლაზარემ. სიმონი, მართა და მარიამი ჯერ ვერ მიმხვდარიყვნენ, რაზე იყო ლაპარაკი და სმენად იქცნენ.

– შენც ხომ ენდე, როდესაც მასთან ერთად პური გატეხე და ღვინო დალიე?! – გაკვირვებულმა მარიამმა ძმას შეხედა.

ლაზარემ ისევ დახარა თავი და ჩაილაპარაკა:

– მართალი ხარ, ეს კაცი რატომღაც ნდობას იმსახურებს. არ ვიცოდი, ვინ იყო, კი მეცნო, მხოლოდ ერთხელ შორიდან მყავდა ნანახი, მაშინ, უფლის გვერდით...

– შენიდან წამოსულმა კვლავ მე მომძებნა და მითხრა, ვისთან გამგზავნე. როდესაც ზეთისხილის ფერდობზე პური გავტეხეთ და ღვინო დავლიეთ, ვკითხე, ოთხი დღე მართლა მკვდარი იყავი-მეთქი? თავადაც არ იცის, მკვდარი იყო თუ არა, არ დამიდასტურა, რომ აღსდგაო. მართალია?

ლაზარე განითლდა, ყველამ შეატყო, რომ თვალეები ცრემლით ავესო. დასტურის ნიშნად თავი დაიქნია და შემდეგ ისე, რომ ხმა უკანკალებდა, ძლივს გასაგონად წარმოთქვა:

– პეტრე, მითხარი, მართლა მკვდარი ვიყავი?!

– იქნებ, არც მე ვყოფილვარ ერთ დროს კეთროვანი, – ჩაილაპარაკა სიმონმა და თავი დახარა. მართა და მარიამი კი ლაზარეს თავზარდაცემულები შეჰყურებდნენ, ნუთუ ჩვენი ძმა მთელი ამ ხნის განმავლობაში თვალთმაქცობდა, ნუთუ მას უფლის ყოვლისშემძლეობაში ეჭვი ეპარება! ნუთუ ჩვენ მატყუარებად მივაჩნდით და მთელი ის ხალხიც, ვინც უფლის დიდება და მისი აღდგომა იხილა!.. სათქმელი არაფერი იყო, აქ სიტყვები სრულიად ზედმეტია, უხერხულმა სიჩუმემ დაისადგურა. პეტრე მშვიდად მიუახლოვდა ლაზარეს, მხარზე ხელი დაადო, წამოაყენა, გულში ჩაიკრა და თქვა:

– ვერასდროს შეეგუება მოკვდავი კაცი იმ აზრს, რომ ის ოდესღაც მკვდარი იყო!

გონება გაუნათდათ და მიხვდნენ, ლაზარეს ურწმუნოება კი არა, ღრმა სულიერი განცდები ტანჯავდა, ამიტომ ყველას გული მოუღბა და აღარავინ განსაჯა.

პეტრემ განაგრძო:

– ბარაბა შეშლილივით გარბოდა ჩემ-
გან და ყვიროდა, თქვენ არაფერი იცით,
მე ვარ რჩეული, მე ვარ რჩეულიო! და აი,
თურმე რას გულისხმობდა ამ სიტყვებ-
ში... – პეტრე გაჩუმდა და რალაცნაირად
უხერხულად მიმოიხედა.

– რას გულისხმობდა? – იკითხა სიმონ
კეთროვანმა.

პეტრემ ამოიხვნეშა და განაგრძო:

– არ ვიცი, გსმენიათ თუ არა ღვთიე-
სათნო ცოლ-ქმრის, პრისკილას და აკ-
ვილას შესახებ, რამდენიმე დღის წინათ,
თურმე, ისე, რომ ვერავის შეემჩნია,
იერუსალიმის ტაძართან ქრისტეს აღ-
დგომაზე ქადაგებდნენ. იქვე ყოფილა ბა-
რაბაც, ყური მოუკრავს ქადაგებისთვის
და ერთი ამბავი აუტეხავს, ესენი დამ-
ლუპველ სწავლებას ავრცელებენო. ამა-
სობაში ტაძრის მცველებიც მოვარდნი-
ლან, შეუპყრიათ ეს ქრისტიანი ცოლ-ქმა-
რი და დიღეგში ჩაუმწყვდევიათ. ბრალი
კი მღვდელმთავარ კაიაფას ნაუყენებია
სინედრიონის წინაშე: ქალს ტაძართან
ქადაგების უფლება არა აქვს, კაცი კი
ამაში ეხმარებოდაო. განაჩენიც სწრაფად
გამოუტანიათ, ქალისთვის – ჩაქოლვა,
კაცისთვის – ბოძზე ჩამოკიდება. როდე-
საც ქალი ჩასაქოლად მიჰყავდათ, ქმარი
კი ძელზე დასაკიდებლად, როგორც ჩვე-
ნი უფლის დროს, მთელ ამ საქმეს თავ-
კაცობდა მღვდელმთავარი კაიაფა: გზად
ჯერ კაცი აცვეს ჯვარს და ქალს აყუ-
რებინეს, შემდეგ ქალი გაიყვანეს ქალა-
ქიდან და ქვა კაიაფას მიანოდეს. ხალ-
ხი ყვიროდა, პირველი მღვდელმთავარმა
ესროლოს უფლის მტერსო და აი, ისე,
რომ ხელი არ აჰკანკალებია, პირველივე
გასროლაზე მოახვედრა მიზანს. დაწყე-
ბულა ქვის სეტყვა ქალის მიმართულე-
ბით, ქვის სროლაში გართულ მცველებს
მღვდელმთავრისთვის ყურადღება არ
მიუქცევიათ, მერე მისულან და რას ხე-
დავენ, მოხუცი მღვდელმთავარი კაიაფა
გულაღმა გდია და მარცხენა მხარეს და-
ნა ტარამდე აქვს ჩარჭობილი გულის ფი-

ცარში, სისხლში ცურავს და ხროტინებს,
იქით კიდე ვილაც კაცი შეშლილივით
გარბის და იძახის, ეგენი მაინც აღდგე-
ბიან, ნანახი მყავს, ის, გაცოცხლებული
მკვდარი, ნანახი მყავს, მე ამირჩიეს, მე
ამირჩიესო! კარგა ხანი ვერავინ ვერა-
ფერს მიხვდებოდა, ყველაფერი აქ რომ
დამთავრებულიყო, მაგრამ ამ შემთხვე-
ვიდან მალევე მოკლული კაიაფას მთე-
ლი სახლეული, უფროსი შვილის გარდა,
რომელიც მღვდლად მსახურობს ტაძარში
და იმ დღეს ბეთფაგეში ნათესავთან იმ-
ყოფებოდა, ყელგამოღადრული ნახეს. იმ
დღესვე ყოფილი მღვდელმთავრის, ანას,
სამარხი წაებლნათ, მისი სხეულის ნა-
წილები დანანევრებული, გათელილი და
მიმოფანტული ნახეს... უამრავ ადამიანს
დაუნახავს, რომ ეს ყველაფერი ჩაიღინა
ერთადერთმა ადამიანმა, რომელსაც სა-
ხელად ჰქვია ბარაბა! „განა კაიაფამ არ
მოითხოვა მისი გათავისუფლება?“ – ასე
ლაპარაკობს ხალხი იერუსალიმში. ბარა-
ბა შეიპყრეს (თუმცა, როგორც ამბობენ,
გაქცევა არც უცდია, თითქმის ჩაბარ-
დაო). იცის, რომ მოკლავენ, ერთადერთი
მიზეზის გამოა დღემდე ცოცხალი, შეშ-
ლილივით გაიძახის, ჩემი თვალთ ვნახე,
ვნახე, მან გააცოცხლა, ვინც ჩემ მაგივ-
რად დასაჯეთო. უნდათ ათქმევინონ, ვინ
არის ის!

– ვისაც ეძებენ, ის მე ვარ! – ხმამაღ-
ლა წარმოთქვა ლაზარემ.

– დიახ, – დაუდასტურა პეტრემ. –
როგორც ჩანს, ამ მხარეში დიდი დევნაა
მოსალოდნელი.

– უფლის სიტყვისთვის ყველაფრის-
თვის მზად ვართ, – მტკიცედ წარმოთქვა
სიმონ კეთროვანმა, – აკი თქვა კიდეც,
წუთისოფელში ჭირი გექნებათო, ვაი
ჩვენ, თუ დევნა შეწყდა და წუთისოფელ-
მა შეგვიყვარა! – მართამ და მარიამმაც
გამოხატეს მზადყოფნა სიკვდილისთვის
უფალ იესოს განსადიდებლად. ლაზარემ
რალაც ჩაილაპარაკა, თავი ჩაღუნა და
დადუმდა, სიტყვა აღარ დაუძრავს.

სიჩუმე, სადაც მხოლოდ ლაზარეს ცრემლებს წკაპუნის ხმა ისმოდა, მართას უცნაურმა საქციელმა დაარღვია – ის ფეხზე წამოდგა და პეტრეს მიმართულებით გაემართა. პეტრემ ახედა და მის ხელში იგივენაირი ჭურჭელი დაინახა, რაც მარიამს ეჭირა მაშინ, როცა უფალს ზეთი სცხო. მართა შეჩერდა და წარმოთქვა:

– ყოველთვის მსურდა, ჩემი დის გონიერებისთვის მიმებაძა. უფლის წასვლის შემდეგ ბევრი გვიმიშვილია, მაგრამ, წლებია უკვე, ამას ვაგროვებ. ვიცოდი, უფალი მიმანიშნებდა, ვინ უნდა განმეზადებინა და რა საქმისთვის. აი, პეტრე, შენ რომში მიდიხარ, იქ დიდი საქმეები გელოდება, ალბათ, აღარც არასდროს დაგვიბრუნდები. შენი მოულოდნელი სტუმრობა ჩვენთან უფლის მინიშნებად მივიღე, ეს ბოთლიც წამოვიღე დღეს სახლიდან, თუმცა, როგორც ჩანს, ჩვენს უფალს უფრო მეტი ჰქონდა ნაფიქრი, მე კი ვცდებოდი! – მართა სწრაფად გაშორდა პეტრეს და ლაზარესკენ გაემართა, ბოთლი გატეხა და ძმას ნელსაცხებელი თავზე დაასხა. ოთახში ღვთაებრივი სურნელება დატრიალდა, ნელსაცხებელი ლაზარეს ცრემლებს შეერია და ასე ეპკურებოდა იატაკს. ყველა გაოგნებული შეჰყურებდა მართას და მის დაჩოქილ, თავდახრილ ძმას, რომლის დარბილებული კვართი და გამხდარი სხეული 300-დინარიანი წმინდა ნარდის ნელსაცხებლის სითხით და სურნელებით იყო გაჟღენთილი...

3.

პეტრე რომში წავიდა. როგორც ერთი წიგნი გვეუბნება, მან მოგვიანებით უკან, იერუსალიმში დაბრუნება განიზრახა და, როდესაც ქალაქის კარიბჭეს მოადგა, რომში მიმავალი იესო დაინახა, ჰკითხა, სად მიხვალ, უფალოო, მან კი მიუგო, ჩემი ძმების დასახმარებლად; მიხვდა პეტრე, უკან შებრუნდა და იქვე აღესრულა მონამებრივად. ლაზარე კი ამ დღის შემდეგ იორდანეს ნაპირზე ჩა-

ფიქრებული დაეხეტებოდა. ხეტილობდა და ტიროდა. ამასობაში იერუსალიმიდან ხმები ჩამოდიოდა, მღვდელმთავრის სიკვდილს არ აპატიებენ ქრისტიანებსო. ეს ავაზაკი ბარაბა უფრო ამწვავებდა მდგომარეობას, რადგან გაიძახოდა, მე ვარ წამდვილი ქრისტიანი, მე ვარ წამდვილი ქრისტიანიო! სინედრიონს გამოძიება დაუწყიაო, იკვლევდნენ ბარაბას წარსულს, სად, როდის და ვისთან ჰქონდა ურთიერთობა. აღმოჩნდა, რომ ადრე ბარაბა სამარიაში, გერიზიმის მთის მახლობლად დასახლებულ ერთ ბეთანიელ მეძავთან დადიოდა, რომელიც მოგვიანებით ქრისტიანი გამხდარა, სამარიიდან გაპარულა, სადღაც გამქრალა (გათავისუფლების შემდეგ ბარაბას ის ველარ უნახავს) და წესიერ ცხოვრებას შესდგომია; ეს ერთადერთი ქალი ყოფილა, რომელსაც ბარაბა დღესაც ვერ ივიწყებდა, ამიტომ დაუწყია იმ ქალის და მისი ღმერთის ძებნა (ერთგან უთქვამს, იქნებ, ამ ქალის მეშვეობით ღმერთი ვიპოვო და ღმერთის მეშვეობით ქალიო), ღმერთის, რომელიც შემთხვევით ნისანის თოთხმეტს მის გვერდზე მდგარა ხალხისა და პილატეს წინაშე, ხალხმა კი, კაიაფასგან ნაქვებულმა, ეს აირჩია... ფაქტია, ბარაბა სიყვარულმა შეშალა! გაიძახის, მე ვარ რჩეული, მე ვნახე ზეთისხილის ბაღში ლანდად ქცეული, გაცოცხლებული ადამიანი, მისი დოქიდან ვსვამდი, ერთი ხელით გავტეხეთ პურიო!.. სინედრიონში ერთი ბრძენი კაცი, ის ერთადერთი გადარჩენილი შვილი კაიაფასი, ეზრა, რომელიც უკვე მღვდელმთავრობისთვის ემზადებოდა, ამდგარა და უთქვამს: „მისმინეთ, ღვთის მგმობელი, რომელიც ამ რამდენიმე წლის წინათ ჯვარს ვაცვით და რომელმაც მიმდევრების მცირე ჯგუფის დატოვება მაინც შეძლო, ჩვენს ქვეყანაში, როგორც ამბობენ, ავადმყოფებს კურნავდა და მკვდრებსაც აცოცხლებდა... – აქ პაუზა გააკეთა, რათა სიცილის საშუალება მიეცა სინოდის წევრებისთვის. – ჰოდა, ჩვენ შეგვიძლია ამ ვითომ

გაცოცხლებული მკვდრების შემთხვევები გამოვიძიოთ, აღვუსხოთ და ზუსტად დავადგინოთ „გაცოცხლებულთა“ ვინაობა, შემდეგ ეს ადამიანები მოვინახულოთ და გამოვკითხოთ, მართლა აღდგნენ თუ არა, იქნებ, ზოგი მათგანი უკვე მეორედაც მოკვდა“, – აქაც პაუზა გააკეთა... ყველას მოეწონა ეს აზრი, დაუჯერეს ეზრას, ახალ მღვდელმთავარს, რომელსაც არც ერთხელ არ გაუცინია. გამოძიებით გაარკვიეს, რომ ისრაელში სულ სამი მკვდრეთით აღდგომის შემთხვევა ყოფილა იესოს მოღვაწეობის პერიოდში. სამი ბევრი არაა, ორი ადვილად გადაიმონწმეს: ნაინში აღდგენილი დედისერთა ბიჭი აქვე, იერუსალიმში დასახლებულა, წლების შემდეგ მართლაც მომკვდარა მეორედ, ხოლო მომდევნო შემთხვევა აქ მომხდარა, იერუსალიმში, სინაგოგის წინამძღოლის ქალიშვილი გაუცოცხლებია. ის, უკვე ახალგაზრდა ქალი, ფაქტს ადასტურებდა, ის კი არა, ამტკიცებდა, ახლაც ცხადად მახსოვს, მკვდარმა როგორ გავიგონე უფლის ხმა: „ტალითა კუმი!“ სინედრიონის წევრებმა მამამისის ნახვა მოითხოვეს, მაგრამ თურმე გაუსწრია – ის კაცი უკვე გარდაცვლილიყო, სულერთია, სიკვდილი მაინც არ ასცდებოდა სინაგოგის წინამძღვარს. დამტკიცდა, რომ ამ ქალს არანაირი საერთო არ ჰქონია ბარაბასთან, მას არ გაუქეზებია... დარჩა ბოლო შემთხვევა. თურმე ბეთანიამში გამოქვაბულიდან გამოუყვანია ოთხი დღის მკვდარი, ვინმე ლაზარე. ბევრი ადამიანი ადასტურებდა აქაც, იერუსალიმში, თუ როგორ დაუყვირია მოძღვარს, გამოქვაბულის წინ მდგარს: „ლაზარე, გამოდი!“ და ლაზარე ნაჭერში გახვეული გამოსულა... სინედრიონმა ჯარის შეგროვება დაიწყო, რადგან ფიქრობდნენ, რომ ყველაზე რეალური ბოლო შემთხვევა იყო – ალბათ, ესაა, ვისზეც ბარაბა გაიძახის, აღმდგარი ვნახეო! ვიდრე ჯარს შეაგროვებდნენ, ლაზარემ დაახლოებით სამი კილომეტრი გამოიარა და თავად მოადგა იერუსალიმს. სანამ მოადგებოდა, ვირზე

მჯდარი კვლავ ბარაბასთან იმ უცნაურ შეხვედრაზე ფიქრობდა...

4.

როდესაც ზეთისხილის მთის მხრიდან იერუსალიმს მოუახლოვდა, ვირიდან ჩამოვიდა და ფეხით განაგრძო სვლა. ქალაქის შემოსასვლელში არავინ დახვედრია. და ახლა, ასეთ განსაცდელში, უნდა ელოცა, ტაძრამდე შეუსვენებლივ უნდა ელოცა! ეფიქრა უფალზე, მკვდრეთით აღდგომაზე, სასუფეველებზე... იცოდა მოციქულებისგან, მისი უფალი როგორ იტანჯებოდა გეთსიმანიის ბაღში, ოფლი და სისხლი სდიოდა სხეულიდან, მაგრამ საოცარია, მას ახლა არც ლოცვა შეუძლია და არც სიკვდილზე ფიქრი, მხოლოდ მარტობაზე, ვირსა და მარტობაზე ფიქრობს. კიდევ კარგი, არავინ დამხვდა: აქ არც პალმის ტოტებია და არც ოსანა, აქ არის გზა, გზას ვადგავარ ჩემს ვირთან ერთად, ვხვდები, როგორ აღმაფრთოვანებდა ყოველთვის ეს ცხოველი – ნალვლიანი და მღუმარე. ახლაც მარტოა, ორივენი მარტონი ვართ, ერთად და ცალ-ცალკე, დაღონებული, თავჩაქინდრული მომდევს, ამაზე მეტად ვერც ვერავინ მანუგეშებდა. ზოგჯერ უფალი ვირსაც იყენებს ჩვენს გასამხნეველად. ასეთი დუმილის წინაშე უძლურია განსაცდელი, ასეთი დუმილი მხოლოდ ღმერთმა თუ იცის ცაში, მისი ყოვლისშემძლეობაც ყველაზე მეტად მაშინ გამოვლინდა, როდესაც ერთხელ ვირი აალაპარაკა. ალბათ, სამყაროს შექმნა უფრო ადვილია, ვიდრე ვირის ალაპარაკება. მე კი, ნახევრად ვირს და ნახევრად ადამიანს, აღარ ვიცი, რა უნდა მწყინდეს და რა მიხაროდეს. იერუსალიმის კარიბჭეს ვუახლოვდები და ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს, ბალაამიდან მოყოლებული, დროში ვმოგზაურობდე, ერთხელ პალმის ტოტებსაც აფენდნენ ჩემ წინ. შემეძლო, ამპარტავნულად მეფიქრა, ამას მე მიფენენ და არა იმას, ვინც ზურგზე მაზის-მეთქი, მაგრამ ვიცი ჩემი ადგილი, არ მჭირდება ოსანა, ყროყინი მიჩვენია,



ასე ვეხმებიან ადამიანებს, მინდა დავარწმუნო, რომ მათ ლაპარაკს ჩემი ყოყმანი ჯობს... ვინ ვიყავი, როცა უფალმა ჩემზე მიუთითა და თქვა, – ახსენით, ამით უნდა შევიდე იერუსალიმში. მისი სხეულის ანაბეჭდს ტანით დავატარებ, მას შემდეგ ბევრი მჯდარა ჩემს ზურგზე, ბევრი ტვირთიც მიტარებია, მაგრამ ყველაზე მძიმე და ყველაზე მსუბუქი ტვირთი ერთადერთხელ ვატარე, ჩემი ტანით ვატარე სიცოცხლე, დავატარებ და არც დავუღლივარ ეპოქებში მოგზაურობას, ყველგან საჭირო ვარ, რადგან ჩემი მეგზური დუმილი და მარტოობაა. მოგვიანებით მასთანაც კი გამაიგივეს, ვინც ერთხელ ზურგით ვატარე და ამით თითქოს დასცინოდნენ. სასაცილო არაფერია, სიცილით სიკვდილს ვერ ამოავსებ, ერთადერთი მდუმარებაა, რითიც ყველაფერს გაათანაბრებ, რაშიც ყველაფრის მოთავსება შეიძლება, რადგან მდუმარებას ფსკერი არა აქვს. კარიბჭეები დაიგმანება, წიგნები დაიხურება, მაგრამ ვირი ყოველთვის იმოგზაურებს, რადგან მდუმარებას, ნაღველს და მარტოობას არ სჭირდება წიგნები და კარიბჭეები. ვინ იცის, მერამდენე ადამიანი შემყავს იერუსალიმში სატანჯველად და ძელზე ჩამოსაკიდებლად. ვილაცა იტყვის, ვირი სიკვდილთან მიმყვანი ცხოველიაო. არ არის სწორი. უვიროდ გენახათ თქვენ ტანჯვა – მე ხომ გზაში ვაგუებ ადამიანს იმას, რაც ისედაც არ ასცდება. ცხენზე ამხედრებულს ყველას ღმერთად წარმოუდგენია თავი, ვინც ჩემს ზურგს გაჰკარებია, მასში არასდროს გაჭაჭანდება ამპარტავნობა. ცხენი ადამიანისთვის შეუფერებელი ცხოველია. სიმშვიდე, სინყნარე, უდრტვინველობა ჩემში განისვენებს და, ვინც სიკვდილის მოახლოებისას ერთხელ მაინც მოისმენს ჩემს ყოყმანს, ერთხელ მაინც გადამისვამს თავზე ხელს, მისთვის გაუსაძლისი არანაირი განსაცდელი აღარ იქნება. ვირმა დაიყოყმანა და დადუმდა... მართლაც, ლაზარეს სულში ღიმილიანმა განწყობამ, საოცარმა სიმშვიდემ და ერთფეროვნებამ

დაისადგურა, მან ვირს თავზე ხელი გადაუსვა და ჰინომის ველთან ახლოს კაიფას სახლთან მივიდა. მღვდელმთავარი ეზრა იკითხა. მსახურმა უთხრა, ნუთუ არ გახსოვს, პასექი ახლოვდება და ტაძარში იქნებაო. ლაზარე გამგებლის სახლის გავლით, ხიდის მხრიდან, იერუსალიმის ტაძართან მდგარ სინედრიონის დარბაზს მიადგა. იქაც, შესასვლელში, მღვდელმთავარი ეზრა იკითხა. დარბაზში მართლაც იყო შეკრებილი სინედრიონის რამდენიმე წევრი, რომლებიც სწორედ ბეთანიაზე მსჯელობდნენ. როდესაც ეზრა გარეთ გამოვიდა და ჰკითხა, ვინა ხარ და რა გინდაო, ლაზარემ კიდევ ერთხელ გადაუსვა ჩაზნექილ და თბილ ზურგზე ვირს ხელი და უდრტვინველად მიუგო, – მე ის ვარ, ვისაც თქვენ ეძებთ, არ არის საჭირო ბეთანიის ასაოხრებლად ჯარის შეგროვებაო. მღვდელმთავარი განაცვიფრა ამგვარმა გაბედულებამ, თუმცა არ დაბნეულა, სასწრაფოდ გასცა ლაზარეს დაპატიმრების და სინედრიონის დარბაზში შეყვანის ბრძანება. ვირმა, როგორც კი თავისი საქმე შეასრულა, კისერი მოიღერა, ერთიც დაიყოყმანა და ბეთანიისკენ მიმავალ გზას დაადგა. ლაზარემ, რომელსაც მცველები ეძიებდნენ, გაილიმა და მშვიდად გაჰყვა მათ...

5.

– შენ ხარ ლაზარე, ქრისტიანი ბეთანიიდან? – ეკითხებოდნენ სინედრიონის წევრები.

– თქვენ ამბობთ, რომ მე ვარ! – მტკიცედ მიუგებდა ლაზარე.

– შენ გაგაცოცხლა იმ თვითმარქვიამოთხი დღის მკვდარი? – იცინიან.

– მე აღმადგინა მოძღვარმა ღვთის ძალით! – ისეთი სიმტკიცით ლაპარაკობდა ლაზარე, მიუხედავად იმისა, რომ მისი ჩამომხმარი, გაყვითლებული სხეულიდან ამოსული ასეთი ბგერები ერთობ სასაცილო ატმოსფეროს ქმნიდა, სინედრიონის წევრებს ნელ-ნელა დაეკარგათ ხალისიანი განწყობა, ის კი არა, რაღაცნაირად

შეურაცხყოფილადაც კი იგრძნეს თავი, თითქოს ლაზარეს კი არა, თავის თავს დასცინოდნენ.

- რით ამტკიცებ, რომ აღგადგინა?
- ჩემი არსებობით!
- დარწმუნებული ხარ შენს არსებობაში? - გაეცინათ.
- ...
- იცნობ იმ ავაზაკს, ბარაბას?

- ხომ დაიხოცებით...
 კვლავ მცველებს უხმეს და ლაზარეს „ჭკუა ასწავლეს“.
 ეზრა წამოდგა. მას არც ახლა გაუცინია არც ერთხელ: - მოგვიყევი, რა ნახე.
 - რა და ჩემი დაწყლულებული სხეულით აბრაამის მკერდთან აღმოვჩნდი, იქით დიდი უფსკრული იყო, უფსკრულს გადაღმა კი ვილაც მდიდარს და გავლე-



- ვიცნობ, ორჯერ მყავს ნანახი, თუ იმ ბარაბაზე მეუბნებით, პილატეს დროს თქვენ რომ გაათავისუფლეთ!

ეს კი არ მოეწონათ სინედრიონის წევრებს, დაცვას დაუძახეს, - ბევრს ლაპარაკობს, ჭკუა ასწავლეთო და იქვე დაარტყეს ლაზარეს შუბის ტარები.

- მაინც რა ნახე მიცვალებულთა საუფლოში, აკი მთელი ოთხი დღე იქ დაჰყავი? - კვლავ გაეცინათ.

ლაზარემ, ისე, რომ მათი დაცინვისთვის ყურადღება არც მიუქცევია, მიუგო:

- აბრაამი ვნახე და კიდევ...
- და კიდევ ვინ?
- თქვენ! თქვენ გნახეთ!
- ნუთუ ჩვენც დავიხოცეთ? ხომ არ აღგვადგენს შენი მოძღვარი? - იცინიან.

ნიანს ვხედავდი, ძვირფას ტანსაცმელში გამოწყობილს. ვიცანი, მგონი მღვდელმთავარი ანა იყო...

დაიყვირეს:
 - გმობს! ამის მოსმენა არ შეიძლება! - ეზრამ ყველა დაამშვიდა, შეახსენა, რომ ანა სწორედ მისი ბაბუა იყო. მოდი, ბოლომდე მოვუსმინოთო.

- განაგრძე.
 - ის საშინლად იტანჯებოდა, - განაგრძობდა ლაზარე, - მეხვეწებოდა: მიშველე, ცეცხლში ვიტანჯები, პეშვით წყალი მაინც მომანოდე, რომ წამით გავიგრილო სულიო. დავაპირე კიდევ, მაგრამ აბრაამმა, რომელსაც თქვენ მამას ეძახით, არ გამიშვა, მითხრა, უფსკრულში შთაინთქმებო. ეს უფსკრული მათგანაა, გაიხ-

სენე, დედამინაზე ისინი უბრალო ხალხს, ვინც სათნოა ღვთისათვის, დამამცირებლად ამ-ჰაარეცს – „მინის ხალხს“ ეძახდნენ. როცა ეგენი მდიდრულ სუფრას უსხდნენ, შენ მშიერი დაეხეტებოდი ზეთისხილის ეზოებში და სურნელით იკლავდი შიმშილს. ჩამოჯდებოდი მათი სუფრის ძირში და იქიდან გადმოყრილი ნამცეცეებით იკვებებოდი. მილიონობით შენნაირი ახლაც ამათი სუფრიდან გადმოცვენილი ნამცეცეების იმედზეა, აქ კი ყველაფერი სხვაგვარადაა, – უნდა მიეზლოს ყველას საკადრისი!.. დიახ, მე ნამდვილად ვიყავი მკვდარი და ღმერთმა აღმადგინა!

ლაზარეს სიმშვიდე, სიმტკიცე და თავდაჯერებულობა ყველას აკვირვებდა და აღიზიანებდა.

ვილაცამ დაიძახა:

– ამან გააქეზა ბარაბა ამდენი მკვლელობის ჩასადენად, ერთად მოიფიქრეს შურისძიება. შეხედეთ, როგორ თავხედურად ლაპარაკობს! ნაიყვანეთ და დრომდე თავის მეგობართან ჩაამწყვდიეთ, სანამ სინედრიონი ორივეს განაჩენს გამოუტანდეს.

სინედრიონმა ორივე მათგანს, რა თქმა უნდა, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა და იმ დროს რომის მიერ დანიშნულ იუდეის გამგებელ ფელიქსს განაჩენი დასამტკიცებლად სასახლეში წარუდგინა. ამასობაში იერუსალიმში მზე გადავიდა და დაიწყო პასექი, 14 ნისანი.

ფელიქსმა საქმე მალევე განიხილა და ბრალდებულების სასახლეში მიყვანა ბრძანა. იერუსალიმში, სადაც პასექზე ყოველთვის უამრავი ხალხი იკრიბება მთელი იუდეიდან, ხმა დაირხა, მღვდელმთავარ კაიაფას და მისი ოჯახის ამონყვეტაში ბრალდებული ორი ქრისტიანი დააკავეს და გასამართლებას უპირებენო. უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი იუდეის იმჟამინდელი პროკურატორის სასახლესთან, თუმცა ფელიქსის სასახლეს, პილატესგან განსხვავებით, რომიდან გამოგზავნილი უამრავი პრეტორიანი იცავდა, ისე რომ, ფელიქსს ხალხის

არ შეშინებია, პირიქით, მოეწონა კიდეც ბევრი ხალხის გამოჩენა – ის არტისტული ბუნების ადამიანი იყო!

საქმე ისაა, რომ ფელიქსი ახალგაზრდობაში კარგად იცნობდა პილატეს. როდესაც პილატე იუდეიდან გაინვიეს და რომში დაბრუნდა, თავის მეგობარ ყველა დიდებულ პატრიციას უყვებოდა, თუ რა გადახდა იუდეაში, როგორ დაასჯევინეს ერთი უდანაშაულო ადამიანი, რომელიც თავის თავს იუდეის მეფეს უწოდებდა. ფელიქსი იუდეაში ჩამოსვლისთანავე დაინტერესდა ამ საქმით, გამოჰკითხა უამრავი ადამიანი და დარწმუნდა, რომ იესო ქრისტი მართლაც უდანაშაულო მსხვერპლი იყო იმდროინდელი სასულიერო პირების სისასტიკის და თვალთმაქცობის. ამიტომ მათი კვლავ შერცხვენის და თავისი თავის გამოვლენის ასეთ შანსს არ გაუშვებდა ხელიდან; თითქოს ისტორია განმეორდაო: ახლაც პასექია, ქრისტიანებს ასამართლებენ, მაშინ მღვდელმთავარი კაიაფა იყო, ახლა მისი შვილია, ეზრა... სამხედროები გაგზავნეს სატუსალოდან ბრალდებულების მოსაყვანად...

6.

იქ კი ორი ადამიანი იჯდა პირისპირ, თითქმის ისევე, როგორც მაშინ, ზეთისხილის ფერდობზე და ჯერ არაფერს ეუბნებოდნენ ერთმანეთს, ერთი – ლამაზი, სრულიად შეუსაბამო იმასთან, რაც შინაგანად იყო, მეორე – გამხდარი, გაყვითლებული, მუცელიც გამოჰბერვოდა შიმშილისაგან. ის მართლაც ჰგავდა ადამიანს, რომელიც კი გააცოცხლეს, მაგრამ თითქოს სიკვდილის წინა მდგომარეობაში დააბრუნეს. აქაც სრული აცდენა სხეულსა და სულს შორის. პირველად მაინც ლაზარემ თქვა:

- რატომ დახოცე ისინი?
- რატომ არ მითხარი, რომ აღსდექი?
- ეს ვერაფერს შეცვლიდა.
- რატომ?
- მერყეობა და ურწმუნოება მეფობს შენში! ჯობს, უფალ იესოს სიყვარულმა

მიგიზიდოს ჭეშმარიტებისაკენ და არა ჩემმა მკვდრებით აღდგომამ.

– მართალი ხარ, მაინც დავხოცავდი. მაგათ გადამარჩინეს. თითქოს სხვისი სული მიდგას სხეულში, სხვის მაგივრად გამომიშვეს, თავი დავკარგე. მათზე შური უნდა მეძია, მათი მოკვლით ცოტა ხნით საკუთარი სული დავიბრუნე. მახსოვს, მაშინ ყვიროდნენ, ჩვენზე და ჩვენს შვილებზე იყოს მაგათი ცოდვაო...

– უცნაურია, იმათ ხოცავ, ვინც სიცოცხლე გაჩუქა...

– იმათ ჩემი სიცოცხლე არ უჩუქებიათ, სხვისი მაჩუქეს. ეს ერთადერთი რამეა, რაც სხვისი არ მჭირდება! თუ კაცი თავის არსებობაში დაეჭვდა, ის ღმერთს აუჯანყდება.

ამის გაგონებაზე ლაზარემ ირონიულად გაიღიმა.

– ეს შენთვის სასჯელია?

– სასჯელია! ბედნიერი ვარ, უნდა მომკლან!

– ნულარავის მოკლავ, მაძლევ პირობას?

– ჰმ, როგორღა შევძლებ ვინმეს მოკვლას – ახლა ხომ მე მომკლავენ...

ამ დროს საპატიმროს კარი გაიღო და ჯარისკაცები შემოვიდნენ. ორ ადამიანს, რომლებიც ჯაჭვებით ერთმანეთზე გადაებათ, ხელი სტაცეს და გამგებლის სასახლისკენ წაიყვანეს, სასახლის ვერანდაზე დააყენეს. ხალხმა მათ დანახვაზე სტვენა და ყვირილი ატეხა: სიკვდილი მკვლელებს, სიკვდილი ქრისტიანებსო! ამ დროს გამოჩნდა იუდეის პროკურატორი ფელიქსი, რომელიც ცბიერებით ყველა წინამორბედს აჭარბებდა... მან ხალხს მიმართა:

– ეს ორი ადამიანი თქვენთვის კარგად ცნობილი ავაზაკი – მკვლელი ბარაბა, რომელიც ერთხელ უკვე გათავისუფლდა თქვენი მოთხოვნით და შედარებით უცნობი ქრისტიანი ლაზარე ბეთანიელია, როგორც ამბობენ, ოთხი დღის მკვდარი იყო და მისმა ღმერთმა გააცოცხლა. – ბრბოში ადგილ-ადგილ სიცილი გაისმა, –

მათ ბრალი ედებათ მღვდელმთავარ კაიაფას ოჯახის განადგურებაში, – ხალხში ყვირილი ატყდა: „სიკვდილი მკვლელებს! სიკვდილი მკვლელებს!“ ბარაბაც ამბობს, რომ ქრისტიანია, თუმცა ჩვენ ამის დამადასტურებელი საბუთი ვერ აღმოვაჩინეთ, გარდა იმისა, რომ რამდენჯერმე შეხვდა ქრისტიანებს. მეორე ბრალდებული კი ნამდვილად ქრისტიანია და, როგორც ამბობენ, მან წააქეზა ბარაბა მკვლელობების ჩასადენად; მათ ბეთანიაში ზეთისხილის მთის ფერდობზე დაგემეს ეს მკვლელობები. ორივე მსჯავრდებული დუმის უფლებით სარგებლობს, თუმცა მე გულდასმით გამოვიკვლიე ეს საქმე და მივედი დასკვნამდე: ამ ორიდან ერთ-ერთი არ არის დამნაშავე. როგორც კეისრის წარმომადგენელი, კანონს ვემორჩილები, ამიტომ უდანაშაულო ადამიანს ვერ დავსჯი, ის უნდა გათავისუფლდეს! – ბრბოში კვლავ ჩოჩქოლი დაიწყო, სკანდირებდნენ: უდანაშაულო არავინაა, დამნაშავეა! დამნაშავეაო! – არა! ვთქვი და მორჩა! – განაგრძობდა ფელიქსი, – მიმაჩნია, რომ ერთ-ერთი უდანაშაულოა, თუმცა გეთანხმებით, უდანაშაულო არავინაა. მაშ ასე, ადრე თქვენ ქრისტეს მაგივრად აირჩიეთ ბარაბა, თქვენ წინაშე ისევ დგანან ბარაბა და ლაზარე, ქრისტიანი. აქედან ერთ-ერთი უნდა დაისაჯოს, ორივე იუდეველია. ამიტომ არჩევანს თქვენ გიტოვებთ. დღეს თოთხმეტი ნისანია, ერთს ვათავისუფლებ! – განაცხადა პროკურატორმა და დაამატა:

– ბარაბა თუ ლაზარე?! – ხალხი გაჩუმდა. ყველა სინედრიონის წევრებისკენ იხედებოდა. ეზრამ დაიძახა, რაკი ასეა, მცირე ხნით მოვითათბირებთ და გეტყვით ჩვენს გადანყვეტილებასო. სანამ სინედრიონი თათბირობდა, ფელიქსმა წყალი მოატანინა და დემონსტრაციულად, ასე ვთქვათ, სამსახიობო ოსტატობის წესების დაცვით, დაიბანა ხელები. ბრბოში მდგომ ზოგიერთ ადამიანს ჯერ კიდევ ახსოვდა, საქვეყნოდ ხელების დაბანა რასაც ნიშნავდა... სინედრიონში თითქმის ერთსუ-

ლოვნება სუფევდა, თუმცა მაინც უყარეს კენჭი და გადანყვეტილება მღვდელმთავრმა ეზრამ გამოაცხადა:

– მიუხედავად იმისა, რომ მე ამ გადანყვეტილებას არ ვეთანხმები, გათავისუფლდეს ბარაბა! ფელიქსმა კვლავ ხალხს მიმართა:

– ბოლო სიტყვა თქვენია. ვინ გავათავისუფლო, ლაზარე თუ ბარაბა? – და ხალხმა ერთხმად იხუვლა:

– ბარაბა! გაათავისუფლე ბარაბა!


ბარაბა კი აქეთ-იქით აწყდებოდა, მცველები ძლივს აკავებდნენ და ყვიროდა:

– ლაზარე, ლაზარე გაათავისუფლეთ, არ მჭირდება სხვისი სიცოცხლე! მაგრამ მისი ხმა ბრბოს ხმაში ჩაიკარგა ისე, რომ არც არავის გაუგონია, რას ყვიროდა.

ხალხი აღარ დამშვიდებულა, ხმაურობდა და ერთმანეთს ეხლებოდა, ამასობაში ბარაბას ხელები გაუხსნეს და ის დაჭრილი ნადირივით შეერია ბრბოს, ყურში კი ლაზარეს სიტყვები ჩაესმოდა: „მომეცი პირობა, რომ აღარავის მოკლავ...“ ამასობაში ლაზარე გამგებლის სასახლის

უკანა მხარეს, ქალაქგარეთ გაათრიეს და ძელზე ჩამოკიდეს. როდესაც ხელებში სამსჭვალს, ანუ ლურსმანს არჭობდნენ, ძვლები იმდენად დაწვრილებოდა, მაჯა გადაუტყდა, კრუნჩხვებისგან დაიკლაკნა, თუმცა ჯარისკაცებმა გამოსავალი მაღევე მოძებნეს, ხელები მაგრად მიუბეს ბოძზე. ლაზარეს ფერხით დაჩოქილი მართა და მარიამი ლოცულობდნენ, სთხოვდნენ ღმერთს, რომ არ გასჭირვებოდა მათ ძმას სიკვდილთან შეგუება და ბოლომდე ერთგულების შენარჩუნება – აკი ერთხელ უკვე გამოცდილიც ჰქონდა სიკვდილი... ამ დროს ოდნავ მოშორებით კიდევ ერთი კაცი უთვალთვალებდა ჯვარს. დაჩოქილი დედაკაცებიდან რატომღაც ერთი იქცევდა განსაკუთრებულად მის ყურადღებას... ლაზარესთვის კი ძალიან მაღე დადგა აღსასრული, ბევრი არც უწვალა. სიკვდილის მოახლოებისას უკანასკნელი ძალები მოიკრიბა და მშვიდად წარმოთქვა: უფალო იესო, უშველე ბარაბას, რომ დასრულდეს მსხვერპლი და გაურკვევლობა. ახლა ვიცი, რაც არის სიკვდილი!

გიორგი ლოხთაიფანიძე



ხილვა

ანტიუტოპია

საიდუმლო საქმე კოდური სახელწოდებით „ხილვა“, ანუ მასალა, რომელსაც მკითხველი (თუკი, რა თქმა უნდა, ამის სურვილი გაუჩნდა) ქვემოთ გაეცნობა, არა მხოლოდ უახლესი ნიმუშის მენტალური ფაილებიდან – ძირითადად ჟამთა უმონყალო მსვლელობით დანესტიანებული, ბუნებრივ ლპობაშეპარული და ძველ არქივებში დასტა-დასტა დანყობილი საქალდეებიდანაა ამოღებული. სანყისი ბიძგი ხსენებულ საქმეს ჯერ კიდევ ნახევარი საუკუნის წინათ, 1979 წლის ნოემბერში მიეცა და, ბუნებრივია, რომ მის წარმოებასთან დაკავშირებული ყველა ნიუანსის აღბეჭდვა ჩვეულებრივ სანერ ქალაღზე ხდებოდა – შენახვის სხვა ფორმა მაშინ არ არსებობდა. საბედნიეროდ, შეგროვებული საბუთების მნიშვნელოვანი ნაწილი სასწაულებრივად გადაურჩა გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში შემთხვევით თუ განზრახ გაჩენილ ხანძრებსაც და რიგით საარქივო წმენდებსაც. მოგვიანებით, როდესაც ჩვენი ქვეყანა საბოლოოდ ჩაითრია საყოველთაო კომპიუტერიზაციის გლობალურმა მორევმა, შესაძლებელი გახდა გადარჩენილი დოკუმენტაციის ელექტრონული სახით დუბლირება, მაგრამ საბუთების დედნები, მოგეხსენებათ, ყო-

ველგვარ ასლებზე გაცილებით მეტად ფასობს.

აღსანიშნავია, რომ აშშორებულ საქალდეებში დაცული მასალა ერთგვარად გასაიდუმლოებული იყო თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში, რადგან შესაბამისი უწყების მიერ გამოშვებული სათანადო ამკრძალავი აქტი ოფიციალურად სულ ახლახან, რამდენიმე თვის წინათ გაუქმდა. ხსენებული აკრძალვა მოქმედებდა საბჭოთა კავშირის იურიდიულ დაშლამდე, ხოლო, ვინაიდან მომდევნო წლებში ერი და ბერი სხვა, უფრო მიწიერი პრობლემების გადაწყვეტით იყო დაკავებული, ვითარების შესაცვლელად არავის ეცალა. ერთი სიტყვით, ბედის განგებით, ეს უცნაური ამბავი ასე თუ ისე დაიჩრდილა, რალაც პერიოდის განმავლობაში დავიწყებასაც კი მიეცა, და, აქედან გამომდინარე, არც არასოდეს გამხდარა ფართო განხილვის საგანი. არადა, მსოფლიოს ძლიერ სპეცსამსახურებს ერთი ბენო ქვეყნების საარქივო საცავებში შემონახულ ტექსტებზე ხელი ყოველთვის მიუწვდებოდათ და სავარაუდოა, რომ ამ საქმეში აღწერილი ფენომენის ესოდენ საყოველთაო მიჩუმაება მხოლოდ შემთხვევითობას თუ უნიათობას ვერ დაბრალდება.

ჩვენი მოკრძალებული აზრით, საქმე უფრო ისაა, რომ ამგვარი მიჩუმათების ჭეშმარიტი მიზეზები ჩვენი პატარა სამშობლოს საზღვრებს გარეთ არის საძიებელი. სწორედ ამიტომაც, რომ ამ თემის საჯაროდ წამოწევა არც თბილისში აღმოჩნდა სასურველი, არც მოსკოვში და არც ვაშინგტონში. სხვათა შორის, არც ბრიუსელში, თეირანსა თუ პეკინში. მართალია, სიმართლის მიჩქმალვის ელიტარული სურვილი უძლეველი აღმოჩნდა, მაგრამ მოგეხსენებათ, რომ არა არს რაიმე დამალული, რაიც არ გაცხადდების და ერთ მშვენიერ დღეს, უკვე ჩვენს ეპოქაში, ანუ მიმდინარე საუკუნის ოცდაათიან წლებში, ერთმა ცნობილმა, უპრინციპო და იმავდროულად სენსაციებისა და ფულის მოყვარულმა ამერიკელმა ჟურნალისტმა რაღაც მანქანებით (ალბათ, ისევ და ისევ ფულის, შანტაჟისა და მსგავსი სპეცხერხების გამოყენებით) მოახერხა და მცირე ხნით მოიპოვა სათანადო არქივის სამალავში დაცული ზოგიერთი საბუთის დედანი, შემდეგ ასლები გადაიღო, გაამრავლა და საბოლოოდ ერთ გლობალურ ინტერნეტგამოცემას მიჰყიდა. ამ გამოცემის ვებგვერდზე ფენომენთან დაკავშირებული მასალის ხანმოკლე გამოქვეყნებით (ინფორმაცია სულ რამდენიმე დღეში დაიბლოკა) იმ გაიძვერა ჟურნალისტმა, რასაკვირველია, მატერიალურად ისარგებლა, მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი ჩვენთვის ის აღმოჩნდა, რომ ტაბუდადებულ თემას, როგორც იქნა, ყადაღა აეხსნა და ღრმად მივიწყებულ მოვლენას ამდენი ხნის შემდეგ ბინდისფერი ნათელი მაინც მოეფინა, თუმცა ამით რა? იმ ინტერნეტპუბლიკაციით გამოწვეული ვნებათა მცირე ლელვა მალევე და ყოველგვარი ალიაქოთის გარეშე ჩაცხრა: რას იზამ, ზნეობრივი და მოაზროვნე ადამიანები ყოველთვის და ყოველგან – ეპოქას მნიშვნელობა არა აქვს – მყარ უმცირესობაში არიან... ინტერნეტგამოცემები, მოგეხსენებათ, შედარებით მალეუჭებადი პროდუქტია, ჩვენ კი

გვსურს, რომ ფენომენთან დაკავშირებული უნიკალური მასალები წარსულის წყვედიადში საბოლოოდ არ ჩაიკარგოს. წინამდებარე პუბლიკაცია სწორედ ამას ემსახურება. ასევე არ ვკარგავთ იმედს, რომ ჟურნალისტური გამოძიებისათვის ლიტერატურული სახის მიცემა სავსებით გამართლებული ფანდია. სიფრთხილეს, როგორც ამბობენ, თავი არ სტკივა. მართალია, დღესდღეობით გრიფი „საიდუმლო“ ამ საქმეს აღარ ამშვენებს, მაგრამ, აბა, რა ვიცით, ხვალ და ზეგ რა ხდება, ლიტერატურული ფორმა კი ცენზურას ნაკლებად ექვემდებარება...

ამ ამბის გაცნობის შემდეგ მკითხველი, იმედია, ჩასწვდება იმ შეფარული მოტივების არსს, რომელმაც ხელი ააღებინა ძლიერთ ამა ქვეყნისა ამ სენსაციური ფენომენის სათანადოდ „გაპიარებაზე“. არადა, ეს ხომ უცნაურ კომპი ჩავარდნილი ადამიანიდან მომდინარე ჭეშმარიტად საკაცობრიო მასშტაბის გაფრთხილება იყო – ხილვა, მეტი არაფერი. ამ თემით ხელის მოთბობაც გვარიანად შეიძლებოდა, მაგრამ... მსოფლიო ელიტამ, როგორც ჩანს, მაინც შეიგრძნო მოსალოდნელი საშიშროება, რადგან თავად ხილვა ზედმეტად (შეიძლება ითქვას, „შემზარავად“) რეალისტური აღმოჩნდა. საზოგადოდ ცნობილია, რომ სიმართლესთან მცირეოდენი შეხებაც კი ყველა ეპოქაში მშვიდ ძილს უფრთხობდა ყველა მაღალჩინოსანს დედამიწაზე. დისკომფორტი და შიში კი ოხერია – არცთუ კეთილ სამომავლო სცენარებსა და სახიფათო წინასწარმეტყველებებს ადამიანებიც და სახელმწიფოებიც ხომ ერთნაირად ერიდებიან.



თავისთავად ცხადია, რომ საქმის ვითარებაში უკეთ გასარკვევად უპრიანი იქნებოდა, უპირველესად, პირველწყაროებში ჩაგვეხედა. ასეც მოვიქცეთ. ვინაიდან განსახილველ მოვლენათა სვლა სათავეს თითქმის ნახევარი საუკუნის წინათ იღებს, დავესესხოთ წარსულის ერთ

გვარიანად გაყვითლებულ ფურცელზე ამობეჭდილ დოკუმენტს, რომელიც ყველაზე ძველ და მომპალ საქალაქში იყო შემონახული. ეს გახლავთ უცხო, მაგრამ იმხანად მეტად გავრცელებულ და თითქმის ყველასთვის გასაგებ ენაზე შედგენილი სამსახურებრივი დეპეშა, რომელიც აქ შეუცვლელად, სიტყვასიტყვით მოგვყავს, რათა მკითხველმა საქმის ნიშნობები უკეთ წარმოიდგინოს:

1979 г., Ноябрь

Служебная Телеграмма

По сообщению МПС на перегоне Урки-Натанеби (участок Самтрелиа-Батуми) Закавказской ж.д. произошло крушение поездов. Установлено, что на станции Урки, ограничивающей однопутный перегон, оборудованный полуавтоматической блокировкой, был открыт выходной сигнал грузовому поезду № 2004, однако ввиду неисправности локомотива, поезд отправлен не был. Поездной диспетчер, не убедившись в фактическом отправлении поезда, дал указание на отправление поезда № 691 на соседнюю станцию Натанеби. В это время поезд № 2004 после произведённого ремонта отправился на перегон по разрешающему показанию светофора. В этот момент ДСП ст. Натанеби, не убедившись в свободности перегона, искусственно дал прибытие грузового поезда и запросил согласие у ДСП ст. Урки на отправление поезда № 691. ДСП ст. Урки дал блокировочный сигнал без проведения телефонных разговоров, что дало возможность отправить поезд № 691 на занятый перегон.

ერთი შეხედვით, ეს მძიმედ საკითხავი ტექსტი აბდაუბდა კანცელარიტია, საიდანაც ადეკვატური შინაარსის გამოტანა გაუძნელდება არათუ რიგით მკითხველს, არამედ რკინიგზის მართვის საკითხებში გათვითცნობიერებულ ადამიანსაც კი,

მაგრამ, იმავდროულად, სავსებით ცხადია, რომ დეპეშის გაუშალაშინებელი ფრაზების მიღმა ფრიად ავბედითი მოვლენის, ჭეშმარიტი ტრაგედიის შემზარავი სურათი იშლება.

დღეს დანამდვილებით ცნობილია, რომ დეპეშაში ხსენებული № 691 მგზავრებით სავსე სახალხო მატარებელი იყო, ხოლო კატასტროფაში ბევრი ადამიანი (მათ შორის ჯარში განვეული მრავალი პირტიტველა ჭაბუკი) დაიღუპა. ტრაგედიის ზომა იმანაც განაპირობა, რომ შეჯახებისთანავე საკონტაქტო მავთული ბოძებს მოსწყდა და ნესტიან, დაჭაობებულ მიწას დაენარცხა. კვერცხივით გამსკდარი ვაგონებიდან გადმოცვენილი და ჯერ კიდევ ცოცხალი ადამიანები სველ მიწაზე აღმოჩნდნენ და ადგილზევე განუტევეს სული. მსხვერპლის ოფიციალურად გაცხადებული ოდენობა, როგორც ეს ნომენკლატურული კომუნიზმის ხანაში იყო მიღებული, რეალურთან შედარებით, ერთი ათად მაინც შეამცირეს. ამიტომ დაღუპულთა ზუსტმა რიცხვმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, მაგრამ ამას ახლა ჩვენთვის მნიშვნელობა აღარა აქვს, რადგან მკითხველის ყურადღებას მაინც მხოლოდ ერთი, ისიც ბენვზე გადარჩენილი, ადამიანის ბედზე ვამახვილებთ. ეს კაცი, სამტრედიის მკვიდრი და ამავე ქალაქის დეპოს მემანქანე, ვინმე ერლომ ნუცუბიძე, სიკვდილს შემთხვევით გადაურჩა და მალევე მოექცა კომპეტენტური ორგანოების დაკვირვების ქვეშ.

გამოძიებით დადგენილია, რომ, ბედისწერის ნებით, 1979 წლის ნოემბრის იმ ავადსახსენებელ დღეს ბათუმიდან სამტრედიის მიმართულებით მიმავალი მატარებლის ლოკომოტივის უკანა კაბინაში სწორედ ხსენებული ერლომ ნუცუბიძე მჯდარა. ელმავლის წინა კაბინაში, სამართავ პულტთან, ბუნებრივია, რეგლამენტით გათვალისწინებული ორი მემანქანე იმყოფებოდა – და მათ ბრალი სულაც არ ედებათ იმაში, რომ დისპეტჩერის დანაშაულებრივი დაუდევრობის გა-



მო შუქნიშანზე წითელი რატომღაც მწვანემ შეცვალა. სწორედ თავის დაღუპულ კოლეგებს დაემგზავრა მაშინ ბათუმში რაღაც პირად საქმეზე ჩასული ერლომი – აბა, ბილეთის სალაროში შეძენა რაში დასჭირდებოდა მემანქანე კაცს ბათუმიდან სამტრედიაში ჩასასვლელად? ბაქანზე გასული ერლომი ნაცნობმა მემანქანემ შეამჩნია და ორიოდ საათით უკანა კაბინაში მიუჩინა ადგილი, ეს იყო და ეს. შემადგენლობა ზანტად მიიზღაზნებოდა სანაპირო ზოლის გასწვრივ, დაახლოებით ერთ საათში სადგურ ურეკსაც გასცდა და... შემხვედრ მატარებელთან შეჯახების შედეგად წინა კაბინაში მყოფი ორივე მემანქანე წამში დაიღუპა, ხოლო ერლომი ბენვზე გადაურჩა სიკვდილს, რადგან შეჭყლეტილი ელმავლის უკანა სარკმლიდან კვერცხისგულივით ამოვარდა და სრულიად შემთხვევით მშრალ ადგილას, ლიანდაგის გასწვრივ დაყრილ ქვებზე დაეცა. მისდა ბედად, მოვლენები ისე განვითარდა, რომ ბათუმისა და ქუთაისის საავადმყოფოებში შესაფერისად აღჭურვილი ადგილი მისთვის ვერ გამოიძებნა და ცოცხალი, თუმცა გონწართმეული და სულთმობრძავი ვერტმფრენით ჯერ თბილისში გადააფრინეს, მერე კი სასწრაფო დახმარების მანქანით პირდაპირ სამხედრო ჰოსპიტლის სარეანიმაციო განყოფილებაში გააქანეს. კომაში ჩავარდნილ ერლომს ჯიბეში პასპორტი უპოვეს, მისი პიროვნების იდენტიფიცირება არ გაჭირდა და კატასტროფის შედეგების ამსახველ გასაიდუმლოებულ ანგარიშში მისი სახელი, ბუნებრივია, დაღუპულთა შორის არ მოიხსენიებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ ლოგინს მიჯაჭვული ერლომის სიცოცხლემ კომაში ჩავარდნილი უბედური ადამიანის უბადრუკი არსებობის სახე მიიღო, მას, როგორც შემორჩენილი საბუთებით დასტურდება, ათწლეულების განმავლობაში და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე „მწყემსავდა“ – და არც უმიზეზოდ – ერთ-ერთი ნაკლებად ცნობილი, თუმცა საკმაოდ

მძლავრი სპეცსამსახური. საგულისხმოა ისიც, რომ მისი ასეთი „მწყემსვა“ შესვენებლად მიმდინარეობდა, როგორც საბჭოთა კავშირის ფორმალურ დაშლამდე, ისე მერეც – უწყებრივი არეულობის ძალზე ხანმოკლე პერიოდის გამოკლებით. ამის ჭეშმარიტი მიზეზი კი ის გახლდათ, რომ კომაში მყოფ ერლომს ძალიან მალე გარე სამყაროსთან კომუნიკაციის სრულიად მოულოდნელი და განსაცვიფრებელი უნარი აღმოაჩნდა. მისი ეს თვისება იმდენად ამოვარდნილი იყო ჩვეული სამეცნიერო კონტექსტიდან, რომ რაღაც მომენტში ზოგიერთმა უაღრესად გამოცდილმა სამხედრო პირმა (მათ შორის კონტრდაზვერვის მაღალი რანგის ოფიცრებიც ერია) ირწმუნა, რომ მათი დაკვირვების უმწეო ობიექტს არათუ ყოვლად მიწიერ მონინააღმდეგესთან, არამედ, შესაძლოა, თვით უცხოპლანეტელებთანაც კი გაება მუხანათური კავშირი. იმასაც კი ვარაუდობდნენ, რომ ერლომი მთლად პენტაგონისა და მოსადის თუ არა, იქნებ, თვით ყოვლისშემძლე Diablo-ს ოსტატური მანიპულაციის ბრმა იარაღად იქცა და ასე ებრძოდა სახელმწიფოს. მოკლედ, ვერსიებს რა გამოლევდა. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ კატასტროფის შემდეგ სარეანიმაციო პალატაში გადაყვანილი ერლომის საქციელში ჰოსპიტლის ექიმებმა მეორე დღესვე უცნაურობა შეამჩნიეს: კერძოდ, პაციენტს დრო-დრო მარჯვენა ხელის თითების სწრაფი, ნევროლოგიურად ძნელად ასახსნელი, თუმცა რაღაც გაუგებარ სისტემას დაქვემდებარებული თამაში აღენიშნებოდა. ერთ საღამოს პალატაში ერლომთან შეგზავნილმა პრაქტიკანტმა გოგონამ მას ათამაშებულ თითებში (უფრო დროის მოსაკლავად, ვიდრე მეცნიერული ნყურვილის დასაკმაყოფილებლად) პატარა ფანქარი ჩაუდო. ერლომმა მაშინვე მაგრად ჩასჭიდა ფანქარს თითები, ხელი ჯერ გაშალა, მერე საჭირო ზომით მოლუნა, იქვე სკამზე დადებულ ქალაქის ხელსახოცს სწვდა და მასზე დიდ-

რონი ასოების გამოყვანას შეუდგა. გაოგნებულმა პრაქტიკანტმა დაწერილ ერთი კი დახედა, მერე, ნაწერი რომ გაარჩია, გულიც შეუქანდა და კინალამ ერლომის გვერდით მისაწოლი გახდა: ფანქრის წვერმა ხელსახოცი ცოტა კი დაფლითა, მაგრამ მასზე მაინც ნათლად ამოიკითხებოდა უცნაური სიტყვა: „ომომახიანად-ხვალ“. აბა, რა მოუვიდოდა საწყალ პრაქტიკანტს, ადვილი წარმოსადგენია...

აღნიშნული ქმედება ერლომმა მომდევნო დღეებშიც არაერთხელ გაიმეორა. ათამაშებულ თითებში ფანქარს ან საწერ კალამს ჩაუდებდნენ თუ არა, საკუთარ უთქმელ ენაზე წერის მძაფრ სურვილს გამოხატავდა. წერის დროს სუნთქვა და გულის ცემა უჩქარდებოდა, წერის შეწყვეტისას კი ეს პარამეტრები ჩვეულ მდგომარეობას უბრუნდებოდა და ასე მეორდებოდა თითების მორიგ ათამაშებამდე. სპეციალურად გამზადებულ ფურცელზე ერლომის მიერ თავდაპირველად გამოყვანილი გაუგებარი სიტყვები დღითი დღე მეტ და მეტ შინაარსს იძენდა, მოკლე წინადადებებად ლაგდებოდა, ფრაზების სიგრძე და რაოდენობა თანდათან მატულობდა, ხოლო ტექსტი სულ უფრო ვრცელი და დახვეწილი ხდებოდა. პაციენტი სულ უფრო ხშირად ითხოვდა ფანქარს, ერთ შევსებულ ფურცელს მორიგი ფურცელი ცვლიდა და დადგა მომენტი, როდესაც „ერლომის დღიურმა“ რალაც გააზრებული სახე მიიღო. საზოგადოებაში ეს ამბავი არ გახმაურებულა: მკურნალმა ექიმებმა თავიანთ ოჯახებსა და ახლობლებში რისი გამხელაც მოასწრეს, მოასწრეს, მაგრამ მერე საქმეში „რუხლაბადიანი სანიტრები“ ჩაერივნენ, ყველა მკურნალს „დუმის“ ხელწერილი ჩამოართვეს, პირზე ბოქლომი დაადეს და, ასე და ამგვარად, ერთ მშვენიერ დღეს პაციენტი ნუცუბიდის დღიურიც და ავადმყოფობის ისტორიაც კარგად ჩარაზული რკინის სეიფის შიგნულში მოთავსდა. ასე რომ, ღირებულ ინფორმაციას ფართო მასებში არ გაუღწევია;

თანაც საქმეში ზემოხსენებული ანონიმური სპეცსამსახურის ჩართვის შემდეგ ერლომს პალატა გამოუცვალეს და პაციენტზე ზედამხედველობა ახალ გარემოში განაგრძეს. მთავარი კი ის გახლდათ, რომ კომაში ჩავარდნილი მოქალაქე ერლომ ნუცუბიდის დაავადებულ გონებაში რეგულარულად აღმოცენდებოდა უცნაური ხილვები, რასაც სპეცსამსახურის სახით მუშტარი გამოუჩნდა. ამგვარ ავტომატურ რეჟიმში ერლომმა იცოცხლა (თუ ამას სიცოცხლე ჰქვია) ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში, 2017 წლის მიწურულამდე, სამოცდაათი წლის ასაკში აღესრულა და იმ უსასრულო გზას გაუდგა, რომელსაც ადრე თუ გვიან ნებისმიერი ადამიანი მორჩილად გაუდგება ხოლმე.

ვინაიდან კომაში ჩავარდნილი ერლომის ხილვათა ჩანაწერების სრული ვერსია, ჩვეულებრივი სამკითხველო ფორმატის თვალსაზრისით, ერთობ მოცულობითი, ძნელად აღსაქმელი და დამლელია, გთავაზობთ მის ადაპტირებულ და შემოკლებულ ვარიანტს, რომელიც შინაარსობრივად თამამი ამერიკელი ჟურნალისტის მიერ გლობალური ინტერნეტრედაქციისთვის გადაცემული მასალისგან დიდად არ განსხვავდება. ერლომის ცალკეული ხილვა ჩვენ ერთ მთლიან ხილვად ჩამოვაცალიბეთ, ხოლო თხრობის ქსოვილიდან განზრახ ამოვშალეთ მრავალი ნაკლებად მეტყველი დეტალი თუ მინიშნება. საგულისხმოა, რომ ხილვაში, ჩვენი პლანეტის არცთუ შორეული მომავლის ამსახველი ერთიანი სურათის ფარგლებში, მოქალაქე ერლომ ნუცუბიძე დედამიწის ერთპიროვნულ გამგებელთან – ე. წ. **სუპერტოპიკთანაა** გაიგივებული და თანადროული პოლიტიკური სამყაროს უმაღლესი ოფიციალური პირის როლს ითავისებს. ხილვაში მეტ-ნაკლები სიზუსტითაა გადმოცემული სუპერტოპიკის ხედვა, მისი ფიქრები და მოგონებები, რაც ერთიანი ძილისპირული რემინისცენციის სახეს იძენს. კომაში ჩავარდნი-

ლი ერლომ ნუცუბიძის XXII საუკუნის alter ego-ს ნააზრევი ჩვენი შვილების, შვილიშვილებისა და შვილთაშვილების ხვალისდელ თუ არა, ზეგინდელ დღეს მაინც ეხება და სწორედ ამიტომაა ეგზომ მტკივნეულად საინტერესო ჩვენთვის, მისი ამჟამად ცოცხალი წინაპრებისთვის. თუკი ამ ხილვის პლანეტის მომავალ რეალობასთან შესატყვისობის ალბათობას დავუშვებთ, იმასაც დავასკვნით, რომ დედამინაზე ამჟამად მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი სინამდვილეში ისე უხინჯოდ როდი წარმართება, როგორც ამას ყველა ჩვენგანისთვის კარგად ცნობილი პოლიტოლოგიური მახასტროები და გრანდები ვარაუდობენ. და იქნებ სწორედ ამ ერეტიკულ დაშვებაშია საძიებელი პლანეტის მოქმედი ელიტის გალიზინებისა და, აქედან გამომდინარე, თვით ფენომენისა და ერლომ ნუცუბიძის სიკვდილ-სიცოცხლის მიჩუმათების ჭეშმარიტი მიზეზი.

●
ორიოდე სიტყვა ამ გაუგებრობაში მოყოლილ ჩვენს გმირზეც უნდა ჩავაგდოთ – ბოლო-ბოლო, ეს კაცი, თუნდაც მხოლოდ საკუთარ სიზმრებსა და ხილვებში, პლანეტის გამგებლის როლში გვევლინება და ამას მცირედი ანგარიში მაინც უნდა გაეწიოს.

ერლომ ნუცუბიძე ერთი მარტოხელა და ობოლი სამტრედიელი კაცი გახლდათ, რომელსაც სარკინიგზო კატასტროფამდე ცოტა ხნით ადრე ოცდათორმეტი წელი შეუსრულდა. მისი ცხოვრება, ერთი შეხედვით, მდორედ და მოწყენილად მიედინებოდა: გაჭირვებული ბავშვობა, პროვინციული რვანლენი, ზეინკლობა სალოკომოტივო დეპოში, მერე მემანქანეთა კურსები თბილისში, შემდეგ სამუშაოდ იმავე დეპოში დაბრუნება... ერთი სიტყვით, ის მცირერიცხოვანი ქართული მუშათა კლასის ერთი რიგითი, თუმცა საკმაოდ კვალიფიცირებული წარმომაველი იყო. პირად ცხოვრებას რაც შე-

ეხება, ბევრი ვერაფრით დაიკვეხნიდა. ერლომი, განსაკუთრებით მას მერე, რაც გამზრდელი მამიდა გარდაეცვალა, განმარტოებით და საკმაოდ მოუწესრიგებლად ცხოვრობდა. დაულაგებელ სამუშაო განრიგს მიჩვეულ მემანქანე კაცს ხშირად უწევდა ღამის რეისებზე გასვლა და ცხოვრების ამგვარ ყაიდაზე აწყობამ ისიც მოუტანა, რომ ნატანები-ურეკის ტრაგედიას – იქნებ, გარკვეული თვალსაზრისით, საბედნიეროდაც კი ეული და დაუოჯახებელი შეხვდა. მხოლოდ ერთხელ, თანაც მივიწყებული სიჭაბუკის ხანაში, შეეყარა მძაფრი სიყვარულის სენი. ახალგაზრდა ერლომის მატრიმონიალურ ოცნებას მაშინ ასრულება არ ეწერა, რადგან გულის რჩეულმა მცირედი ყოყმანის შემდეგ ცივი უარი სტკიცა და სამტრედიიდან დედაქალაქში ისე მოკურცხლა, რომ ნაძალადევი დამშვიდობების ჟამს, ისედაც დაბნეულ თაყვანისმცემელს იმედი სრულიად გადაუწურა, ერლომმა კი პირველ და უანგარო სიყვარულთან განშორება საკმაოდ მტკივნეულად განიცადა და ქალებზე, ცოტა არ იყოს, გულიც აიყარა.

ყოფილი სანავარდო მხარის მკვიდრი ნუცუბიძეები ოდესღაც თავადი მიქელაძეების ყმების რეესტრში მრავლად ირიცხებოდნენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ვითარება შეიცვალა და საქართველოს გასაბჭოებას ერლომის ბაბუა ონისე ნუცუბიძე უკვე გამარჯვებული პროლეტარის საპატიო რანგში შეხვდა. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მოყოლებული სამტრედია ნელ-ნელა ამიერკავკასიის რკინიგზის ერთ-ერთ საკვანძო სადგურად ყალიბდებოდა, ონისე კი სწორედ დეპოში მუშაობით არჩენდა ოჯახს. ჯერ შვილის – გურამის, შემდგომ კი ერთადერთი და საყვარელი შვილიშვილის – ერლომის ბაბუის გაკვალულზე გაყოლა, გარკვეული აზრით, ოჯახურმა ტრადიციამაც განაპირობა. ჟამთა ცვალებადობამ ონისე ნუცუბიძის ოჯახს არაერთი მძიმე გამოცდა მოუწყო. სამამულო ომი რომ დაიწყო,

გურამ ნუცუბიძეს ვერც რკინიგზელის „ჯავშანმა“ უშველა და ვერც ერლომზე დაორსულებულმა ახალშერთულმა ცოლმა. ორმოცდაერთი წლის შემოდგომაზე ვითარება იმდენად დაიძაბა, რომ ძველი „ჯავშნები“ ძალადაკარგულად ცნეს და გურამი ყოველგვარი რიდის გარეშე ფრონტზე გაინვიეს. შემდეგ უარესი მოხდა: გურამის მეუღლე მშობიარობას გადაჰყვა დაწყვეტილ ორმოცდაორში, კიდევ კარგი, ერლომი მაინც გადაარჩა. ომმა არც გურამი დაინდო: ქერჩის სასაკლაოზე შემთხვევით გადარჩენილსა და ლიტვიდან გერმანიამდე ცოცხლად ჩაღწეულს, მაინც დამაინც ბერლინის ალყის დღეებში მიუვიდა მიქელ-გაბრიელის უწყისი ბრმად ნატყორცნი გერმანული ხელყუმბარის სახით. როდესაც ომი, როგორც იქნა, დამთავრდა, დაბადებისთანავე დაობლებულ უმცროს ნუცუბიძეზე ზრუნვა თავად მოხუცებულ ონისესა და მის ქალიშვილს, გაუთხოვარ მამიდა კესარიას, დაანვათ მხრებზე. შეთხელებულმა ოჯახმა ომის შემდგომ წლებშიც ბევრი გასაჭირი გადაიტანა (ამის მოყოლა შორს ნაგვიყვანდა), მაგრამ ფრონტიდან ვერდაბრუნებული ვაჟკაცის ოჯახი ბოლომდე მაინც არ გაინირა: მას სანათესაომაც ხელი შეუწყო და იმდროინდელმა ხელისუფლებამაც – დრო იყო ასეთი. შედეგად ბაბუამ, მამიდამ და ნათესავებმა, ერთობლივი ძალისხმევით, პატარა ერლომი ჯანსაღ და შრომისმოყვარე ყმაწვილკაცად გამოზარდეს. აკი უკვე ვთქვით, რვანლედის დამთავრების შემდეგ ერლომიც მამის და ბაბუის გზას გაჰყვა – ჯერ დეპოში ზეინკლობას მიჰყო ხელი, მერე კი, ბუნებრივი ამბიციის გაღვიძების კვალობაზე, თბილისში გახსნილ მემანქანეთა კურსებს მიაშურა, თუმცა გული მაინც მშობლიური სამტრედიისკენ მიუწევდა. კიდევ კარგი, მამიდა დროდრო ნობათს უგზავნიდა ქალაქში, თორემ პროვინციელ ლარიბ ბიჭს თბილისში თავის გატანა ძალიან გაუჭირდებოდა.

კურსების დამთავრების შემდეგ ერლომი მშობლიურ დეპოს მემანქანის თა-

ნაშემნის რანგში დაუბრუნდა და მას მერე სამტრედიის დატოვების სურვილი აღარ გასჩენია. თანდათანობით უკვე გამოზრდილი, ლოკომოტივის ძრავასთანაც გაშინაურებულ, გამოცდილ მემანქანედ ჩამოყალიბდა: ლალად დაატარებდა სამგზავრო თუ სატვირთო მატარებლებს აღმა-დაღმა, სამტრედიიდან ბათუმამდე, სოხუმამდე თუ ფოთამდე, ზოგჯერ კი – თუ საქმე მოითხოვდა – თბილისამდე და სოჭამდეც კი. მემანქანეობა საკმაოდ მძიმე პროფესია იყო მაშინ და არის ახლაც, მაგრამ ერლომს უყვარდა თავისი საქმე, დამქანცველი, სანერვიულო და ხშირად უმადური. იმ პერიოდში საქართველოს სარკინიგზო მაგისტრალი დღევანდელთან შედარებით გაცილებით მეტ სამგზავრო და სატვირთო მატარებელს ემსახურებოდა. მას არა მოკლე დისტანციებზე მორბენალი იაფფასიანი ჩინური სექციები, არამედ თბილისის ქარხანაში აწყობილ კუნთმაგარ ლოკომოტივებზე გამოზრდილი გრძელი შემადგენლობები სერავდა: მოსკოვამდე, კიევამდე, დონის როსტოვამდე... ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუტარებია ერლომს „პერეველზე“ მძიმეწონიანი „სასტავები“, რესპუბლიკის წამყვანი ჩქარი ნომერი თოთხმეტი იქნებოდა ეს თუ უბრალო სატვირთო და სარკმელს მიჯაჭვულს ხან ინდუსტრიული პეიზაჟი უღობდა გულსა და თვალებს, ხანაც თუ ღამით უწევდა გასვლა მძლავრი ფარნებით განათებული ლიანდაგი. ელმავლების – ძველი და ჩამოსანერად გამზადებული ვლ-22-ებით დაწყებული და ახალი ვლ-8-ებითა და ვლ-10-ებით დამთავრებული – შიგნეულობაში შესანიშნავად ერკვეოდა და სამართავ პულტში ჩამონტაჟებული რევერსორისა თუ კონტროლერის რეგულირებისას თავს მართლაც ათასობით სიცოცხლის უძლეველ განმგებლად წარმოიდგენდა ხოლმე, როგორც ეს შემდგომ მისმა ხილვებმაც დაადასტურა. რა, განა უბრალო მემანქანემ არ შეიძლება მსოფლიო მართოს? საკუთარი შრომისა და

გარჯის ხარჯზე ერლომისგან მართლაც კარგი მემანქანე დადგა, მაგრამ მოგეხსენებათ: ზოგჯერ ბედი განაგებს ადამიანის ცხოვრებას და არა პირუკუ – ადამიანი საკუთარ ბედს. რას იფიქრებდა ერლომი, რომ ერთხელაც თავად გახდებოდა საყვარელი რკინიგზის მსხვერპლი!

ზემოთ ციტირებული და დაახლოებით სამი ათეული წლის წინათ შედგენილი რუსულენოვანი დეპეშიდან ჩანს, რომ კატასტროფა გაგანია საბჭოთა ხანაში მოხდა. ეს ნაკლებად ცნობილი ტრაგიკული შემთხვევა სადისპეტჩერო სამსახურის საბედისწერო შეცდომამ გამოიწვია. უგულისყურობით დისპეტჩერმა (იქნებ, ნასვამ მდგომარეობაში, თუმცა ამაზე თავს ვერ დავდებთ) ურეკი-ნატანების გადასარბენზე საპირისპირო მიმართულებით მოძრავი ორი მატარებლიდან ერთ-ერთი დაკავებულ უბანზე გაატარა და, როგორც დიდაქტიკოსებს სჩვევიათ ხოლმე წერა, სავალალო შედეგამაც არ დააყოვნა. ბოლოს კი, უფრო დიდი შედეგის სახით, პირამიდალურად აწყობილი კაცობრიობის წვერთან მიახლოებულმა ქედმაღალმა და სხვათაგან კარგად დაცულმა ელიტარებმა საერთოდ „დაბლოკეს“ ერლომის თემა, რადგან მის ხილვებში ჩაქსოვილი ინფორმაცია მათ ნატიფ გემოვნებაში ვერ ჩაჯდა. ასე რომ, იმ გაიძვერა ამერიკელის ძალისხმევამ პრაქტიკულად ფუჭად ჩაიარა, ხოლო ერლომ ნუცუბიდის ფუტუროლოგიურად სასტიკი პროგნოზი სხვადასხვა მანქანებით მიიჩქმალა, რამაც – არ დაგიმაღავთ – ჩვენი დიდი გულისწყრომა გამოიწვია და ამა ქვეყნის ძლიერთა „იგნორის“ საპასუხოდ ჩვენ არა მხოლოდ მსხვერპლის პიროვნული რეაბილიტაცია, კაცობრიობის მომავლისადმი უსამართლოდ მინავლებული საზოგადოებრივი ინტერესის გაღვივება გადავწყვიტეთ. ჩვენი რწმენით, ერლომის ხილვებიდან მომდინარე ხიფათის სრული უგულვებლყოფა ისეთივე სისულელე და დანაშაულია, როგორც იმ საცოდავებულ დისპეტჩერის დაუდევ-

რობა, რომელმაც ასეულობით ადამიანის სიცოცხლე შეინირა, ხოლო იღბალზე გადარჩენილი ჩვენი გმირი კი ისეთ საშინელ დღეში ჩააგდო, მოსისხლე მტერსაც რომ არ უსურვებს ჰუმანურობაზე ოდნავი პრეტენზიის მქონე კაცი.

●

ახ. წ. აღ. 2107 წლის შემოდგომის პირველი თვის დასასრულამდე სულ ათი-ოდე დღეა დარჩენილი. აქ, ჩრდილო ნახევარსფეროს სამხრეთ ნაწილში, ნიუ-ანაკლიასა და პუერტო-ფოთუმს შორის გადაშლილ დაბლობზე, გვიანი სექტემბრის თბილი საღამო დგას.

მესამე მსოფლიო ომის იძულებითი (რესურსების ამონურვის გამო) დამთავრების შემდეგ თითქმის სამოცი წელი გავიდა. მაშინ, 2048 წლის გაზაფხულზე, სხვადასხვა ინციდენტების რიგში ერთ-ერთსა და თითქმის უწყინარს (იქმენიდან კანადაში შემოპარული ჰასასინი მეომრების მიერ კვებეკის ცენტრში რამდენიმე მეძავის საჯაროდ ჩაქოლვას) გლობალური სამხედრო შეჯახება, მილიარდობით ადამიანის დაღუპვა და უსასტიკესი ქაოსი მოჰყვა. ომის ღია ფაზა, როდესაც ყველა ყველას ნებისმიერი, მათ შორის ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღის გამოყენებით ებრძოდა, სამიოდე კვირაში დასრულდა, მაგრამ დედამიწაზე ახალი წესრიგისა და მშვიდობის დამყარებას, ანუ კბილებამდე შეიარაღებული ბანდების ალაგმვას, ქაოსის ძალისმიერად დაძლევას და სოციალური ცხოვრების მშვიდობიან კალაპოტში მოქცევას ორ ათეულ წელზე მეტი დასჭირდა. „გამშვიდობიანების“ პროცესს, ბუნებრივია, თან სდევდა არა მარტო მძაფრი კონფლიქტები, არამედ გლობალური მმართველობის ახალი წესისა და მორიგი კოსმოპოლიტიური ელიტის ჩამოყალიბებაც. ოცდამეერთე საუკუნის სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ახალი საზოგადოებრივი კონსტრუქციის სათავეში მოქცეულმა სამხედრო-საველე მეთაურებმა – ე. წ.

გრანდებმა – დიდ თავყრილობაზე აირჩიეს პლანეტის ხელმძღვანელი ორგანო – ელიტსაბჭო – და პრაქტიკულად ერთხმად დაამტკიცეს მსოფლიოს პირველი ოფიციალური კონსტიტუცია – **ღიადი ქარტია**, რომლის დებულებები დღემდე განსაზღვრავს კაცობრიობის ყოველდღიურ ცხოვრებას, თავად ეს ცხოვრება კი ომის მსვლელობით გაუქმებულ-განადგურებული, თუმცა ხალხების კოლექტიური მეხსიერებიდან ბოლომდე მაინც ვერამოშლილი გეოპოლიტიკური ნაკვთების დრამატულ ცვლილებასთან აღმოჩნდა დაკავშირებული. თუნდაც მარტო ის რად ღირს, რომ, **ღიადი ქარტიის** ერთ-ერთი დებულების თანახმად, სახელმწიფო საზღვრისა და ეროვნული სახელმწიფოს ცნებებით მანიპულირება იურიდიულად დასჯადი გახდა. ეს შემთხვევითი ამბავი სულაც არ იყო. ფრიად არასრული სასამართლო სტატისტიკის მიხედვით, ომამდელი გეოგრაფიული რუკების სახელში შენახვის ბრალდებით ოცდამეერთე საუკუნის მხოლოდ სამოცდაათიან წლებში დედამიწაზე აღძრულ იქნა ოც მილიონზე მეტი სისხლის სამართლის საქმე, საკონცენტრაციო ბანაკებში გაიგზავნა მილიონ რვაასი ათასზე მეტი შეუგნებელი მოქალაქე, განსაკუთრებით გამოუსწორებელი ას ოცდაშვიდი ათას ოცდარვა მემბოხე კი დაისაჯა სიკვდილით: დახვრებით, მონამვლით, ჩაქოლვით ან დასახლებული პუნქტის მთავარ მოედანზე ჩამოხრჩობით. პლანეტარული კონსტიტუციის მამებმა, წარსულის უმწარესი გამოცდილებიდან გამომდინარე, ცალსახად დაასკვნეს, რომ თერმობირთვული ომის უმთავრესი მიზეზი დედამიწაზე ეროვნული სახელმწიფოების არსებობასა და მათი ინტერესების შეჯახებაში მდგომარეობდა. რა გასაკვირია, თუ საყოველთაო მშვიდობის შენარჩუნების ერთგვარი გარანტია გლობალისტურმა ხელისუფლებამ ტრადიციული პოლიტიკური რუკების კაცობრიობის მეხსიერებიდან ამოშლაშიც დაინახა. წარსულთან

უკომპრომისო ბრძოლამ (ამ ბრძოლაში გრანდები, ძირითადად, მეოცე საუკუნის ოციანი წლების საბჭოთა რუსეთის, ოცდაათიანი წლების ნაცისტური გერმანიისა და სამოციანი წლების რევოლუციური ჩინეთის გამოცდილებით სარგებლობდნენ) საკმაოდ მალე ხელშესახები შედეგები გამოიღო: საკმარისია ითქვას, რომ ოცდამეერთე საუკუნის ბოლოსთვის, ღრმა მოხუცებულებისა და სპეციალურ არქივებში დაცულ ისტორიული ხასიათის მასალებთან მიშვებულების გარდა, თითქმის აღარავის ახსოვდა, თუ როგორი იყო ომამდელი დედამიწა. ეროვნული სახელმწიფოები საბოლოოდ წაიშალნენ, აღიგავნენ პირისაგან მიწისა, თითქოს არც არსებულიყვნენ ოდესმე. ისინი ხელოვნურმა წარმონაქმნებმა, უსაფრთხოების დისტრიქტებმა და მრავალეროვნულმა რეგიონულმა ზონებმა ჩაანაცვლეს: შვიდმილიარდიანი მოსახლეობის გაკონტროლება ასე უფრო იოლი აღმოჩნდა.

პლანეტის პოლიტიკური ზედაპირის გარდაქმნის პროცესში დისტრიქტებმა და ზონებმა დედამიწის ნახევარზე მეტი უკვე სამოცდაათიან წლებში დაიკავეს, ეს ტენდენცია სულ უფრო მძლავრობდა და ლოგიკურ დასასრულამდე, როგორც ითქვა, საუკუნის ბოლოსთვის მივიდა. თავად პროცესი უზინჯოდ როდი მიმდინარეობდა. ადამიანის დაუდგარი ბუნებიდან გამომდინარე, პოლიტიკური ვითარება პლანეტის სხვადასხვა რეგიონში ხშირად იძაბებოდა ხოლმე, ხოლო ეთნიკურ თუ სოციალურ ნიადაგზე აღმოცენებული ნებისმიერი განევ-გამონევა ქაოსის შებრუნების სიმპტომად აღიქმებოდა. ამიტომ ოთხმოციანი წლების მეორე ნახევარში ქაოტიზაციის ხიფათის თავიდან აცილება გრანდებმა კონსტიტუციის გამკაცრებით სცადეს და **ღიად ქარტიაში** რამდენიმე შესწორება შეიტანეს. ამ შესწორებების არსი კიდევ უფრო მკაცრი და ულმობელი პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაციაში მდგომარეობდა. თამაშის ახალი წესების თანახმად,



დედამინაზე მყარდებოდა „რკინის ხელის“ რეჟიმი და ძალაუფლების ძირითადი ბერკეტები გადადიოდა ელიტსაბჭოს მიერ შერჩეული უზენაესი ბელადის – სუპერტოპიკის – განკარგულებაში. უმტკივნეულოდ არც ეს საკითხი გადაწყდა. ძალაუფლების ერთ ხელში გადაბარების პროცესმა კულმინაციას 2087 წლის გაზაფხულზე მიაღწია, როდესაც ელიტსაბჭოს მორიგი უალრესად მძაფრი საიდუმლო თათბირის შემდეგ (თუნდაც ის რად ღირს, რომ მისი მსვლელობის განმავლობაში თვითმკვლელობა ჩაიდინა შვიდმა ოპოზიციურად განწყობილმა გრანდმა) დედამინის მოსახლეობას ცალკეად გამოუცხადეს, რომ სუპერტოპიკის ტახტზე ავიდა (თუ რატომ და როგორ, ერლომ ნუცუბიძის ხილვების სრულ ვერსიაშია მოცემული და აქ ამაზე არ შევჩერდებით) ვინმე ერლომყაენ ქვისგული – უთვალავ კლასობრივ შერკინებაში გამობრძმედილი სამხედრო კაცი. მაშინ ფართო მასებს პლანეტის ახალ მბრძანებელზე მხოლოდ ის გაუმხილეს, რომ ერლომყაენი შავი ზღვისპირეთის დისტრიქტის მკვიდრი იყო და მშობლიურ ენად ერთ-ერთ ნაკლებად გავრცელებულ კავკასიურ დიალექტს, კერძოდ ქართუმარგალურ ლინგვისტიკის, მიიჩნევდა. არჩევნების მეორე დღეს პლანეტაზე საყოველთაო ზეიმი გაიმართა: რადიაციისგან განმედილი ნყლის დეფიციტის მიუხედავად, დიდი ქალაქების მთავარ მოედნებზე რამდენიმე საათით ჩაირთო შადრევნები, სამხედრო და პოლიციურ გარნიზონებში გაიმართა აღლუმები, დედამინის თითოეულ მოსახლეს კი დაურთდა ორასი გრამი ნამდვილი კარაქი და ნახევარი კილო სამოყვარულო ძეხვი.

ბუნებრივია, სუპერტოპიკის პოსტის შემოღებას უზენაესი ხელისუფლის ავტორიტეტის გასამყარებლად მიმართული მრავალი სახელმწიფო ღონისძიება მოჰყვა. ყველას ჩამოთვლას აქ არ შევუდგებით. აღვნიშნავთ მხოლოდ, რომ სუპერტოპიკის ერთ-ერთი სამუშაო რეზი-

დენცია სასწრაფოდ აშენდა კავკასეთის (ყოფილი კავკასია) ერთიან რეგიონულ ზონაში სწორედ იმის გამო, რომ დედამინის ახალი მბრძანებელი ეროვნებით ქართველი იყო. დახურულ ისტორიულ არქივში მოძიებული და სასწაულებრივად გადარჩენილი გასული საუკუნის ერთი უძველესი საბუთის მიხედვით, ერლომყაენ ქვისგულის პაპის პაპა წარმოშობით სწორედ შავი ზღვისპირეთის, კერძოდ კი ნიუ-ანაკლიის სექტორში ადმინისტრაციულად შემავალი ისტორიული სანავარდოს მკვიდრი ყოფილა. აი, ამიტომ ერლომყაენ ქვისგულის საზაფხულო სასახლის აგება ნიუ-ანაკლიაში გადაწყდა.

ამჟამად, ოცდამეორე საუკუნის პირველ დეკადაში, სამთავრობო რეზიდენცია „მედეა-სანავარდოს-ნეტში“ (ადგილობრივ სლენგზე – „მედეაში“) დაკავებული და ძირფესვიანად შემონმებულ-გადამონმებული პერსონალი ძირითადად სხვადასხვა ერისა და რასის მრავალკონფესიური მდაბიო გრანტომანებისგან შედგება, მაგრამ რამეთუ ზოგიერთი ასაკში შესული მდაბიო წარმოშობით ადგილობრივი მკვიდრია აქ მაინც ყველამ იცის, რომ დიდი მშენებლობის დაწყებამდე დაბლობზე შერჩენილი მოსახლეობის თითქმის მთლიანად აყრა და მთიან მხარეში გადასახლება გახდა აუცილებელი. მაშინ აქ დატოვეს მხოლოდ დამხმარე მუშახელი: ისინი, ვინც ჭაობების ამოსაშრობად და ახალი გზების გასაყვანად იყო გამოსადეგი. ადგილობრივ მშენებელთაგან ყველაზე წარჩინებულნი მთაში გასახლებას გადაურჩნენ და ათიოდე წლის შემდეგ „მედეას“ მრავალეროვნულ მომსახურე პერსონალში აითქვიფნენ. დღესდღეობით სწორედ მათი ოჯახებიდან არიან გამოსული ნიუ-ანაკლიას საუკეთესო გზამკვლევეები, ეთნობრაგები, დოუდოუ-გიდეები, იმპლანტ-ფირალები...

ნიუ-ანაკლიის ინფრასტრუქტურა ვრცელი და განტოტვილია, კონტროლის რეჟიმი კი – უმკაცრესი და სადღელამისო. ატომური ნაღმებით გარშემორტყმუ-

ლი პერიმეტრის გასწვრივ დისლოცირებული ჰაერსაწინააღმდეგო დაცვის დივიზიონი მუდმივად სრულ მზადყოფნაშია. შავი ზღვის დინებებში მოლივლივე წყალქვეშა ნავები და ქოჩორა ტალღებზე ლალად მოქანავე ფრეგატები, აუდიო და ელექტრონული ლოკაციის მეშვეობით, მუდმივად აკვირდებიან, როგორც შავი და ხმელთაშუა ზღვების აკვატორიებს, ისე შიდა კავკასეთის ტერიტორიას მთლიანად. ადგილობრივი მოსახლეობისგან პრაქტიკულად დაცლილ საკურორტო პოლიგონზე დღესაც ჩვეული სიმშვიდე სუფევს. უკვე გვიანია და საგანგებოდ მოვლილ და გამწვანებულ სანაპიროს მძიმედ ჩამოანვა მხუთავი სუბტროპიკული ღამე, მაგრამ დასიცხვა მხოლოდ გრძელ მოასფალტებულ ბულვარზე სასეირნოდ გამოსული იშვიათი სტუმრების – მეორეხარისხოვანი გრანდებისა და აქ სპეცმონვევით მოვლინებული მონინავე ხუნვეიბინების – ხვედრია, სამთავრობო სეგმენტში ასიოდე ჰექტარზე გადაჭიმულ სასახლეში კი ბაქტერიოლოგიურად შემონმებული გრილი და სუფთა ჰაერის ტემპერატურა ცელსიუსით ოცდაორ გრადუსს არასოდეს აღემატება.

უახლოეს თანაშემწეებთან საკმაოდ დაძაბული შეხვედრებით გვარიანად მოქანცულმა სუპერტოპიკმა საკუთარ კაბინეტში განმარტოება მხოლოდ ახლა, საღამოს თერთმეტის ნახევარზე მოახერხა. აქ ყველაფერია გათვალისწინებული: სანერი მაგიდა, სავარძლები, ლოგინი, ბარი, კომპიუტერული ქსელი, კინო და ტელეცენტრები, დამხმარე სათავსოები... ადრეც უყვარდა ხოლმე სამუშაო დღის შემდეგ რომელიმე გამორჩეულად ჭკვიანი მრჩევლისა თუ ელიტსაბჭოს წევრის თანხლებით მწვანე ჩაისა ან ჭიქა წითელი ღვინის დაგემოვნება და საჭირბოროტო საკითხებზე არაოფიციალურ ვითარებაში ბჭობა. აი, ახლაც მიანდო თავისი გამხდარი, ხმელი სხეული მასზე მორგებულ მბრუნავ სავარძელს, იდაყვებით წითელი ხის ვეება მაგიდის მწვანე მაუდიტ და-

ფარულ ზედაპირს დაეყრდნო და დიდი, ჭკვიანი თავი უხემ და ტლანქ, მუშურგლახურ ხელისგულებში ჩარგო. ფიქრი და განსჯა ასე ჯობს...

განვლილი დღის შთაბეჭდილებებით შებოჭილი და დაღლილი გონება, როგორც იქნა, გაეხსნა, უხილავ ბორკილებს გაექცა (ძალიანაც კარგი!) და სადღაც შორს, მშიერ და ეგზომ სანატრელ წარსულში გადაეშვა, მაგრამ ბოლომდე მაინც ვერ ეშვება ანმყოს – იმდენი პასუხგაუცემელი კითხვა დაუგროვდა, რომ...

მაინც როგორმე უნდა მოახერხოს, მოეშვას და მბრუნავი სავარძელის კიდესა და მაგიდას შორის იდაყვებით მისვენებულმა განვლილ გზას მენამული ღრუბლებით დაფარული გუგები გადაავლოს: რა მოასწრო, რა უნდა მოასწროს, რას ვეღარ მოასწრებს – სამწუხაროდ. მაინც რა იყო, არის და ცოტა ხანს კიდევ იქნება მისი მინიერი დანიშნულება, რისთვის მოევილინა ამ ცოდვიან დედამიწას?

შემთხვევითია ვითომ მისი ასეთი განწყობილება? თუ, როგორც ჩანს, მასაც სიბერეში აღიარებითი ჩვენების გაცემის ხანა შემოეპარა?

თმაშევერცხლილ, მრავალ პოლიტიკურ შერკინებასა თუ ინტრიგაში გამობრძმედილ და, საყოველთაო აღიარებით, უმტკიცესი ხასიათისა და ნების მქონე ერლომყაენ ქვისგულს აქამდე ყოველთვის მიაჩნდა, რომ სწორად ცხოვრობს. თუმცა, აი, ბოლოჟამს დასჩემდა... თითქოს რაღაც ეჭვის ჭიალუა შეუჩნდა უტეხ სულში და უმნარებს კუთვნილი შვებულების სწრაფმავალ დღეებს, თუმცა ეგეც ფორმალობაა – პოლიტიკოსის შვებულება ვის გაუგია? როგორც ჩანს, მართლაც დაბერებულა. არადა, კაცმა რომ თქვას, სამოცდაცამეტი წელი ბევრი არაფერია. გერონტოლოგია დღეს სასწაულებს ახდენს და განა მართო დღეს... სუპერტოპიკზე უკეთ, აბა, ვინ უწყის, რომ ჯერ კიდევ მესამე მსოფლიო ომამდე ამ დარგის განვითარებამ ბიოლოგიური უკვდავება რეალობად აქცია. ამ უძვირფასესი



სამეცნიერო პროდუქტის კომერციულ შეფუთვამდე რამდენიმე ნაბიჯი იყო დარჩენილი (მაქსიმუმ ხუთი-ექვსი წელი კარგად აღჭურვილ ლაბორატორიებში), მაგრამ ომმა ყველაფერი გააჩერა, მოსპო, ლამის ქვის ხანაში შეაბრუნა კაცობრიობა. ბოლოს და ბოლოს, სიცოცხლე ყველას უნდა, არა მარტო მდიდრებს... მაშინ არამდგრად სტაბილობას ამ უსამართლობამაც გამოუთხარა ძირი... არა, მარტო მის ასაკში არაა საქმე. უმაქნისი სევდის ჭაობში ღრმად ჩაფლობა მას სხვა მიზეზით ემუქრება: მოახლოებული კრიზისი იმ ძლივს მივინწყებულ ომს აგონებს...

თუმცა გარედან კრიზისის ნიშნები არ ჩანს. მისი დიქტატურა კარგადაა შენიღბული. მაგალითად, დღეს **დიადი ქარტის** არც ერთი დებულება პირდაპირ არ ანიჭებს სუპერტოპიკს უფლებას მედიის მოქმედებაში ჩარევისა. ფორმალურად ერლომყენს არ შეუძლია უტიფარი ბრძანებების გაცემა სოლიდური ჟურნალების, მოყვითალო ტაბლოიდების, ტელესადგურებისა თუ ინტერნეტ-ფორუმების მთავარი რედაქტორებისთვის, მაგრამ... ეს არცაა საჭირო. ხსენებული რედაქტორები თვითონაც უნაკლოდ ფლობენ უხერხული ფაქტების მიჩქმალვისა და თვითცენზურის უნატიფეს ხელოვნებას. უბრალოდ, ყველამ იცის, რომ სუპერტოპიკის რეალური ძალაუფლება ლამის უკიდევანოა და პლანეტის მამის მიმართ ოდნავ აგდებული დამოკიდებულების ირიბად გამოჩენაც კი საბოლოოდ არავის შერჩება და ძვირი დაუჯდება ყველა თანამონაწილესა თუ არასაკმარისად ლოიალურ პირს.

ქაოსის დაძლევის ბობოქარ ხანაში ჩამოყალიბებული სამედიო სივრცის ერთიანმა მაკონტროლებელმა ორგანომ – ელიტსაბჭოს მიერ დაარსებულმა პროპაგანდის დეპარტამენტმა – სანაქებო წინდახედულება გამოიჩინა, თადარიგი დაიჭირა და **დიადი ქარტის** მიღებისთანავე იმგვარი მედიაკოდექსი აამოქმედა,

რომელმაც ახალი დროების გამოწვევებს დღემდე გაუძლო. ამ კოდექსის ფარგლებში სავსებით შესაძლებელი გახდა ნებისმიერი მომავალი თუ წარსული უზურპატორის იმიჯის „გაადამიანურება“ და ყველაზე ჩაგრული ფენისთვის – სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე მრავალრიცხოვანი გრანტომანებისთვის – უმტკივნეულოდ „შესაღება“. განგების ნებით, ახალი პიარტექნოლოგიის პირველი რეალური „კლიენტი“ სწორედ სუპერტოპიკი გახდა. ერლომყენის „თეთრი გაპიარების“ პროცესმა კულმინაციას ოცდამეერთე საუკუნის ბოლოს მიაღწია. ამ დროისთვის მასმედიამ მისგან მართლაც შექმნა დამაჯერებელი სახე ტრადიციულ ათეისტურ ოჯახში გაზრდილი, პირად ცხოვრებაში ფრიად ზომიერი, იმავდროულად კი მკაცრი და სამართლიანი მამამარჩენალისა, ანუ იმ უანგარო სახალხო ლიდერისა, რომლის ყოველდღიური საქმიანობა ზნეობრივადაც სამაგალითოა და თან პლანეტის მოსახლეობაზე მუდმივ და დაუღალავ ზრუნვას ეძღვნება. კაცმა რომ თქვას, ეს პიარკონსტრუქცია პრაქტიკულად უცვლელად იქნა გადმოტანილი მიმდინარე ეპოქაში გვარიანად მივინწყებული და ავადსახსენებელი მეოცე საუკუნიდან – იმიტომ, რომ შესაცვლელი არც არაფერი სჭირდა. ვინრო საოჯახო გარემოში სუპერტოპიკს უხალისია კიდევ იმ გადაცემებსა თუ ნარკვევ-ნაკვესებზე, ასე უხვად რომ იფრქვეოდა მედიაგარემოში უბრალო გრანტომანების გამოსათაყვანებლად და რომლებშიც მისი ალტრუიზმი და კაცთმოყვარეობა ცამდე იყო აყვანილი.

სუპერტოპიკს უეცრად გაახსენდა, თუ როგორ გამართეს ხელქვეითებმა მისთვის საამებლად ნადირობა – ომამდეული ტიპის საფარი – აფრიკულ სავანაში, ყოფილი ზამბიის ტერიტორიაზე ჩვიდმეტი წლის წინათ (იმხანად მმართველობა სულ ახალი დაწყებული გვექონდა). ეჰ, რა ახალგაზრდა ყოფილა მაშინ! ატომურმა ომმა დედამინის ფლორა და ფაუნა

მრავალი გენეტიკური მუტაციით „დაა-ჯილდოვა“. ამ მუტაციების ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი სამხრეთაფრიკულ რეგიონში, ამ ღვთის მივინყებულ და დეპრესიულ მხარეში, ყოველად უცნაური მხეცების – ორთავიანი მარტორქების პოპულაციის აღმოცენება იყო. ეს ურჩხულები, ძირითადად, ზამბიაში ბინადრობდნენ და მათზე ნადირობა მოდაში ჯერ კიდევ ქარტიამდელი ქაოსის ხანაში შევიდა. გასაგებიცაა, რატომ: მუტანტის თავების შემაერთებელი ძვიდიდან ამოსული რქა ძვირფასი ნედლეულია, რომელსაც იშვიათი ნამლებისა და ამულეტების დასამზადებლად იყენებენ. ეს ცხოველი წითელ წიგნშია შეტანილი, მაგრამ უსინდისო ბრაკონიერებმა მას დიდი ხანია, ნამდვილი ომი გამოუცხადეს და მარტორქების პოპულაცია გამუდმებით განადგურების ზღვარზეა. მუტანტებზე ნადირობა შეზღუდულია – სეზონი მხოლოდ მაშინ იხსნება, როდესაც მათი საერთო რაოდენობა გარკვეულ ციფრს აჭარბებს. შესაბამისი ლიცენზიის ფასი ასი ათას კვარკს აღემატება, თუმცა ერლომყაენს, ცხადია, საფარიში მონაწილეობა ცენტრიკ კი არ დასჯდომია – ღირებულებათა ჩამოყალიბებულ სისტემაში სუპერტოპიკი მთლიან სახელმწიფო კმაყოფაზეა, მისი პირადი ხარჯის ცნება გაუქმებულია და ეს, რა თქმა უნდა, სწორია.

იმ საფარიში მისი მონაწილეობა გარკვეულწილად შემთხვევითობის შედეგი იყო. პირველი საჯარო ცერემონია, რომელსაც ერლომყაენი სუპერტოპიკის პოსტზე არჩევის შემდეგ დაესწრო, ჰავანაში პლასამაიორზე აღმართული ჰემინგუის მოდერნ-ქანდაკების გახსნას მიეძღვნა. ცერემონიის დასრულებისთანავე კარიბის ზონის რეგიონული მთავრობის სტატს-მდივანმა ვინრო წრეში განაცხადა (რა თქმა უნდა, უალრესად კეთილი განზრახვით), რომ, ცხონებულ ერნესტოს, თურმე, სიბერემდე აფრიკაში მარტორქებზე ნადირობა ჰყვარებია,

რადგან ამით მოძალებულ იმპოტენციას თრგუნავდა, და ამას ისიც დაუმატა, რომ ზამბიის ორთავიანი მარტორქებზე ნადირობაში თავადაც განაფულია და კრიტიკულ სიტუაციებში მამაკაცური ღირსების შენარჩუნება გარანტირებული აქვს. ამის გაგონებაზე სუპერტოპიკს უბოროტოდ გაეცინა: კარიბელი სტატს-მდივნის ამ მცირედმა უხამსობამ ერთგვარად ალაფროთოვანა კიდევ, გაულვიძა მინავლებული სურვილი უხემ ფიზიკურ საფრთხესთან შერკინებისა. მაშინ მხოლოდ ორმოცდათექვსმეტი წლისა იყო, თავს მხნედ გრძნობდა, თანაც კარგა ხანია, ნამდვილ საქმეზე იარაღით ხელში არ გასულიყო და ამიტომაც ადვილად მოიხიბლა მის ყურში ოსტატურად ჩანვეთებული რომანტიკული საფარის იდეით. რამდენიმე დღის შემდეგ კი, რაღაც რიგითი სამუშაო თათბირის ჩამთავრების შემდეგ, სხვათა თანდასწრებით, რამდენიმე თბილი სიტყვა მიუძღვნა ჯერ მოხერხებულ კარიბელ მაღალჩინოსანს, მერე კი ორთავიანი მარტორქებზე მონადირე აფრიკულ ტომებს. ყველა გამგებმა ყველაფერი კარგად გაიგო. მეორე დღესვე პოპულაციათა მთავარი სამმართველოს მონადირეთუხუცესმა უჩვეულოდ იოლად შეაღწია სუპერტოპიკთან აუდიენციაზე და ოდნავ ათრთოლებული ხმით შესთავაზა აფრიკულ საფარიში მონაწილეობა. სუპერტოპიკი სიამოვნებით დასთანხმდა ამ წინადადებას, მით უმეტეს, რომ ხანმოკლე შემეცნებითი მოგზაურობა ზამბია-ბოტსვანას უსაფრთხოების ზონაში უსათუოდ წაადგებოდა ადგილობრივ მოსახლეობას, მერე კი... წარმატებულმა საფარიმ რამდენიმე დღით მართლაც შეუმსუბუქა სუპერტოპიკს ცხოვრება. ოდნავ მოგვიანებით კი სოცუზრუნველყოფის ფედერალურ სამინისტროში მინისტერიალ-დირექტორის ვაკანსია გაიხსნა და ამ თანამდებობაზე მალევე ხსენებული მონადირეთუხუცესი დაინიშნა, ეს კი არცთუ თვალშისაცემი, მაგრამ მაინც დაწინაურება გახლდათ.



იმდროინდელ შესაძლო პოლიტიკურ გართულებებსაც დიდოსტატურად აარიდა თავი... სახელისუფლებო ოლიგოპოსის მწვერვლიდან ლამის ყოვლისმომცველი და თავბრუდამხვევი ხედი იშლება დღეს და იშლებოდა მაშინაც და სუპერტოპიკს არაერთხელ განუცდია ამ შეუდარებელი სანახაობით გაოცება. განუცდია და დამტკბარა კიდევ (ძალაუფლებამ მოყირჭება არ იცის), მაგრამ არასოდეს მიუცია თავისთვის უფლება, ზედმეტად მოჯადოებულიყო ამ შხამიანი ტკობით. ხელისუფლებაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე ერლომყენი ერთგული ხელქვეითებისგან მუდმივად ითხოვდა დეტალურ ინფორმაციას ელიტსაბჭოს წევრებს შორის ადრე დადებულ ღია თუ ფარულ გარიგებებზე, უპასუხისმგებლო გრანდებისა და გათავხედებული ხუნვეიბინების მიერ ჩადენილ და მიჩქმალულ გადაცდენებზე, გრანტომანთა მილიარდიანი მასების წიაღში მოთუხთუხე განწყობებსა და მოლოდინებზე. გულუბრყვილო არასოდეს ყოფილა და შესანიშნავად ესმოდა, რომ პოლიტიკურ ეშმაკს არასოდეს სძინავს. ამიტომ სამუშაო დილას თითქმის ყოველთვის უსაფრთხოების არსებული სისტემის უმნიშვნელო ცვლილებით, მასში რაღაც მორიგი, თუნდაც სულ უმცირესი, სიახლის დანერგვით იწყებდა. პოლიტიკური ინიციატივა მუდამ სუპერტოპიკის ხელში იყო და მისი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავებულმა ტაქტიკამ თანდათან სტრატეგიული შედეგი გამოიღო: ყოფილმა ოპოზიციამ ჩაილურის წყალი დალია, სხვადასხვა ჯურის ავისმზრახველებმა და სუპერტოპიკის უზენაეს რისხვას შემთხვევით გადარჩენილმა პირადმა მტრებმა იატაკქვეშეთში გაქცევით უშველეს თავს – ჰო, ეს ვინც მოასწრო... მაშინაც, ნადირობის წინ, ველზე სახელდახელოდ დადგმულ ბუნგალოში უშიშროების სამსახურის დირექტორს უხმო და ყურადღებით მოუსმინა. მაინც ჩვეული სიფრთხილე გამოიჩინა, თუმცა ისედაც იცოდა, რომ ლეგალურ პოლიტიკურ სივ-

რცეში აღარ დარჩა არც ერთი გავლენიანი ჯგუფი, რომელიც მისი ძალადობრივი მოცილებით იყო დაინტერესებული – და არ გადაუდგამს ერლომყენ ქვისგულს ის საბედისწერო ნაბიჯი, რომ კეთილშობილი გრანდები ამა ქვეყნისა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაჰკიდებოდნენ. სულაც მათ არ მოიყვანეს უზენაეს პოსტზე?! შეთქმულების ალბათობას სერიოზულად არც განიხილავდა, გრანტომანების აჯანყება გამორიცხული იყო, ხოლო არაღეგალების დასაშოშმინებლად უშიშროების სამსახურის ყოველდღიური ძალისხმევაც კმაროდა.

იმხანად, მისი მმართველობის დასაწყისში, **ღიადი ქარტიის** ახალი რედაქცია მავანისთვის ჯერ კიდევ მიუჩვეველი ხილი იყო. მაშინ ჯერ კიდევ ყველა როდი აცნობიერებდა ერლომყენის აღზევების ჭეშმარიტ მიზეზებს. მას აღიქვამდნენ, უფრო, როგორც გამირული წარსულის მქონე, მაგრამ მაინც ფრთხილ და ზომიერ სახელმწიფო მოხელეს, რომელმაც შეცვალა ვიღაც სხვა მოხელე არცთუ უსისხლო, მაგრამ მეტ-ნაკლებად კანონიერი გზით – ელიტსაბჭოში გამართული არჩევნებით. რას იზამ, დაღვრილი სისხლით პოლიტიკაში ვერავის გააკვირვებ... ერთი სიტყვით, პლანეტის ჭეშმარიტ მამობამდე ახალგამომცხვარ სუპერტოპიკს დიდი გზა ჰქონდა დასაძლევინებისმიერი მაღალჩინოსნის, მით უფრო პირამიდის მაღალ საფეხურზე შეყოვნებული გრანდის, შინაგანი ბუნება კი საკმაოდ კონსერვატიულია და ცვლილებებს ენინაალმდეგება. ამიტომ, მიუხედავად „რკინის ხელის“ რეჟიმის შემოღებისა, კონკრეტულად ერლომყენისგან რაიმე პრინციპულ სიახლეს მმართველობის საწყის ეტაპზე თითქმის არავინ (რამდენიმე ახლობელი ადამიანის გარდა) ელოდა. ზამბიაში სანადიროდ ჩასული სუპერტოპიკი იმიტომაც გრძნობდა თავს საკმარისად დაცულად, რომ პირადი მტრების გარდა (საყოველთაო აზრით, მათ ის მოიძვეს, რაც დათესეს), ჯერ არავინ გა-

უნაწყენებია, უბრალოდ, ვერ მოასწრო, რადგან პლანეტარული ძალაუფლების გადმობარებისა და სუპერტოპიკის ხელში ყველა ბერკეტის კონცენტრაციის ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი დასრულებული არ იყო: მათ, ვინც ქვისგულს მსოფლიო ფედერაციის საჭე ანდეს, ჯერ კიდევ არ დაუგროვდათ სერიოზული მიზეზები (თორემ საბაბებს რა გამოლევდა) უკმაყოფილების ღიად გამოხატვისთვის. ვითარება პლანეტაზე სტაბილური ჩანდა, ხოლო ტერორისტული და ექსტრემისტული ორგანიზაციების უხილავ კონტროლს უშიშროებაც წარმატებით ახორციელებდა.

...შემდეგ ჯიპების ქარავანი უკან, ზონის მთავარ ქალაქ ლუსაკაში გაბრუნდა, სადაც გვიან საღამოს სუპერტოპიკის პატივსაცემად დიდი ბანკეტი გაიმართა. ერლომყაენს დიდი მონივნებით მიართვეს მოკლული მარტორქის ხორცისგან დამზადებული კოლორიტული კერძი – მობიბინე სტიეკი – რომელიც მას დიდად არ მოეწონა. ცოტა არ იყოს, შეეზიზღა კიდევ, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, გაესინჯა: ამდენი გულითადი და თვალეზი შემციცინე ადამიანის გარემოცვაში ზედმეტი წუნიანობის გამოჩენა წარმოუდგენელი იყო. საბანკეტო დარბაზში, მიუხედავად ჩართული „კონდიშენისა“, სიცხე და დახუთულობა იგრძნობოდა, მაგრამ სუფრასთან მან თავი ვერ – უფრო კი არ – შეიკავა, ოფიციალტს საყინულიდან ნახევარლიტრიანი ბოთლი ციმბირული არაყი მოატანინა და შესვა კიდევ რამდენიმე სირჩა – კაცმა რომ თქვას, სრული სიგიჟე ასეთ ამინდში. რომ დალია, ეს ქვის გულიც, ცოტა არ იყოს, გაულღვა და მოულბა, სახეზეც შეეტყობოდა ეს მოღობობა. აი, სწორედ მაშინ შეარჩია წამი მთავარმა მასპინძელმა – ადგილობრივმა სტატუს-მდივანმა, თამამად მიიჭრა მის სავარძელთან და ალელვებულმა, ენის ბორძიკით, თუმცა ძალზე ზრდილობიანად, ორიოდ სიტყვის შესმენა სთხოვა. სუპერტოპიკსაც რა ექნა,

თანხმობის ნიშნად გაუღიმა მასპინძელს, პირად მცველს სკამიდან წამოდგომა უბრძანა და ალელვებული მოხელე გვერდით მოისვა. სტატუს-მდივანმაც არ დააყოვნა, სხაპასხუპითა და ნერწყვის ხშირ-ხშირი ყლაპვით ამოუშვა გულისნადები. სასტიკმა გვალვამ, – ჩიოდა ის, – მოუსპო ზამბიელ გლეხკაცს სარჩო, მოსავალი დაიწვა, ქვეყნის ეკონომიკა მეორე წელია, თავისუფალ ვარდნაშია, ხალხს ტოტალური შიმშილი ემუქრება, სამდივნო იძულებულია, მაღალ პროცენტში შეისყიდოს ევროპა-ამერიკაში მარცვლეული და დიზელი, რადგან პირდაპირი გადახდისთვის საკმარისი ვალუტა ზაზინაში არ მოიპოვება. ზამბიის ზონამ არაერთხელ დასვა საერთაშორისო საკრედიტო ბანკის წინაშე საკითხი დაბალპროცენტიანი სესხის სასწრაფოდ გამოყოფის თაობაზე, სტატუს-მდივანმა არაერთხელ პირადად მიმართა ბანკის გამგეობის თავმჯდომარეს შესაბამისი თხოვნით და თანაგრძნობის იმედიც ჰქონდა, მაგრამ საქმე, სამწუხაროდ, გაყინულია, არ იძვრის, არადა, ვითარება თანდათან გაუსაძლისი ხდება. როგორც ჩანს, – ლამის ჩურჩულით დაუმატა სტატუს-მდივანმა, – **დიად ქარტიამი** ჩადებული სოციალისტური პრინციპები ყველას თავისებურად ესმის, თორემ ჩვენ არ დაგვჭირდებოდა მთელ მსოფლიოში სამათხოვროდ ხელგანვდილი სიარული. წარმოიდგინეთ, ბანკის მესვეურები უარით გვისტუმრებენ ისეთ დროს, როდესაც აქ მარტო შიმშილით ყოველდღე ორმოცდაათამდე ადამიანი იხოცება და სამდივნომ ვერ შეძლო ამ ციფრის ორჯერ დაწევა მაინც! არადა, გვალვამ მხოლოდ ზამბიას ხომ არ გადაუარა, კლიმატის თვალსაზრისით, მსგავსი ვითარებაა მეზობელ ზაირსა და ზიმბაბვეში, მაგრამ კინშასასა და ხარარეში საწყობები გადაძეცილია ნაირ-ნაირი სურსათით, ცხოვრება ჩქეფს, ზამბიის გულისთვის კი თითიც არავის გაუნძრევია, ვადაგასული კონსერვების გადმოცემასაც კი გვაყვედრიან. ერთი სიტყვით, შიმშილი



მატულობს, გრანტომანები ბუზლუნებენ, რეგიონული მთავრობა სრულიად უმნოა, დიდ მსოფლიოში კი ყურსაც არავინ იბერტყავს. ამიტომაც რომ ასეთ ჟამს თქვენი შენუხება გავბედე და აქ გეახელით, თორემ... სუპერტოპიკი მოხელეს უსმენდა და გრძნობდა, თუ როგორ იზრდება და ეჩხირება ყელში მონოლილი სიბრაზის გუნდა. როგორ, ნუთუ უკვე ბედავენ და მასაც უგებენ მახეს საამურად შეთითხნილი ყოველდღიური მოხსენებების სახით? როგორ ყელყელაობდა უკანასკნელ თათბირზე სოფლის მეურნეობის ფედერალური მინისტრი – გაგვანინა გარკვეული სირთულეები, გვიპირისპირდება ზოგიერთი სოციალურად შეუგნებელი გრანტომანი, აფრიკის ზოგიერთ რეგიონში გვალვის შედეგად მოსავლიანობა შემცირდა და დარგი დროებითმა სტაგნაციამ მოიცვა, მაგრამ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა... მართლაც, არ წარმოედგინა, თუ სამხრეთ აფრიკაში ესოდენ მძიმე მდგომარეობა შექმნილიყო, ამათ კი საფარი და დროსტარებაო... ვილაცვილაცვებს, როგორც ჩანს, მისი მუშტი მოენატრათ, ისევე დასაფერთხია სამთავრობო ხალხი, ბრიყვები... იმ სახელდახელო აუდიენციის ბოლოს ზონის გასუსულ მეთაურს თვალეში რომ ჩახედა, მის მზერაში, შიშნარევი იმედის გარდა ვერაფერი ამოიკითხა, შემდეგ მოწყალედ თავი დაუკრა, გაუშვა (რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ მთხოვნელის სიტყვა არ დარჩებოდა ხმად მლაღადებლისა უდაბნოსა შინა), სკამთან კვლავ პირად მცველს უხმო, სუფრას მიუბრუნდა და ჭიქა არყით გაივსო. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც აღმავლობის გზაზე შემდგარმა ყოფილმა მონადირეთუხუცესმა ფედერალური მინისტრის სავარძელი მოირგო, სუპერტოპიკს ყურში ჩაუნვეთეს, თითქოს მონადირეთუხუცესის ცოლმა საფარიმდე რამდენიმე დღით ადრე სტატსმდივნის ცოლისგან საჩუქრად ბრილიანტის ყელსაბამი მიიღო, შედეგად კი ორთავიანი მარტორქა მოინადირეს სწორედ

ზამბიის (და არა, დავუშვათ, მეზობელი ზიმბაბვეს) ტერიტორიაზე, მაგრამ სუპერტოპიკმა გადაწყვიტა, ამ ჭორისთვის ყურადღება არ მიექცია.

ნამიც და... მზის მხურვალე დისკო ქრება, იშლება მისი თვალთახედვიდან და ფიქრის მღვრიე დინება კიდევ უფრო შორეულ წარსულში მიექანება. წინა საუკუნის ორმოცდაათიან წლებში, როდესაც ომი ახალი დამთავრებულია, მშვიდობა პირობითი ცნებაა, პლანეტის ნანგრევებზე კი სისხლიანი, პრაქტიკულად, უმართავი ქაოსი მძვინვარებს. რაც მთავარია, მომავალი **დიადი ქარტიის** იდეა, მავანთა წარმოდგენაში, ერთი უტოპიური, განუხორციელებელი ზღაპარია და რეალურ ალტერნატივად მხოლოდ წესრიგის დამყარებისთვის მებრძოლი ერთი მუჭა შეიარაღებული რაინდების – ჭეშმარიტი იდეალისტებისა და მომავალი გრანდების – გონებაში თუ ყალიბდება. ის, რომ ისტორია ამ იდეალისტებისგან რამდენიმე ათეულ წელიწადში მსოფლიოს ყველაზე მაგარ მატერიალისტებს გამოძერწავს, უკვე სხვა საკითხია... განგების ნებით, ცხრამეტი წლის ერლომყენ ნუცუბიძე (მაშინ ქაოსის წინააღმდეგ მებრძოლი დამსჯელი რაზმის ერთ-ერთი უმცროსი მეთაური) კავკასეთის არეალში მოღვაწე საველე გრანდების ყურადღებას იქცევს. იმდროინდელი სამხედრო-პოლიციური პრაქტიკა გულისხმობს საუკეთესო სამხედრო წინამძღოლების მშობლიური რეგიონებიდან მოცილებასა და პლანეტის სხვა უბნებზე გადასროლას. მიზეზი: მშვიდობიანი მოსახლეობის სისხლი მაშინ იმდენი იღვრება, რომ თუგინდ დამნაშავე თანამემამულეების ხოცვა-ჟლეტაში მონაწილეობა, ყველაზე სასტიკი მეთაურებისთვისაც კი ფსიქოლოგიურად მძიმედ ასატანია.

თითქოს მიძინებულ ერლომყენს ახსენდება: მას შემდეგ, რაც რამდენიმე წარმატებულ პოლიციურ აქციაში სიმამაცე და საზრიანობა გამოიჩინა, იგი თანამებრძოლებში გამოარჩიეს, ახალი

ფსევდონიმი – „ქვისგული“ შეურჩიეს და ურთულეს, ეთნიკურად უჭრელეს მხარეში, ბალკანეთში, მიაგვლინეს. ერთგული და პატიოსანი ადამიანების მკაცრი დეფიციტის პირობებში, ახალგაზრდა ქართველი თავიდანვე ბალკანეთის ზონის სპეცბრიგადის მეთაურის მოადგილედ დაინიშნა. აქ ჩატარებული ეგზეკუციების დროს ერლომყაენს არაერთხელ მოუწია სიკვდილისთვის თვალეში ჩახედვა და ორი ჭრილობაც მიიღო: მსუბუქი – ხელის მტევანში და შედარებით მძიმე – ბარძაყში. საბედნიეროდ, ამ ჭრილობებმა რაიმე მნიშვნელოვანი ზიანი მის ჯანსაღ და ძლიერ ორგანიზმს ვერ მიაყენა. ჯილდოებით დახუნძლული ერლომყაენის ჯერ ხუნვეიბინების საპატიო რიგებში მიღებას, შემდეგ კი გავლენიანი გრანდების წრეში შეყვანას ნაირ-ნაირი ხიფათებითა და თავგადასავლებით სავსე რამდენიმე წელი დასჭირდა. სწორედ იმ პერიოდში ჩამოუყალიბდა მტკიცე რწმენა იმისა, რომ ამ რადიაციით მონამლულ სამყაროში ენერგიულმა და ჭკვიანმა ადამიანმა საკუთარი წარმატებული ბიოგრაფია იარაღით ხელში უნდა გამოსჭედოს: საზოგადოებაში დასამკვიდრებლად სხვა გზა არაა. სხვათა შორის, იმ წლებში ერლომყაენმა პირველად მოიპოვა გარკვეული პიარპოპულარობა: მისი ფსევდონიმი (ფოტოების გამოქვეყნება გასაგები მიზეზების გამო აკრძალული იყო) საკმაოდ ხშირად ჩნდებოდა ბალკანეთის პოლიტგანყოფილების სპეცბიულეტენის ფურცლებზე, სადაც იგი ხასიათდებოდა, როგორც ზონის ერთ-ერთი ყველაზე სამაგალითო და გულადი ახალგაზრდა ოფიცერი. მაშინ ნგრევისა და სიდუხჭირის მასშტაბები ევროპაშიც კი უალრესად თვალშისაცემი იყო. ერთიანი მსოფლიო სახელმწიფოს ჩამოყალიბებისკენ გადადგმული თითოეული ნაბიჯის ფასი შეიარაღებულ კონფლიქტებსა და სისხლიან გარჩევებს უკავშირდებოდა, რაც, სხვათა შორის, ეკონომიკის აღმავლობასა და წარმოების ზრდას სრულიადაც

არ უწყობდა ხელს. კეთილდღეობამ ევროპიელთა ოჯახებში შემოიჭყიტა მოგვიანებით, სამოცდაათიან და ოთხმოციან წლებში, ორმოცდაათიანებში და, ნაწილობრივ, სამოციანებშიც კი, მთელი კონტინენტი (სხვა კონტინენტების დარად) გახვეული იყო სასტიკ კლასობრივ ომში, რომელიც ძალზე ნააგავდა განკულაკების პროცესს საბჭოთა რუსეთში. უნდა ითქვას, პოლიტდეპარტამენტი დღენიადაგ ზრუნავდა მეთაურების ისტორიულ განათლებაზე და ბავშვობიდან კითხვას მიჩვეულ ერლომყაენს მრავალი სპეცკურსის დაზუთხვა დასჭირდა, რათა ზონის მოწინავე სამხედროთა შორის საპატიო ადგილი დაემკვიდრებინა. საბედნიეროდ, ის ძალზე პატივმოყვარე ადამიანი გამოდგა. ძილსაც იკლებდა და კუთვნილ დასვენებასაც, ოღონდაც წინსვლის პერსპექტივა არ დაეკარგა. ამასთან, ატანა არ ჰქონდა ამპარტავანი და სულმოკლე ინტრიგებისა, რომლებიც ცხოვრებისეულ წარმატებებს, ძირითადად, პატარ-პატარა თაღლითობების ხარჯზე აღწევდნენ. მალე ბრიგადის მეთაური სხვაგან გადაიყვანეს, მის ადგილზე ერლომყაენი დანიშნეს, ამ საკადრო ცვლილებას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ სპეცბრიგადა მთელ ბალკანეთში თითოთ საჩვენებელი გახდა, ამ ცნების საუკეთესო მნიშვნელობით... მაშინ ზღვა სისხლი დაიღვარა, დღეს ვისლა ახსოვს, ყველას ყველაფერი მზამზარეული უნდა... არადა, წერტილოვანი ამბოხებებისა და, მით უფრო, სტიქიური აჯანყებების დამოშმინება თეთრი ხელთათმანებით არ გამოდიოდა, მანდ სიმტკიცეც იყო საჭირო და სისასტიკეც. სხვა გამოსავალს ვითარება სპეცბრიგადის მეთაურს არ უტოვებდა, ლიბერალიზმი კი ღალატად აღიქმებოდა მმართველი გრანდების თვალში. სამწუხაროდ, დარბეულ ნასოფლარებში ადამიანური ღმობიერების მცირედი გამოჩენაც კი თვითმკვლელობის ტოლფასი იყო, რამეთუ შეიარაღებული და თავზეხელაღებული სამოქალაქო პირებისგან შემ-



დგარი პარტიზანული რაზმები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ მის, ანუ მომავალი ერთიანი სახელმწიფოს ჯარისკაცებს. როდესაც ბრიგადასთან მიმავრებული ზონდერების კორპუსი (შესაბამისი ბრძანების გაცემისას კი ერლომყაენს გვერდს ყოველთვის პოლიტგანყოფილების კურატორი უმშვენებდა) ვილაც ბოსნიელ, ალბანელ თუ ბულგარელ ფერმერს ქონებისა და გადაძალადი იარაღის საკონფისკაციოდ მიადგებოდა, ეზოში კი არაფერი ისმოდა ყაყანის, წყევლა-კრულვისა და ლანძღვა-გინების გარდა, ქვისგული ენერგიას პოლიტიკური ლექსიკის გამოყენებაზე უქმად არ ხარჯავდა – პირდაპირ საქმესა და იარაღის ტრიალზე გადადიოდა ხოლმე. ზემდგომ გრანდებს დიპლომატიის ენა მისთვის არ უსწავლებიათ, ამის ცოდნა მერე მოვიდა, გამოცდილებასთან ერთად.

ო, რარიგ გულწრფელად, რა ვნებითა და სიძლიერით ეხერხებოდა მას სიძულვილი იმ დალოცვილ და ცეცხლოვან სიჭაბუკეში, ნახევარი საუკუნის წინათ! გულწრფელად სწამდა, რომ ამქვეყნიურ ბოროტებას ებრძვის: ამ რწმენის გარეშე მასაც კი გაუჭირდებოდა დაუნდობელ პოლიციურ აქციებზე გასვლა. გულში სხვანაირი, თავისებური რომანტიზმით შეკაზმული ალი ენთო: ალაგზნებდა, ალაშფოთებდა, უძლიერებდა კაცობრიობის გადარჩენისთვის მიმდინარე დიად ომში მონაწილეობის სურვილს. მისთვის ადრე გახდა თვალნათლივ ცხადი, რომ ომის შემდგომ, ისედაც დაქცეულ დედამიწაზე, ძალიან ბევრი უსამართლობა დაგროვდა: ზოგი შიმშილით კვდება, ზოგი კი იხრჩობა ნაირ-ნაირ სასუსნავში და არ იცის, რა ახალი სისაძაგლე მოიგონოს, რათა გაუბედურებული თანამოქალაქეების სილატაკის ფონზე მორიგი ავხორცული სიამით დატკბეს. განა ეს დასაშვებია? იმხანად ყველაზე შემოსავლიანი ბიზნესი სუფთა წყლითა და ეკოლოგიურად წმინდა საკვებით სპეკულირება იყო: რადიაციული დაშლის პროდუქტებით გაჟღენთილ გა-

რემოში მოსავლიანობის კრიზისი, უპირველეს ყოვლისა, ყველაზე უქონელ ფენაზე, მომავალ გრანტომანებზე, აისახა. მერე, მოგვიანებით, როდესაც ისტორიული განვითარების კლაკნილმა გზამ მისი პერსონა ჯერ მმართველი გრანდების პოლიტიკურ წრებრუნვაში ჩართო, შემდგომ კი ალაზევა კიდეც მათზე, როდესაც ღვთის მიერ მისთვის პოლიტიკური ორომტრიალისთვის ბოძებული, სწრაფი და მოქნილი ინტელექტის წყალობით მან მოვლენათა სწორი განჭვრეტა ისწავლა, აი, მხოლოდ მაშინ და არც ერთი წუთით ადრე, რომანტიკული სიძულვილი სხვა, გაცილებით უფრო პრაგმატულმა გრძნობებმა და გათვლებმა ჩაანაცვლა. ცივი გონებითა და გაყინული სისხლით მოქმედება, პირადი გრძნობებისა და სიმპათია-ანტიპათიების დათრგუნვა – აი, რა აღმოჩნდა მისი წარმატების ჭეშმარიტი წინაპირობა (თორემ გულადი ოფიცრები სამხედრო ნაწილებში თავსაყრელად იყო). სამხრეთი ევროპის სამხედრო-პოლიციური ფრაქციიდან გრანდების ელიტსაბჭოში არჩევის შემდგომ მას ყოველთვის ფრთხილად და შეგნებული აუცილებლობის კარნახით უწევდა მოქმედება. რაც შეეხება უზენაეს ძალაუფლებას, თითოეული მისი ნაბიჯი სუპერტოპიკის პოსტზე იყო **ასეთი** და არა **ისეთი** მხოლოდ იმის გამო, რომ სხვანაირად შეუძლებელია, რადგან **შეცდომის** დაშვება ძალზე ძვირად დაუჯდება მასაც და მთელ კაცობრიობასაც, ისედაც ძლივს გადარჩენილსა და ნაგვემ-ნატანჯს, თუმცა ერთი კია: იმის გააზრება, რომ პიროვნულად სწორედ მას (და არა რომელიმე ვიგინდარა გრანდს) ხვდა წილად ეპოქალური გადაწყვეტილებების მიღების ბედნიერება, აგერ, უკვე ჩვიდმეტი წელია, მთელ მის არსებას კანონიერი სიამაყით ალავსებს. ეს კი ამტკიცებს, რომ ნებისმიერი ადამიანი, რაც უნდა ქვისგული და სუპერტოპიკი იყოს, მაინც სისუსტეებისგან შემდგარი ცოცხალი არსებაა.

ყველასთვის, ვისაც კი მასთან ოდნავი შეხება მაინც ჰქონია, ცნობილია,

რომ მისი სისუსტეებით მანიპულირება არა მარტო შეუძლებელი, არამედ ძალზე სახიფათოცაა. ისე, რაც უფრო მეტი დრო გადის, მით უფრო მასშტაბური გამოწვევების წინაშე უნევს დადგომა. უკვე მერამდენე წელია, რაც მისი თვალთახედვის არეში მოქცეული გრანტომანების ოდენობა ითვლება არა ათასობით და ათიათასობით, არამედ მილიონობით და მილიარდობით. ბუნებრივია, საქვეყნო გადაწყვეტილების მიღების მომენტში სულ უფრო ძნელი ხდება ერთმანეთს მიმსგავსებული, მიკროსკოპულად პატარა ადამიანების ბედის გათვალისწინება, მით უმეტეს, რომ ბოლო ათწლეულებში ეს პატარა ადამიანები – მათ შორის, სუპერტოპიკის დემოგრაფიული პოლიტიკის წყალობითაც – ასე მომრავლდნენ პლანეტაზე. იმავდროულად, მასთან პირად კონტაქტში შემავალი ადამიანების წრე უალრესად შეიკუმშა. პირადი კანცელარიის გენერალურ მდივანთან წინასწარი შეთანხმების გარეშე მასთან კაბინეტში ვერავინ ბედავს შესვლას: ვერც მისი მოადგილეები, ვერც ელიტსაბჭოს წევრები, ვერც ფედერალური მინისტრები, რეგიონულ სტატუს-მდივნებსა და მინისტრიალდირექტორებზე რომ არაფერი ითქვას. ბოლო რამდენიმე წელია, გამონაკლისი ვრცელდება უმაღლესი რანგის რამდენიმე მოხელეზე: კანცელარიის გენმდივანზე, პარლამენტის სპიკერზე, უშიშროების სამსახურის დირექტორსა და ფინანსთა მინისტრზე – ამ უკანასკნელთან ერთლომყაენს აკავშირებს დიდი ხნის ნაცადი მეგობრობა, რომელიც სათავეს სამხედრო-საველე სიჭაბუკესა და კრიტიკულ ვითარებებში ერთმანეთის მხარდამხარდგომაში იღებს. საზოგადოების დასანახად, სუპერტოპიკი თავის რეზიდენციებში რეგულარულად მართავს ელიტსაბჭოს სხდომებს, სადაც მიმდინარე საკითხები იხილება. აგრეთვე, საკმაოდ ხშირად იხმობს თავისთან პარლამენტის ყველაზე გავლენიან დეპუტატებს: ესეც პიარინტერესებით განპირობებული აუცილებლო-

ბაა, ვინაიდან, **დიადი ქარტიის** მიხედვით, პარლამენტი დღეს რჩება ერთადერთ გლობალურ ინსტიტუტად, რომელსაც შენარჩუნებული აქვს სუპერტოპიკის იმპიჩმენტის ფორმალური უფლება. საზოგადოდ, განახლებულ ქარტიაში ძალთა ბალანსი რადიკალურადაა გადანეული აღმასრულებელი ხელისუფლების მხარეს, თუმცა საკანონმდებლოსაც მიგდებული აქვს საჯიჯგნად რამდენიმე მსუყელუკმა, განსაკუთრებით საბიუჯეტო საკითხების გადაწყვეტისას. რკინის ხელი კი „ხელობს“.

ფედერალურ პარლამენტში დეპუტატების პირდაპირი არჩევნების გაუქმებამ და, ასერიგად, გარდაუვალი საარჩევნო აფერისტობების ძირშივე აღკვეთამ, ხელი შეუწყო უკვე დამყარებული ერთიანი მსოფლიო წესრიგის სტაბილობის ზრდას, რამაც, თავის მხრივ, კაცობრიობას მშვიდობიანი განვითარების სრული გარანტია თუ არა, გადარჩენის საუკეთესო შანსი მაინც მისცა. კი, ასეთია სუპერტოპიკის ხედვა. მისი ინიციატივით, პარლამენტში დეპუტატებს ნიშნავენ ქონებრივი ცენზის პრინციპით შერჩეული შექმნილი საარჩევნო კლანები, შემდგომ კი დეპუტატების უფლებამოსილებას ამტკიცებს უსაფრთხოების რეგიონული ზონის სტატუს-მდივანი. ეს აწყობილი სისტემა დღემდე შესანიშნავად მოქმედებს. პარლამენტში დეპუტატების შერჩევის პროცედურა იმართება ექვს წელიწადში ერთხელ. სამომავლოდ თეორიულად იგეგმება დედამინის მოსახლეობისთვის სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების სრული მოცულობით აღდგენა, მაგრამ მხოლოდ შორეულ მომავალში და მხოლოდ მას მერე, რაც კაცობრიობა მომძლავრდება ეკონომიკური თვალსაზრისით, ჯერჯერობით კი... რას ვიზამთ, ჩაფიქრებული გლობალური გარდაქმნის პროცესის დასრულებამდე კაცობრიობა იძულებულია, ეგუებოდეს ამ შეზღუდულ პარლამენტარიზმს, რადგან ასეთი თვინიერება მის სასიცოცხლო ინტერესებში

შედის. სამაგიეროდ, საკანონმდებლო ხელისუფლებასა და გრანტომანებს დაუტოვეს ორთქლის გამოშვების შესანიშნავი საშუალება მუნიციპალური არჩევნებისა და მოქმედი მედიაკოდექსის სახით.

მას შემდეგ, რაც ერლომყაენ ქვისგულს უმაღლესი ხელისუფლის ატრიბუტები – ფედერალური ბეჭედი და ოქროს სამკაპი – ჩააბარეს, ჩვიდმეტი წელი გავიდა. ამ ხნის მანძილზე მისი იმპიჩმენტის საკითხი პარლამენტში არასოდეს დასმულა. ვერანაირი საპარლამენტო კომბინაცია ვერ ბედავს ესოდენ ოდიოზური და სამარცხვინო მარცხისთვის განწირული წინადადების ტრიბუნიდან გახმოვანებას. თანაც ყველაზე იდიოტ დეპუტატსაც კი კარგად ესმის: ამგვარ სულელურ ინიციატივას ერთადერთი რამ – უსასტიკესი რეპრესია მოჰყვება. ამიტომაც, რომ მსოფლიო ინტერნეტი, პრესა და ტელევიზია დღენიადაგ სუპერტოპიკის ქებადიდებაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. აი, ფედერალური მინისტრებისა და დეპუტატების მოზომილი კრიტიკა კი მოსულა. ხალხს უნდა სჯეროდეს, რომ მოხელეთა შორის ხელშეუხებელი არავინაა. ძალზე იშვიათად სუპერტოპიკი ამა თუ იმ ფორმით (ზომიერი სისასტიკის ფარგლებში, რამეთუ გრანდების ზედმეტ გალიზიანებას მაინც უნდა ერიდოს) სჯის ამა თუ იმ გათავებებულ მაღალჩინოსანს და ყველა კმაყოფილი რჩება, იმ უბედურისა და მისი ოჯახის გასაცოდავებული წევრების გარდა. დიახ, სუპერტოპიკს მრავალ ადამიანთან უწევს საქმიანი შეხვედრა, მაგრამ, ღვთისა და უშიშროების წყალობით, ის ამ ადამიანებს ძალიან კარგად იცნობს: მათ სუსტ თუ ძლიერ მხარეებს, მათ გაცდებს, დაუმორჩილებელ ვნებებსა თუ დამორჩილებულ ფანტაზიებს. მეხსიერებას სუპერტოპიკი ჯერჯერობით არ უჩივის, ახსოვს მათი ყოველი ღირებული გამონათქვამი და პირუკუ – ნებისმიერი ოდნავ გადაბრუნებული სიტყვა „რკინის ხელის“ რეჟიმზე, თუნდაც დაუფიქრებლად წამოცდენილი საკუთარ სანათესაო

წრეში. დიახ, იმდენად კარგად იცნობს მათ, რომ მოსაბეზრებელი გახდა ეს ყველაფერი, ამაზრზენიც კი...

ახლა კი აქ, მუხის ამ მაგიდასთან, მოგონებათა ბურუსში გახვევით, ცდილობს, საკუთარი თავის წინაშე მაინც გაარკვიოს, თუ რას, რის სამსახურს შესწირა და შეაღია მთელი ცხოვრება.

ახსენდება, მაგალითად, რომ იმ ან გარდასული, შიმშილიანი, რადიაციით გაჟღენთილი და სისხლიანი შეტაკებებით აღსავსე წლების ცეცხლოვანი ლოზუნგები – მის გონებასა და მეხსიერებაში სამუდამოდ აღბეჭდილი – ასკეტიზმსა და მომხვეჭელობისადმი სიძულვილს ქადაგებდნენ. თავად ერლომყაენ ნუცუბიძე წარმომავლობით ერთი უპოვარი და მშრომელი კავკასიური ოჯახიდან იყო და მდიდრები არასოდეს უყვარდა. მათი დასჯა – განსაკუთრებით საკონფისკაციო რეიდების დროს – მისთვის სრულიად ბუნებრივი იყო. უკანონოდ გაქსუებულები ყოველთვის ეზიზღებოდა. ჰო, სულაც არაა გასაკვირი გეზიზღებოდეს მდიდრები და იქადაგო საყოველთაო ასკეტიზმი, თუ შენს ზონაში გაქანებული საბარათე სისტემა მოქმედებს, ხოლო ცხელი კერძის ერთი მათლაფა და თეთრი პურის ფუმიფულა ნაჭერი მხოლოდ იმის ხათრით გეკუთვნის, რომ ყოველდღე შუბლს უშვერ კულაკის „აბრეზიდან“ გამოტყორცნილ ტყვიას. ამ დროს კი ცალკე დედაშენი და ცალკე მამაშენი ტყავიდან ძვრებიან, რომ როგორმე გამოსტყუონ ცხოვრებასა და შავ ბაზარს ქილა ერბო და პაკეტი რძე შენი და-ძმის გამოსაზრდელად. ეჰ, ვერც ერთი ვერ გადარჩა. სპეცბრიგადიდანაც კი ვერ ვუშველე, ბალკანეთი შორეა... ყოველთვის უკვირდა: ნუთუ მის მშობლებს იმ სილატაკის გასამრავლებლად ეცალათ? მეტი დარდი და საქმე არ ჰქონდათ? მოგვიანებით კი მიხვდა: კონტრაცეპტივების წარმოება იმხანად აიკრძალა და პრაქტიკულად შეწყდა, აბორტი კი (გარდა დაშვებული ფორმებისა) მძიმე დანაშაულის რანგში იყო აყვანილი: ომის მერე

კაცობრიობამ ისე დაიკლო წონაში, რომ შობადობის სტიმულირებაზე სხვადასხვა კონტინენტზე მოთარეშე შეიარაღებული ბანდებიც კი ზრუნავდნენ.

ომი... როდესაც მსოფლიო ომი დაიწყო, ერლომყენი ყოფილი საქართველოს ერთი პატარა დასახლების, დაბა სამტრედიის ინტერკოლექტის მეცხრე საფეხურის მოსწავლე იყო. სიყმანვილის ოქროს ხანა... უმაღლესი განათლების მისაღებად ემზადებოდა, მაგრამ ქუთაისის მახლობლად დაცემულმა ატომურმა ბომბმა ყველანაირი კოლექტი და უნივერსი ერთიანად მოსრა და მოსპო. როდესაც პლანეტაზე საომარი მოქმედებები შეწყდა და ახალ კავკასეთში, ისევე როგორც სხვაგან, ლამის პირველყოფილმა ქაოსმა დაისადგურა, კაციჭამიებისა და მახობრების წინააღმდეგ ბრძოლის ორგანიზება საკუთარ თავზე ჯარისა და პოლიციის გადარჩენილმა ნაწილებმა აიღეს. ერლომყენი, ოღონდაც ნაქალაქარში გაუბედურებულ ოჯახთან ერთად არ დარჩენილიყო და, ყველაფრისთვის მზად იყო, კიდევ კარგი, რომელიმე ბანდაში არ ჩაითრიეს ბევრი მისი ნაცნობ-ამხანაგით... საბედნიეროდ, ის ახალშექმნილ პოლიციურ რაზმში პირველგანვეულთა შორის აღმოჩნდა, ოდნავ მოგვიანებით კი ადგილობრივ სპეცბრიგადაში ამოყო თავი – ეს დიდი სიკეთე იყო, რადგან აქ შიმშილით სიკვდილი აღარ ემუქრებოდა. ომი კი დამთავრდა, მაგრამ, ვაი, ასეთ მშვიდობას... ო, რა საშინელი დრო იყო! გახსენებაზე ახლაც აფრუოლებს. აუტანელი სიცხე ზაფხულში, უწყლობა, ძალადობა, ინფექციები, მასობრივი მონამვლები და განვითარებადი კანიბალიზმი – აი, როგორი იყო იმ ვაი-მშვიდობის ყველაზე თვალშისაცემი ნიშნები. ცხოვრების მინიმალურად მოწესრიგება პირველ ყინვებამდე უნდა მოესწროთ. უკვე ჩამოყალიბებული სპეცბრიგადების ძალისხმევით ახალი წლის დადგომამდე ვითარება ოდნავ გამოსწორდა, მაგრამ დასუსტებული ადამიანები კიდევ დიდი ხნის გან-

მავლობაში მასობრივად განაგრძობდნენ კვდომას. ლეტალობა იზრდებოდა, მაგრამ არა ქრილობებისა თუ დასხივების შედეგად მიღებული დამწვრობების გამიზეზების გამო – თვით სასიცოცხლო გარემო გახდა უვარგისი. რალაც დაემართა ამინდს: ის სუსხიანი ზამთარი კავკასეთში თითქმის ექვსი თვე გაგრძელდა, გაზაფხული საერთოდ არ დადგა, ზაფხული კი უალრესად ცხელი და გვალვიანი აღმოჩნდა. ხორბლეულის პირველი ომისშემდგომი მოსავალი კატასტროფულად მწირი და, თანაც, რადიაციულად დაბინძურებული იყო, წყალი არ ვარგოდა. მიუხედავად ახალგამოჩეკილი ადმინისტრაციული ორგანოების ხილული მცდელობებისა, მშვიდობის მეორე წელს სუსტებსა და ინვალიდებს სამყოფი არ ერგოთ: მათი უმრავლესობა შიმშილმა და წყურვილმა შეიწირა. ნამლები გაქრა, სამედიცინო აპარატურის დიდი ნაწილი დაზიანებული იყო. ძალიან ხშირად გადარჩენისთვის ველურ ბრძოლაში ჩაბმული უბრალო ადამიანი მიკროსკოპული ნაჩხაპნიდან შეჭრილ სულ მცირე ინფექციას ვერ უმკლავდებოდა და ელემენტარული სამედიცინო დახმარების არარსებობის გამო ზეზეულად ლპებოდა. საცხოვრებელი სახლების მნიშვნელოვანი ნაწილი დანგრეული იყო, ქალები, მოხუცები და ბავშვები გამხეცებული მოძალადეების ხელში აღმოჩნდნენ. ერლომყენის სპეცბრიგადაში სამსახურის მესამე წელიწადს კლიმატი, როგორც იქნა, ოდნავ გამოკეთდა და წელიწადის დროებმა კვლავ დაიკავეს კუთვნილი ადგილი ჟამთა ცვალებადობის წლიურ ციკლში. მაშინ მთელმა კაცობრიობამ ამოისუნთქა, გაშალა დაჩეხილი ფრთები. მომდევნო წლებში ალაგ-ალაგ წარმოების აღდგენა დაიწყო – ჯერ მარტივისა, შემდეგ კი – ზოგან – მაღალტექნოლოგიურისა. რაც მთავარია, გადაიდგა პირველი რეალური ნაბიჯები სხვადასხვა ხალხების ერთიან ფედერაციაში მოსაქცევად. სხვადასხვა სფეროში სწრაფად მიმდინარე

რეფორმებმა მოიტანეს ახალი ტიპის სოციალური დანაწევრება, რომელმაც რალაც ათიოდე წელიწადში მეტ-ნაკლებად დასრულებული სახე მიიღო: შედარებით კეთილშობილმა ბანდიტებმა და ახალი ყაიდის მსხვილმა ბიზნესმენებმა შობეს გრანდები, მათმა უმცროსმა ამფსონებმა და ხელის ბიჭებმა – ხუნვეიბინები, ქალაქად ჩარჩენილი მოსახლეობის უდიდესი (და მეტწილად დაუსაქმებელი) მასა კი გრანტომანებად – ადმინისტრაციულ დახმარებაზე ჩამოკიდებულ ადამიანებად – ჩამოყალიბდა. სოფლის მოსახლეობის ბედი კიდევ ცალკე და განსაკუთრებული თემა გახლდათ: ქარტიამდელი ძველი ელიტაბჭო დანგრეულ ქალაქებში შერჩენილი მოსახლეობის დასაპურებლად და წარმოების ასამუშავებლად სოფლად იძულებითი კოლექტივიზაციის გზას დაადგა: საკვების მწვავე დეფიციტის პირობებში დამშეული მასების ფიზიკური გადარჩენის შანსს მხოლოდ პურისა და ბრინჯის (კონტინენტს გააჩნდა) მოსავლის ცენტრალიზებული აღება, დასაწყობება და მისი საბარათე სისტემის საშუალებით გადანაწილება ქმნიდა. რასაკვირველია, განკულაკების პოლიტიკას შექმნებულმა ფერმერობამ იმთავითვე გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწია. როდესაც სპეცბრიგადაში ჩარიცხულმა ახალგაზრდა ერლომყაენმა უმცროსი ეგზეკუტორის ნაცრისფერი ფორმა მოირგო, გრანდების ჯერ კიდევ მყიფე ხელისუფლების წინაშე საკითხი უკვე ძალზე მკვეთრად დაისვა: ან გამარჯვება, ან სიკვდილი. ამ ლოზუნგის გაშლა კი ასეც შეიძლებოდა: ან ჯერ კიდევ ჩანასახოვან ფორმაში მყოფი, ღრმად დასამუშავებელი და დასახვენი, სამაგიეროდ, პერსპექტიული, **დიადი ქარტიის** დებულებების მიხედვით ცხოვრების აწყობა ან მუდმივი, დაუნდობელი ომი პრინციპით: ყველა ყველას წინააღმდეგ. აი, როდესაც ერლომყაენმა ეს არჩევანი ბოლომდე გააცნობიერა, ძალადობითა და თაღლითობით გამდიდრებულ გარეწრებთან შებრძოლების ისედაც

ძლიერი მოტივი კიდევ უფრო გაუძლიერდა. მისი შემდგომი კარიერული აღზევება კი მხოლოდ ამ გაძლიერების პარალელური, თანმდევი შედეგი იყო...

სასიცოცხლო გარემო კი ყოველდღიურად იცვლებოდა. დადგა მომენტი, როდესაც პლანეტის ფედერალურმა მთავრობამ ეკონომიკური ჩიხიდან გამოსვლისა და, შესაბამისად, კაცობრიობის ტექნოლოგიური განვითარების დაწვრილებითი გეგმა შეიმუშავა და მაშინდელ ელიტაბჭოს დასამტკიცებლად წარუდგინა. ამ გეგმის განხორციელება უამრავ ისეთ სირთულეს აწყდებოდა, რომელთა დაძლევა რადიკალური გეოპოლიტიკური რეფორმის გარეშე წარმოუდგენელი აღმოჩნდა. ნაციონალურ სახელმწიფოთა ნაშთების ტრანსნაციონალური ზონებით ჩანაცვლების იდეაც მაშინ დაიბადა, – კაცობრიობის კეთილი მომავლის ინტერესებში ნებისმიერი ხასიათის ნაციონალიზმი ემბრიონულ სტადიაზე უნდა აღკვეთილიყო. ვინაიდან გულმხურვალე პატრიოტები და ნაციონალისტები ეროვნული სახელმწიფოების გაუქმებას მხარს თუნდაც მხოლოდ ფიზიოლოგიური მოტივებით ვერ დაუჭერდნენ, მთელი დედამიწის მასშტაბით მათი სრული დისკრედიტაცია და ე. წ. „გაბანძება“ უნდა მომხდარიყო. დასმული ამოცანის წარმატებით გადაწყვეტას იმან შეუწყო ხელი, რომ მასმედიას უკვე მაშინ თითქმის მთლიანად ელიტაბჭოსთან შექმნილი პროპაგანდის განტოტვილი დეპარტამენტი აკონტროლებდა. რეპრესიული მანქანით ზურგმომავრებულმა უმძაფრესმა იდეოლოგიურმა შეტევამ ყველა ჯურისა და ეროვნების ნაციონალისტები ჯერ დესტრუქციულ ელემენტებად, შემდეგ კი სრულ იდიოტებად და გენეტიკურ დეგენერატებად მონათლა. გასაოცარია, მაგრამ ნაციონალიზმის სრულ იდეოლოგიურ მარგინალიზაციას სულ სამიოდე წელი დასჭირდა და გზა მსოფლიო ფედერაციისკენ ხსნილი აღმოჩნდა.

ომის შემდეგ ნგრევის არეალში მო-

ყოლილი ვეება ტერიტორიების მიღმა დედამიწაზე აქა-იქ არსებობას განაგრძობდა ერთგვარი ოაზისებიც: პირდაპირ ატომურ დარტყმებს გადარჩენილი და შედარებით კეთილმოწყობილი რეგიონები, სადაც ნატურალურ გაცვლამდე, ბარტერამდე თუ საბარათე სისტემის ამოქმედებამდე საქმე არასოდეს მისულა და ადამიანები, მიუხედავად მზარდი ინფლაციისა და ომით მოტანილი სხვა ბუნებრივი სირთულეებისა, კვლავაც სარგებლობდნენ მიმოქცევაში დარჩენილი ფულადი ნიშნებით. ასეთ რეგიონებში კაპიტალმა შეინარჩუნა თავისი პირველადი როლი და დანიშნულება, ძველებურად მოქმედებდა შესაძლო მოგების მაქსიმალურად ამოღების ეკონომიკური კანონი. მსოფლიო ფედერაციის მაშინდელმა მესვეურებმა ტექნოლოგიური წინსვლის გენერატორების ფუნქცია სწორედ ასეთ რეგიონებს მიანიჭეს. ელიტსაბჭოს მიერ გატარებულმა პოლიტიკამ შესაძლებელი გახადა ოაზისებიდან ამოქაჩული ზემოგების ნაწილის გადაქაჩვა პლანეტის ომით განადგურებულ და ჩამორჩენილ მხარეებში. ჩანაფიქრით, კაპიტალის ბუნებრივი ნამატი უნდა მომსახურებოდა გლობალური ინდუსტრიის სოციალისტურ პრინციპებზე აღორძინებასა და პლანეტის ეკონომიკის გეგმაზომიერ განვითარებას. „რკინის ხელის“ რეჟიმის დამყარება და სუპერტოპიკის აღზევება ეკონომიკური პოლიტიკის ძირითად პრინციპებს არ შეხებია. შედეგად, ოცდამეერთე საუკუნის ბოლოსთვის ძველი სამთავრობო ჩანაფიქრი, საბოლოო ჯამში, განხორციელდა კიდევ: მიუხედავად ყველა სირთულისა თუ გადაცდომისა (როგორც ოდესღაც გვალვით გათანგულ ზამბიაში), დედამიწაზე შეიმჩნეოდა ეკონომიკური ზრდა, ნელ-ნელა გვარდებოდა სოციალური პრობლემები, უპოვარი გრანტომანების მდგომარეობა თანდათან უმჯობესდებოდა, გამოცოცხლდა მშენებლობა, საშუალო განათლება და პირველადი ჯანდაცვა მეტ-ნაკლებად ხელმი-

სანვდომი გახდა, იკლო სიკვდილიანობამ, აბორტების აკრძალვის ხარჯზე მოიმატა შობადობამ, კაცობრიობამ ხანგრძლივი დემოგრაფიული კრიზისიდან გამოსვლა დაიწყო.

იმ წლებში, როდესაც ნიუ-ანაკლიის საკურორტო ზონაში სუპერტოპიკისთვის ახალი საზაფხულო რეზიდენციის აგება იწყებოდა, კაცობრიობა უკვე კარგა ხანია **დიად ქარტიაში** დასახული კურსის მიხედვით ვითარდებოდა. ახალი ეპოქის მთავარი ნიშანი ის გახლდათ, რომ ისტორიულ სანაგვეს ჩაბარდა პლანეტის გეოპოლიტიკური სივრცის ტრადიციული დაყოფა ეროვნული ნიშნის მიხედვით, რამაც ერთხელ უკვე თერმოპირთვულ კატასტროფამდე მიიყვანა კაცობრიობა და კინალამ წერტილი დაუსვა მის არსებობას. ახალგაზრდა პოლიეთნიკურ ელიტებს შორის დამყარებულ კონსენსუსს საფუძვლად დაედო კერძო მფლობელობაზე ზღვრული ფარგლების დანესება და მსხვილი ბურჟუაზიის სოციალური თანაარსებობიდან ამოშლა – ამით მეოცე საუკუნის ყაიდის კაპიტალიზმი საბოლოოდ ჩაბარდა წარსულს. მაგრამ, რაკილა თავად კერძო საკუთრება – თუნდაც წარმოებისა და ვაჭრობის სტიმულირების მიზნით – დაშვებული იყო, მდიდარი ადამიანების ოდენობა პლანეტაზე თანდათან მაინც მატულობდა. თავისთავად ცხადია, რომ რადიკალური რეფორმების გამჩალებელმა გრანდებმა თავადაც იყოჩაღეს, საკუთარ ბედზეც იზრუნეს და, შესაძლებლობის ფარგლებში, გამდიდრდნენ კიდევ. ისტორიული გონი და ნება კი იმაში გამოვლინდა, რომ დაახლოებით ოცდაათწლიანი ეტაპი (რომლის დასაწყისი ემთხვევა ერლომყაენ ნუცუბიდის ჯარში განვევას, დასასრული კი მის სუპერტოპიკად არჩევას) მეცნიერული თვალსაზრისით, წარმოადგენდა გარდამავალ პერიოდს ომისშემდგომი ხანის იძულებითი „ველური“ კაპიტალიზმიდან ახალი ტიპის „რბილ“ სოციალიზმამდე: გამდიდრებული გრანდები და მათი მორჩილი ხუნვეი-



ბინები მალე მიხვდნენ, რომ მითვისებული ქონებისა და უზომო პრივილეგიების შენარჩუნება მათგან მოითხოვს მილიარდობით გაუბედურებული გრანტომანის სასიცოცხლო ინტერესების გარკვეულ გათვალისწინებასაც, ეს კი ომისშემდგომ ეპოქაში მხოლოდ სოციალისტური განაწილების საშუალებით იყო შესაძლებელი.

გარდამავალი ეტაპის დასაწყისში, როგორც ადამიანებს ზოგადად სჩვევიათ, პირველადი კაპიტალი გროვდებოდა სრულიად კონკრეტული სოციალური ტიპაჟების ხელში. ვის არ წააწყდებოდი ნუვორიშთა არასრულ ჩამონათვალში: ფულის გამთეთრებლებს, კერძო ფირმების მსხვილ აქციონერებსა და სასურსათო რესურსების მფლობელებს, ახალფეხადგმული საბანკო და სავაჭრო სფეროების მენილეებს, ნაციონალიზაციის პირველ ტალღას გადარჩენილი წვრილი საწარმოების მეპატრონეებს, წარმატებულ სერვისმენეჯერებს, პოპულარულ იურისტებსა და შეკვეთებზე მომუშავე ჟურნალისტებს, ასევე სახელმწიფო მოხელეთა გარკვეულ კატეგორიასაც (მომავალი ხუნვეიბინების გავლენიანი ფენა მნიშვნელოვანწილად სწორედ მათგან შეიქმსო). მოგების ნაწილი, რაღა თქმა უნდა, მიედინებოდა არაკაცების, თალღითებისა და მომხვეჭელების – ქორვაჭრების, ბანდიტების, ქურდების, კონტრაბანდისტების, ქალის სხეულითა და ნარკოტიკებით მოვაჭრეთა – ბინძურ ჯიბეში: ამ მხრივ კაცობრიობის ნირი მაინცდამაინც ვერც მსოფლიო ომმა შეცვალა. ერთი სიტყვით, ოცდამეორე საუკუნის მეორე ნახევრის ველური კაპიტალიზმი, მართალია, კაპიტალის არსებობაზე იყო დამყნობილი, მაგრამ თვით ეს კაპიტალი აღმონდა ერთობ პირობითი, არასაიმედო, ვედარმწარმოებელი საკუთარი თავისა, რაც იმის პირდაპირი შედეგი იყო, რომ რადიაციული მიაზმებით მონამლულ ატმოსფეროში მოგების მაქსიმალურად ამოღების კანონი ვერ ხარობდა. ჯერ კიდევ ძალზე მტკივნეული იყო მოგონება იმისა,

თუ სადამდე მიიყვანა მსოფლიო იმ წყობამ, რომელშიც ბიზნესის თავისუფლად წარმოების პრინციპი ყველა სხვა პრინციპზე მალლა იდგა.

ჰო, წარსული... სინდისის ქენჯნას სუპერტოპიკი აქამდე არასოდეს შეუწუხებია. ახლა, არც მთლად ისეა, თითქოს ეს გრძნობა საერთოდ უცხო იყოს მისთვის, მაგრამ ახლაც მიაჩნია და ყოველთვისაც მიაჩნდა, რომ სწორად ცხოვრობს, სწორად წარმართავს საკუთარ ბედს და, რაც მთავარია, უმაღლესი რანგის პოლიტიკოსად მოასწრო ჩამოყალიბება. უმაღლესი რანგის პოლიტიკოსისთვის კი სინდისთან ზერელე ნათამაშება ნამდვილად ზედმეტი ფუფუნებაა. მას რეფლექსიის უფლება დაკარგული აქვს, რადგან რეფლექსიამ შეიძლება ძალზე ცუდი გავლენა იქონიოს მისი შრომის ნაყოფიერებაზე, ამას კი, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მიღწეული საფეხურიდან მიწაზე უღმობელი დანარცხება მოჰყვება. ამიტომ ერლომყაენი საკუთარ სინდისთან მწყრალად არასოდეს ყოფილა, მით უმეტეს, რომ ნებისმიერი მისი ნაბიჯი თუ ქმედება – სულ ერთია, სხვათა აღქმაში დადებითი თუ უარყოფითი – სათანადო გამართლებას პოულობდა. რეალურ ცხოვრებაში ადამიანი მაინც ცვალებადი არსებაა, განა შეიძლება ერთი და იგივე პიროვნება ეგზეკუტორიც იყო და სუპერტოპიკიც? იცვლება გარემოება, იცვლება მოთხოვნები – იცვლება ადამიანიც და ეს ცვლილებები იმთავითვე შეუთავსებელია სინდისის ცნებასთან, რადგან დროისა და ისტორიის ყოველ ცალკე აღებულ მომენტში სულ სხვა, სრულიად უნიკალურ ორფეხა ცხოველთან გვაქვს საქმე. სინდისი – განსაზღვრების თანახმად – უწყვეტია, ორფეხა ცხოველის მინიერი გზა კი წყვეტილი, ამიტომ ის საკუთარ წარსულზე პასუხს ვერ აგებს... ერლომყაენი არც საკუთარ თავს მიიჩნევდა ამ წესიდან გამონაკლისად, რამეთუ დარწმუნებული იყო, რომ იმარჯვებს ცხოვრებასთან მუდმივ შერკინებაში. ასეც იყო, იმარჯვებდა კი-

დეც, მაგრამ გამოჩნდნენ ეს უცხოპოლანეტელები და... უეცრად აღმოაჩინა, რომ მისი პიროვნული გამარჯვება სათუო ხდება.

რაც თავი ახსოვს, ერლომყენი სერიოზული გადაწყვეტილების მიღების ჟამს სრულიად თავისუფალი არასოდეს ყოფილა: არც ახალგაზრდობაში, არც პოლიტიკური აღმასვლის პერიოდში და არც ამჟამად – ხელისუფლების მწვერვალზე. სპეცბრიგადაში სამსახურის დროს ეს ბუნებრივიც იყო: ინიციატივის გამოჩენას მისგან საბრძოლო ვითარებაში, ისიც კრიტიკულ სიტუაციაში თუ ელოდნენ. მტკიცე დისციპლინა, მოვალეობის გრძობა, ბრმა სიმამაცე – ამ სამ ვეშაპზე იდგა და დღესაც დგას სპეცბრიგადების იდეა. მერე კი, რაც უფრო მალა მიიწვედა პოლიტიკურ კიბეზე ერლომყენი, მით უფრო მძიმდებოდა მისი პერსონალური პასუხისმგებლობის ტვირთი. არადა, ზოგჯერ თვითონაც უკვირდა ეგზომ სწრაფი აღზევება. კარიერულ ნინსვლას უფრო ბედის კეთილ ღიმილს მიანერდა, ვიდრე რაიმე სხვას, თუნდაც განსაკუთრებულ კლასობრივ ინტუიციასა და საკუთარ ნიჭს. პოლიტიკური მოვალეობის გაკვეთილებს და კონსპექტების ზუთხვას ტყუილად არ ჩაუვლია. სწორედ მაშინ, ღრმა სიჭაბუკეში, ირწმუნა მომავალმა სუპერტოპიკმა გლობალური სოციალიზმის გლობალურ კაპიტალიზმზე უპირატესობა და შიდა მოხმარებისთვის ძალზე მარტივი ფორმულა გამოიყვანა: სოციალისტური წყობა, განსხვავებით მისი ანტიპოდისგან, ყველას, თითოეულ მოქალაქეს, უქმნის სამართლიანობის დაცვის გარანტიას თუ არა, ილუზიას მაინც და, რაც მთავარია, მისაღებია ყველასთვის იმ ამბიციური ეგოისტების გარდა, რომელთაც ამპარტავნობის ცოდვაში შეუდგამთ ფეხი: პოლიტიკური ავანტიურისტების, ხაზინის ქურდების, ცრუ უფლებადამცველების, არალოიალური მოლაყბეების, არალეგალების, ტერორისტების, ექსტრემისტების, ბოზების, ჩათლახების,

ეტსეტერა, ეტსეტერა... მას მერე ამდენი წელი გავიდა, ამდენმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ ვერავინ შეურყია რწმენა, ვერავინ დაუსაბუთა გამოყვანილი ფორმულის სიმცდარე (თუმცა კი შეინიშნებოდა წარსულში მსგავსი მცდელობები ზოგიერთი თავქერქეტა გრანდის მხრიდან). დღეს სუპერტოპიკი მართლაც არ აკლებს ძალისხმევას, რათა მიწიერი სამართლიანობის კუთვნილმა ნამცეცებმა თითოეული გრანტომანის ჯიბემდე თუ კუჭამდე ჩააღწიოს.

რატომ აღზევდა, რატომ ის და არა სხვა? ჰმ, კარგი კითხვაა... მტკიცე რწმენა და პრინციპულობა – აი, რა გამოადგა მას სინამდვილეში! თანაც ერთმანეთს ბევრი ფაქტორი დაემთხვა. მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ქვისგული სპეცბრიგადების სხვა მეთაურებში გამოარჩიეს და ელიტაბჭოს შემადგენლობაში შეიყვანეს, მსოფლიო ფედერაციის სოციალისტურ პრინციპებზე გადამყობამ (როგორც აღმოჩნდა) უკვე შეუქცევადი ხასიათი მიიღო. ფედერაციაში თანდათან სულ უფრო მეტი ტერიტორიული ზონა და დისტრიქტი ერთიანდებოდა. უმკაცრესი ზომების მიღების კვალობაზე ევროპის, ჩრდილო ამერიკისა და ავსტრალიის თვალწინდენელ მიწებზე პრაქტიკულად აღიკვეთა შიმშილი და წყურვილი, ხოლო ჩამორჩენილ რეგიონებში – ლათინურ ამერიკაში, აფრიკასა და აზიაში – დაისახა ჩიხიდან გამოსვლისა და აღორძინების ნათელი პერსპექტივა. გასაგები მიზეზების გამო, მთავრობა იძულებული გახდა, დიდძალი რესურსები უშიშროების აგენტურული ქსელის შესაქმნელად და პოლიციის გადასაიარაღებლად მიემართა, მაგრამ ამის პარალელურად განვითარდა სხვა დადებითი ტენდენციაც: მიღწეული სტაბილობის პირობებში შესაძლებელი გახდა მონინავე ზონებიდან ფართო მოხმარების საქონლის ღარიბ ზონებში დაუბრკოლებლად გატანა, რაც იქაური გრანტომანების ცხოვრების დონის ამაღლებას ძალიან ნაადგა. ამას გარდა, განგების ნებით,

სუპერტოპიკის პოლიტიკური დებიუტი პირველი გლობალური ტექნოლოგიური პროექტების დაწყებითაც აღინიშნა. დასვენების ნუთებში ერლომყაენი სიამოვნებით აღიარებს, რომ ყოველთვის – როგორც შეეძლო, ისე – ხელს უწყობდა უახლესი ტექნოლოგიური ციკლების პლანეტის ეკონომიკაში დანერგვას და დღენიდაგ აიძულებდა ზედმეტად მომჭირნე ბიუროკრატებს, მეტად ეზრუნათ ნიჭიერი ინტელექტუალებისთვის ღირსეული პირობების შესაქმნელად.

ერლომყაენის მმართველობის პირველი ათწლეული აღინიშნა არა მარტო ეკონომიკის რემილიტარიზაციითა და ყოფით ცხოვრებაში ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვით, არამედ დედამიწის სისხლიანი ისტორიისადმი მიძღვნილი სასწავლო პროგრამების უპრეცედენტო გადახედვით. მარტო ის რად ღირდა, რომ საყოველთაო სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილი მსოფლიო ისტორიის სახელმძღვანელოები იმგვარად შედგა, რომ ახალი თაობის მზარდ გრანტომანებს (და, ნაწილობრივ, ხუნვეებიანებსაც) რაც შეიძლება მწირი წარმოდგენა შექმნოდათ შეჩვენებული წარსულის განსაკუთრებით ოდიოზურ ფიგურებზე. საინფორმაციო ბლოკადაში მოყვნენ, მაგალითად: ნერონი, კალიგულა, თემურ ლენგი, ჩინგის ყაენი, ატილა, ლენინი, სტალინი, ტროცკი, მაო, ჰიტლერი, ნაპოლეონი, რობესპიერი, პოლ პოტი, პინოჩეტი, დიუვალე, მრავალი სხვა მსგავსი დიდი თუ პატარა დიქტატორი და არა მარტო დიქტატორი: სასწავლო კურსებიდან ამოიღეს მამა-შვილი ბუშები, გორბაჩოვი და შევარდნაძეც კი – პირველი ორი ერასის ომისთვის, მომდევნო ორი კი საბჭოთა კავშირის მიზანმიმართული დაშლისთვის. მსოფლიო სტაბილობისა და მშვიდობის შენარჩუნების ინტერესებში, სუპერტოპიკის მითითებით, ისტორიულ კვლევებზე მკაცრი კონტროლი დაწესდა: ამ სფეროში დაკავებული და არქივებთან მიშვებული მკვლევრები იმთავითვე არასანდო

ელემენტებად და ეჭვმიტანილებად მიაჩნდათ. ამიტომ მათ უშიშროების სამსახურის მუდმივი მეურვეობის ქვეშ უწევდათ მუშაობა და ცხოვრება. ასე და ამგვარად – სუპერტოპიკის ძალისხმევით გრანტომანთა მილიარდიანი მასების კოლექტიურ შეგნებაში წარსული საბოლოოდ ბარდებოდა წარსულს. იმავდროულად, პლანეტის ეკონომიკა მაინც უაღრესად მილიტარიზებული რჩებოდა და ეს ასეც უნდა ყოფილიყო: გლობალური მედიაკოდექსი – კოდექსად, პროპაგანდა – პროპაგანდად, მაგრამ სუპერტოპიკის რეჟიმის სიმყარე და ყოვლისმომცველობა, უპირველეს ყოვლისა, ძალოვანი სტრუქტურების გამართული საქმიანობის დამსახურება იყო, მათი ღირსეულად შენახვა კი ძალიან ძვირი ღირდა. შაშხანებზე, კარაბინებსა და კალაშნიკოვის ავტომატებზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდებოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, სამუზეუმო რარიტეტად იქცა ე. წ. ეკოლოგიურად ბინძური იარაღი: ბალისტიკური ბირთვული ქობინები, ბაქტოყუმბარები, ბინარული ქიმიური ჭურვები, ნაპალმი, ანუ ცოცხალი ძალის მოსპობის ის სახეობები, რომლებითაც ასე ამაცობდნენ ომამდელი არმადების ბედუკუდმართი წინამძღოლები. სამწუხაროდ, მსუბუქი იარაღით არალეგალური ვაჭრობა დღემდე ყვავის. ინტერნაციონალური კრიმინალიტივის: ნარკოკარტელების, სხვადასხვა ჯურის შეიარაღებული ბანდების, მარად უკვდავი მაფიისა და არანაკლებ უკვდავი ტრიადების გარდა, პლანეტის სხვადასხვა ნაწილში განაგრძობენ საქმიანობას არალეგალური ტერორისტული დაჯგუფებები, რომლებიც ვერა და ვერ შეეგუენ ვერც სუპერტოპიკის დიქტატურას, ვერც იმიტაციურ საპარლამენტო წყობასა და ვერც გრანტომანების სოციალისტურ ექსპლუატაციას. სხვათა შორის, ხსენებული დაჯგუფებების დროულად აღმოჩენა და გაუვნებლყოფა სულაც არ გახლავთ იოლი საქმე. საზოგადოდ, **დიადი ქარტიის** იდეურ მონინააღმდეგეთა მთელი სიმ-

რავლე, მიუხედავად არსებითი შიდა განსხვავებებისა, საქმე საქმეზე რომ მიდგება, ორ დიდ ნაწილად იყოფა. პირველნი იძულებით ურიგდებიან, მაგრამ ორგანულად ვერ იტანენ დედამიწაზე მეტ-ნაკლებად მსხვილი მესაკუთრეების არსებობასა და თავისუფალ მენარმეობას. მათი ლოზუნგია „დაე, იყოს რაც შეიძლება ნაკლები კაპიტალიზმი“. მეორენი მათ საპირისპიროდ გაიძახიან: „ნაკლები სოციალიზმი, მეტი თავისუფლება“ და უპირისპირდებიან კერძო სექტორის რეგლამენტაციის ნებისმიერ ფორმას. რატომღაც, ყოველთვის ისე ხდება, რომ ქარტიის ყველა პრინციპული მტერი, მიუხედავად იმისა, თუ რას ქადაგებს და რა ხერხებით ცდილობს საზოგადოებრივ ასპარეზზე თავის წარმოჩენას, საბოლოო ჯამში აღმოჩნდება ან მემარჯვენე, ან მემარცხენე. ერთადერთი, რაც მათ აერთიანებს (გარდა იმისა, რომ ანთროპოლოგიურად მემარცხენეც და მემარჯვენეც ადამიანები არიან), არის მიუღებლობა იმ აქტუალური ჭეშმარიტებისა, რომელიც დაახლოებით ასე უღერს: „რეალური სოციალიზმი იგივეა, რაც ცოტაოდენი სამართლიანობა უკლებლივ ყველასთვის, ყოველგვარი გამოწვევის გარეშე“. ჰოდა (ფიქრობს მაგიდას იდაყვებით მიყრდნობილი სუპერტოპიკი), ქარტიის მტრები, შერისხული წარსულის ეგ უიღბლო პარტიზანები, როგორც შეუძლიათ და ხელენიფებათ, ისე მებრძვიან: ყიდულობენ სამხედრო ბაზებიდან და ქარხნებიდან მოპარულ იარაღს და გადიან ჯუნგლებში, იმალებიან გამოქვაბულებში, აფეთქებენ ბომბებს ქუჩებში, წამლავენ წყალსატევებს, იტაცებენ ადამიანებს, ძარცვავენ ბანკებს. მოკლედ, მასშტაბური ტერორიზმი ჩვენი მუდმივი თავსატეხია და ფედერალური მთავრობა უპირისპირდება მას მის განკარგულებაში არსებული ხერხების მთელი მარაგით. კოსმოსური სივრცე, ცა, ზღვები და ოკეანეები, ხმელეთი, მინისქვეშა კომუნიკაციები – ყოველივე გამოცხადებულია ტერორიზმისა და ექ-

სტრემიზმის წინააღმდეგ მიმდინარე დაუნდობელი ომის ასპარეზად, დედამიწის უსაფრთხოების უთვისტომო ზონებად დაყოფაც სინამდვილეში ამ პრობლემის გადაჭრას ემსახურება. **დიადი ქარტიის** სადარაჯოზეა ხელკეტები და დილეგები, ხელოვნური თანამგზავრები და ატომური წყალქვეშა ნავები, თვითმფრინავები და პოლიციური ავიაშიდეები, მასმედია და საზოგადოებრივი აზრი. აბა, ერლომყენი თვითონ ყველაფერს ხომ ვერ გაუძღვება და გასწვდება, მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდვას: იცოდა ასე თქმა ღარიბულ სუფრასთან ცხონებულმა მამისმა ომამდელ სანავარდოში. ამ ომში გრანდებმაც და ხუნვეიბინებმაც მეტი უნდა იაქტიურონ, შეგნებული გრანტომანებიც მიიმხრონ, ამ უკანასკნელთ წინსვლის საშუალება უნდა მივცეთ, ცოტა მოვეფროთ კიდეც, სხვანაირად არაფერი გამოვა...

ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში, „რკინის ხელის“ რეჟიმი იმდენად გამყარდა და მოძლიერდა, რომ ერლომყენი კარგა ხანია, უშუალოდ აღარ ერევა უშიშროების სამსახურის ტექნიკურ საქმიანობაში, არ მიიჩნევს საჭიროდ. არადა, ხელისუფლებაში მოსვლის გარიჟრაჟზე ყოველ ახალ სამუშაო დღეს ამით იწყებდა, თუნდაც მაშინ, ზამბიაში... დღესდღეობით კი მისი მხედველობის არეალში მხოლოდ გიგანტური მასშტაბის სისხლის სამართლის საქმე თუ შეიჭრება ხოლმე. თანაც ასეთ საქმეს აუცილებლად პოლიტიკური ელფერიც უნდა დაჰკრავდეს, სხვანაირად მისთვის საინტერესო ვერ გახდება. სხვა მხრივ კი სუპერტოპიკი მთლიანად ენდობა უშიშროების სამსახურის უცვლელ დირექტორს. ერლომყენმა კარგად უწყის, რომ საათივით აწყობილ სადამსჯელო სისტემაში აქა-იქ კვლავაც მიმართავენ პატიმართა ღირსების დაკნინებასა და არც მათ წამებას ერიდებიან. მისთვის ისიცაა ცნობილი, რომ ეჭვმიტანილთა დაკითხვისას გამომძიებლები ხშირად უხეშად არღვევენ წერილობით



რეგლამენტს და მოწმეებს ცრუ ჩვენებების მიცემას აიძულებენ. არც ისაა დაფარული მისთვის, რომ მოსამართლეები და პროკურორები, როგორც წესი, თავად მწყრალად არიან კანონსა და ქარტიაში დაფიქსირებულ პრინციპებთან, თუმცა იუსტიციის რეგიონული ორგანოების მუშაობაში ერლომყენი პირადად, როგორც წესი, არ ერევა – ეს მისი დონე არაა. ბოლოს და ბოლოს, ყველა სკანდალურ გარჩევაში რომ ჩაერიოს, იძულებული შეიქნება, სხვა ყველაფერზე ხელი აიღოს, აღარაფრის დრო აღარ დარჩება, არადა, პლანეტას მიხედვა უნდა. საბედნიეროდ, უშიშროების სისტემა ისეა აწყობილი, რომ, პრაქტიკულად, არც ერთი საჩივარი არ აღწევს სუპერტოპიკის კაბინეტის კარამდე და სახელისუფლებო იერარქიის დაბალ საფეხურებზე ქრება. ამის შედეგად სუპერტოპიკს შესაძლებლობა ეძლევა, დროისა და ყურადღების უდიდესი ნაწილი კაცობრიობის განვითარების გადაუდებელ პრობლემებს მოახმაროს. ამიტომ წარმატებული გლობალური პროექტების რაოდენობა თანდათან მატულობს. სადღეისოდ მოხერხდა მართული თერმობირთვული სინთეზის მნიშვნელოვნად გაიაფება, დაიწყო მთვარეზე წიაღისეულის მოპოვება, დაჩქარდა მარსის ათვისების ურთულესი პროგრამა, თითქმის აღარავინ ხდება ონკოლოგიური დაავადებების მსხვერპლი. ყველა ამ ეპოქალურ წარმატებაში (და კიდევ მრავალ სხვაშიც) აშკარად იკვეთება სუპერტოპიკის პირადი პოლიტიკური წვლილი, რადგან პრიორიტეტების დადგენა და პერსპექტიული კვლევების სათანადო დონეზე დაფინანსება სწორედ მისი დამსახურებაა. ასე რომ, ერლომყენი სრულიად დარწმუნებულია: ტყუილად არ უცხოვრია და მისი ძალისხმევით ბევრი პოზიტიური ცვლილება შეუქცევადი გახდა. ამიტომ, რომ არ უმძიმს, სარკეში ჩახედვისას საკუთარ ანარეკლს თვალეზი გაუსწოროს. ამ წუთში კი მაგიდასთან თვალეზი რომ მიუხუჭავს, ეგ დალლა

და პირუთვნელი ანალიზის მცდელობაა, არც არაფერი მეტი.

ჰო, მერე რა, თუ კიდევ ერთხელ დარწმუნდება, რომ უცოდველი ამქვეყნად არავინ არის და არც თვითონაა ასეთი. თავისი ხანგრძლივი კარიერის მანძილზე მას ხომ არა მარტო აბუნტებული ფერმერების დაშოშმინება და კოსმოსური კვლევებისთვის ასტრონომიული თანხების პლანეტარული ბიუჯეტიდან გამოყოფა უნევდა. მან პირველმა, ომისშემდგომ ისტორიაში, გაბედა და დააკანონა (ამის თვითალიარება სიამოვნებას სულაც არ ჰგვრის) მასშტაბური მექრთამეობა მსოფლიო ფედერაციაში. პრაქტიკულად ოფიციალური სახე მიანიჭა მას. არა იმის გამო, რომ მექრთამეების მიმართ რაიმე ფარული სიმპათია გააჩნდა ან ანგარება ამოძრავებდა, უბრალოდ, სხვა გამოსავალს ვერ ხედავდა – სცადა, ეძია და ვერ პოვა. მოხდა ისე, რომ თავისი მოღვაწეობის გარკვეულ ეტაპზე სუპერტოპიკი მინებდა მოვლენათა მსვლელობის ლოგიკას (ამასაც გაბედა უნდოდა!) და იძულებული გახდა, ელიარებინა, რომ მექრთამეობა ის უცილობელი და უკვდავი ფენომენია, რომლის არსებობა გაპირობებულია ერთდროულად ადამიანის ფიზიოლოგიური ბუნებითაც და კაცობრიობის გლობალური ინტერესებითაც. უზენაეს თანამდებობაზე მოღვაწეობის პირველ წლებში ის გულწრფელად ცდილობდა ამ სენის ტრადიციული, ანუ წმინდა ადმინისტრაციული ხერხებით დაძლევას, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამ საქმეს ასე ვერაფერი ეშველებოდა. პრაქტიკამ აჩვენა, რომ ყოველ მორიგ, თითქოსდა გონივრულ შეზღუდვას, აუცილებლად მოჰყვებოდა უამრავი სხვაც – აშკარად არაგონივრული. ეს კი ართულებდა მოსახლეობის რეალურ ყოფას და, რაც მთავარია, აზარალებდა სუპერტოპიკის პირად ავტორიტეტს. სხვა შედეგი კორუფციასთან ბიუროკრატიულ შებრძოლებას, სამწუხაროდ, არ მოჰყოლია. ერთ მშვენიერ დღეს კი ამ უაზრო

ძიძგილაობით გათანგულმა ერლომყაენ-მა იკადრა და თავისთვის აღიარა, რომ წესრიგის დაცვა მისი ცხოვრების თვით-მიზანი არც შეიძლება იყოს. ჰოდა, სულ სხვა, პრინციპულად ახალი, გაცილებით უფრო კომპრომისული გეზით – „რკინის ხელის რბილი კურსით“ – არჩია სვლა, თუმცა იმხანად სულაც არ იყო დარწმუნებული ამ გეზის სისწორეში. რამდენიმე წლის შემდეგ კი ეჭვები გაეფანტა: „რბილი კურსის“ სრული მართებულობა თვით ცხოვრების დინებამ წარმოაჩინა.

ისე, ტერმინი „მექრთამეობა“ რეალურად არსებულ სურათს საკმარისი სიზუსტით მაინც ვერ ასახავს, – სევდიანად გაიფიქრა მბრუნავ სავარძელზე ქანცგანყვეტილი პრომეთესავით მიჯაჭვულმა ერლომყაენმა. იქნებ, გამართლებულიც კი იყოს ამ უსიამოვნო ტერმინის სმენისთვის უფრო მისაღები და ნაკლებად ხისტი სიტყვათაწყებით ჩანაცვლება, მაგალითად, ასეთებით: „სუნთქვის საშუალების მიცემა“, „ჰუმანურობის გამოვლენა“ ან „ტოლერანტობის დამკვიდრება“. მიუხედავად ელიტარულ საზოგადოებაში განფენილი მათეობისა და კანონის მოთხოვნათა მიმართ შემრიგებლური დამოკიდებულებისა, მექრთამეობა ოფიციალურად ისედაც ხომ ზედმეტად მკაცრად იდევნება. უსაფრთხოების ყველა ზონის სასამართლო სტატისტიკა ნათლად მეტყველებს, რომ ამ კატეგორიის სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს. მაღალანაზღაურებადი გამომძიებლები ტყუილად როდი ირჯებიან თავ-თავიანთ სამუშაო კაბინეტებში: მათი შრომის შედეგად კუთვნილ სასჯელს უამრავი გამომძალველი, თალლითი, მექრთამე თუ ბაცაცა იხდის, მაგრამ, ოჰ, რა ძნელი ყოფილა ზუსტი იურიდიული ზღვრის გავლება ქრთამსა და საჩუქარს შორის! საზოგადოებრივი პირამიდის დაბალ საფეხურებზე, იქ, სადაც მეურნე გრანტომანები ჭარბობენ, „მოდაშია“ კონვერტში ჩადებული ნაღდი ფულის ზემდგომი მოხელის კოსტუმის

ჯიბეში უბოდიშოდ ჩაცურება. რაც შეეხება ხუნვეიბინებსა და გრანდებს – მათი დაუნერვლი მორალური კოდექსი უფრო დახვეწილია და ძვირფასი საჩუქრების ალებ-მიცემობისკენ იხრება. „წვრილი ძღვენი“ თაფლავენ ყველას: ფედერალურ მინისტრებსა და მათ კუდაბზიკა ცოლებს, რეგიონების სტატს-მდივნებსა და დეპარტამენტების მინისტრიალ-დირექტორებს, პარლამენტის დეპუტატებსა და არბიტრაჟის მოსამართლეებს, გავლენიან ჟურნალისტებსა და ელიტსაბჭოს წევრების კანცელარიის უფროსებს. რაც ყველაზე მთავარია, ქრთამეები და საჩუქრები ასრულებდა ზეთის ფუნქციას რთულ სამეურნეო მექანიზმში, რომელსაც სათანადო მოვლის გარეშე სრული გაჩერება და კოლაფსი ემუქრება. ეგ ზეთი რომ არა, თვით სუპერტოპიკსაც კი გაუჭირდებოდა მართვა. ინტრიგებში ამოხდებოდათ სული გრანდებს, ლალატის გზას დაადგებოდნენ ხუნვეიბინები, გაიფიცებოდნენ – ჰოი, საშინელებაჲ! – გრანტომანები, ჩაკვდებოდა წარმოება და მშენებლობა. მოსაქრთამად განკუთვნილი საჩუქრების კატალოგი კი ფრიად შთამბეჭდავია: ნამიბიური ბრილიანტები და უფიცისა თუ ერმიტაჟის საცავებში დაბომბვას შემთხვევით გადარჩენილი მხატვრული ტილოები, სააგარაკო მინის ნაკვეთები და ტალღებზე მსუბუქად მონავარდე იახტები, საოჯახო ჰელიკოპტერები და ანტიკვარული ავეჯი, სუპერსტერეო მუსიკალური ცენტრები და ვიდეოკომპიუტერები, სპორტული პლაზმომობილები და მისისიპის რადიაციით გაჯერებულ დელტაში მობინადრე უნიკალური თეთრი ალიგატორები. მერე რა, თუ მაღალჩინოსან მოხელეთა შორისაც აქა-იქ კიდევ შემორჩენილია პატიოსანი ხალხი. ასეთი „წმინდანები“ ამინდს ვერც ქმნიდნენ და ვერც შექმნიან. ფინანსურად უმნიშვნელო გრანდების ფრაქცია ელიტსაბჭოშიც და პარლამენტშიც ყოველთვის იმდენად მცირერიცხოვანი იყო, რომ ვერანაირ გავლენას ვერ ახ-

დენდა ვერც კორუმპირებული „ბინძურების“ ფსიქიკასა და ვერც მიმდინარე ეკონომიკურ ცხოვრებაზე. სუპერტოპიკის დიქტატურის პირობებში, აბა, რა სიკეთის შეთავაზება შეეძლოთ ხსენებულ „წმინდანებს“ იმ ფარისეველი და ბობოლა „ბინძურებისთვის“, რომლებიც თავის ყოველდღიურ ყოფაში მიჰყვებოდნენ ესოდენ ბუნებრივ ადამიანურ ვნებებს, ინსტინქტებსა და მიზნებს: იოლადა გამდიდრების სურვილს, მაქსიმალური კომფორტისკენ სწრაფვას, კონკურენტების ჩანჩხვლას, თვითგადარჩენას? ვერაფრის! პირიქით, „ბინძურები“ დრო-დრო აქეთ იბირებდნენ კანონმორჩილ „წმინდანებს“, რომელთა პოპულაცია, ორთავიანი მარტორქების პოპულაციის მსგავსად, აშკარად გადაშენების გზას ადგა. საგულისხმოა, რომ მართვის ჩამოყალიბებულ სისტემაში არც „ბინძურები“ და არც „წმინდანები“ ფრაქციები დამოუკიდებლად არ და ვერ იღებდნენ რაიმე საბოლოო გადაწყვეტილებას: ეს პრივილეგია დედამიწაზე ერთადერთ ადამიანს – სუპერტოპიკს – ეკუთვნოდა, რომელიც ფიზიკურად ვერ სწვდებოდა ყველას და ყველაფერს. ტიპური კორუფციული სქემა კი თითქმის ყოველთვის კოლექტიური განსჯისა და ათასნაირი ფორმალური თუ არაფორმალური გარიგების შედეგი იყო და იურიდიულად, როგორც წესი, ემყარებოდა ფორმალურ კანონსა და წინასწარ შედგენილ მოხსენებით ბარათებს სათანადო რეზოლუციებით მარცხენა ზედა კუთხეში. ერლომყაენ ქვისგულმა კარგა ხანია შეიტყო, რომ სხვანაირად ამ ტლანქი მანქანის მართვა შეუძლებელია, რამეთუ ცხოვრება რთულია, ღამე კი ბნელი, მთავარი კი მაინც პლანეტაზე სტაბილობისა და წონასწორობის შენარჩუნებაა. სუპერტოპიკს გულწრფელად სწამს, რომ ახალ დიდ ომს კაცობრიობა ვერ გადაიტანს, საყოველთაო მშვიდობას კი ბოროტებასთან კომპრომისი უფრო მყარად უზრუნველყოფს, ვიდრე გაუთავებელი კონფლიქტები, ამბიციური პრეტენზიე-

ბის კორიანტელი და ეგოისტურ ფსევდო-ჭეშმარიტებათა საერთო ჯახი. ამიტომაც, რომ გარკვეულ მომენტში სუპერტოპიკმა (რომელიც დღესაც ზოგისთვის სიმკაცრის ეტალონად რჩება, ზოგისთვის კი ამქვეყნიური სიქველისა) ზედმეტი სისასტიკის ყოველდღიურ გამოვლენებს ხსენებული „რბილი კურსით“ მოგზაურობა ანაცვალა. შედეგიც აშკარაა: როდესაც უშიშროების ანყობილი სისტემა განიცდის ზედმეტ დანოლას „წმინდანთა“ ფრაქციის მხრიდან, ყოველთვის შესაძლებელია საჩოთირო საქმის ისე ამოყრავება, რომ საერთო სტაბილობა არ დაზარალდეს. ასეთ დროს მაღალ პოსტებზე დანიშნულ და გუნდური პრინციპის ერთგულ „წმინდანებს“, უკან დახევის გარდა, აღარაფერი რჩებათ: სუპერტოპიკის ნდობით აღჭურვილი „ბინძური“ მაღალჩინოსნების წინააღმდეგ ისინი ხომ ღიად ვერ გაილაშქრებენ! იმავდროულად, „წმინდანების“ პროტესტანტული აქტივობა თუნდაც იმითაა სასარგებლო, რომ ხელს უწყობს უშიშროების ყოვლისმომცველ არქივებში თანამდებობის პირებზე ახალ-ახალი კომპრომატების დაგროვებას. უშიშროების დირექტორი თავის მოხსენებებში კვლავ და კვლავ ახსენებს სუპერტოპიკს: დასაჩუქრების ეპიდემია რეგიონული ზონების დაბალ და საშუალო საფეხურებზე არ ყოვნიდება, ზევით და მაღლა მიცოცავს, რყვნის და ითრევს კორუფციის ქაობში უმაღლესი რანგის მენეჯერებს, ათახსირებს გრანდებს, სხვანაირად უბრალოდ წარმოუდგენელია. სხვანაირად რომ იყოს, ყველა ზემდგომი გრანდი და ხუნვეიბინი საკუთარი ხელქვეითების მძევლად ან – კიდევ უარესი – მათ წინაშე სრული იდიოტის როლში გამოჩნდება, ეს კი არავის სურს... აბა, მეტი საქმე არა აქვთ! – ხელქვეითებს ლანგარზე მიართმევენ ამა ქვეყნის ყველა სიამეს, თავად კი ყოვლად უსარგებლო, იმპოტენტური ლაქლაქითა და ზღვრული ხელფასებით შემოიფარგლებიან, როგორ არა! არა, გენც: ლუფ-

რის ზარდახშებიდან ანაპნილი ფირუზისა და ზურმუხტის ყელსაბამები, პრადოსა და დრეზდენის გალერეის საცავებიდან აუქციონებზე ჩუმ-ჩუმად გამოტანილი ტილოები, ციმბირის მადანგამამდიდრებელი კომბინატებიდან მოპარული ოქრო და პლატინა, მიწის საერთო ფონდიდან დატაცებული სააგარაკო ნაკვეთები სწორედ რომ ყველაზე მაღალი რანგის მოხელეებისთვისაა განკუთვნილი. ამის შემყურე ჩვენი სახელოვანი პრესა კი დუმს! – ამის შესახებ მას რეგულარულად ამცნობდა ხოლმე უშიშროების დირექტორი ნიუ-ანაკლიის რეზიდენციის ვერანდაზე გაშლილი საუბმეების დროს.

ძალიან იშვიათად, მაგრამ მაინც ზოგჯერ ხდება ისე, რომ „ბინძურთა“ ხროვაში შემავალ რომელიმე ნამეტნავად გათამამებულ ჩინოსანს სუპერტოპიკის ნაგაზები ხელს სტაცებენ და წინასწარ კარგად დაგეშილი მასმედიის ყურადღების ცენტრში მიერეკებიან, რათა მისი „კაიკაცობა“ საქვეყნოდ იქნას მხილებული, მაგრამ ასეთი ტიპის საქმეები, როგორც წესი, რალაც დონეზე (შედარებით მაღალზე) მაინც იფარცხება და წყდება. კრიტიკიუმი ერთია: სისტემის მდგრადობა ნებისმიერ შემთხვევაში დაცული უნდა იყოს. არც სუპერტოპიკი, არც მისი მარიონეტული ელიტსაბჭო და არც ვიტრინად ქცეული პარლამენტი არ არიან და ვერც იქნებიან დაინტერესებულნი ყველა იმ ავკაცობების გამომზეურებით, რომლებიც „ბინძურების“ ხელით წლების განმავლობაში სრულდებოდა: ბოლო-ბოლო, კაცობრიობის მშვიდობიანი მომავალი მსხვერპლს მოითხოვს და კორუფციის დაკანონება სულაც არ გახლავთ – ერლომყაენის მყარი აზრით – ის დაუძლეველი საფასური, რომლის ამ მშვიდობისთვის გადახდა არ ღირდეს, ყველანი კაცნი ვართ... კომპრომატებით გამოჭერილი ყველა მოხელის დაკავება და გასამართლება ისეთ დარტყმას მიაყენებდა არსებულ წყობას, რომ სუპერტოპიკის ძირითადი მიღწევა – ამქვეყნიური სტა-

ბილობა – უთუოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგებოდა. ასეთ შემთხვევაში დარტყმის ქვეშ აღმოჩნდება არა მხოლოდ ელიტსაბჭოში შემავალი უკლებლივ ყველა გრანდი და მათ ზურგს ამოფარებული ყველა ხუნვებინი, შეელახება რეპუტაცია მთელ არსებულ ხელისუფლებას, მოეკითხება „რკინის ხელის“ თვით რეჟიმსა და მის მთავარ შემოქმედს – სუპერტოპიკს (სხვათა შორის, პირველ რიგში, სამართლებლივი იმპოტენციისა და ადამიანთა ძირითადი უფლებების შელახვისთვის) და ვინ იქნება მერე გრანტომანების მილიარდიანი მასების განმკითხავი და გამჩერებელი? კორუფციასთან ნამდვილი შებრძოლება რევოლუციის ტოლფასია, რევოლუცია კი – არალეგალებისა და ექსტრემისტების ჭეშმარიტი სწრაფვების გათვალისწინებით – პირდაპირი გზაა ჯოჯოხეთისკენ. ასე რომ არ მოხდეს, ამიტომაცაა მოგონილი „რბილი კურსი“ მთელი თავისი ხარვეზებითურთ, მაგრამ... იყო და არის ერთი „მაგრამ“. ერლომყაენის ფსევდონიმი „ქვისგული“ არ იქნებოდა, „ბინძური“ კორუფციონერი მტაცებლებისთვის ასე იოლად რომ დაეთმო ასპარეზი. ბოლო-ბოლო, ოდესღაც იარაღით ხელში ებრძოდა ნაძირლებს და ზოგ-ზოგის საქციელი ყელში ამოუვიდა, რა! ამიტომაც დაახლოებით შვიდი წლის წინათ სწორედ აქ, „მედეა-ნეტში“ მიმდინარე მორიგი შვებულების ჟამს პირუთვნელად რომ შეაფასა ადმინისტრაციული გახრწნის მზარდი მასშტაბები, ერთხელაც მოუხმო ნებისყოფას, დაძაბა გონება და ახალი მზაკვრული გეგმა მოიფიქრა, ყველასთვის მოულოდნელი მახე დაუგო განსაკუთრებით აღვირახსნილ და თავში ავარდნილ კორუფციონერებს. მაშინ მისი მთავარი სადარდებელი ის იყო, როგორმე ზომიერება დაეცვა და ნაბანი წყლისთვის ბავშვი არ გადაეყოლებინა: მექრთამეობასთან გაბრძოლების ეიფორიაში არც ზედმეტი მოსვლოდა და არც ყველასთვის ცხადი და ადვილად გასაშიფრი იმიტაციით შემოფარგულიყო.

ზუსტად შვიდი წლის წინათ, აი აქ, ამ ოთახში, რეზიდენციის სამუშაო კაბინეტში, შედგა მისი პირველი და სრულიად საიდუმლო საუბარი ამ თემაზე ორ უახლოეს თანამებრძოლთან, იმ ადამიანებთან, ვისაც ერლომეყენი ენდობოდა სხვებზე მეტად და რომელთა მხარდაჭერის გარეშე კორუფციის შეპოჭვის მისეული მეთოდი იმთავითვე დამარცხებისთვის იქნებოდა განწირული. „წმინდანების“ ფრაქციაში შემავალი ამ ორი კაცის – უშიშროების სამსახურის ხსენებული დირექტორისა და ფინანსთა მინისტრის – კრისტალურ პატიოსნებაში ერლომეყენი სრულიად დარწმუნებული იყო, თანაც პირად უანგარობას მათ არანაკლებ უფასებდა, ვიდრე მისდამი ერთგულებას. პლანეტის ამ სამ ყველაზე გავლენიან ადამიანს (თავის ამ დაჯგუფებას სუპერტოპიკმა ხუმრობით „წმინდა სამება“ უწოდა) ზოგადი გეგმის შესადგენად ერთი კვირა, ყველა (ან თითქმის ყველა) მოსალოდნელი სირთულის გასათვალისწინებლად კი თვეზე მეტი დასჭირდა. მერე კი სუპერტოპიკმა თავის ამალას გენერალურ იერიშზე გადასვლის ნიშანი მისცა. თავ-თავიანთი პოსტებიდან ერთმანეთის მიყოლებით გაისტუმრეს ყველაზე გათავზედებული და ოდიოზური მინისტრები: ზოგიერთ მათგანს დამსახურებული პენსია აკმარეს და ისე გაუშვეს; ვინც ოდნავ მაინც გაუძლიანდა, სხვათა საჩვენებლად დატუქსეს და ისე დაანერინეს შესაბამისი განცხადება; ზოგიც თვითონ მიხვდა მისახვედრს და საკუთარი სურვილით გადადგა, მაგრამ ეს სეირის მხოლოდ დასაწყისი იყო. სუპერტოპიკის შიშით „წმინდა სამებასთან“ შეპაექრებას ვერც ერთი მაღალჩინოსანი ვერ ბედავდა, დაჩაგრული გრანტომანების გულს კი რამდენიმე მინისტრის საჩვენებელი გაშვებით ვერ მოიგებდი, ამიტომ უფრო ქმედითი ზომების მიღება გახდა საჭირო. ალებული ტემპის დაკარგვა დაუშვებელი იყო და მეტი დამაჯერებლობისთვის „წმინდა სამებას“ სასწრაფოდ უნდა შეერჩია განტევების

ჭეშმარიტი ვაცის საუკეთესო კანდიდატურა. სათანადო პრეცედენტის შექმნას წინ უსწრებდა ხანმოკლე და მძაფრი სამედო შეტევა ერთ-ერთი განსაკუთრებით უტეხი და ურჩი (თუნდაც ქვეცნობიერად ურჩი) ფედერალური მოხელის წინააღმდეგ. როგორც მალევე გაირკვა, მსხვერპლის როლზე შეირჩა კოლეგებში ჯიუტი და ღრძო ხასიათით გამოჩენილი მაღალჩინოსანი, სოციალური პროექტირების ფედერალური მინისტრი ვერნერ კრაუსი. კრაუსს ბედმა უმუხთლა: მას ერთობ პირში მთქმელი და უხეში ადამიანის რეპუტაცია ჰქონდა, სიმდიდრის მოხვეჭის თვალსაზრისით გარკვეული პრიმიტივიზმით გამოირჩეოდა და, ყოველივე ამის გათვალისწინებით, „წმინდა სამება“ სამსხვერპლოდ სწორედ მისი კანდიდატურა მოიწონა. სამუშაო დღე ახალი დანყებული იყო, როდესაც მინისტრის კაბინეტში მდივნის დაუკითხავად ნაცრისფერ ფორმაში გამოწყობილი გამოძიებლების ჯგრო შევარდა. ამ ჯგროს ოთახში ტელეოპერატორებიც შეჰყვნენ. გაოგნებულ კრაუსს ტელეკამერების წინ ისე კობტად მოარგეს ხელბორკილები და ისე სასწრაფოდ გაიყვანეს კაბინეტიდან, რომ მან ვერც ერთ გრანდთან დარეკვა ვერ მოასწრო. დაპატიმრების აქტი გლობალური ტელევიზიის წამყვან არხებზე პირდაპირ ეთერში გადაიცემოდა და მილიარდობით გრანტომანმა სიამოვნებით შეირგო დამატებითი არგუმენტი იმისა, რომ მამა-მარჩენალი არ ხუმრობს და კორუფციასთან ხმალალმართული ბრძოლა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. უამრავ გაჭირვებულ ადამიანს გულზე მალამოდ მოედო იმის შეგრძნება, რომ სამართალმა, როგორც იქნა, პური ჭამა და თურმე ამა ქვეყნის ძლიერთაც ადრე თუ გვიან მოუწევთ ციხის კედლების ხეხვა. არადა, ზედმეტად გათამამებულ და ადგილზე მოსასმელ ბატონ კრაუსს სასამართლო პროცესზე ბრალდების მხარემ პრეტენზიის სახით სრულიად უმნიშვნელო წვრილმანი წარუდგინა: ნუ იტყვი

და რამდენიმე წლის წინათ პლანეტის ერთ-ერთმა უძველესმა და უმდიდრესმა არასამთავრობო ორგანიზაციამ – დედა ტერეზას სახელობის საქველმოქმედო ფონდმა – მიანიჭა მინისტრს პრემია და უსაქმებელი გრანტომანების ევროპიდან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში გადასახლების პროექტში თანამონაწილეობისთვის: რალაც საცოდავი სამასი ათასი კვარკი. უშიშროების რამდენიმე სპეციალურად დაგეგმილმა ნაგაზმა ერთდროულად იყნოსა ნადავლის სუნი: ფონდის წესდებით იკრძალებოდა ფედერალური დონის სახელმწიფო მოხელეთა უშუალო დაფინანსება, მაგრამ, ვინაიდან კრაუსის კეთილი ნება განაპირობებდა სამინისტროს რეგიონული მენეჯერების რევერანსებს ფონდის მიზნების მიმართ, დაშვებულ იქნა გამონაკლისი. პრემიალური თანხა, ბუნებრივია, არ ექვემდებარებოდა საშემოსავლო გადასახადს. წესდების ანალოგიურ დარღვევებზე ადრე ყველა თვალს ხუჭავდა ხოლმე. ყოველწლიურად „დედა ტერეზას ფონდი“ ათიოდე პრემიას გასცემდა და დაჯილდოებულთა სიაში ერთი ან ორი კეთილგანწყობილი მაღალჩინოსნის „ჩასმა“ არავის უკვირდა, მაგრამ ამჯერად საქმე ვერ გაიჩარხა. პროცესზე ვერნერ კრაუსს ნაუყენეს ბრალდება ჯერ თალლითობაში, შემდეგ გამოძალვასა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებაში, ყოველივე ამას დესერტად მოაყოლეს მექრთამეობა, პროტექციონიზმი, არასრულწლოვან გოგონასთან სექსუალური კავშირი, გრანდისთვის შეუფერებელი საქციელი, ქარტიის მიმართ უპატივცემულობა – ყველაფერი გაუხსენეს, ამოუჩხრიკეს, მაგიდაზე დაულაგეს, გაასწორეს მიწასთან, მოსპეს მორალურად. „აბა, წარმოიდგინეთ, ბატონებო! – გრგვინავდა სასამართლო დარბაზში სახელმწიფო ბრალმდებელი, – ყოფილი მინისტრის პირადი აპარტამენტების ფართობი შეადგენდა ხუთი ათას კვადრატულ მეტრს. ხუთი ათასი მეტრი ერთ არამზადაზე! და ეს მაშინ, როდეს-

საც მისი ხელქვეითების უმრავლესობა კომუნალური საცხოვრისებიდან ვერ გამოგვიყვანია!“ სასამართლოს არც პრესა და ტელევიზია ჩამორჩა და განაჩენმაც არ დააყოვნა: უბედურ კრაუსს თორმეტი წელი მიარჩეს!

მაგრამ „წმინდა სამების“ მზაკვრული გეგმა უბადრუკი მინისტრების გაგდებითა თუ ციხეში გამოკეტვით არ შემოიფარგლებოდა. სამეულმა დიდი ენერჯია დახარჯა, რათა წმინდის შედეგად მთავრობაში შექმნილი ვაკანსიები, რაც შეიძლება სწრაფად, სრულიად გარკვეული თვისებებისა და ბიოგრაფიების მქონე ადამიანებით შეეცხო – ძირითადად, რასაკვირველია, ხუნვებინების წრიდან. მას შემდეგ, რაც შემოდგომის ბოლოს, რეორგანიზაციის პირველმა ტალღამ ჩაიარა და პარლამენტის ზამთრის სესიამ ერთხმად დაამტკიცა მინისტრთა კაბინეტის ახალი შემადგენლობა, დადგა ჟამი სუპერტოპიკის საიდუმლო გეგმის უკანასკნელი და ყველაზე რთული ფაზის შესრულებისა. ერლომყაენის გენიალური ჩანაფიქრი (როგორც ყოველივე გენიალური) მარტივი იყო: თითოეული ფედერალური თუ რეგიონული უწყების რანგით უპირველეს გრანდს – სულ ერთია, ელიტსაბჭოს, მთავრობის, უშიშროების სამსახურისა თუ ზონალური დაქვემდებარების ხაზით – ერთი სიტყვით, სახელისუფლებო ცენტრთან უშუალოდ დაკავშირებულ ნებისმიერ ხელმძღვანელ პირს ამიერიდან დაევალა პირადად აეკრიფა ხარკი: ანუ მოეგროვებინა საკუთარი ხელქვეითების მიერ ქრთამის სახით მიღებული ყველა საჩუქარი და ნებაყოფლობით ჩაებარებინა „წმინდა სამების“ შეკვეთით სასწრაფოდ აშენებულ გრანდიოზულ საცავში, რომლის ადგილმდებარეობა გასაიდუმლოებული იყო. ამ სამუშაოს შესრულებისთვის უწყების ყველა ხელმძღვანელს სუპერტოპიკის პირადი ხარჯვითი ფონდიდან ერიცხებოდა ზომიერი და აბსოლუტურად კონფიდენციალური გასამრჯელო. მაღალჩინოსნების მიერ აკრეფილი და



საცავში ჩაბარებული საჩუქრების ქვშმარიტი ფასის დადგენა ევალეობა ანონიმურ საექსპერტო კომისიას. ამ კომისიაში შეყვანილ და ასევე გასაიდუმლოებულ წევრებს – საუკეთესო სპეციალისტებს თავ-თავიანთ დარგებში – გამოჰქონდათ შესაბამისი სასერტიფიკაციო დასკვნები, რომელთა საფუძველზე სუპერტოპიკი იღებდა საბოლოო გადანყვეტილებას ამოღებული „წვრილი ძღვენების“ სამუზეუმო თუ სამეურნეო ბრუნვაში დაბრუნების თაობაზე. თავისთავად ცხადია, მონვეულ ექსპერტებს არ აწვდიდნენ არანაირ ინფორმაციას შესაფასებელი ობიექტების ქვშმარიტ წარმომავლობაზე. მოქმედებდა კონტროლის შემდეგი მექანიზმი: ჯერ ხელქვეითებისგან აკრეფილ ფულად ნიშნებს, ძვირფასეულობასა და მოძრავ თუ უძრავ ქონებას უწყებათა ხელმძღვანელები ნოტარიალურად აფორმებდნენ ფინანსთა სამინისტროში, რომლის პირველი პირი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ერლომყენის თანამებრძოლი და „წმინდა სამების“ სრულუფლებიანი წევრი იყო; ამ ოპერაციის შემდეგ აკრეფილი ნადავლის ჩამორთმევის დამადასტურებელი საბუთები ფინანსთა მინისტრს და უშიშროების სამსახურის დირექტორს სუპერტოპიკთან შეჰქონდათ, შემდეგ კი, საბოლოო ვერდიქტის გამოსატანად, სუპერტოპიკი ინვევდა საექსპერტო კომისიის სხდომას, სადაც მიდიოდა ბჭობა იმაზე თუ ვის რა, რამდენი, როდის და როგორ. შედეგად კი სამართალი პურს ჭამდა: მოპარული შედევერები ბრუნდებოდა უფიცასა და პრადოში, ჩამორთმეული ვერტმფრენები და იახტები საზეიმო ვითარებაში გადაეცემოდა წარმოების მონინავე გრანტომანებს, ფულადი ნიშნების კონფისკატი ავსებდა სახელმწიფო ხაზინას, ძვირფასეულობა აღწევდა საუკეთესო საიუველირო მაღაზიების დახლებამდე, სახელმწიფო საკუთრებაში გადასულ მიწის ნაკვეთებზე ინყებოდა საბავშვო დაწესებულებებისა და მოხუცთა თავშესაფრების მშენებლობა და ასე, და ასე შემდეგ.

აგერ, უკვე ექვს წელიწადზე მეტია, ერლომყენის გეგმა მოქმედებს და სათანადო ნაყოფიც მოაქვს. შეიძლება ყველაფერი ვერა, მაგრამ ბევრი რამ, მართლაც, დაახლოებით ისე გამოვიდა, როგორც „წმინდა სამების“ მიერ იყო ჩაფიქრებული. ხარკის აკრეფისა და დაკანონებული მექრთამეობის სისტემა თავისებურად ამართლებს. მონაგარი გროვდება ჩრდილო ყაზახეთის თითქმის უკაცრიელი ტრამალის ორმოცდაათიოდე ჰექტარზე გაშენებულ სპეცსაცავში და შემდეგ ნაწილდება სხვადასხვა მიმართულებით საექსპერტო დასკვნების საფუძველზე. ამის შესახებ, „წმინდა სამებისა“ და იმ დაჩმორებული მინისტრების გარდა არავინ იცის: არც ექსპერტებმა, არც საცავის დირექტორმა და არც სამთავრობო აპარატის ტექნიკურმა თანამშრომლებმა. კი, ვრცელდება სხვადასხვა კონტინენტებზე მოარული და უაზრო ჭორები სუპერტოპიკის უახლოეს გარემოცვაში შეღწეული ქარტიის მტრებისა და უხილავი კორუფციონერების შესახებ, მაგრამ სამართლიანობისთვის მებრძოლი სუპერტოპიკის პოლიტიკური რეპუტაციის ეჭვქვეშ დაყენებას მაინც ვერავინ ბედავს. ამ დროს კი ერლომყენის პირადი სეიფი გაძეძგილია ფედერალურ მინისტრებზე, დეპუტატებსა და უმაღლესი რანგის სხვა ჩინოსნებზე დაწერილი საჩივრებითა და დასმენებით. ამ საჩივრებსა და დასმენებზე ერლომყენის რეაგირება, როგორც წესი, სიტყვიერი კრიტიკითა და მეგობრული დატუქსვით შემოიფარგლება. კომპრომატების სიმრავლე მას საშუალებას აძლევს, საკუთარი გუნდის გასვრილი და „გაბანძებული“ წევრები კიდევ უფრო მეტად გააბანძოს და დაიმორჩილოს. მართლაც რომ სასიამოვნო ყოფილა უზენაესი არბიტრის როლი! ცხადია, ღია და, განსაკუთრებით, ფარული მტრების უგულვებელყოფა, პოლიტიკაში ყოვლად დაუშვებელია, მაგრამ დღეს სუპერტოპიკს შეუძლია, მშვიდად იყოს: ყველა პრევენციული ზომა მიღე-

ბულია, გუნდის ყველა წევრი – დანაყრებული, პლანეტის პოლიტიკური სისტემა – „არმირებულ-ჩაბეტონებული“ და ასეთ ვითარებაში უცნაური კორუფციული გარიგებების მის სახელთან დაკავშირება აზრადაც არავის მოუვა, პათოლოგის ან თვითმკვლელის გარდა. სათანადო საბუთები ბუნებაში არ არსებობს, „წმინდა სამების“ მიერ აწყობილი მექანიზმი კი შვეიცარიული საათივით მუშაობს. თავად სუპერტოპიკი საცავში შეტანილ დოვლათს თითოსაც არ აკარებს, უბრალოდ, ყოველი თვის დასაწყისში ფინანსთა მინისტრისა და უშიშროების დირექტორის თანხლებით სტუმრობს ჩრდილო ყაზახეთს, შედის საცავში, შეათვალაიერებს შემოსულ ობიექტებს, მერე რომელიმე რეზიდენციაში – ნორვეგიაში, ნიუ-ანაკლიაში ან ჰოკაიდოზე – ბრუნდება და იწვევს საექსპერტო კომისიის სხდომას. ბოლოს კი ხდება სასწაული და მოშიებული სამართალი თავის წილ პურს მიირთმევს: მოპარული შედეგები კუთვნილ ადგილს იკავებს უფიცის, ერმიტაჟისა და პრადოს წმიდათაწმიდა კედლებზე, კონფისკაციას დაქვემდებარებული ვერტმფრენები, თვითმფრინავები და იახტები გადადის წარმოების დამსახურებულ მონინავეთა პირად მფლობელობაში, ფულის ნიშნები ავსებს სახელმწიფო ბიუჯეტს, ძვირფასეულობის ნაკადი უწყვეტად მიედინება საიუველირო მაღაზიებში, მინის ნაკვეთებზე იწყება საბავშვო დაწესებულებებისა და მოხუცთა თავშესაფრების მშენებლობა და ასე და ასე შემდეგ.

მეშვიდე წელია, მოვლენები დედამიწაზე სუპერტოპიკის მზაკვრული გეგმის მიხედვით ვითარდება. ამ წლების მანძილზე ხმამაღალი პროტესტი ამა თუ იმ სფეროში მექრთამეობის მოძალების თაობაზე სულ ათიოდე დეპუტატმა თუ გამოთქვა, გლობალურ მასმედიას კი, პრაქტიკულად, მთლიანად პროპაგანდის დეპარტამენტი აკონტროლებს. ყველამ შეიგნო, რომ ამგვარი სადეპუტატო დემარშების ფასი სინამდვილეში უსასრულოდ მცი-

რეა. ნუ, დიდი-დიდი, ვილაც გაიკიცხოს, ვილაც დაიკითხოს, ვილაც ცოტა ხნით ციხეში ჩაჯდეს, მერე გამოვიდეს, მერე ისევ ჩაჯდეს, ისევ გამოვიდეს, პროტესტი კი ამასობაში ნელდება და ქრება. კი, სამჯერ თუ ოთხჯერ (და ისიც პროპაგანდისტული მიზნებით) ბადეში მართლაც მოჰყვა შედარებით დიდი ღლავი (ოლონდ მინისტრ კრაუსზე გაცილებით ნაკლები წონისა). ასეთები უცებ მოარიდეს თანამდებობას და რამდენიმე მშრალი სტრიქონი დაუთმეს ყვითელ პრესაში, შემდეგ კი ყველაფერი ძველებურად გაგრძელდა. აბა, სხვა რა ექნა, როგორ მოქცეულიყო? არც არაფერს ნანობს. ზედმეტი სისასტიკე ყელში ამოუვიდა, მტრებმა ისედაც ქვისგულოვანი შეარქვეს, იმდენი სისხლი დაუღვრია ახალგაზრდობაში, რომ... კმა-რა! ვერანაირი სხვა მეტ-ნაკლებად მისაღები ხერხით ის კორუფციის სენს ვერ გაუმკლავდებოდა, არადა, რალაც ქმედითი ზომების მიღება იმ ამყრალბული სიტუაციის ამოსაყირავებლად თუ არა, ოდნავ შესაცვლელად მაინც მაშინ სრულიად აუცილებელი გახდა.

კაცმა რომ თქვას, დღეს სუპერტოპიკს ინფორმაციის გაჟონვის ალბათობაც კი ნაკლებად ადარდებს. მისი ისტორია თითქმის ბოლომდეა დაწერილი. სასწაული თუ მოხდა და რომელიმე დაჩმორებულ მინისტრში რატომღაც უეცრად გაიღვიძა ღირსების მიძინებულმა გრძნობამ, დინება კალაპოტს მაინც ვერ შეიცვლის, ამბოხებული კი ვერას გააწყობს და დალუპავს თავსაც და ახლობლებსაც. საოცარია, მაგრამ ერლომყანის მიერ ასეთი რუდუნებით გამოძრწილი პლანეტარული ტყუილი იმდენად წარმატებული და გრანდიოზული აღმოჩნდა, რომ უტყუარი სიმართლის ნაკვეთები შეიძინა. რეჟიმი ისეა აწყობილი, რომ დაბალი რანგის ვერც ერთი გამომძიებელი ვერ გადაამონმებს აგენტურული წყაროებიდან მიღებულ მამხილებელ ინფორმაციას უშიშროების ზემდგომი რგოლის სანქციის გარეშე, ასეთი სანქცია კი არა-



ვითარ შემთხვევაში არ იქნება გაცემული და არა მარტო უშიშროება... ელიტ-საბჭოში შემავალი არც ერთი გრანდი არ დაუშვებს სტიქიური პოლიტიკური ცუნამის წარმოშობას: ავანტიურისტების დრო წინა ათწლეულში წავიდა და, იმედია, სამუდამოდაც. ან რომელ ხელისუფლებას სურს თავისი სიბინძურების სააშკარაოზე გამოტანა? – ამით ხომ ყველა წააგებს, ძლივს ანყობილ და მონესრიგებულ სისტემას მიაყენებს დარტყმას. აბა, რა დროს კორუფციანა? რევოლუციური სცენარისას ხომ სუპერტოპიკს მოქმედებისთვის ძალიან ვიწრო დერეფანილა შერჩება და რალაც სიტყვები ხომ უნდა გამოძებნოს მეომრებისთვის, როგორც მაშინ, ბალკანებში, რალაცით ხომ უნდა აღაფრთოვანოს? მარტო დაშინება არ კმარა... ხალხს რითი და როგორ მიმართოს თავად ოდესღაც ხალხის წიაღიდან გამოსულმა ერლომყაენმა? არა უსაქმურ გრანდებს, არა ხელისბიჭობაში ჩარჩენილ ხუნვებინებს, არა მონობაში გადიდკაცებულ დამპალ მინისტრებს და გაქსუებულ „გეიპუტატებს“ – სწორედ რომ ხალხს, გრანტომანებს, მასას. ხალხმა ხომ იცის და, თუ არ იცის, გუმანით შეიგრძნობს მაინც, თუ როგორი ოღრამებითა და გოთვერნებითაა სავეს მთელი ეს სახელისუფლებო ინსტიტუტები და საბიუჯეტო კომისიები. ან რაში ენაღვლება უბრალო ქაჩიკს, რომელიღაც განზოგადებულ პატარა გრანტომანს, თუ რა თვითგვემად დაუჯდა და უჯდება სუპერტოპიკს პლანეტაზე მშვიდობისა და ელემენტარული სამართლიანობის შენარჩუნება. რა თქმა უნდა, სისტემა იბრძოლებს ძველის შენარჩუნებისთვის, ამისკენ მას, უპირველეს ყოვლისა, თვითგადარჩენის ინსტინქტი უბიძგებს, მაგრამ მოიძებნება კი ქვისგულისთვის ადგილი ამ ბრძოლაში? სინამდვილეს თვალს თუ გაუსწორებს, უნდა აღიაროს: ეს ბიომასა მას ხომ უბრალოდ იტანს, ითმენს მთელ ამ გაღორებულ ფსევდოელიტას, მისი თამადობით. უბრალოდ, არ ეთმობა ჩვეული მკაცრ-კეთილი

დიქტატორი სხვების, კიდევ უფრო დიდი გარენრების, ფონზე, უარესობისკენ ცვლილების ეშინია. კი ბატონო, არალეგალებს მოერია, მოახერხა მათი მარგინალიზაცია, მაგრამ ძირითად მოსახლეობას, ამ მშრომელ ბიომასას რა უყოს? ერთი მაგათი დედაც, ფიქრობენ ჩვენზე ეს გაღლეტილი მილიარდები, ჭირსაც წაუღია ეს თვითმარქვია გრანდები და მათი ნაბიჭვარი ნაშიერები... ხეთქონ, ყლაპონ და ჭამონ, ოღონდ ჩვენც გვაცალონ პანა. სიცოცხლე ხომ, მიუხედავად ყველა სიავისა, მაინც მშვენიერია და ამ ფაქტის დაჩრდილვა ყველაზე პირნავარდნილ გლობალურ დიქტატურასაც კი არ ძალუძს. ბოლოს და ბოლოს, რამდენი კეთდება და კიდევ გაკეთდება, ცხოვრებაც ისეთი გაუსაძლისი აღარაა, ომის შემდეგ რომ იყო. შიმშილითა და წყურვილით თითქმის აღარავინ კვდება, თვით აფრიკაშიც კი. კაცობრიობა შორეული კოსმოსის ათვისებას შეუდგა, რამდენ ოჯახში დგას სუპერმაცივარი, დღეს შედარებით შეძლებული გრანტომანები, ვისაც ბედმა გაუღიმა, მთვარის დისნეილენდებშიც კი ახერხებენ შვებულების გატარებას. ერთი სიტყვით, წინსვლა აშკარაა. ოღონდაც რევოლუცია არავინ წამოიწყოს და ღამღამობით პოლიტიკურ საქმეებზე დაპატიმრებები არ განახლდეს და... ჯანდაბას, ამოიყორონ უძღები მუცლები, ოღონდ ღამე დაგვაცალონ ძილი, დილას და ნათელ დღეს კი როგორმე თვითონაც მივხედავთ. დიდი ომისგან და მასობრივი რეპრესიებისგან დაგვიცვან ღმერთმა და სუპერტოპიკმა, დანარჩენს კი მოვევლება: კორუფციასაც, დიქტატურასაც, იდიოტურ მედიასაც, მაზომბირებელ ინტერნეტსაც, გაპუტანებულ ქვეშაფსია „გეიპუტატებსაც“ და ყველა სხვა მამაძაღლობასაც. ასე ფიქრობენ მასები, ზუსტად ასე... სამაგიეროდ, სუპერტოპიკმა აჩუქა ბიომასას მშვიდობა, შანსი მისცა იმ გრანტომანებს, რომელთაც მთავრობასა და პარლამენტში მოკალათებულ პარაზიტებზე მეტად სამარ-

თლიანობისთვის მებრძოლი არალეგალი ექსტრემისტები ეზიზღება. სუპერტოპიკის ბრძნულმა პოლიტიკამ ის ხომ მაინც მოიტანა, რომ მასობრივი რეპრესიების აუცილებლობა მოისპო. დიახ, – გაიფიქრა სავარძელში უძრავად ჩაყვინთულმა ერლომყაენმა, – მე არა მარტო ვენერასა და მარსზე გაფრენილი ექსპედიციები ვაფინანსე, მე ჩემს თანამოქალაქეებს მშვიდი ძილის საშუალება მივეცი, საერთაშორისო მემჩანობის მხედართმთავარი გავხდი და მეგონა, რომ შემრჩებოდა, რომ დრო ჩემზე იმუშავებდა, რომ კორუფციის პრობლემა თავისთავად გადაინევიდა უკან, ახლა კი გამოდის, რომ დრო აღარა მაქვს, ცაიტნოტში ვარ. რევოლუცია თუ დაინყო... მაშინ ყველა ძირითადმა სახელისუფლებო რგოლმა: სუპერტოპიკმა, ელიტსაბჭომ, მთავრობამ, პარლამენტმა, გრანტომანების მობილიზებისთვის უამრავი ტკბილი სიტყვა და მაღალფარდოვანი ლოზუნგი უნდა შეამზადოს. ისიცაა მხედველობაში მისაღები, რომ ასეთი სიმწრით შეკონინებული **დიადი ქარტია** მხოლოდ რეკონსტრუქციის ეპოქის შესაბამისი საკონსტიტუციო დოკუმენტია, შინაომის ვითარებაში ის გამოუსადეგარი გახდება, ვინაიდან ფრონტის ხაზი თითოეულ ქუჩაზე, თითოეულ ბინასა და ქოხზე გაივლის. აი, მერე კი მომიწევს გულისამრევი პროცედურების სახალხოდ ჩატარება. სხვა გზას ისტორია არ დამიტოვებს: იძულებული გავხდები, ვუხმო სტაჟიან მექრთამეებს, ბებერ ოღრაშებს, გენეტიკურ ყბედებს, ლანირაკ ხუნვეიბინებს, მამალ ქურდებს და საბოლოოდ ჩავუგდო მათ პლანეტა ხელში. იმიტომ, რომ სწორედ მათ, მის რჩეულებს, მოუწევთ ხალხში გასვლა და გრანტომანების წინაშე მგზნებარე მოწოდებებით ყელყელაობა. მათ მოვალეობაში აუცილებლად შევა საზარბაზნე ხორცად გამზადებულ მასებთან გულისამაჩუყებელი ლაქლაქი პატიოსნებასა და თავგანწირვაზე, ერთგულებასა და სამშობლოს სიყვარულზე, მამაცობასა და ზნეობაზე, სექსუა-

ლურ მორალსა და სიქველეზე. საომარ პირობებში მოსახლეობის მინიმალურად გამოკვებაზე მაინც ხომ დაევალებათ ზრუნვა! მერე, ერთხელაც იქნება, ომის აურზაურში მთელი ეს ფარისევლობა იფეთქებს და ხმაურით გასკდება. ვისლა გაახსენდება მაშინ სუპერტოპიკის გაკეთებული კეთილი საქმეები, მსოფლიოს საუკეთესო მუზეუმებში დაბრუნებული შედეგები, წარმოების გამრებისთვის საზეიმოდ გადაცემული ძვირფასი მანქანები და ვერტმფრენები, ბობოლებს ჩამორთმეული და უპატრონო ბავშვებისთვის გადაცემული საცურაო აუზები და აგარაკები, მსუყე პრემიები, რომლებსაც ასე უხვად ვურიგებ მეცნიერებსა და ხელოვანებს. რამდენ სიკეთეს ემსახურება ჩემ მიერ შემოტანილი დაკანონებული მექრთამეობა, რამდენი ადამიანი გაიმართა წელში ამ შვიდი წლის განმავლობაში და ჰა – ლამის ყველაფერი წყალში უნდა ჩაიყაროს...

კიდევ სხვა რამაა უფრო სანყენი. ფაქტია, ვერავინ შემეკამათება, რომ ფარული მექრთამეობის აწყობილმა სისტემამ ახალი ენერგია შემატა კაცობრიობას. არადა, ვინც ამით უშუალოდ სარგებლობს – ყველა ის მუშა თუ ფერმერი, კონსტრუქტორი თუ მეცნიერი, მწერალი თუ მხატვარი, ყველა ის, ვინც ამ სისტემის წყალობით მოსუქდა და მოძლიერდა, – ნათლად თუ წარმოიდგენს წყაროს, საიდანაც ასე მსუყედ მარაგდებოდა მთელი ამ წლების განმავლობაში, პირველი განუდგება და დაიბანს ხელებს. მაგათ ყოველივე ხომ ციური მანანა ჰგონიათ, ციური კი არა და... ჩანსილებულები არიან, იღებენ პროცენტებს იმ დოვლათიდან, რომელსაც „წმინდა სამება“ ენერგის დაუზოგავად და რისკიანად აგროვებს იმ საცავში, ყახაზეთის სტეპში მიუდგომელ ადგილას რომ გადაჭიმულა. რაც შეეხება პატიოსან მოქალაქეებს... ეგ პატიოსნები მას პირველები გაკიცხავენ, რადგან „სუფთა“ ფულით მიღებულ გასამრჯელოს არიან დაჩვეულნი. გარდა ამისა, ვინ



დაიჯერებს, რომ მექრთამეობის პატრონაჟით ხელები არ მოვითბე? არც არავინ. არადა, მაშინ, შვიდი წლის წინათ, თითქოს ყველაფერი გავითვალისწინე... შეცდომა ხომ არ მომივიდა? რა საზიზღარი სიტყვაა „შეცდომა“, სპილენძის გემო ნაჰკრავს, სისხლიანი სპილენძისა, მით უმეტეს, თუ დიქტატორი ხარ და ვერავის ენდობი ორად ორი ძველი თანამებრძოლის მეტი. მერე ეს გაუთავებელი ჭორები... მაინც რამდენი ღორია ირგვლივ! კარგია, რომ უშიშროების დირექტორი ჩემი ნაცადი მეგობარია და მის მოტანილ სიმართლეს მე ვიტან და ვითმენ. ეგ ვაჭბატონი არც ჩემზე მოარული ყოვლად სულელური ანეკდოტების მოყოლას ერიდება, იცის, რომ ძველი ამფსონი ამისთვის არ გაკიცხავს. იუმორის გრძობა არაფერ შუაშია, უბრალოდ, ამის უფლებას თავს ვერ მივცემ. ჯერ ხომ სიმართლის გაგება, თუნდაც ანეკდოტებიდან, ისედაც ღირებულია, მეორეც – სრული იდიოტობაა, გადავიკიდო ადამიანი, რომლის კეთილგანწყობაზე ასე ვარ დამოკიდებული. სხვათა შორის, პირიქითაცაა: მთელი პოლიტიკური ბომონდის თვალში უშიშროების დირექტორი ხომ ჩემი პირადი აგენტი, უპირველესი ჩამშვეები და დამსმენია. ეგაა, რომ „წმინდა სამებაში“ ის განსაკუთრებულ როლს ასრულებს, მის გარეშე ბრმა და ყრუ ვიქნებოდი და დღემდე ბარე ასჯერ ნავიმტვრევდი კისერს...

ოდნავ, გულის სიღრმეში, სუპერტოპიკი მაინც ნანობს. ეჰ, ნეტავი, შინაგანი ძალა ეყოს ახალი წმინდის ჩასატარებლად! მაგრამ ამისთვის მან ისევე უნდა ცვალოს კადრები, დაუპირისპირდეს თავისივე შექმნილ ელიტას, გააკეთოს იგივე, რაც წინის წინა საუკუნეში მილიარდიან ჩინეთში ვინმე ამხანაგმა მაომ გააკეთა: ახალი „კულტურული რევოლუციის“ ქარცეცხლში გაატაროს გაზულუქებული გრანდების მმართველი პარტია, მაგრამ... აღარც ასაკი უწყობს ხელს და აღარც ობიექტური ვითარება. ვისაც რა

უნდა, ის თქვას, მაგრამ ცუდად მაინც არ უპოლიტიკოსია. ცუდი პოლიტიკოსი რომ ყოფილიყო, ჯერ კიდევ იმ ნადირობაზე მიანვენდნენ, ჩვიდმეტი წლის წინათ, მაგრამ მაშინ ლამის ყველაფერს თვითონ აკეთებდა, ინიციატივას ყოველთვის თავად იჩენდა, ზღვა ენერჯის პატრონი იყო, ახლა კი... ახლა გვიანია. ძალაუფლების მახეს რანაირად გაეყაროს? როგორ ჩამოიხსნას პასუხისმგებლობის ტვირთი, ოცწლიანმა ერთპიროვნულმა მმართველობამ რომ აჰკიდა?...
●

ამ შეგნებულად შემოკლებული და ლიტერატურულად დამუშავებული ვარიანტის წარდგენით იხურება საიდუმლო საქმე კოდური სახელწოდებით „ხილვა“ და იწყება ერლომ ნუცუბიძის კომატოზურ ტვინში მოხარშული ნაყოფის ჩვენთვის უცნობი მკითხველის მიერ დაგემოვნების პროცესი. დიახ, საქმის განხილვა ამ ეტაპზე დასრულებულია, თუმცა არც მისი თაროდან გადმოღებაა გამორიცხული. მომავალში ეს მრავალ ფაქტორზე იქნება დამოკიდებული.

წამით წარმოიდგინეთ, რომ კაცობრიობას სწორედ ასეთი, ერლომის მიერ აღწერილი მომავალი ელის – თავისი ატომური თუ კოსმიური ომებით, შიმშილითა და შიმშილთან ბრძოლით, ეროვნული სახელმწიფოების გაუქმებით, ფარისევლური კონსტიტუციით, შეიარაღებული სპეცბრიგადების პარპაშით, ტოტალიტარული წყობით, დიქტატურის წნეხით, დაკანონებული მექრთამეობით. წარმოიდგინეთ ისიც, რომ ეს ინფორმაცია არა მხოლოდ მძლავრი სპეცსამსახურებისა და ბირთვულ სახელმწიფოთა ლიდერების იდუმალი კუთვნილება ხდება, არამედ რომელიმე თანამედროვე ინტერნეტ-რესურსის, თუნდაც იმავე ვიკილიქსის წყალობით ყველასთვის ხელმისაწვდომია. რა შედეგს მოიტანდა ასეთი გახსნილობა? იქნებ, ხილვაში აღწერილი სცენარის კიდევ უფრო გაუარესებას, ნაადრევ

სოციალურ რევოლუციებსა და კიდევ უფრო საშინელი ბირთვული ომის გაჩაღებას დედამიწაზე, თანაც გაცილებით მალე? იქნებ, განგების ნებით, ერთი უბრალო სამტრედიელი მემანქანის სიცოცხლე სულაც იმას შეენირა, რომ ყველამ შესარგები შევირგოთ და ჩვენივე სისულელით, გაუტანლობით, უკუღმართობითა თუ გაუმაძღრობით სრულიად არ გავანადგუროთ დედამიწა – ჩვენი საერთო აკვანი. ვინ იცის...

ერთიც კია: იმას, რომ ხილვის ცენტრალური პერსონაჟი, ერლომყაენ ქვისგული მემანქანე ერლომ ნუცუბიძის alter ego-ა, თვით სუპერტოპიკის ბიოგრაფია ცხადყოფს. გაუგებარია ოღონდ, ვინ იყო ის პაპამისი, რომლის გადარჩენილი საარქივო საბუთის მიხედვით ჯერ მოხერხდა ერლომყაენის პიროვნების, როგორც ქართველის იდენტიფიცირება, ხოლო ათწლეულების შემდგომ, პოლიტიკური კარიერის მწვერვალზე, მისთვის საზაფხულო რეზიდენციის მშობლიურ მხარეში – ნიუ-ანაკლიაში – აგება? ვინაიდან, როგორც ვიცით, ჭეშმარიტ ერლომს მამა ფრონტზე დაეღუპა, შესაძლოა, ვიფიქროთ მის დიდ პაპაზე – ძველ რკინიგზელ ონისე ნუცუბიძეზე, რომლის წყალობით (გარკვეულწილად) მომავალში დედამიწის მართვის პულტი, ზაფხულობით მაინც, ჩვენი წინაპრების მიწაზე, ნიუ-ანაკლიაში აღმოჩნდება. ისე, გორის გამოცდილებაც გვაქვს ქართველებს და სამტრედია ვითომ რითია ნაკლები? მადა ჭამაში მოდის. არც ისაა გამორიცხული, რომ გონებანართმეული, თუმცა ტყუპისცალეობივით მსგავსი ერლომების უტოპიურ ფანტაზიებში

გაცილებით მეტი რეალობა სუფევდეს, ვიდრე რეალურად მოაზროვნე იმ თანამედროვე ჭაბუკებში, რომლებიც, კარგა ხანია, საკუთარი პატივმოყვარე ზრახვების მძევლებად იქცნენ. სავარაუდოა, რომ ეს ნაადრევად დაბერებული ჭაბუკები, ერთხელაც იქნება, ერლომყაენების ბედს გაიზიარებენ, თუმცა არც ის ივარგებს, მათზე საბოლოოდ ჩავიქნიოთ ხელი. იმედს ბოლომდე ნუ გადავიწურავთ: იქნებ, ერლომის ეს კონკრეტული ხილვა რაფაზე მიტოვებული ანთებული სიგარეტის კვამლივით გარემოში უკვალოდ კი არ გაინოვება, არამედ სათანადო დროს ხვალინდელი დღის რეალურ ნაკვთებს მიიღებს და აი, მაშინ კი მოგვიწევს სკამიდან წამოდგომა და ამ განარქივებული საქმის თაროდან ხელმეორედ გადმოღება.

და, რასაკვირველია, მისი გამოქვეყნება.





ბია სიათაშვილი

ზამთრისპირის ჩანაწერები

ნიგნების დალაგებისას ხელში მომხვდა და გადავიკითხე ზურაბ კაკაბაძის 1970 წელს რუსულად გამოცემული „ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა“. თავისუფალ ფილოსოფიურ აზროვნებას, ისევე, როგორც კლასიკურ ლიტერატურას, ყავლი არ გასდის და ყველა დროისთვის აქტუალურია. „გაუცხოება ნიშნავს იმგვარ მდგომარეობაში ყოფნას, რომელშიც ადამიანი თავისი მოქმედებით უპირისპირდება მისივე არსობრივი სურვილების რეალიზებას. გაუცხოებული ადამიანი ქმნის რალაც ისეთს, რაც იძენს მისგან დამოუკიდებელ ძალას და ბატონობს მასზე, ხელს უშლის თვითრეალიზებაში...“ მართლაც, ადამიანს ხშირად არავითარი ინტერესი არა აქვს იმ საქმიანობისადმი, რომელსაც ეწევა, მაგრამ თითქოს სჭირდება მისგან დამოუკიდებელი უცხო ძალის არსებობა, რომელიც განკარგავს მის ცხოვრებას. ეს დამოუკიდებელი ძალა შესაძლოა იყოს სახელმწიფო თუ კერძო ორგანიზაცია, პარტია, რელიგიური თემი... ადამიანი ვერ ახდენს თვითრეალიზებას და რალაც ორგანიზაციას აბარებს გზაბნეულ სულს, რათა ამ საშუალებით მაინც მოიხსნას ინდივიდუალური არსებობის ტვირთი. ჭეშმარიტი თვითრეალიზება რთულია და ადამიანი ცდილობს, გარეგანი აქტივობით, იერარ-

ქიაში ყოფნით, ადამიანებთან ფორმალური ურთიერთობით შეიქმნას თვითრეალიზების ილუზია.

ნიგნის კიდევ ერთი იდეაა თავისუფლებისკენ სწრაფვა, როგორც ადამიანისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური ნიშანი. მხოლოდ შემოქმედებით აქტივობაში გრძნობს ადამიანი თავისი პიროვნების განუმეორებლობას. სურს ეზიაროს ობიექტურ რეალობას და აღმოაჩინოს მასში საყრდენი. ამ ზიარების მოთხოვნილება ვლინდება სხვა ადამიანებთან შინაგანი, არაფორმალური ურთიერთობისკენ სწრაფვაში.

თავისუფლება, შემოქმედება, არაფორმალური ურთიერთობა არ წარმოადგენს „ნივთიერებათა ცვლის“ რეგულირების საშუალებას, არამედ თვითმიზანია. ნიგნს ლაიტმოტივად გასდევს ფრაზა: **„თავისუფალი, შემოქმედებით-ინდივიდუალური საქმიანობა“**. ეს არის გაუცხოებისგან თავის დაღწევის ერთადერთი საშუალება. სულიერ-პიროვნული ურთიერთობისკენ სწრაფვა ადამიანის ფუნდამენტური მოთხოვნილებაა, რომლის რეალიზების გარეშე იგი ვერ იქნება სრული ადამიანი.

„ცხოვრების, შრომითი საქმიანობის მექანიკური რიტმი იწვევს მონყენილობის უკურნებელ სენს. შემოქმედებით

აქტივობას, ინდივიდუალობის გამოვლენის შესაძლებლობას მოკლებული ადამიანი კარგავს თვითღირებულების განცდას და იტანჯება არასრულფასოვნების კომპლექსით, რადგან სრულფასოვნებას მხოლოდ იმ შემთხვევაში განიცდის, როდესაც მოქმედებს, ქმნის, შემოაქვს რაღაც ახალი და საკუთარი. ამის გარეშე ადამიანი კარგავს შინაგან კონტაქტებს სხვა ადამიანებთან და ინტიმურ კავშირს გარე სამყაროსთან. ადამიანები მაშინ ავლენენ ერთმანეთისადმი ინტერესს, როდესაც გააჩნიათ რაღაც ისეთი, რაც შეუძლიათ აჩვენონ, გაუზიარონ ერთმანეთს. ხოლო როდესაც კაცის ცხოვრება მექანიკურ შრომასა და მოხმარებამდეა დაყვანილი, ძნელია დაინტერესდე მისი ცხოვრებით. ადამიანს მხოლოდ მაშინ გააჩნია ინტიმური ურთიერთობის განცდა გარე სამყაროსთან, როდესაც შესწევს უნარი სულიერი კვალი დაამჩნიოს მას...“

საინტერესოა, რატომ არ იწერება დღეს ასეთი წიგნები? დავიჯერო, ეს კითხვები აქტუალური აღარ არის, თუ საბოლოოდ ჩავიქნიეთ ხელი სულიერ ცხოვრებაზე და პრიმიტიული გართობისა და მოხმარების მეტი აღარაფერი გვაინტერესებს.



ჯერ კიდევ 80-იანი წლების ბოლოს მერაბ მამარდაშვილი გვირჩევდა, ყველა ერთად ნუ გადავეშვებოდით პოლიტიკის მორევში, რადგან ამ მორევიდან ნაპირზე ამოსულები შიშველ-ტიტველნი აღმოვჩნდებოდით. მაინც გადავეშვით და სხვა აღარაფერი გვახსოვს. ამ დროს ქვეყნის წარმატება, მათ შორის პოლიტიკურიც, უფრო სხვა საქმეებში გარჯაზეა დამოკიდებული, მაგრამ არა, დიდიან-პატარიანად მაინც ამ მოჩვენებით საზრისებს ვებლაუჭებით და ასე ვცდილობთ თვითდამკვიდრებას. აღარც ხელოვნება აინტერესებს ვინმეს, არც მეცნიერება, არც ლიტერატურა, ყოველი მსჯელობა პოლიტიკასთან უნდა იყოს კავშირში. ერთი ჟურნალის ყდაზე ლ. ულიცკაიას

ფოტო იყო გამოტანილი. დარწმუნებული ვარ, რომ ამ ჟურნალში მის ლიტერატურულ შემოქმედებაზე არაფერი იქნებოდა ნათქვამი. მთავარი ის არის, როგორ შეფასებას აძლევს მწერალი თანამედროვე გლობალურ პროცესებს და რუსეთის ჩართულობას მათში. რას იზამ, რაზეც მოთხოვნა არსებობს, ის იბეჭდება.

წარმოვიდგინოთ უზარმაზარი ორგანიზაცია, რომელშიც ასობით განყოფილებაა და ყველა მათგანს თავისი კურატორი ჰყავს. კურატორი აწვდის გეგმას და აკონტროლებს მის შესრულებას. ნებისმიერი საქმიანობა ამ გეგმის ფარგლებში უნდა წარიმართებოდეს. ეს თვალნათლივ ჩანს მრავალი რედაქციის, არასამთავრობო ორგანიზაციის მუშაობაში. ყველაფერი რაღაც ჩარჩოებსა და პარამეტრებშია მოქცეული, ყველას ვილაცის უხილავი ხელი მართავს და ეს ხელი უნაწილებს ლუკმებს – ზოგს მეტს, ზოგს ნაკლებს. მოკლედ, რაღაც მოთვინიერებული და განვრთნილი ცხოველებით არის წარმოდგენილი საჯარო სივრცე. თუ ვინმე არღვევს დანესებულ ნორმებს, ესეც მთავარი „რეჟისორის“ ჩანაფიქრის შესაბამისად ხდება, რაღაც ნაირფეროვნების შემოტანის მიზნით, მაგრამ ძირითადად ჟურნალისტებიც და ექსპერტებიც ერთსა და იმავე მოსაწყენ შტამპებს იმეორებენ, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვს რეალურ ცხოვრებასთან. ამ დროს გადაცემებს ჰქვია: „თავისუფალი ტრიბუნა“, „თავისუფალი აზრი“, „თავისუფალი რადიო“. თავისუფლების იმიტაციაში ბადალი არ გვყავს. რა ქნან, რასაც უკვეთავენ და რაშიც ფულს უხდიან, იმას აკეთებენ – სიზიფესავით დაულალავად მიაგორებენ ერთსა და იმავე ლოდს, თან მომღიმარი სახით.



მონდიალიზმი განსაკუთრებულ იდეოლოგიას ნიშნავს, რომელიც ყველა სახელმწიფოს და ხალხების ერთ მსოფლიო წარმონაქმში შერწყმას გულისხმობს,

რასაც თან ახლავს ეროვნული და კულტურული თავისებურებების მოშლა. მემარჯვენე მონდიალიზმი ატლანტიზმის გლობალიზაციას წარმოადგენს. მემარცხენე აუცილებლად მიიჩნევს ევრაზიული სექტორის ჩართვას ერთიან სახელმწიფოში. ჩვენ ჯერჯერობით მემარჯვენე მონდიალიზმის მიმდევრები ვართ და ამ გზაზე, ბუნებრივია, თანდათან ვკარგავთ ეროვნული კულტურის ნიშნებს. დოლარისა და ლარის კურსზე დამოკიდებული მომხმარებელი ეროვნულ თვითმყოფადობაზე ვეღარ ფიქრობს – რა დროს ეროვნული კულტურაა, როდესაც სამომხმარებლო კალათაა შესავსები. ეს გოტალური და დაუსრულებელი სილატაკეც მონდიალისტური პროგრამის ნაწილი მგონია. იყო დრო, როდესაც ეკონომიკურ კრიზისს მხოლოდ ხელისუფლებას ვაბრალებდით. მიგვაჩნდა, რომ დასავლეთი ყველანაირად ცდილობს ჩვენს დახმარებას, მაგრამ აი, უნიათო რეტროგრადული მთავრობა ვერ იყენებს ქვეყნის სასიკეთოდ ამ დახმარებას. დღეს აშკარაა, რომ არსებული მდგომარეობა შეთანხმებული პოლიტიკის შედეგია. მასის ნიველირება გაცილებით უფრო იოლია, ვიდრე საშუალო მესაკუთრეთა ფენისა, რომელსაც ბიოლოგიურის გარდა, სხვა მოთხოვნებიც აქვს. მესამე სამყაროს ქვეყნებში უნდა არსებობდეს მართული ხელისუფლება და მის დაქვემდებარებაში მყოფი ღარიბ-ღატაკი მასა. ეს არის ახალი მსოფლიო წესრიგის ლოგიკა, მონდიალიზმი კომუნიზმის სანაცვლოდ.

„საბჭოური ქართული ენა“

ტელეგადაცემებს იშვიათად ვუყურობ. იმ გადაცემების ყურებაც, რომლებსაც ვითომ რაღაც ღირებულება გააჩნია, დროის უქმად ფლანგვაა, თუმცა ეს ჩემი სუბიექტური აზრი გახლავთ. ახალ ამბებს ძირითადად რადიოთი ვისმენ, ჩვენი პოლიტიკოსებისა და ექსპერტების მხრიდან მათი განხილვა და კომენტირება არ

მაინტერესებს. ხანდახან ვუსმენ შემეცნებით-კულტურულ პროგრამებს. სამწუხაროდ, ისინიც საბჭოეთის დროინდელ ანალოგიურ გადაცემებს მაგონებს თავისი ყალბი პათეტიკით და შესაბამისი ფრაზეოლოგიით. თუ რომელიმე ხელოვანს ეძღვნება გადაცემა, ის აუცილებლად გენიალური, განუმეორებელი ან ლეგენდარულია, მისი კვალი წარუშლელია... მსგავსი რიტორიკა მეტყველებს ჟურნალისტის გაუნათლებლობაზე. დაზვიანებული აქვს ერთი და იგივე ეპითეტები, რომელთა გამოყენება ათავისუფლებს საგნობრივი მსჯელობისგან, რისი არც თავი აქვს და არც შესაბამისი ცოდნა. ძველი კლიშეების გამოყენება იმაზეც მეტყველებს, რომ კულტურაში არაფერი ახალი და ღირებული არ ხდება, ამიტომაც „სულების გამოძახება“ საჭირო, მათივე დროში მათზე ნათქვამი სიტყვების გამეორება.

ზუსტად ასეთივე „დეჟავიუს“ განცდა მეუფლება სახელმწიფო მოხელეთა მოსმენისას. ამ ახალგაზრდებს, ჩემგან განსხვავებით, თითქოს საბჭოთა დროში არ უცხოვრიათ. მაშ, საიდან იმჟამინდელი პროტოკოლური ენის ასეთი უზადო ცოდნა. ალბათ, სპეციალური ტრენინგების კურსები არსებობს. საკმარისია, შეცვალო რამდენიმე სიტყვა, მაგალითად, კომუნისტური – დემოკრატიულით, სოციალისტური – ეროვნულით, საბჭოთა ჯანდაცვა – ეროვნული ჯანდაცვით... საერთოდ, „ეროვნული“ ისეთი უნივერსალური სიტყვა აღმოჩნდა, რომ ნებისმიერ მცნებას მიესადაგება.

მიზეზი გასაგებია: როდესაც სისტემა არ იცვლება, მისი მომსახურება იმავე ენით, იმავე სააზროვნო კლიშეებით ხორციელდება, რომლებიც გასულ საუკუნეში მრავალწლიანი შტუდირებით იყო დანერგილი. ისე, ვინც კულტურის სფეროში „ახალი ენით“ ცდილობს საუბარს, იმას, როგორც წესი, ისეთი აბდაუბდა გამოსდის, რომ ფიქრობ, ამას ისევ ის „საბჭოთა ქართული“ სჯობს – გასაგები მაინც არის.

●
 ტელე და რადიოგადაცემები მასხენებენ ერთ სცენას „ფაუსტიდან“, რომელშიც ფაუსტის მოსწავლე ესაუბრება ეშმაკს.

მოსწავლე: „მაგრამ სიტყვას ხომ ცნებაც უნდა ზურგს უმაგრებდეს!

მეფისტოფელი: „ეს მართალია! თუმცა მართალი არის აგრეთვე, რომ სულაც არ ღირს ამის გამო დიდხანს წვალება, რადგან თუ სადმე უცნებებოდ დაგრჩება ფრაზა, სიტყვები მყისვე აღმოგიჩენს იქ დახმარებას. სიტყვები სძენენ კამათს თავის შნოსა და ლაზათს, სიტყვებით ქვეყნად ათასნაირ სისტემებს ქმნიან, სიტყვებს ადვილად იჯერებენ და სანდოდ სთვლიან...“

ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს ეშმაკის მიერ დატრენინგებული ხალხი გველაპარაკება დღე და ღამე. სიტყვებით ქმნიან არარსებულ საზოგადოებრივ სივრცეს, რომლის შიგნით იმართება სჯაბაასი, ცხარე კამათი, განევ-გამონევა. საუბრობენ სახელმწიფოს მონყობაზე, მის პროდასავლურ თუ ევრაზიულ ორიენტაციაზე, ეკონომიკაზე, ეკოლოგიაზე, ერთსქესიანთა ქორწინებაზე და ა. შ. ასე იქმნება დინამიკური ცხოვრების იმიტაცია, რეალობა კი სრულიად განსხვავებულია. უსაქმოდ დარჩენილი ხალხიც ერთვება „თამაშებში“. შესაძლოა, ეშმაკის ანდერძს რომ ვასრულებთ, იმიტომაც ვერ გამოვდივართ მოჯადოებული წრიდან, მაგრამ, გვინდა კი გამოსვლა? – რეალური მოქმედება ხომ რისკებთან და გაუთვალისწინებელ შედეგებთან არის დაკავშირებული.

ჩვენი მდგომარეობის ხატოვან ილუსტრაციას წარმოადგენს ასევე მოციქული პავლეს წერილი რომაელთა მიმართ:

„ამაო გახდა მათი გონიერება და დაუბნელდათ უმეცარი გული. ამიტომ გადასცა ისინი ღმერთთა უწმინდურებს მათი გულისთქმებით. რომელთა ღვთის ჭემმარიტება შეცვალეს სიცრუით, თაყვანს სცემდნენ და ემსახურებოდნენ ქმნილ-

ბას, ნაცვლად შემოქმედისა, რომელიც კურთხეულია უკუნისამდე (რომაელთა 1. 21-22-24-25).

●
 ახლობლის წლისთავზე ვიყავი. თამადა დაჭრილი ჯარისკაცივით დგებოდა, ოდნავ ბარბაცებდა. არა, სიმთვრალისგან არა – სცენარის მიხედვით. სადღეგრძელოებს გულამოსკვნილი წარმოთქვამდა, ჭიქა ავგაროზივით ეპყრა ხელთ, თითქოს მასში რალაც იდუმალი ბედისწერა იყო დავანებული. აშკარაა სუფრის რელიგიასთან კავშირი. რეალური ცხოვრებიდან განდევნილი მეტაფიზიკა სუფრაზე ბრუნდება. ობლად გრძნობს ადამიანი თავს მეტაფიზიკის გარეშე და სხვებთან ერთად საკუთარი თავის გაცოცხლება თუ გამხნელება სურს. – რა არის სუფრის ტრადიციაში ცუდი? – კითხულობს ერთი მკვლევარი. – არც არაფერი, პირიქით. ადამიანს ეძლევა თვითგამოხატვის საშუალება. სახელმწიფოს დიდი ხანია დავინყებული ჰყავს, ხშირად ახლობლებიც არ სწყალობენ. სუფრაზე იღებს და გასცემს ენერგიას, რაც ცოცხალი ცხოვრების გამოხატულებაა.

●
*როგორც სენატში კალიგულას ბებერი ცხენი,
 ვშიშობ ნიადაგ, არ დამნამონ საქმე
 საცილო,
 არ გამიბრაზდეს, არ შემხედოს არავინ
 ნყენით.
 როგორც სენატში კალიგულას ბებერი ცხენი,
 ამ წარჩინებულ გვამთა შორის ვარ
 სასაცილო.*

რ. ჩილაჩავა

ერთი ქალბატონი საჯარო გამოსვლისას სინანულით ლაპარაკობდა პიროვნებათა დეფიციტზე. უნებლიეთ გამახსენდა ფსიქოანალიტიკოსები: ადლერი, რაიხი,

მათი მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ ოჯახიც და სახელმწიფო ინსტიტუტებიც – სკოლიდან დაწყებული – ცდილობენ საზოგადოების სტანდარტული ნევრის ფორმირებას, რაც, როგორც წესი, ადამიანის ბუნებრივი, ინდივიდუალური თვისებების ნაშლის ხარჯზე ხდება. თუ მას რაიმესადმი განსაკუთრებული ნიჭი არ აღმოაჩნდა, ყოველთვის ცდილობს საზოგადოებაში არსებული სტანდარტების, სტერეოტიპების შესაბამისად მოქცეს. ამგვარ ქცევაზე უარის თქმა სახიფათოა – დიდი ალბათობით გარიყული და დაუცველი აღმოჩნდება. ინდივიდუალობის გამოვლენა რჩეულთა ხვედრია.

პიროვნებათა დეფიციტი იმითიც არის გაპირობებული, რომ უმრავლესობას არა აქვს რაიმესადმი პროფესიული ინტერესი და მხოლოდ მატერიალური ინტერესით არის მოტივირებული. თუ ადამიანი უმუშევარია ან ვიღაცის წყალობით არის სადმე მონყობილი ისე, რომ საქმე არ აინტერესებს (ასეთები კი უმრავლესობაა), ძნელია იყოს პიროვნება. რა თქმა უნდა, მარგინალებშიც გვხვდება პიროვნებები და შესაძლოა უფრო ხშირად, ვიდრე ფორმალურად დასაქმებულ ადამიანებში, რომლებმაც არც უწყიან, სად არიან მოხვედრილნი და რა ევალებათ, ხელმძღვანელის მიმართ პირმოთნეობის გარდა. ადამიანი, რომელიც მონოდებით მუშაობს, დარწმუნებულია საკუთარ თავში და სადღაც შეკედლებულად კი არა, საზოგადოების სრულფასოვან ნევრად გრძნობს თავს. თავდაჯერებულია, არავის გულის მოგებას არ ცდილობს, პატიოსნად და პროფესიულად ასრულებს თავის მოვალეობას.

მოსახლეობის დიდი ნაწილი კი საერთოდ გარიყულია საზოგადოებრივი სივრციდან. მეცინება, როდესაც ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაციაზე საუბრობს მავანი, თითქოს „უმრავლესობა“ უკვე ინტეგრირებული იყოს. როდესაც სიყალბე პოლიტიკის რანგშია აყვანილი, პიროვნებების კი არა, უბრალოდ, წესი-

ერი ადამიანების არსებობაც კი გასაკვირია. მიუხედავად ამისა, ღვთის წყალობით, არსებობენ.

P.S.

დიოგენე დღისით, მზისით ანთებული ფარნით დადიოდა, როცა ჰკითხეს, რად გინდა ფარანიო? ადამიანს ვეძებო, მიუგო.

●

„სიბნელე“ ცნობიერების თანდაყოლილი თვისებაა, რომელსაც ფორმალური განათლება ვერაფერს შევლის. ადამიანი საღად აზროვნებს, ლოგიკურად მსჯელობს, მაგრამ მისი ცნობიერება თითქოს რაღაც ჩარჩოებშია მოქცეული, საიდანაც გამოსავალი არ არის. განმანათლებლობა ბუნების ამ კანონს დაუპირისპირდა და სულის რელიგიური განათლების ნაცვლად გონების განათლება განიზრახა, მაგრამ გონების განათლების ფარგლები ისეთივე დასაზღვრული გამოდგა, როგორც სულის. ახლა ისევ რელიგიას დაეუბრუნდით და იმავე საზღვართან აღმოვჩნდით.

●

პროფესიისა და ცხოვრების მეგზურის არჩევა – ორი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენაა ცხოვრებაში, რომლებსაც საკუთარი თავის ცნობა უნდა უძღოდეს წინ. ამ დროს უმრავლესობა საკუთარი თავის შეცნობას გარდამავალ ასაკში ასრულებს და შემდგომ უცვლელი სახით ინარჩუნებს მას. „თვითობა“ არის რაღაც მოცემულობა, რომელიც ნაკლებად აინტერესებს ადამიანს. ზრუნვის საგანს წარმოადგენს არსებულ რეალობასთან ადაპტაცია-ინტეგრაცია. ეს დაახლოებით იგივეა, მსახიობს საკუთარ თავზე მეტად მის მიერ განსახიერებული გმირის ცხოვრება რომ აინტერესებდეს. ადამიანის ფსიქიკური და გონებრივი ძალები მიმართულია გარეგანი „მეს“ წარმატების უზრუნველსაყოფად. საზოგადოებაც ყველანაირად ახალისებს ამ განწყობას, შთააგონებს რა, რომ ჭეშმარიტ ღირებუ-

ლებას მხოლოდ მისი სოციალური როლი წარმოადგენს, რასაც მსხვერპლად უნდა მოუტანოს ყველაფერი დანარჩენი, მათ შორის ინდივიდუალობაც. ადამიანი უსიტყვოდ იღებს ამ პირობას და სრულიად ივიწყებს ინდივიდუალობას. მხოლოდ მოსამსახურის როლს ანიჭებს „მეს,“ რომლის ნუხილები და ჩივილები არ აინტერესებს. ეს ნიშნავს თავის დავინწყებას, დეპერსონალიზაციას, რასაც ფილოსოფიაში გაუცხოება ეწოდება. ასეთ ადამიანს არც მეგობრობა შეუძლია და არც სიყვარული. ის იქცევა ტექნიკურ საშუალებად, რომელიც ფუნქციონირებს, სანამ მწყობრიდან არ გამოვა. საზოგადოებრივი ფუნქციის დაკარგვა მისთვის კატასტროფის ტოლფასია, რადგან გაუცხოებულია საკუთარ შინაგან „მე“-სთან და თითქმის არაფერი აქვს მასთან საერთო. შესაძლოა, მხოლოდ ბავშვობის მოგონებები, როდესაც არ „თამაშობდა“ და უშუალოდ განიცდიდა ცხოვრებას, ზრდასრული ცხოვრება კი მთლიანად საზოგადოებაში თავის დამკვიდრებას მიუძღვნა, მაგრამ აი, დასრულდა „გარეგანი“ ადამიანის ცხოვრება, შინაგანი ცხოვრების ჩვევები კი არ გამოუმუშავებია.

ამ საკითხებს წინა საუკუნის 80-იან წლებში ეგზისტენციალური ლიტერატურის მაგალითებზე განვიხილავდით, თუმცა იმჟამადაც ცოტა ვინმეს თუ აინტერესებდა მსგავსი საკითხები. აწყობილი სისტემა ჩვეულ რეჟიმში მუშაობდა, ვის ანაღვლებდა შინაგანი „მე.“ საბჭოთა იდეოლოგიისთვის არ არსებობდა გაუცხოების თემა, რადგან „ძმურ“ კავშირში ვცხოვრობდით, სადაც ადამიანი ადამიანისთვის ძმად და მეგობრად მოიაზრებოდა, მაგრამ საბჭოური ფასადის მიღმა ტრადიციული პატერნალიზმი და კლიენტელიზმი ყვაოდა.



პოლიტიკოსთა საუბრების ფარული ჩანაწერები ნათლად წარმოაჩენს მათ მსოფლმხედველობას და აზროვნე-

ბის წესს. ერთია ოფიციალური რიტორიკა, რომელიც „ევროსტანდარტებს“ უნდა პასუხობდეს და სულ სხვაა პირადი საუბრების ლექსიკა, რომელიც არა მარტო მათი დახასიათების საშუალებას იძლევა, არამედ ზოგადად გამოხატავს პოლიტიკური კლასის მენტალიტეტს. ოფიციალური ენის შესაბამისად არც აზროვნებენ და არც მოქმედებენ. საჯარო დისკურსი და რეალობა ორ პარალელურ სივრცეს წარმოადგენს, რომლებიც არც ერთ წერტილში არ იკვეთება. ორმაგ სტანდარტებზე საბჭოთა პერიოდშიც ბევრს საუბრობდნენ. სამწუხაროდ, პირდაპირი მექვიდრენი გახლავართ იმ წყობის. მაშინ ორმაგ სტანდარტებს სისტემის უკუღმართობას მივანერდით, რაც სიყალბის პროვოცირებას ახდენდა. საზოგადოებრივი ურთიერთობები დამოუკიდებლობის წლებში არსობრივად არ შეცვლილა. ახალმა თაობამაც იმ სოციოკულტურასთან მოახდინა ადაპტაცია, რომელიც დახვდა. არასამთავრობო ორგანიზაციები, მესაკუთრეთა ფენა და მედიაპლურალიზმი მშვენივრად შეენყო საბჭოთა მმართველობის პრაქტიკას, მაგრამ რომელიმე ხელისუფლებას ახლო მომავალში თავში რომ მოუვიდეს ძალაუფლების ვერტიკალის ჰორიზონტალით დაბალანსება, რეალური თვითმმართველობის დამკვიდრება, ხელისუფლების დანაწევრება... შესაძლოა ისეთი პროცესების მომსწრენი აღმოვჩნდეთ, რომ ავტორიტარიზმი სანატრებელი გაგვიხდეს.



„მუდრეგი“ სულხან-საბასთან უპატრონოს ნიშნავს, რომელსაც თურქები „იავარს“ უწოდებენ. აქედანაა „იავარქმნილი“, აოხრებული. თანამედროვე ლექსიკონის განმარტებით, „მუდრეგი“ ოხერს, ტიალს, უპატრონოს ნიშნავს. უპატრონო ასოცირდება უვარგისთან, ოხერთან. პატრონი არა მარტო მფარველობს თავის საპატრონებელს, არამედ მის ზნეობრივ სიჯანსაღეზეც ზრუნავს.



პატრონად მოიაზრებოდა არა მარტო ცალკეული პიროვნება, არამედ თემიც, რომელშიც ყალიბდებოდა და ცხოვრობდა ადამიანი. პატრონის ყოლა მას ზნეობრივ ვალდებულებებსაც აკისრებდა. ვესტერნიზაცია, რომელიც ასე უცერემონიოდ შემოიჭრა ჩვენს ყოფაში, სწორედ „უპატრონობას“ გულისხმობს. ადამიანი უნდა იყოს საკუთარი თავის პატრონი, რაც, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ მან თავად უნდა გადაწყვიტოს, რა არის ზნეობრივი და რა უზნეო, რამდენად დასაშვებია ღირსებაზე უარის თქმა და სინდისთან კომპრომისი. გაჩნდნენ „თავისუფალი მოთამაშეები“, ვისთვისაც ტრადიციული ღირებულებები და ნორმები აღარ არის მნიშვნელოვანი. ვინც ტრადიციული ღირებულებებისგან გათავისუფლდა, ენერგიულობა და საზრიანობა გამოიჩინა, დანინაურდა კიდეც, მისაბაძი გახდა, ხოლო, ვინც მათ ტყვეობაში ჩარჩა, ვერაფრით აუწყო ფენი ცხოვრებას და გაუთავებლად არსებობისთვის იბრძვის. მოკლედ, მუდრეგების დრო დადგა.

ერთი რუსი პუბლიცისტი სტალინზე საუბრისას აღნიშნავს, ენის გრძნობა არ გააჩნდაო, რის დასტურადაც ასეთი მაგალითი მოჰყავს: ერთხელ ჰიტლერზე საუბრისას ბელადს უთქვამს, ნაპოლეონთან შედარებით იგი კატის კნუტიაო. როგორც ჩანს, სტალინმა ქართულიდან მოახდინა მეტაფორის კალკირება ისე, რომ არ დაფიქრებულა მის შეფერილობაზე რუსულ ენაში და კნინობითმა „კატის კნუტმა“ მოფერებითი შინაარსი შეიძინა, „კოტენოკ“. სამწუხაროდ, ენის გრძნობა ხშირად იმ ადამიანებსაც ღალატობს, ვისთვისაც იგი „ნარმოების საშუალებაა“. მაგალითად, ერთ ლიტერატურულ ნაწარმოებში მხვდება „კიბის მოედანი“, უჯრედის ნაცვლად. აქ, პირიქით, რუსულიდან არის კალკირებული ტერმინი „ლესტინინაია პლოშჩადკა“. ან მთლად უარესი, სა-

სულე ინსტრუმენტის ნაცვლად – „სასულიერო ინსტრუმენტი“. ასეთი „ლაფსუსებით“ სავსეა თანამედროვე პროზა.

ნაცნობი ქალი მეუბნება: „რა აზრი აქვს პოლიტიკაში ძროშიალს, ბინძურ საცვლებში ქექვას, რა მოაქვს ამას ნევროზისა და ცხოვრებისადმი ცინიკური დამოკიდებულების გარდა? არ ჯობს ეს ხანმოკლე სიცოცხლე რაიმე სასიამოვნოს, სასიხარულოს მიუძღვნას კაცმა: შემოქმედებას, სიყვარულს, მეგობრობას. ხელისუფლებისადმი დამოკიდებულება ისეთივე უნდა იყოს, როგორც წელიწადის დროისადმი. მისი შეცვლა შეუძლებელია, მაგრამ ცუდ ამინდში შესაძლებელია თბილად ჩაცმა, წვიმაში ქოლგის გამოყენება...“

მედიამ და საჯაროობამ ხელისუფლების საქმიანობაში თანამონაწილეობის ილუზია გააჩინა. თუ ადამიანი რეკავს სტუდიაში და გამოთქვამს პროტესტს, მიანიშნა, რომ საზოგადოებრივი ცხოვრებით ცხოვრობს, საზრისის ილუზიას იქმნის და პირადი ცხოვრება, რომელიც ვერაფრით აუწყვია, გვერდზე რჩება. რა დროს პირადია, როდესაც ქვეყანა გასაჭირში?

ცნობილი სოციოლოგი პიტირიმ სოროკინი 1917 წლის რუსეთის რევოლუციასთან დაკავშირებით წერდა: „პოლიტიკური წყობა არ წარმოადგენს რაღაც შემთხვევითობას. ის გახლავთ ცალკეული პიროვნებისა და ერის ადაპტაციის ფორმა, სოციალური ორგანიზაციის პროცესის შედეგი. ნებისმიერი წყობა, რაგინდ უმნიშვარიც არ უნდა ეჩვენებოდეს იგი რადიკალს, წარმოადგენს რეალური და არა ფიქტიური გამოცდილების კონდენსატს. იგი არის უამრავი მცდელობის, ძალისხმევის და ექსპერიმენტის შედეგი. მხოლოდ გაუთვითცნობიერებელ ადამიანს შეიძლება მიაჩნდეს, რომ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებული წესრიგი რაღაც ფატალური შეცდომა და ნონსენსია.

რენანის სიტყვები რომ მოვიშველიოთ,

სოციალური წესრიგის არსებობის ყოველი დღე წარმოადგენს პლებისციტს და, თუ იგი წარჩუნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს მას და რომ უკეთესი წესრიგის დამყარება რთულია...”



ჟურნალ „დრუჟბა ნაროდოვ“-ის მთავარი რედაქტორი საშა ებანოიძე იყო ჩამოსული მოსკოვიდან. ვეკითხებოდი, რა ხდება თქვენს პარნასზე? მან თავისი ხედვა გამიზიარა. არიან ძველი ოსტატები, წერენ საბჭოთა პერიოდში ჩამოყალიბებული მანერით და არიან ახალგაზრდა მწერლები, რომლებიც სხვაგვარად წერენ, მაგრამ, როგორც წესი, უხარისხოდ. მათი პროზა თვითგამოხატვის ახლებურ მცდელობას წარმოადგენს, მაგრამ ამ „ახლებურს“ ესთეტიკური ღირებულება იშვიათად გააჩნია.

რამდენჯერ ითქვა და დაინერა, რომ ლიტერატურა ხელოვნებაა, მხატვრობაა და არა მხოლოდ თვითგამოხატვის საშუალება, რასაც ნებისმიერი წერა-კითხვის მცოდნე შეძლებს.

ჩეხოვი „იონიჩში“ ჰყვება ერთი პროვინციელი მწერალი ქალის ამბავს, რომელიც საგანგებოდ მონვეულ სტუმრებს უკითხავს თავის თხზულებებს. მორიგი მოთხრობის წაკითხვის შემდეგ სტუმრები სულგანაბულნი არიან, ქალბატონს ჰგონია, რომ მიღებული შტაბჟედილების ქვეშ იმყოფებიან, სინამდვილეში კი სადღაც სოფლის ბოლოდან მოისმის ხალხური სიმღერა „ლუჩინუშკა“. მას უსმენენ. ჩეხოვი შენიშნავს, რომ სიმღერაში იყო ის, რაც არ იყო მოთხრობაში – სულიერება.

ნატურალიზმსა და ზოგადად „იზმებზე“

ნატურალიზმს, როგორც სხვა მიმდინარეობებს ხელოვნებასა და ლიტერატურაში, ამომწურავი განსაზღვრება არა აქვს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში

პოზიტივისტური იდეების ზეგავლენით გაჩენილი ნატურალიზმი დაუპირისპირდა მხატვრული შემეცნების ტრადიციულ ფორმებს. ნატურალისტები უარყოფდნენ თავად ხელოვნების არსს და ნაწარმოების მხატვრული ღირებულების ერთადერთ კრიტერიუმად ნატურასთან სიახლოვეს მიიჩნევდნენ. ხელოვნების მიზანი იყო რეალობის კოპირება, უარყოფდნენ მხატვრულ ფანტაზიას, შთაგონებას და ა. შ. უდავოა, რომ ხელოვნება ბუნებიდან, „ნატურიდან“ იბადება, მასში აქვს ფესვები გადგმული, მაგრამ ბუნების გამოვლინება ხდება მხატვრული წარმოსახვის მეშვეობით, ხატის შექმნით, რომელიც ჯერ შემოქმედის სულში იბადება და შემდეგ იქცევა მხატვრულ ქმნილებად.

ფორმაციის ცვლილების დროს ნატურალიზმი ახალი ესთეტიკის დამცველის როლში გვევლინება, იმ კლიშეებისგან, რომლებიც ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობების პერიოდში ჩამოყალიბდა. ნატურალიზმი წარმოადგენს ხელოვნების ერთგვარ „ამბოხს“. ნატურალისტთა თხზულებებში ხშირია ცხოვრების უმსგავსო, უგვანი მხარეების წარმოჩენა. ავტორებს თითქოს სიამოვნებასაც კი ჰგვრით მარგინალური ჯგუფების ცხოვრების დეტალების აღწერა, მათთვის დამახასიათებელი ბილნსიტყვაობით და დევიაციური ქცევით. ეპატაჟის მეშვეობით პოპულარობის მოპოვების გარდა, მათ თხზულებებში პროტესტიც იკითხება, მაგრამ სტიქიური პროტესტიდან ღირებული ლიტერატურის შექმნამდე დიდი გზაა გასავლელი. იქნებ, „მეორედ მოსული“ ნატურალიზმი, ისევე, როგორც ზოგადად ავანგარდისტული ხელოვნება, ახალი ფორმების ძიებაა. ახალ თაობას არ სურს ძველებურად წერა, მაგრამ მათ ნაწერებში მხოლოდ ნოვაციის სურვილი იკვეთება და არ ჩანს ახალი პოეტიკის ნიშნები.

ნოვატორობისთვის საკმარისი არ არის გამოხატვის ტრადიციული ფორმების უარყოფა, საჭიროა ახალი ესთეტიკის



შექმნა, რაც ნიჭის გარდა, დიდ შრომას მოითხოვს. როდესაც ნატურალიზმი ან ნებისმიერი სხვა „იზმი“ არა მარტო უარყოფს ძველს, არამედ შემოიტანს ახალს და ესთეტიკურად ღირებულს, მაშინ გახდება შესაძლებელი ახალ ფორმებზე საგნობრივი მსჯელობა.

შესაძლოა ნატურალიზმის მიმდევართა დამსახურებად მივიჩნიოთ, რომ ზოგჯერ გროტესკული ფორმით წარმოაჩენენ რეალობას, ისეთად, როგორც ის არის. გაზვიადება და უკიდურესობა კი ბუნტის ნიშანია, მაგრამ ეს არის რთული გზის მხოლოდ დასაწყისი და, თუ ჩვენი გოგო-ბიჭების შემოქმედებითი ძიება არ გაგრძელდა, ნატურალიზმის, ისევე, როგორც სხვა „იზმების“ მიმდევრები დარჩებიან „დეკადანსის მოციქულებად“, მეკობრეებად, რომლებიც არაფერს ერიდებიან, ყველაფერში ხრწნისა და დაცემის ნიშნებს ხედავენ. თუ საზოგადოება დაეცა, ხელოვანი, რომელიც მაზოხისტურ სიამოვნებას ნახულობს ამ დაცემის დეტალების აღწერაში და მათზე ქილიკობს, საზოგადოებაზე დაბლაა დაცემული.

მაგრამ საზოგადოება მთლიანად არასოდეს ეცემა და ნატურალიზმისა თუ სხვა „იზმების“ მომავალი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად შეძლებენ მათი მიმდევრები ყოფიერების არა მარტო აბსურდულობის წარმოჩენას, არამედ იმ ნათელი მხარეების დანახვასაც, რომლებიც ყოველთვის არსებობს და უკეთესი მომავლის იმედს იძლევა.

ისტორიული პარალელები

რუსეთის ნათლობა 988 წელს მოხდა, ვლადიმირის დროს. ამ მოვლენას წინ უძღოდა ყირიმში შეჭრა და კორსუნის (ხერსონის) აღება. ყირიმიდან განდევნეს თათრები და ბერძნები, შემდეგ კი ვლადიმირი დაქორწინდა ბერძენთა უფლისწულ ანაზე და მოინათლა კიდეც, მიიღო ქრისტიანული სახელი ბასილი. ასე შევიდა ყირიმის კიევის რუსეთის შემადგენლობაში...

1814 წელს ცნობილმა რუსმა ისტორიკოსმა ნ. კარამზინმა წერილობით მიმართა იმჟამინდელ რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე პირველს. ისტორიკოსი აღნიშნავდა, რომ ბატონყმობა ბოროტებაა, მაგრამ ჯერ არ დამდგარა გლეხთა გათავისუფლების ჟამი. სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის უკეთესია ადამიანების ყმობაში ყოფნა, ვიდრე მათთვის ნაადრევად თავისუფლების მინიჭება. (როგორც სჩანს, უკვე იყო ამ საკითხზე მსჯელობა).

კარამზინის „ისტორიას“ წითელ ხაზად გაჰყვება რუსეთის სიდიადის იდეა, რომელსაც თვითმპყრობელობა (სამოდერნეზი) განასახიერებს. ეს „სამოდერნეზი“ იდეა იმდენად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რომ ბატონყმობის გაუქმების და ორი რევოლუციის შემდგომ რუსეთი კვლავ თვითმპყრობელობას დაუბრუნდა და დღემდე ვერ ელევა მას. პარადოქსია თითქოს, მაგრამ ამ თვითმპყრობელობის იდეას ჩვენშიც ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. ისინიც კარამზინის მსგავსად მიიჩნევენ, რომ თავისუფლებისთვის არ დამდგარა დრო არც რუსეთში და არც ჩვენთან. მთელი ძალაუფლება ცენტრში უნდა იყოს კონცენტრირებული. რუსეთს მოკავშირეების გარეშეც დიდხანს შეუძლია მისცეს საკუთარ თავს თვითმპყრობელობის „ფუფუნება“, ჩვენ კი იგი ძვირად გვიჯდება.



ჰედონიზმი ძველბერძნულად ნეტარებას ნიშნავს, ფილოსოფიაში კი ეთიკური პოზიციაა, რომლის თანახმადაც ნეტარება უმაღლესი ღირებულებაა და ადამიანის ქცევის კრიტერიუმი. ჰედონიზმისკენ სწრაფვა განიხილება, როგორც ადამიანის მოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა, რომელიც მისთვის ბუნებრივია. თუმცა ეპიკურესთან ნეტარების კრიტერიუმად ტანჯვის არარსებობა და სულიერი უმფოთველობა (ათარაქსია) სახელდება.

XVIII საუკუნეში ფრანგი მატერიალის-

ტები რელიგიურ მორალს ჰედონისტურს უპირისპირებდნენ.

საინტერესოა, რა ტიპის ჰედონიზმს გულისხმობენ, როდესაც დღევანდელ ქართულ სოციოკულტურაზე საუბარი? მარტო ტანჯვის არარსებობას და სულიერ უშფოთველობას? ეს ნამდვილად არ გვაკმაყოფილებს. ჩვენი ჰედონიზმი გამოიხატება უზრუნველ ცხოვრებაში, ქეიფსა და დროსტარებაში. თუ გვაქვს, რა თქმა უნდა, ამის შესაძლებლობა. თუ არ გვაქვს, მონყენილები დავდივართ და კულტურის სუროგატებით ვცდილობთ გართობას – ტელეშოუებით, სერიალებით, უნიჭო სპექტაკლებით... ზოგი ჰედონისტი შეინირა კიდეც ახალმა დროებამ, ზოგმა გაქცევით უშველა თავს, ზოგმა კი ძნელბედობის ჟამს ჩამოყალიბებულ ტრადიციულ ჩვევებს მიმართა, რომელსაც ერთმა ფილოსოფოსმა „მუცელმეზღაპრეობა“ უწოდა.

„ვა, ოქრო მისთა მოყვასთა აროდეს მისცემს ლხენასა“

ერთგან ვკითხულობ: „ფულს შეუძლია შეცვალოს ადამიანის არა მარტო ეკონომიკური და საზოგადოებრივი ცხოვრება, არამედ მისი ოცნებები, ფანტაზიები, სიზმრები, ინტიმური ურთიერთობები, სურვილები და ჩვევები, თვითშეფასება, სხვათა შეფასება, მეგობრებისა და ნათესავების წრე...“

რა საშინელება ყოფილა ფული, რომელიც იდენტობას უცვლის ადამიანს და, როგორც წესი, უარესისკენ. უტყვი და მორიდებული კაცი თავდაჯერებულ ხეპრედ გვევლინება. თუ ფორმალური განათლებაც მიიღო, წინასწარმეტყველად, რომელსაც შუბლზე აწერია: „ყველაფერი ვიცი!“ უნდა ჩაენერო მიღებაზე, მაგრამ შეიძლება ვერ მონახოს დრო. ტელეფონით დაკავშირება გამორიცხულია, სად სცალია, სულ საქმეშია.

როგორი იყო ფულიანი კაცი საბჭოთა დროს? ერთხელ ცნობილი წამლებით მო-

ვაჭრე, ზედმეტსახელად „ჩაშკა“ გავიცანი. სინაგოგასთან ვიდექი „მაიდანზე“ და აფთიაქის აბრას ვაკვირდებოდი, რომელზეც იმ დროს ცნობილი კაცის სახელი „ჩაშკა“ ეწერა. გამოვიდა კაცი და ღიმილით მომესალმა. ვუთხარი, რომ მსმენია „ჩაშკაზე“. მე ვარო და აფთიაქში მიმინვია. ძალიან მალე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ნათესავს ან მეგობარს ვესაუბრებოდი. თავისი ცხოვრების ყველაზე შთამბეჭდავი ეპიზოდები გაიხსენა და ბოლოს დაღვევაც შემომთავაზა. ვნანობ, რომ უარი უთხარი – რედაქციაში მეჩქარებოდა. მერე რამდენჯერმე დავაპირე „ჩაშკაზე“ დანერა – არ გამომივიდა, რაღაც, საზოგადოებრივ ყურადღობას ვერ იძენდა პირადი გრძნობები.

ასე რომ, ამ ახალ დროებასა თუ უდროობაში, სხვა „სიკეთებთან“ ერთად, „ფულიანი კაცის“ დეგრადაციაც მივიღეთ.



პიტირიმ სოროკინის სტატია „რუსი ერის ძირითადი ნიშნები XX საუკუნეში“ დღემდე არ კარგავს აქტუალობას. აი, პატარა ფრაგმენტი:

„XV საუკუნიდან დაწყებული კულტურის იდეალისტური, სუპერსისტემა სენსიტიურით შეიცვალა, რომლის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მასში რეალობას და ღირებულებებს გრძნობითი ხასიათი ენიჭება. რეალური არის მხოლოდ ის, რისი აღქმა შეგრძნებით არის შესაძლებელი, სმენით, ყნოსვით, ხელის შეხებით... ამ რეალობის მიღმა ან არაფერია, ან არსებობს ისეთი რამ, რისი მოაზრებაც შეუძლებელია, ამიტომ ფანტაზიის ნაყოფია, ფიქციაა, ფსევდორეალობა და ფსევდოღირებულება. ეს სენსიტიური სუპერსისტემა დასავლეთში თითქმის XIX საუკუნის ბოლომდე არსებობდა. შემდეგ დაიწყო მისი რღვევის პროცესი. XX საუკუნეში დასავლური კულტურა შევიდა ხანგრძლივ გარდამავალ პერიოდში. დაიწყო ახალი ცნობიერების და მისი შე-



საბამისი ღირებულებების ფორმირება. რადგან ძველი სენსიტიური სუპერსისტემა დაიშალა, ახალი კი ჯერ არ აგებულა, გაჩნდა სულიერ-გონებრივი, სოციალური და კულტურული შფოთი, რასაც მოჰყვა ანარქია. ეს მდგომარეობა გამოიხატა მსოფლიო და ლოკალური ომების აფეთქებით, რევოლუციებით, სამოქალაქო ომებით. კრიტიკული სიტუაცია დღემდე ნარჩუნდება მთელს მსოფლიოში“.

სოროკინის აზრით, „სენსიტიური სუპერსისტემის განვითარების პროცესი რუსეთში უფრო ხანმოკლე აღმოჩნდა და სწრაფად დაინგრა, რამაც 1905 და 1917 წლის რევოლუციები გამოიწვია.“

დასავლეთში ახალი სუპერსისტემის და მისი შესაბამისი ღირებულებების ძიების პროცესი უფრო ნელა და მშვიდობიანად მიმდინარეობდა, თუმცა აქაც არანაკლებ სისხლისმღვრელი ომები იყო, განსაკუთრებით ნაცისტების ხელისუფლებაში მოსვლის ჟამს. ეს იყო სენსიტიური კაპიტალისტური წყობის ტრანსფორმაციის შედეგი. რუსეთში პროცესი ნავიდა კომუნისტური – სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული სუპერსისტემის მშენებლობის გზით.

დღესდღეობით საბჭოთა კავშირიც, დასავლეთიც და მთლიანად კაცობრიობა იმყოფებიან ისტორიაში ოდესმე არსებული ყველაზე დიდი კრიზისის პერიოდში, რომელიც საფრთხეს უქმნის კაცობრიობის არსებობას.

რუსეთსა და დასავლეთში ამ კრიზისის გამოხატულებაა ქრისტიანობის და სხვა მსოფლიო რელიგიური კონფესიების შემზარავი დაცემა, მათი დოგმატიკის, როგორც მორალური ნორმების, კრიზისი. რუსეთში დაცემა უფრო მძიმე ფორმით მოხდა, ვიდრე დასავლეთში, მაგრამ არსობრივად არ განსხვავდებოდა დასავლურისგან. კრიზისი გამოიხატა ქრისტიანობისა და იდეალისტური ფილოსოფიის უარყოფაში, მის შეცვლაში აგნოსტიციზმით, მატერიალიზმით, ათეიზმით და სხვა არაქრისტიანული თუ ანტიქრისტიანული

იდეოლოგიებით და ფილოსოფიური მიმდინარეობებით“. აქვე ავტორი საინტერესო მოსაზრებას გვთავაზობს იმის თაობაზე, რომ დიალექტიკური მატერიალიზმის ფილოსოფია უფრო იდეალისტურია, ვიდრე, ვთქვათ, დასავლური ფილოსოფიის ისეთი მიმდინარეობები, როგორც არის ათეისტური ეგზისტენციალიზმი, ფროიდიზმი, პრაგმატიზმი, აგნოსტიციზმი, პოზიტივიზმი... სტატია 1960 წელს გამოიცა ამსტერდამში ინგლისურ ენაზე. მიუხედავად იმისა, რომ მას მერე ნახევარ საუკუნეზე მეტი გავიდა და აღარც საბჭოთა სისტემა არსებობს, როგორც ცივილიზაციური პროექტი, მსოფლიო კვლავ ახალი სუპერსისტემის ძიების პროცესში იმყოფება, რაც ინვესს ლოკალურ ომებს, რევოლუციებს და, ზოგადად, საერთაშორისო დაძაბულობას.

ცხოვრება ვირტუალში

პოლიტიკოსების და მედიასამუშალებების ადრესატი ძირითადად მასებია და, „ბაზრის“ ლოგიკიდან გამომდინარე, ისინიც ყველანაირად ცდილობენ მასების გულის მოგებას. ერთ გადაცემაში ქსენია სობჩაკი ეუბნება რესპონდენტს: „კარგად გიცნობ, არც ინტელექტი გაკლია, არც განათლება. მიუხედავად ამისა, გამოდიხარ სცენაზე და ასრულებ მდაბიურ სიმღერებს, ცდილობ მასების გულის მოგებას...“ მომღერალმა აზრიანი პასუხი ვერ გასცა. ასე იქცევიან ჩვენი მედიასამუშალებები და პოლიტიკოსები. ყველა გზით ცდილობენ „ადამიანი-მასის“ გართობას, მისი გულის მოგებას. რა არის მასისთვის დამახასიათებელი? – რადიკალიზმი, კატეგორიულობა, თავდაჯერებულობა, მტერთა და მოყვარეთა მკაფიო განსაზღვრა. მტერი აუცილებელია, მხოლოდ მასთან დაპირისპირებით არის შესაძლებელი საკუთარი კეთილშობილების, ქვეყნის უანგარო მსახურების და მისდამი სიყვარულის გამოვლენა. ამ ნიშნით კვლავ 90-იანი წლების დისკურ-

სში ვიმყოფებით. პერსონაჟები შეიცვალა, დისკურსი კი იგივეა.

მავანი ხვდება, რომ მედია რაღაც თამაშებში ითრევს, რომლებსაც მის რეალურ ცხოვრებასთან არაფერი აქვს საერთო, მაგრამ, თუ ეტყვი, გაალიზიანებ, რადგან პირადი ცხოვრება არ გააჩნია და იძულებულია, ვირტუალური სივრცის ნევრობას დასჯერდეს.

რა ეშველებოდა ხალხს, ეს ვირტუალური სივრცე რომ არ ყოფილიყო? ალბათ, გაიზრდებოდა სუიციდის და ყოველგვარი დევიაციური ქცევის შემთხვევები. ვირტუალური სივრცე ქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის ილუზიას, ერთგვარი ფსიქოთერაპიაა. თუ რეფორმები და დასაქმება ვერ ხორციელდება, რაღაცით მაინც ხომ უნდა დააკავო ხალხი.



ორ კაცს ვიცნობ, რომლებსაც არც არაფერი დაუშავებიათ ერთმანეთისთვის და არც არაფერი აქვთ გასაყოფი, მიუხედავად ამისა, ჭირის დღესავით ძულთ ერთმანეთი. ზურგს უკან ერთმანეთის განქიქებასა და მხილებაში ნახულობენ დიდ სიამოვნებას. არც განათლება აკლიათ და არც ოჯახისშვილობა. რა ხდება? არსებობენ ფსიქოტიპები, რომლებსაც მანიალ აქვთ ქცეული სხვათა არაცნობიერის ბნელ კუთხე-კუნჭულებში ხეტიალი და იქ განსხვავებული ზომისა და წონის ურჩხულების აღმოჩენა, მათი სააშკარაოზე გამოტანა, თუმცა ამგვარ „პატივს“ მხოლოდ გარკვეულ ადამიანებს სდებენ, რომლებიც თავიდანვე აითვალნუნეს. როგორც ანკესის ჯოხს, ისე ჩაავლებენ ხელს რომელიღაც უარყოფით ნიშანს და შემდეგ აზარტული მეთევზესავით, რაც ძალი და ღონე აქვთ, ცდილობენ წყლის ეშმაკის ზედაპირზე ამოთრევათ. ამგვარი სადომაზოხიზმი რაღაც რელაქსაციას ანიჭებს მათ, ხსნის ფსიქიკურ დაძაბულობას, მაგრამ დაძაბულობის მუდმივი მდგომარეობა არაჯანსაღი ფსიქიკის ნი-

შანია. მკვეთრი საზღვარი ნორმასა და პათოლოგიას შორის არ არსებობს, ადამიანები ხშირად გადადიან და გადმოდიან ამ საზღვარს, ზოგი კი სიჯანსაღის ზღვარს იქით უკეთ გრძნობს თავს.

მედიაკულტურა

მეგობარი აბიტურიენტებს ამზადებს და ეჩოთირება ახალგაზრდების პრაგმატიზმი. მხოლოდ ის საკითხები აინტერესებთ, რომლებშიც რაიმე სარგებელს ხედავენ. საბჭოური წლების ახალგაზრდებშიც იყვნენ პრაგმატიკოსები, რომლებიც მშობლების თუ პედაგოგების მითითებით ყველაფერს დროზე აკეთებდნენ, მაგრამ ისინი უფრო გამონაკლისს წარმოადგენდნენ, ვიდრე ნორმას. მახსენდება თანაკლასელი, რომელიც ხალისით გამიბამდა საუბარს, თუ ერთი გზა გვქონდა, მაგრამ ისე, სალაპარაკოდ რომ დაგერეკა, არასოდეს ეცალა, სულ რაღაც ჰქონდა სასწავლი ან მოსაგვარებელი. ასეთ ტიპებთან არ ვმეგობრობდით, არსად ვეპატიუებოდით, ისინიც მშვენივრად გრძნობდნენ უჩვენოდ თავს.

ინდივიდუალიზმი და რაციონალიზმი სულ უფრო მეტად იკიდებს ფეხს, უფროსი თაობისთვის კი ის კვლავ უცხოა. ჩვენი კულტურისთვის ძირითადად კვლავ დამახასიათებელია უმიზნო, სპონტანური ურთიერთობები. ეს არის თვითგამოხატვის ფორმა, რომლის მკაფიო ნიმუშს ქართული სუფრა წარმოადგენს. არაფორმალური ურთიერთობები გვამკვიდრებს, კოლექტივის ნევრობის განცდას გვიჩენს. ინტერნეტმა და მობილურმა ტელეფონებმა თითქმის მთლიანად ჩაანაცვლა უშუალო კომუნიკაცია. არასამთავრობო ორგანიზაციები აწყობდნენ საჯარო დისკუსიებს. ეს შეხვედრები ფორმალური იყო, მათზე ძირითადად ერთი და იგივე ხალხი მოდიოდა, მაგრამ ადამიანები ხვდებოდნენ ერთმანეთს – იყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა.

კოლექტივისტური კულტურის ფორ-

მები ჩვენ თვალწინ ქრება. თითქმის აღარც აქვთ ადამიანებს ერთმანეთთან სალაპარაკო, ფორმალური მოკითხვით, მესიჯებით, ესემესებით იფარგლებიან. წარსულში კულტურას სახელმწიფო ინახავდა. როგორც კი დაფინანსება შეწყდა, დაიშრიტა კულტურა და მისი ადგილი უამრავმა სუროგატმა დაიკავა. თუ ფორმაციის ცვლილებასთან ერთად კულტურა ვერ ნახულობს გამოხატვის ახალ ფორმებს, ის კვდება და მის ადგილას რაღაც იმიტაციები ჩნდება. მწერლობა ფორმითაც და შინაარსითაც მასმედიას ემსგავსება; მუსიკა, სიმღერა სპეცეფექტების ხარჯზე იპყრობს მსმენელის ყურადღებას; სათავგადასავლო ფილმები მოზარდებისთვის არსებობს. თუ კულტურის პროდუქტი მასებისთვის გაპიარების საშუალებას არ იძლევა, ის არავის აინტერესებს. გარდა ამისა, კულტურულობა დღეს ინფორმირებულობასთან არის გაიგივებული. მძლოლი, პროფესორი და მეეზოვე ერთი „კულტურით“ საზრდობენ და მის რეპროდუცირებას ახდენენ. აბა, სამეცნიერო თეორიები ვის აინტერესებს. ახალ „კულტურას“ დიდი მონდომებით და ენთუზიაზმით „ანარმოებენ“ ახალგაზრდა, ენერგიული ჟურნალისტები. თითქოს, როგორც სასწრაფო დახმარების ბრიგადის წევრებისთვის, მათ ძირითად ამოცანას წარმოადგენს შოკში მყოფი ადამიანების გამოცოცხლება და მათი თუნდაც წარმოსახვითი ცხოვრების პროცესებში ჩართვა. როგორ შეიძლება ადამიანს საზრისის განცდა დაუბრუნო ისე, რომ არსად მოუწიოს წასვლა? – მარტივად, აჩვენე ერთი-ორი სიუჟეტი, მოუყევი ამბები, ცოტა მუსიკა მოასმენინე, ცოტა კაბები აუფრიალე ცხვირწინ და აი, გამოვიდა კაცი დეპრესიიდან. თავიდან მიკვირდა ის, რომ განათლებული ადამიანების საუბრის ძირითად საგანს პოლიტიკა წარმოადგენდა, თანაც მედიით შემოთავაზებული პოლიტიკა. შემდეგ მოჟუნახე ამას ახსნა. სამეცნიერო საქმიანობისადმი ინტერესი აღარ არსებობს

და, შესაბამისად, არც დაკვეთაა, პოლიტიკა კი ყველას აინტერესებს – რა ქნას კაცმა? რაც ყველას აინტერესებს.

80-იანი წლების დასაწყისი იყო. თბილისში პეტერბურგიდან ცნობილი ლიტერატორი ვადიმ ერაზმეს-ძე ვაცურა ჩამოვიდა და უნივერსიტეტში ლექციათა ციკლი წაიკითხა. „პიკის ქალზე“ საუბრისას აღნიშნა, რომ პუშკინის გენიამ დაინახა ახალი დროის ადამიანი, რომელიც შეპყრობილია გამდიდრების სურვილით. ფულმა უნდა უზრუნველყოს მისი მყარი მდგომარეობა მაღალ საზოგადოებაში. ეს არის ახალი ტიპი, ენერგიული და ანგარიშიანი კაცი. მისი დასავლური პროტოტიპებია სტენდალის ჟულიენ სორელი და ბალზაკის რასტინიაკი. საგულისხმოა ის, რომ, თუ დასავლურ ლიტერატურაში პატივმოყვარე, ეგოისტი ადამიანის ქცევა თვითდამკვიდრების ბუნებრივი ნორმაა, პუშკინის მოთხრობაში იგი ანომალიას წარმოადგენს, მისი ბედი კარტში გამარჯვებაზეა დამოკიდებული. ცხოვრებაც კარტის თამაშია. გამდიდრების ჟინით შეპყრობილის ფსიქოლოგია და ქცევა სოციალურ დაავადებას წარმოადგენს, რომელმაც მოიცვა დასავლეთი და ემუქრება რუსეთს.

დოსტოევსკისთან ეს არის ვიგინდარა ლუჟინი, ტოლსტოისთან – მეურნე, რომელიც ან უგვიანებს, ან აკლებს დაქირავებულ მუშაკს შრომის საფასურს (Хозяин и работник), და თითქოს ამის გამო ავტორი სიკვდილით სჯის უძლებ მეურნეს. კრიტიკის ობიექტი იყო არა მხოლოდ თვითმპყრობელობა, არამედ იმ სოციალური ფენის წარმომადგენლებიც, რომლებიც ბურჟუაზიად ყალიბდებოდნენ. გამდიდრებულ მდაბიოთა მიმართ დღესაც მსგავსი დამოკიდებულებაა – არც „ახალი რუსები“ უყვართ და არც გაზულუქებული ჩინოვნიკები. მხოლოდ იმგვარ რეფორმებს უწერია წარმატება, რომლებიც ითვალისწინებს ეროვნულ კულტურას და მენტალიტეტს. ნოვაციების შემოღება ტრადიციებზე დამყნობით

უნდა ხდებოდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში სიმახინჯეს ვიღებთ და პერმანენტულ სამოქალაქო დაპირისპირებას.



ვუსმენდი ინტერვიუს ერთ პოლიტიკოსთან და ვფიქრობდი, რა არის პოლიტიკური კლასის პირფერობის, მლიქვნელობის, თამაშის მიზეზი? ადამიანებს პროფესია ან არა აქვთ, ან თავიანთი პროფესიით თავს ვერ ირჩენენ. არაკვალიფიციური შრომა გამორიცხულია, უცხოეთში არავის სჭირდება, რჩება პოლიტიკა, რომელსაც ჩვენთან არც განათლება სჭირდება და არც პროფესიული უნარები. მთავარია ალლო, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოჩენა. კანით უნდა გრძნობდე, საიდან უბერავს ქარი, რა განწყობები და ძალთა განლაგებაა „ზემოთ“. პოლიტიკოსებს (რა თქმა უნდა, არა მხოლოდ მათ), არაფრის სწამთ, სრული ნიჰილისტები არიან და, რაც უფრო დაცლილია სული რაიმე რწმენისგან, მით მეტია მასში პათეტიკა. ლაპარაკობენ ეროვნულ ინტერესებზე, საქართველოს მტრებზე, მოკავშირეებზე...

მოლაპარაკე და ყოვლად უსარგებლო ადამიანების კატეგორია ყოველთვის არსებობდა, მაგრამ შედარებით კეთილდღეობის პირობებში ისინი უწყინარ აბეზრებად გამოიყურებიან, როგორც ვალოდია ჯინჭარაძე „არაჩვეულებრივ გამოფენაში“. ილაპარაკოს კაცმა, რას ერჩით, თავ-

საც ირთობს და შენს გართობასაც ცდილობს, მაგრამ დღეს ამგვარი აბეზრების მიმართ დამოკიდებულება სხვაგვარია – მათი ენაწყლიანობა ცინიზმად აღიქმება.

როგორც კი ეს ადამიანები პოლიტიკიდან მიდიან, მეორე დღესვე მათი სახელი არავის ახსოვს, რაც იმის უტყუარი ნიშანია, რომ პიროვნებასთან კი არა, უაზრო ნილაბთან გვქონდა საქმე. თუ პროფესიით მუშაობის და თავის რჩენის საშუალება არ გაგაჩნია, მაშინ ენა არ უნდა გააჩერო, ვილაცა უნდა აქო, ადიდო, ვილაცა აძაგო, მიწასთან გაასწორო. რა დროს ღირსებაა, როდესაც ხვალ შეიძლება კომუნალური გადასახადები ვერ გადაიხადო. ილაპარაკე ცხარედ და რიხით ეკოლოგიურ, ეკონომიკურ საფრთხეებზე, ცოტა გეოპოლიტიკა გაურჩე, ცოტა გენდერული ამბები, რელიგია, ეთნოკონფლიქტები... მოკლედ, ყოვლისმცოდნეს შთაბეჭდილებას უნდა ახდენდე, რომ მოგისმინონ. მერე თქვი, რომ ამას ყველაფერს ავცდებით, თუ სწორ არჩევანს გავაკეთებთ, არ წამოვეგებით... იმ ადამიანებს კი თავიდან მოვიშორებთ. ასე თანამზრახველები და მოკავშირეები გაგიჩნდება. შემოსავალიც გარანტირებულია და პატივიც. რა ჯობს პოლიტიკას? ვის რად უნდა შენი პროფესიონალიზმი, პიარის და ინფორმაციის საუკუნეა, ყველაფერი უკვე გამოგონილი და შექმნილია, ახლა მთავარია ამ ყველაფერზე წვდომა, ამისათვის კი ენაა მთავარი – მასებისთვის მოსაწონი ენა.



პიციხის ქით ჩესტეხსონი

მხოლოდ რამდენიმე მსი

ამ დიდბრიტანელ მწერალსა და მოაზროვნეს, საკმაოდ უცნაურსა და არავის მსგავსს – „მარტო ედგარ პოს თუ ანათესავებენ“ – პირველად ჩემს სიტყვებში შევხვდი, როცა სრულიად შემთხვევით ჩამივარდა ხელთ რომანი-დეტექტივი „კაცი, რომელიც ხუთშაბათი იყო“, რასაკვირველია, რუსულად გადმოცემული. ჯერ კიდევ 1907 წელს ჩაფიქრებული და დაწერილი „ხუთშაბათი“ – „ფანტასმაგორია, რასაც მერე, გადაპიესებულს, დაუქვესათაურა „საზარელი სიზმარი“ ლონდონში 1908 წელს გამოიცა. როგორც ერთ-ერთი ბოლო რუსული გამოცემა იუნყება, რომანის შექმნაში მნიშვნელოვანი როლი უთამაშია დამდეგი XX საუკუნის პოლიტიკურ ვითარებას, როცა ამა თუ იმ ქვეყნის, უწინარესად კი რუსეთის ოპოზიციურ პოლიტიკურ მოძრაობაში უპირატესობა ენიჭებოდა ანარქიზმს, როგორც იდეოლოგიას და ტერორიზმს, როგორც ბრძოლის მეთოდს, რაც მიუღებელი იყო კათოლიკე მწერლისთვის და თავის გამირებთან ერთად სიკეთის სახელით ებრძოდა ბოროტებას „სტილის ლალი უჩვეულობითა და მსჯელობათა პარადოქსულობით“.

„ხუთშაბათის“ გარდა, ჩესტერტონმა 1874-1936 წლებში დაწერა კიდევ ხუთი რომანი, არაერთი ლიტერატურათმცოდნეობისა და რელიგიური ხასიათის წიგნი, გამოსცა ლექსებისა და მოთხრობების კრებულები, როგორც ჟურნალისტმა, „მან ლიბერალური მიმართულების ჟურნალ-გაზეთებში 1900 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იმუშავა“; გამოაქვეყნა მრავალი ესეი, რომელთაც მერე ცალკე წიგნში მოუყარა თავი. მწერალი ესწრაფოდა, მკითხველისთვის აეხსნა და შთაეგონებინა შეხედულებათა განსაზღვრული და ერთიანი სისტემა, სახელდობრ: ორთოდოქსია. ძირითადი იდეა იმისი იყო ჭეშმარიტი სახელმწიფო წესრიგისა და ჭეშმარიტი თავისუფლების დაცვა ყველა სახეობის ცუდი, ბედასლი წესრიგისა და ასევე ცუდი, ბედრანგი, არასასიკეთო თავისუფლების საწინააღმდეგოდ, აგრეთვე რწმენა „ჩვეულებრივი ადამიანის“ იდეალური ღირსებისა... ბარემ აქვე ვიტყვი, რომ ჩესტერტონმა განსაკუთრებით გაითქვა სახელი 1900 წლიდან 1936 წლამდე შექმნილი იმ ორმოცდაათი მოთხრობით, რომელთა მთავარი პერსონაჟია მღვდელი-დეტექტივი მამა ბრაუნი.

„ხუთშაბათის“ ავტორის შემოქმედების მცოდნეთა აზრით, იგი, გროტესკისა და პარადოქსის ბრწყინვალე ოსტატი, ტრადიციულ სამყაროს ამახინჯებს, ერთმანეთში ურევს იმის პროპორციებს და აიძულებს მკითხველს, რომ გარემოს შეხედოს ახალი, ცინცხალი თვალით, დაეუაროს ყოველდღიური აზროვნების ინერციას. ამ შემთხვე-

ვამი კი ვლინდება წინანდელ ცხოვრებისეულ ფასეულობათა ამოება და სიყალბე და მულავნდება ჭეშმარიტი არსი სამყაროსი, რომელიც უნდა აიგოს სიკეთესა და სილამაზეზე. აკი თავადვე წერდა კიდევ: „მხოლოდ გროტესკზე შეიძლება რომ ეფუძნოს სიხარულის ფილოსოფია“. „ორთოდოქსიის“ სახელწოდებით გამოცემულ წიგნში იგი მთელ ერთ თავს – ელფების ქვეყნის ეთიკა – უძღვნის ჯადოსნურისა და ფანტასტიკურის მიმართ თავის დამოკიდებულებას, რადგან, „ლიტერატურის ყველა ფორმისგან განსხვავებით, ჯადოსნური ზღაპრები ცხოვრების ყველაზე მართალ სურათს გვიხატავენ“.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ „ხუთშაბათი“ ჩემს სიჭაბუკეში წავიკითხე. მერე, მართალი გითხრათ, ჩესტერტონისკენ აღარც გამიხედავს. რასაც დღეს ამ მწერლისეულ ნააზრევს გთავაზობთ, ისევ სრულიად შემთხვევით მომიხდა ამის ქართულად გადმოცემა.

ახლახან „წყნაროკეანედალეულ“ ჩემს შვილიშვილს, თეონას, რომელსაც ინგლისურ-ამერიკული ლიტერატურის კითხვა უყვარს, შევეკითხე, ახლა რას კითხულობ-მეთქი. ჩესტერტონის სახელი რომ მიხსენა, ჩემი სიჭაბუკე და „კაცი, რომელიც ხუთშაბათი იყო“ წამომავიწყდა და ვთხოვე, იქნებ მაგ წიგნიდან რომელიმე პატარა ნაწარმოები ერთად გადმოგვეჩვენებინა-მეთქი ქართულად. მან ორიოდ დღეში ქვემოთ გამოქვეყნებული ეს ხუთი ქართულად გაბნეარელებული ესეი გადმომცა, დანარჩენი შენ იციო. მეც ავდექი და ჩვენებურად გავჩესტერტონდი. თუ რამდენად ხარისხიან „ქართველ ჩესტერტონს“ გთავაზობ, ეს შენ გადაწყვიტე, პირუთვნელო მკითხველო.

გურამ გოგიაშვილი

პაცობრიობა

რამდენიმე შედეგს თუ არ ჩავთვლით, იქ შემთხვევით მოხვედრილს, ბრიუსელი იგივე პარიზია, საიდანაც ყოველივე, რაც მაღალი იყო, აიღეს. ჩვენ ვერ გავუგებთ რასმე ვერც პარიზს და ვერც იმის წარსულს, ვიდრე არ მივხვდებით, რომ ამ ქალაქის სიშმაგე ამართლებს და ითანაბრებს იმისავე ფრივოლურ სიმსუბუქეს. პარიზი ტკობის ქალაქად მონათლეს, მაგრამ ტანჯვა-წვალების ქალაქადაც შეიძლება რომ შერაცხოთ. ვარდების გვირგვინი ეკლების გვირგვინია. პარიზელნი სულ ადვილად შეურაცხყოფენ სხვათ, კიდევ უფრო იოლად თავიანთ თავს; ისინი იხოცებიან რწმენის გულისთვის, იხოცებიან ურწმუნოებისთვის, ტანჯვა-ვაებას იტანენ უზნეობისთვის. იმათი უხამსი თუ უწმანური წიგნები და გაზეთები კი არ გვხიბლავენ, არამედ გვანამებენ. იმათი პატრიოტიზმი კადნიერი და ტლან-

ქია; ისინი თავს ისერიგად ილანძლავენ და იგინებენ, როგორც რომ სხვა ხალხნი გერმანელთ ლანძლავენ და აგინებენ. რასაც საფრანგეთის მტრები იტყვიან იმის დამცრობა-დაკნინებასა და სიმდაბლეზე, ყველაფერი ფერმკრთალდება იმასთან შედარებით, რასაც ის თავის თავზე ამბობს. ფრანგნი თავიანთ თავს თავადვე აწამებენ, ხანისად იმონებენ კიდევ. როს, ბოლოს და ბოლოს, თავიანთი მართვა ისე შეიძლეს, როგორც რომ თავადვე ენებათ, ეგრევე ტირანია დაამყარეს. იმათ ერთი და იგივე სული მოსდგამთ ჯვაროსნული ლაშქრობიდან და ბართლომეს ლამიდან მოკიდებული, ვიდრე ემილ ზოლას თავყვანისცემამდე. სარწმუნოების დამცველნი ხორცს ინამებდნენ სულიერი ჭეშმარიტების გულისთვის; რეალისტნი ხორციელი ჭეშმარიტებისთვის ინამებენ სულს.

ბრიუსელი ტანჯვისგან განუწმენდელი

პარიზია. იმის ვულგარულობას განუწყვეტელ ამბოხთა ცეცხლი ვერ ბუგავს. ამ ქალაქში ის არ არის, რისთვისაც კეთილშობილ ფრანგთ პარიზი უყვართ. ამ ქალაქში ის ყველაფერია, რისთვისაც უყვართ პარიზი გარყვნილ ინგლისელთ. იქ, როგორც რომ ბევრ დიდ ქალაქში, ყველა ერის ყოვლის უარეს ნაყოფს მოახელებთ – ინგლისურ გაზეთს, გერმანულ ფილოსოფიას, ფრანგულ რომანს, ნაირ-ნაირ ამერიკულ სასმელს. აქ ვერ გადაეყრებით ინგლისურ ოხუნჯობას, გერმანულ თავაზიანობას, ამერიკულ აღმაფრენას, იდეისთვის გამართულ ფრანგულ ბრძოლას. ყველა ბულვარი ისეთივეა, როგორიც პარიზშია, მალაზიებიც ისეთივეა, რაგვარიც პარიზში, მაგრამ სულ ერთი-ორი წუთი შეხედეთ და მიხვდებით, რა განსხვავებაა მეფე ლეოპოლდსა და თუნდაც კლემანსოს შორის.

ჩავედი თუ არა, ამ და აგრეთვე სხვა მიზეზთა გამო, მაშინვე უკვე ნასვლაზე დავინყე ფიქრი და ამ ფიქრს აყოლილი აღმოვჩნდი ტრამვაიში, რომელიც ქალაქგარეთ მიდიოდა. ტრამვაიში ორი კაცი ესაუბრებოდა ერთმანეთს: ერთი კარგა მალალი იყო, შავნვერიანი, მეორე – მომელოტო, რომლის ფუმფულა ქილვაშების შემყურეს რომელიმე სამაქტიანი ვოდველის მავანი მდიდარი გრაფი გაგახსენდებოდა. ცენტრს რომ გავცდით და ხმაურმაც იკლო, სულ კანთიელად მესმოდა, რასაც ლაპარაკობდნენ. ისინი ფრანგულად მეტყველებდნენ, ოღონდ ძალიან სწრაფად, მაგრამ სავსებით გასაგებად, რადგან ძირითადად გრძელ სიტყვებს იყენებდნენ. გრძელ სიტყვებს კი, ლათინურის სიცხადეშერჩენილთ, ვინ ვერ გაიგებს?

– ჰუმანურობა პროგრესის კარდინალური პირობაა, – თქვა ნვერიანიმა კაცმა.

– ინტერნაციონალურ კონსოლიდაციაზე რას იტყვოდი? – დაეკითხა ქილვაშებიანი.

მიყვარს ამისთანა რამ ბაასი და ყური მიუუგდე. ქილვაშებიანი კაცს სურდა, რომ

ბელგია იმპერია ყოფილიყო; ერისთვის ის, მართლაც, არასაკმარისად ძლიერია, იმპერიად კი ივარგებს. ერს საქმე აქვს თავის ტოლთან და თანასწორთან, იმპერია კი კისერს უგრებს სუსტს. იმპერიის მომხრე ამბობდა:

– კაცობრიობას უწინარესად მეცნიერება სჭირდება.

წვერიანი კი ეუბნებოდა:

– ეგ ცოტაა. იმას ინტელექტის ჰუმანიზაცია ეჭირვება.

მე ტაში დავცხე, როგორც მიტინგზე, ხოლო იმათ არ გაუგონიათ. არც ერთის აზრები ჩემთვის ახალი ხილი არ ყოფილა, მაგრამ ინგლისში ამ აზრებს აგრე მკვეთრად და თანაც აგრე ხაფად თუ მარდად არ გამოხატავენ. ქილვაშებიანი კაცს უყვარდა განათლება, რაც, როგორც გაირკვა, ვრცელდება კიდეც. განათლებულნი ანათლებენ გაუნათლებელთ; ჩვენ ჩამორჩენილ ხალხებთან მიგვაქვს მეცნიერება, ამასთანავე, ჩვენი თავიცო; მატარებლები სულ უფრო ჩქარა დადიანო. მეცნიერება ცვლის მსოფლიოს; მამაჩვენთ ღმერთი სწამდათ და, რაც კიდეც უფრო სავალალოა, ხშირად უქიმიობის გამო იხოცებოდნენო; ახლა ჩვენ ელექტროობა მოვიხელთეთ – ყველა მანქანა სულ უფრო სრულყოფილი ხდება – საზღვრები იშლება – ქვეყნები არა, მართოდენ იმპერიებილა იქნებიანი, ბატონობით კი ამ იმპერიებზე ისევ ის მეცნიერება იბატონებსო.

აქ მან სული მოითქვა, ინტელექტის ჰუმანიზატორმა კი მარჯვედ წარსტაცა ინიციატივა. კი, ბატონო, მოძრაობით ვმოძრაობთ, ოღონდ, თუ იცით, სად მივდივართო? სადა და ეთიკური იდეალისკენო; კაცობრიობა უფროვე კაცობრივი, ადამიანური ხდებაო; აბა, რა მოგვცეს თქვენმა იმპერიებმაო? ახალი ბარბაროსობა ხომ არაო? მაგრამ კაცობრიობა ამ ბარბაროსობასაც დაძლევსო; ინტელექტი-ჰუმანურობა-ტოლსტოი-სულიერება ფრთებიანო...

საუბრის ამ არცთუ უმნიშვნელო ად-

გილზე ტრამვაი გაჩერდა და, რა უცნაურიც არ უნდა იყოს, დავინახე, რომ მწუხრი ჩამონოლილიყო, ჩვენ კი ქალაქიდან კარგა შორს ვიყავით. მაშინ ჩქარ-ჩქარა ჩამოვედი და საგარეუბნო ტრამვაი ბედის ანაბარა მივატოვე.

ირგვლივ ტრიალი მინდორი იყო, ქალაქი არა ჩანდა. ლიანდაგების ერთ მხარეს ტანწვრილი ხეები ემწკრივნენ, რომელთაც ყველგან შეხვდებით, მაგრამ ისინი რატომღაც შეიყვარეს სწორედ ფლამანდიელმა მხატვრებმა. ცა უკვე გამუქდა, გაიისფრდა და გახშირტყვიისფრდა, ოდენ ერთი ზოლიღა, დაისის ნაკუნნაფლეთი, კრთოდა ვერცხლისფრად. ხეებს შორის გზანწვრილი გარბოდა და მომეჩვენა, რომ იმას ადამიანებისკენ უნდა წავეყვანე, მეც მივეყვი და მალე კორომის აცეკვებულ ბინდბუნდში ჩავიძირე. რა უცნაური და მალალი რამ არის ამნაირი წვრილნარი! დიდი ხეები გზას მნიშვნელოვნად, ძნელდასაძლევადა გვიღობავენ, ტანწვრილნი კი თითქოს სულიერად გველობებიან, იტყვი, ჯადოსნურ რამ ხვრელში მოვხვდი ანდა ჩრდილს რასმე მივარღვევო. როს გზა კარგა შორს დარჩა, უჩვეულო ფიქრთ შემიპყრეს. ტრამვაიში ძალზე ბევრი რამე შევიტყვე კაცობრიობაზე. ახლა ვიგრძენი, რომ ის არსად არ იყო, რომ სრულიად თავხელმარტო ვიყავი! მე ადამიანები მინდოდნენ, თუნდაც ერთი კაცი ვინმე წამლად. ზედტანებით შუქი მოვიხილე. ის ისე ახლოს იყო დედამინასთან, რომ მხოლოდ ღვთის სახებას თუ მიაკუთვნებდი.

გზანწვრილმა პატარა მდელოზე გამიყვანა. ჩემ წინ ერთი გრძელი, დაბალი სახლი იყო. იმის ღია კარში კი, ჩემკენ ზურგშექცეული, დიდი სისვი ცხენი იდგა. მე ფრთხილად ჩავუარე გვერდულად და დავინახე, რომ ერთი დაბდური ბიჭი, ნინველი, თან ცხენს აჭმევდა და თანაც ლუდს წრუპავდა. ყოველი მხრიდან ტოტებსავით გამოიციქირებოდნენ ნინველ ბიჭზე პატარა ბავშვები. დავითვალე, ექვსნი იყვნენ, ყველანი უსუარნი. მამა ჯერ კი-

დევ მინდორში იყო, მუშაობდა, დედამ კი დამინახა თუ არა, წამოდგა და გამილიმა, მაგრამ ერთმანეთის მიმართ გულმონყალების გამოსახატავად ნიშნებს მივმართეთ. მან ლუდი დამისხა და მაჩვენა, საით უნდა წავსულიყავი, სანამ ჩემს გზას გავუყვებოდი, ბავშვებს სურათი რამ დავუხატე და, რადგან სურათზე ორი კაცი იბრძოდა, ბავშვებმა ძალიან გაიხარეს. მერე თითოეულს თითო ბელგიური მონეტა მივეცი და თან დავძინე, ეკონომიკური თანასწორობა მიყვარს-მეთქი. იმათ ეს გაგონილიც არა ჰქონდათ, განსხვავებით ინგლისელ მუშათაგან, რომელთაც სულ ესმით ამის თაობაზე ლაპარაკი, თუმცა ნახვით ვერა ხედავენ.

ცოტა ვიარე თუ ბევრი, მივედი ქალაქში და მეორეს დღეს ისევ შევხვდი ჩემს თანამგზავრთ, რომელნიც უყოყმანოდ ამტკიცებდნენ, რომ მეცნიერებამ რადიკალურად შეცვალა კაცობრიობა, ხოლო კაცობრიობა, თავის მხრივ, ესწრაფვის ინტელექტის ჰუმანიზაციას, მაგრამ ამ სიტყვის, კაცობრიობის, ხსენებისას თვალწინ მიცოცხლდებოდა წინა დღის ერთი სურათი. ცხადად ვხედავდი ტრიალ მინდორში მიკარგულ ჭერდაბალ სახლს და კაცს, რომელიც მინას ბარავდა, როგორც ბარავდნენ ადამიანები თავიანთი სულ პირველი დილიდან მოკიდებული და დიდ სისვ ცხენს, ზედ ბავშვის თავთან რომ იცოხნებოდა, როგორც მაშინ გამოქვაბულში.

ადამიანების სამი ტიპი

უხეშად თუ ვიტყვით, ამქვეყნად ადამიანების სამი ტიპია. პირველი ტიპისანი თვითონ ადამიანები არიან; ყველაზე ბევრნი და, არსებითად, ყოვლის უკეთესნი. ყველანი იმათ უნდა ვუმადლოდეთ იმ სკამებს, რომლებზეც ვსხედვართ; იმ ტანსაცმელს, რომელიც გვაცვია; იმ სახლებს, რომლებშიც ვცხოვრობთ. თუ დავუკვირდებით, ბოლოს და ბოლოს, ჩვენ



თავადაც ამ ტიპის ადამიანებს მივეყუთ-
ვებით. მეორე ტიპის ადამიანებს თავა-
ზიანობის გულისთვის „პოეტები“ ვუნო-
დოთ. ისინი უმეტესწილად სასჯელად
არიან მოვლენილი თავიანთი სანათე-
საო-საახლობლოსთვის და ლოცვა-კურ-
თხევად კაცობრიობისთვის. მესამე ტი-
პისანი ინტელექტუალნი არიან. ხანისად
იმათ მოაზროვნე ადამიანთაც უნოდებენ.
ისინი უტყუარ და უსასტიკეს შეჩვენე-
ბად გაჩენილან თავიანთებისთვისაც და
სხვებისთვისაც. როგორც ყველა კლა-
სიფიკაციაში, რასაკვირველია, გვხვდება
შუალედური შემთხვევებიც. ბევრი კარგი
ადამიანი თითქმის პოეტია; ბევრი ცუ-
დი პოეტი – თითქმის ინტელექტუალი,
მაგრამ ძირითადად ადამიანები სწორედ
აგრე იყოფიან. არ იფიქროთ, რომ ზერე-
ლედ ვსჯიდე. ამ ამბავზე ბარე თვრამეტ
წუთზე მეტ ხანს ვიმტვრევდი თავს.

პირველ ტიპს (რომლისთვისაც თქვენც
და მეც ამაყად შეგვიძლია თავის მითვ-
ლა, აქვს განსაზღვრული ძალზე მტკიცე
არაერთი მრწამსი. ამ მრწამსთ „საერ-
თო ადგილთ“ უხმობენ. ასე, მაგალითად:
ადამიანები ერთპირად მიიჩნევენ, რომ
სუყოველი ბავშვი სიამოვნებას გვგვრის,
სუყოველი მიმწუხრი კი ნალველის მომ-
გვრელია, ხოლო სამის წინააღმდეგ მებ-
რძოლი ერთი კაცი ჩაუქი და ყოჩაღია.
ვერც ერთ ამ მოსაზრებაზე ვერ იტყვი,
უხეში და უგვანოაო, ის კი არა, არც-
თუ მარტივი და უბრალო მოსაზრებებია.
ბავშვების მიმართ სიყვარული ნატიფი
და რთული გრძობაა, თითქმის წინააღ-
მდეგობრივი. ეს სიყვარული თავის ყველა-
ზე უფრო უბრალო, მარტივ სახეს იძენს
სიხარულის თაყვანისცემისა და სისუს-
ტის თაყვანისცემის შეკრებით. მიმწუხ-
რთა შეგრძნება – მოუხამსო რომანსა და
უხეირო, უსაგნო რომანში – ძალზე ნა-
ტიფი შეგრძნებაა. ეს შეგრძნება სევდასა
და ტკბობას შორის მერყეობს; შეიძლება
იმის თქმაც, რომ ამ შეგრძნებაში ტკბობა
სახრავს, აჯადოებს სევდას. რაინდული
მოუთმენლობა თუ სულწასულობა, რაც

უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმული კა-
ცის ხილვისას გვიპყრობს, სულაც იოლი
ასახსნელი არ არის. აქ სიბრალოელიც
ჩნდება, მწარე გაკვირვებაც, სამართლი-
ანობის წყურვილიც, სპორტული აზარ-
ტიც. ბრბოს გრძნობები, დიახაც, ნატიფი
გრძნობებია, ოღონდ ბრბო ამ გრძნობებს
არ გამოხატავს, თუ ჯანყად არ აფეთქდა.

სწორედაც აქ იმალება პოეტთა არ-
სებობის, ერთი შეხედვით, აუხსნელო-
ბის ახსნა-განმარტება. პოეტები გრძნო-
ბენ, როგორც ადამიანები, ოღონდ ამ
გრძნობებს ისე გამოხატავენ, რომ ყვე-
ლანი ხედავენ ამ გრძნობათა სინატიფესა
და სირთულეს. პოეტნი ხორცს ასხამენ
ბრბოს გაუბედავ ნატიფობას. უბრალო
ადამიანი ურთულეს გრძნობას გამოთქ-
ვამს შეძახილით: „ბიჭი ვარო, მაგან უნდა
თქვას!“; ვიქტორ ჰიუგო დანერს: „პაპა-
ბაბუების ხელოვნებაო“.

მაკლერი თუ დალალი მოკლედ შე-
ნიშნავს: უკვე ადრე ბინდდება... იეიტსი
დანერს: მიმწუხრის ჟამსაო. მეზღვაური
რალაცას ამის მსგავსს ნაიბურტყუნებს:
აი, ეს მესმისო!.. ჰომეროსი გვიამბობს,
როგორ შევიდა აჯაჯული მავანი კაცი
თავის საკუთარ სახლში და როგორ გა-
მოყარა ცნობილნი კაცნი. პოეტნი მთე-
ლი თავისი სიმშვენიერით გვიჩვენებენ
სუყოველ ადამიანურ გრძნობას, ოღონდ
მუდამ გახსოვდეთ, რომ ეს ადამიანური
გრძნობებია. არცვის კარგი ლექსები არ
დაუნერია იმის თაობაზე, რომ ბავშვები
საზიზღრები არიან, მწუხრი თუ მიმწუხ-
რი უაზრო რამ არის, ხოლო სამ მეტოქეს
ხმალდახმალ შებმული ვაჟკაცი ზიზღის
ღირსია.

პოეტნი ადამიანებზე მალლა დგანან,
იმიტომ რომ ადამიანებისა ესმით. რალა
თქმა უნდა, რომ ბევრი პოეტი პროზად
წერს – რაბლე, მაგალითად, ანდა დი-
კენსი, ხოლო ისინი, ვისაც ტვინი გად-
მოსდის, იმიტომ დგანან ადამიანებზე
მალლა, რაკი იმათი გაგება არ უნდათ.
ამ ტვინგადმომდინართათვის სუყოველი
ადამიანური გემოვნება თუ ადათ-წესი,

უბრალოდ, ცრურწმენაა. ინტელექტუალთა, ანუ ტვინგადმომდინართა წყალობით, ადამიანები თავს სულელებად გრძნობენ; პოეტთა წყალობით კი ისეთ ჭკვიანებად, რომ ვერც წარმოიდგენდნენ, თუმცა ადამიანებს აქედან მთლად ლოგიკური დასკვნები ვერ გამოაქვთ. პოეტნი ალტაცებულნი არიან ადამიანებით, გულში იხუტებენ იმათ, ადამიანები, პირიქით, ჯვარს აკრავენ და ქოლავენ ამ გულში ჩამხუტებელ პოეტებს. ტვინგადმომდინართ ძაგთ ადამიანები, ადამიანები, პირიქით, დაფნის გვირგვინთ ადგამენ იმათ. თემთა პალატაში, მაგალითად, უამრავი ტვინგადმომდინარი და ცოტა პოეტია. ადამიანები იქ არ არიან.

კიდევ ერთხელ ვიტყვი: პოეტები ისინი არ არიან, ვინც ლექსებს წერს ანდა საერთოდ რასმე წერს. პოეტები ისინი არიან, ვისაც წარმოსახვა და კულტურა ხელს უწყობს, რომ სხვა ადამიანების გრძნობები გაიგოს და გამოხატოს. ტვინგადმომდინარს წარმოსახვა და კულტურა ხელს უწყობს, რომ, როგორც თავად ამბობს, „ინტელექტუალური ცხოვრებით იცხოვროს“. პოეტი ბრბოსგან თავისი მგრძნობელობით განსხვავდება, ტვინგადმომდინარი – თავისი უგრძნობლობით და არასაკემარისად ნატიფი და გულმდიდარია იმისათვის, რათა ადამიანები უყვარდეს. საზრუნავიც ერთი აქვს: რაც შეიძლება მკვახედ შეახუროს ისინი. მან იცის, რასაც უნდა ლაპარაკობდნენ ეს გაუნათლებელნი, არცროდის მართალნი არ არიან. ამ ტვინგადმომდინართ ავინყდებათ, რომ გაუნათლებლობისთვის არცთუ იშვიათად ნიშანდობლივია უბინობის ალღო.

განვიხილოთ ერთი მაგალითი: აიღეთ თვალში მოხვედრილი პირველივე იუმორისტული ფურცელი და ეგრევე მოიხილავთ ხუმრობას რასმე სიდედრზე ანდა დედამთილზე. ეს ხუმრობა, ალბათ, ურიგმარიგო რამ იქნება, რამეთუ ბრბოზეა გათვლილი; სიდედრი, ალბათ, სქელია, ფაშფაშა, ხოლო გაცქინტული, ძა-

ბუნი სიძე თვალეში შესცივინებს, თუმცა თავად სიდედრის პრობლემა სულაც არაუბრალოა. საქმე ის კი არ არის, რომ სიდედრები ფაშფაშები და უხეშები არიან და დაუჯერებლად ალერსიანებიც. საქმე ის არის, რომ, მიმწუხრისა არ იყოს, სიდედრისა და დედამთილის მიმართ დამოკიდებულებას ორი რამ გრძნობა განსაზღვრავს. ამ მიმწუხრისდა დასადარი არსის, ამ არცთუ უბრალო და საჩოთირო პრობლემის გამოხატვა პოეტს ძალუძს, უფრო ხშირად კი ისეთ ჭკვიან და ალალმართალ პროზაიკოსს, როგორც ჯორჯ მერედიტია ანდა ჰერბერტ უელსია, რომლის „ანა-ვერონიკაც“ ეს-ეს არის დიდი სიამოვნების მომგვრელი გრძნობით გადავიკითხე და იმიტომ ვერწმუნები იმათ, რაკი ისინი საგაზეთო კარიკატურის ჯადოსნური გასაღებით სარგებლობენ, მაგრამ მოდის ტვინგადმომდინარი და ამბობს: „სიდედრი სხვა არა არის რა, თუ არა ჩვენი თანამემამულე. სქესობრივმა სხვაობამ არცრა გავლენა არ უნდა მოახდინოს გრძნობებზე. სიდედრი ძმური ინტელექტია. ბოლოს და ბოლოს, უკვე დადგა დრო, რომ გავთავისუფლდეთ ამ პირველყოფილი იერარქიისგან“. და, აი, როს ის ამას იტყვის (თქმით კი სწორედ ასე იტყვის), მე მივუგებ: „სერ, თქვენ ჩალად ღირებულ ფურცლებზე ბევრად სულელი ხართ. თქვენ ყველაზე უფრო უხეირო კუპლეტისტზე ბევრად უხამსი და მეაბდაუბდე ხართ. ბრბოზე ბევრად უხეში და უბირი ბრძანდებით. უტიფარი ენამოსწრებულნი და ენაკვიმატნი უმალ მიხვდებიან საქმის თუნდაც მთელ სირთულეს, ოღონდ ისე ვერ გამოხატავენ, როგორც ჯერ არს. თუ მართლა ვერ ხედავთ, რა ვერ გაუყვიათ ცოლის დედასა და ქალიშვილის ქმარს, მაშინ არც გრძნობაფაქიზი ყოფილხართ და არც კეთილი, ტყუილია, თქვენ ვერას გზით ვერ ჩახვდებით ადამიანის უძირო და იდუმალ სულს“.

მეორე მაგალითად კი ერთ ძველ ანდაზას მოვიყვან: ორნი ერთად კარგად

არიან, სამნი მაინცდამაინც ვერაო. ხალხურად გამოხატული ეს ჭეშმარიტება, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, არასწორად გამოხატულია. სამნი ერთად სულაც არ არის ცუდი. ის კი არა, ძალიანაც კარგია; სამთა მეგობრობა ბევრად უმჯობესია, როგორც რომ თავდაპირველად სამი მუშკეტერი მეგობრობდა, მაგრამ, თუ ფიქრობთ, რომ ერთა და სამთა ერთად ყოფნა ერთი და იგივეა, უკეთეს ვერ ხედავთ, რომ უფსკრული ერთა და სამთა შუა ბევრად უფრო დიდია, ვიდრე სამსა და სამ მილიონს შუა, იძულებულმა უნდა გითხრათ, რა სავალალოც უნდა იყოს, რომ ტვინი გადმოგდით, ტვინგადმომდინარი ხართ და ორნი იქნებით ერთად თუ სამნი, თავს მაინც კარგად ვერ იგრძნობთ.

ბაირონის ოპტიმიზმი

მცირე ამონარიდი

ჩვენთვის ძალიან ძნელი გასაგებია ბაირონის საუკუნე და სული. ახლახან გარდასული ეპოქა დაუფერებელი და შორეულია, როგორც რომ გამოღვიძებისას სიზმარი. ბაირონის სამყარო უსიხარულო და უფერული, არაბუნებრივი, თეატრალური, ცივი გვეჩვენება; თითქოს ცხადლივ ხედავ ვარდებსა და ბულბულებს, ზუსტად რომ მონაცვლეობენ ლექსებში, როგორც კედელზე სილამაზისთვის გაკრულ ქალაღზე ხედავ ქილვაშებიან მამრთ, ფანჩატურში ჩამომსხდარ ბანოვანთ – მოკლედ, უაზროსახეებიან მდიდრულად შემოსილ ცხედართა მოსანყენ ალღუმს.

მაგრამ, რაც უფრო გულდაგულ ვიყურებით ადამიანის ისტორიაში, მით უფრო იშვიათად ვიყენებთ სიტყვა „ხელოვნურს“. ცისქვეშეთში ხელოვნური საგნები არ ყოფილა. ადამიანები ხშირად ბრალსა სდებენ ხელოვნურობაში ადათნესებს, სამოსელს, ალაღმა-ქანდაკებებს

– მედიდურობისა და ამპარტავნობის ბეჭედი აზითო, თითქოს მედიდურობა და ამპარტავნობა ისეთივე ღრმა გრძნობები არ იყოს, როგორც სიძულვილია, სიყვარული ანდა სიკვდილის შიშია. ამპარტავნობას შეიძლება რომ უდაბნოშიც წავაწყდეთ, განდევილის საცხოვრისშიც და, ის კი არა, მხეცის ბუნაგშიც, სადმე ტყეში, სადაც ის ღმუის და ყმუის. ამპარტავნობა უფსკრულიდან ამომსკდარი ხმაა; კარგია და ცუდი, ხელოვნურობა იმაში არ არის.

ჩინებულია, რომ უცნაური, უცნობი, უცხო რამ საგნები საშინელ და ველურ საგნებად კი არ წარმოგვიდგენია, არამედ, უბრალოდ, ხელოვნურობად. ამ აზრის გასამყარებლად მაგალითი თავზე საყრელია; ერთ-ერთია ტროპიკული მცენარეები და ფრინველნი. ტროპიკული ტყის ვეება, ალისფრებულ ყვავილს რასმე რომ ვხედავთ, ის სულაც არ გვეჩვენება ბუნების ხანძრად, ბუნების შიშის მომგვრელ ძალთა მდუმარე აფეთქებად. უბრალოდ, ძნელად დასაჯერებელია, რომ ის ცვილისა არ არის. როს ტროპიკული ფრინველის ერთ ციცქნა სხეულსა და უზარმაზარ ნისკარტსა ვხედავთ, სულაც არა ვფიქრობთ, რომ ეს შემოქმედების უჩვეულო და არცთუ მაინცდამაინც სხარტი, ნატიფი ნაოხუნჯარია. მართალი თუ გინდათ, ეს უფრო ოსტატურად გამოჩარხულ-ნახელკეთილარი და გაფერადებული სათამაშო რამ გვეგონია. ზუსტად ამისივე თქმა შეიძლება ბაირონის სახელთან დაკავშირებულ ბუნების დიად კრუნჩხვაზე. ბაირონიზმი ჩვენთვის ჩამქრალი ვულკანი კი არა, დანელებული ფეიერვერკია...

ბუმბერაზი

ხანისად მეჩვენება, რომ ყველა დიდი ქალაქი ღამე შენდებოდა. ყოველ შემთხვევაში, მხოლოდ ღამით ჩანან ისინი არა დიდნი, არამედ უდიდესნი. ყველა

სახლი მშვენიერია წყვდიადში; ხუროთ-მოძღვრება, ალბათ, ღამის ხელოვნებაა, როგორც ფიქრვერკი. ისინი, ვინც ღამე მუშაობს (ჟურნალისტები, პოლიციელები, ქურდები, ერთი ციციქნა კაფეთა მფლობელები და ღამის დარდმანდები), ერთხელ მაინც აღტაცებულან ან ქავ-ქონგურებით, ანდა ოროლ-შუბებით დამშვენებული დიდებული ჩამუქებული შენობით და, ალიონზე როს დაუნახავთ, რომ ეს დიდფირნიშინანი საგალანტერიო მალაზია იყო, გული ამოსჯდომიათ.

ამას წინათ მეც დამემართა ეს ამბავი, ტემპლსა და სანაპიროს შორის გაშენებულ ბაღში რომ შევედი. მიმწუხრს წყვდიადი ცვლიდა. იქვე, ახლოში, სკამს მოვკარი თვალი და მდინარისკენ ზურგშექცეული დავჯექი და, როგორც ბოროტი რამ სული, ისე გადმომანვა ქუჩის მეორე მხარეს აღმართული შენობის გულის დამამძიმებელი ფასადი. იმავე სკამზე დილით რომ დავმჯდარიყავი, სულ სხვა რასმე დავინახავდი. დღის სინათლეზე, ალბათ, მომეჩვენებოდა, რომ შენობა კარგა შორს იყო, მაგრამ მაშინ, ბნელის ბინდბუნდში, კედლები პირდაპირ ზედ დამანვნიენ. ჯერ არასოდეს არ მეგრძნო ისე ძლიერად ის რაღაცა ძალა-ამანის მაგვარი რამ, რაც პოლიტიკაში პესიმიზმს წარმოშობს: მხედველობაში მაქვს მინიერ ზეობათა უსიხარულო სიმალლე. ძალისა და სიმდიდრის უსახელო გოდოლი იმ მიუდგომელ კლდესავით წამომდგომოდა, ზედ ვერც ერთი სიკვდილის შვილი რომ ვერ ავა. ვიცოდი, რომ საჭირო იყო იმის დამხობა და რომ იმის თავი არა მქონდა ოდენ ხელჯობით აღჭურვილ მანანნალა, დაღლარა ჟურნალისტს.

როგორც კი ეს ვიგრძენი, შავ, უსინათლო სახეზე ეგრევე ორი თვალი გაკრთა. ვუყურებდი ჩემ გვერდით ფანჯრებს და მეჩვენებოდა, რომ ურჩხული დამცინავად მეკრიჭებოდა. ფანჯრებიდან შუქი მეცემოდა ან, იქნებ, სულაც სიბნელეში გატეხილი თვალი მატყუებდა, მაგრამ არა, ცხადად გავარჩიე ვეება ასოები; ის

სასტუმრო „ბაბილონი“ იყო, ყოველივე იმის ზედმინევენილი სიმბოლო, რასაც საკუთარი ხელით დავამხობდი, თუკი შემედლებოდა! თვალწინ მედგა მხილებული ქურდის ღვიძლი შვილი, გამოუაშკარავებელ ავხელთა თავშესაფარი. ადამიანის სადგომ-სამყოფელში ბევრი სავანაა, მაგრამ ზოგიერთი ადამიანისთვის მოდური სასტუმრო ანდა პირქუში ციხე თუ გამოდგება. კარგა გვარიანად მოზრდილი შავი თავ-პირი, ერთმანეთის ახლო-ახლო მიმჯდარი და მტაცებლურად აელვარებული თვალებით გამომზირალი, ზღაპრულ ბუმბერაზს ეკუთვნოდა. ჩანს, დრო მოუვიდა, მაგრამ, რაც უნდა სამწუხარო იყოს, მე ლეგენდარული ჯეკი არა ვარ და კვლავ სკამზე დავეშვი (წელან აკი წამოვხტი და, ცოტას განყდა, სასტუმროს კედელზე არ ავძვერი), რათა მომეფიქრებინა, როგორც ყველა წესიერი ადამიანი იქცევა, რის თავი მქონდა და რა უნდა მექნა. მძიმე, ქვედამზიდველი კედელი კი, ჩემს თავს ზემოთ აღმართული, თვით ზეცის, ღმერთების სავანის დაუფლებას ცდილობდა.

განა უცნაური არ არის, რომ დიად ბრძოლებში ხშირად დამარცხებულნი იმარჯვებდნენ? ვისაც ბოლოს ამარცხებდნენ, ისინი საქმის ბოლოს ზეიმობდნენ: ყველა ჯვაროსნური ლაშქრობა ქრისტიანთა მარცხით მთავრდებოდა, მაგრამ გადაგვარდნენ არა ქრისტიანები, არამედ სარკინოზები. მუსლიმური ძლიერების ქვედამზიდველი ტალღა, ევროპის ქალაქებს რომ ჩამოანვა, დაიმსხვრა და მეტად აღარ გამოჩენილა. იერუსალიმი რომ დაკარგეს, ჯვაროსანთ პარიზი იხსნეს, ამავეს თქმა შეიძლება XVIII საუკუნის ეპიკურ ბრძოლაზე, რომელსაც უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ, ლიბერალები, სიმბოლოს ჩვენი რწმენისას. ფრანგული რევოლუცია დაიღუპა და დაბრუნებულ მეფეთ ვატერლოოსთან დაცემულთა გვამებით მოკირწყლული მინა გამოიარეს. რევოლუციამ უკანასკნელი ბრძოლა წააგო, მაგრამ ის მოიგო, რის მოსაპოვებლადაც



დაინყო. ქვეყანა უნინდებური აღარ იყო. არცვის უკვე აღარ შეეძლო, რომ ლატაკნი ისე ეთელა, როგორც ქვით ფენილი თანთანა, ანუ საქვეითო რამ ბილიკი, შარაგზას რომ გასდევს აქეთ-იქით.

ლატაკნი, ღვთის აღმასნი, ბევრისთვის იმ თანთანის თუ საქვეითო ბილიკის ქვებად დარჩნენ, მაგრამ ახლა არცვინ უკვე აღარ იგულმავინყებს, რომ ქვებს ფრენა ძალუძთ. უკეთუ ღმერთმა მოილო მოწყალება, კიდევ ვნახავთ, როგორ დაფრინავენ ქვანი. ოღონდ ამჯერად მე მხოლოდ იმაზე ვლაპარაკობ, რომ დამარცხებული თითქმის ყოველთვის იმარჯვებს. სპარტამ მოკლა ათენი, ათენი მკვდრეთით აღდგა, სპარტა კი ჭრილობათაგან აღესრულა. ბურებმა წააგეს ინგლის-ბურების ომი და მოიგეს სამხრეთ აფრიკა.

ეს არის და ეს, რისი ქმნაც ძალგვიძს. ოდეს უძლიერესს ვებრძვით, ის მოგვკლავს; ჩვენ ისე დაეჭრით, რომ ის ჭრილობა არ მოუშუშდება. როგორც კენჭი, მატარებლის ბორბლის ქვეშ მოხვედრილი, თუნდაც წამიერ შევარყევთ და განვვმირავთ ბოროტების უაზრო უცოდველობას. ეს კი არცთუ ცოტა რამ არის. ფრანგული რევოლუციის წამებულთა და ბრალეულთათვის ისიც საკმარისია, რომ ძლიერთა მალული სისუსტე გამოააშკარავდეს.

ოდეს ჯეკმა – ბუმბერაზთა მძლეველმა პირველად მოიხილა მეტოქე, არცრა ისე არა ყოფილა, როგორც გვიყვებიან. თუ გსურთ, მე გიამბობთ, რა როგორც იყო. წინაპირველად ჯეკს შეეშინდა და გაუკვირდა კიდევ, რაკი ბუმბერაზი მაინცდამაინც არ ედიდა, ის კი არა, ერთი ტანმორჩილი კაცი მოუყვებოდა უნაპირო ვაკე-მინდორს, მაგრამ ჯეკი უცებ მიხვდა, რომ ბალახს კი არა, ხეებს ქელავდა და ისე მოდიოდა. რაც უფრო ახლოვდებოდა, სულ უფრო დიდდებოდა და, როს ცას მიაბჯინა თავი, ჯეკმა იღრიალა.

ბუმბერაზი, როგორც სუყოველი ავი სული და ურჩხული, რამდენადაც და-

უჯერებელი ჩანდა, იმდენად უტყუარი იყო. ფანჯრისოდენა თვალები თანდათან სახლისოდენა გაუხდა, მაგრამ ისევ თვალებად დაურჩა. ცის დამფარველი თავპირის მომხილველმა ჯეკმა ბოლო ცნობიერება დაკარგა, დაკარგა ბოლო იმედი, მხედველობა და სმენა.

ოდენ რაინდობალა შემორჩა და დასალუბად განწირულმა კაცურმა ღირსებამ არ აგულმავინყა, რომ ხელთ სათამაშოსავით უსარგებლო რამ მახვილი ეპყრა. ჯეკის გვერდით ანაზდად უშველებელი ტერფი გაჩნდა. მან ეგრევე ვადამდე შეასო ტერფს თავისი მახვილი, თან თვითონაც მიანვა. და მახვილს პირი მოემტვრა. ბუმბერაზმა რალაც ჩხვლეტა იგრძნო, უშველებელი ფეხი უშველებელივე ხელით აილო, დახედა, დაუშვა, მერე ისევ დახედა და ჯეკი შეამჩნია.

მან ორი თითით აიყვანა ჯეკი და გვერდზე მოისროლა. ჯეკი ცას შეაფრინდა და შორეულ მდინარესთან ფაფისებრ ლამში ჩაეცა. იქ არაერთი საათი იწვა, ხოლო, როს გამოიფხიზლა, თავზარდამცემი მძლეველი ჯერ კიდევ ჩანდა. ის ტყის წიაღ ზღვის მხარეს მიდიოდა და ბორცვზე მაღალი არ იყო. მერე კიდევ უფრო დაპატარავდა, როგორც ბორცვი პატარავდება, როცა იმას ჩვენი მატარებელი გასცდება ხოლმე. ნახევარ საათში ის გახასხასლურჯდა, როგორც რომ შორეული ბორცვები, მაგრამ მოყვანილობა არ შესცვლია. კიდევ ერთ საათში ლურჯი კაცი ლურჯ ზღვას მიეახლოვა და უცნაური რამ დაემართა. ცოცხალ-მკვდარი ჯეკი იდაყვზე წამოიწია, რათა ყველაფერი მოეხილა, ბუმბერაზმა ისევ დახედა თავის ფეხს, ცოტა შეტორტმანდა კიდევ, თითქოს ქარაშოტში მოხვდაო და დედამიწას გარშემორტყმულ უკიდევანო ზღვაში შევიდა. ღვთის მიერ შექმნილ ქმნილებათაგან მხოლოდ ის ზღვა იყო საკმარისად დიდი, რათა იმას საფლავად ჰყოფნოდა.

ერეტიკოსები


მცირე ამონარიდი

...„ბუმბერაზთა მძლეველი ჯეკის ძველი ზღაპარი, უბრალოდ, კაცობრიობის ისტორიაა; უკეთუ ჩავწვდებოდით ამ ზღაპრის მთელ სიღრმეს, ისტორიული შრომები ნამდვილად აღარ დაგვჭირდებოდა. ამჟამინდელი მსოფლიო ბუმბერაზთა მხარეზეა, რაც ვითომ უფრო მეტი უსაფრთხოებაა, ამიტომ კიდევ უფრო მეტად უსინდისობა და უპატიოსნობაა. თავის პატარ-პატარა კეისართ რომ აღიდეგს, ის ამასთანავე ვაჟკაცობისა და ძალის თაობაზე მსჯელობს, მაგრამ ვერ ამჩნევს ამ თვისებათა ოდინდელ პარადოქსს. ძლიერი ვერ გახდება ვაჟკაცი; ვაჟკაცი მხოლოდ სუსტნი არიან.

რომ ევაჟკაცა და ჯეკი ეძლია, ბუმბერაზს ნიადაგ უნდა ებრძოლა იმათთან, ვინც მასზე ათჯერ მაინც დიდი იყო. სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით, ის ჯეკი უნდა გამხდარიყო. სუსტებისა და ძლეულთა მიმართ კეთილგანწყობილება, რასაც ბრალად გვიყენებენ ჩვენ, ლიბერალთ, სულაც არა ცარიელი სენტიმენტალობა, არამედ სულიერი ძალმოსილების მთავარი კანონია. ვინც უსუსტეს ბანაკშია, ბევრად უკეთეს სკოლაშია. უკეთუ მართლა გაჩნდებოდნენ ზეადამიანები, ეს კარგა გვარიან სარგებელს მოიტანდა; ეგრევე წამოგვაგონდებოდა, როგორ უნდა გვებრძოლა დრაკონთან. რასაკვირველია, ზეადამიანი შეიძლება რომ ჩვენზე ბევრად უკეთესი იყოს და იმასთან შებრძოლება

თუ შებმა საჭირო არ არის, მაგრამ მაშინ რატომ არ უნდა ვუნოდოთ იმას, უბრალოდ, წმინდანი? ხოლო თუ არა უკეთესი, არამედ უფრო ძლიერია (ჩემთვის სულერთია, ასო-ტანით თუ გონებით), ვალდებულნი ვართ, რომ ის გამოვიწვიოთ. მერე რა, თუ იმაზე სუსტნი ვართ, სამაგიეროდ, უფლება არა გვაქვს, რომ ჩვენსავე თავზე სუსტნი ვიყვნეთ. მერე რა, თუ იმას მუხლამდეც ვერა ვწვდებით, არამც და არამც კიდევ უფრო არ უნდა დავიმდაბლოთ თავი, არ უნდა დავიჩოქოთ იმის წინაშე! თუმცაღა სწორედაც აგრე იქცევა ამჟამინდელი მსოფლიო – ძლიერ ადამიანთ განადიდებს და თავყანს სცემს გმირთ.

ადრე სხვაგვარად მიაგებდნენ პატივს გმირთა და ვაჟკაცთ. ისინი თავადაც სხვაგვარნი იყვნენ: ადამიანური გრძნობებით პირთამდე სავსენი. ნიცშეს ზეკაცი ცივია და მეგობრობას არ ეკავშირება. აქილევსს ისე გიჟურად უყვარს თავისი მეგობარ-აიარი, რომ დამწუხრებულმა სრიმლი გაავლო უამრავ მტერსა და ავის მნდომელს. შოუს მჭმუნვარე კეისარი ნალვლიანი სიამაყით ამბობს: „ვინაც იმედი არ უწყოდა, ის სასონარკვეთას ვერ ჩახვდება“, მაგრამ ღმერთკაცი საზარელი რამ მალნარიდან მიუგებს: „სული ჩემი საშინლად წუხს“. დიდი ის არ არის, ვინც სხვაზე ნაკლებად მგრძნობელია; ის იმით არის ძლიერი, რომ მეტსა გრძნობს. როს ნიცშე გვეკერძავს მცნებას: იყავ მტკიცყო, ეს ნიშნავს – იყავ მკვდარიო. უგრძნობლად კი სიცოცხლე სად გაგონილა!



ბუჩამ ბენაშვილი

ანალიტიკური ფრაგმენტები

თავისთავად, „საინტერესოს“ ცნება, მისი დეფინიცია, ეფემერული გემოვნების მაპროვიცირებელია და იგი დროთა განმავლობაში თვითდევალირდება...

ორი კონცეპტუალური დისკურსის წიაღში „მიიწვევა“ პოეზია და ისინი განსხვავებულნი არიან ესთეტიკური სტრატეგიით...

ერთია – ნარატივის ესთეტიკური „ენერგიით“, პიკანტურითა და ექსტრავაგანტურით ინსპირირება... ანუ იმით, რაც ინერტულ შეგრძნებებს ალაგზნებს, რაც „დამშეულ“ გემოვნებას ბუტაფორიულ „საკვებად“ მიეწოდება და რაც „კასტრირებული“ გემოვნების ოდენ „კონვულსიად“ წარმოჩინდება...

აღქმა-შემეცნების ამგვარი ტიპის ანტინომიად წარმოიდგინება გემოვნების მედიტაციური დისკურსი და იგი ყალიბდება არა როგორც მხოლოდ ბუნების უცაბედი „საჩუქარი“ ან კულტურის სტიქიური ნაყოფი...

მისი „მატრიცა“ უფო მეტად მორალურ-ინტელექტუალური სიბრძნე და მყარი, შეურყვნელი თავისთავადობაა...

„ანტიციპაციური“, ანუ თანდაყოლილი გემოვნება მორალური და ინტელექტუალური წვრთნით იძენება და საკრალურ ღირსებად აღებეჭდება ადამიანთა სუბსტანციას...

●
ტერენტი გრანელი ის უნიკალური ტალანტია, რომელმაც „ემპირიკას“ კიდევ ერთხელ ამცნო პოეზიისთვის ორგანული ფანტასმაგორიულ ხილვათა სემანტიკური მოდიფიკაციები...

მასში გულწრფელად „იტანჯებიან“ ყოფიერების მენტალური ვნებანი და ირაციონალურ წარმოსახვათა სიურრეალისტური იმპრესიები...

მეტაფიზიკური თავისუფლების „საკრალურ“ უწონადობაშია მისი ეული სული ნეტარიცა და კრეატიულიც...

სიმპტომურია, რომ მას „ანამებდა“ პოზიტიურ ფერისცვალებათა ამო მოლოდინის ინსტინქტიცა და სასოებათა ილუზიური მოლანდებანიც...

თუმც, ამ წამიერ „აღტაცებებს“ მალევე აქარვებდა შთაგონება იმისა, რომ ცხოვრება, ვითარცა ძლევა მოსილი თვალთმაქცი, იმეტებს გაცილებით ცოტას, ვიდრე გპირდება...

ოდენ ამ უცოტავესით შეძრწუნებულისთვის, ეგზისტენციური სივრცე იმ სემანტიკურ „ლანდშაფტად“ გაცხადდა, რომლის აღქმა შემზარავი გროტესკისა თუ ბესტიარული „კარნავალიზაციის“ ეფექტს ირეკლავდა...

გაუცხოებული და ამორფული რეა-

ლობიდან დევნილი, იგი მწუხარებით „ნაგებ“ მარტოობაში პოვებდა სულის სიმშვიდეს...

ედგარ პოსა და ნოვალისის, ლეოპარდისა და ბარათაშვილის ინფერნალურ პერცეფციათა შორეული „ანარეკლი“ – იგი „არტისტული ყვავილებისა“ და „დაისების“ სურნელითაც იყო შთაგონებული...

პოეზიასა და ცხოვრებაში მცირედითაც იყო კმაყოფილი. – ამბობდნენ მასზე... სინამდვილეში „Momento mori“-ს ავტორი არ კმაყოფილდებოდა თვით უსაზღვრობითაც კი... რამეთუ, ეპიზოდურად იგი თითქოს კარგავდა ადამიანურ სამყაროსთან ნომინალურ კავშირს და მეტაფიზიკურ სივრცეებს ანდობდა საკუთარ გულისთქმას...

ესეც მისი ტანჯული სულის პრივილეგია იყო, ვითარცა წამებული სიცოცხლის ერთადერთი მორალური საზღაური...

გერონტი ქიქოძემ ნიკოლოზ ბარათაშვილის ფენომენი სამშობლოს მთრთოლარე გულს შეადარა...

ტრაგიკული საუკუნის „გამიშვლებული“ სული თუ იყო ტერენტი გრანელი...

მისი კამერული მხატვრული სამყაროს ონტოლოგიური საზრისი, ინტენციათა რამდენიმე ბაზისურ პარადიგმად ცნობიერდება... ეს არის „მოტივაცია სიცოცხლისა“ და „მოტივაცია სიკვდილისა“, რომელთა „ლიტურგიკული“ სინთეზირებითაც ჩნდება სილუეტური ნაკვთები იმ „ლაჟვარდოვანი“ აბსტრაქციისა, ტანჯული სულის უშფოთველი განსვენების ცხოველ განცდასთან რომ ასოცირდება და მეტაფიზიკური პრეზუმფციის აქტუალობითაა აღბეჭდილი...

ასე და ამგვარად „შემოდის“ ჩვენს ცნობიერებაში ლირიკულ „პეიზაჟებად“ სუბლიმირებული პოეტური შედეგები... ლირიკული მონოლოგების სემანტიკური კონტექსტები, შემოქმედებითი სულის „ტრაექტორიის“ რაციონალური თუ ირაციონალური დისკურსი...



XX საუკუნის ქართული კლასიკური ლიტერატურის მოტივაცია, დროის დისკურსული აღქმისა და ფილოსოფიური საზრისის, ანუ ეგზისტენციურ რეალობათა ანალიტიკური ოპერირების მხატვრული რეპრეზენტაციაა...

ეროვნული ლიტერატურისათვის ეს ორგანული პარადიგმები ქმნილებათა ტექსტის სიუჟეტურ დინამიკას იდეის პრევალირებისაკენ მომართავდნენ, რადგან მკაცრად იდეოლოგიზირებული ატმოსფეროს კონტექსტში თავისუფალი ეროვნული სულიერების ერთადერთ „განძაცავსა“ თუ პანაცეას ქართული მხატვრული სიტყვა წარმოადგენდა...

ლიტერატურულ ოპუსებში სიმბოლიზებული რეცეფციები იმ ფარული პროტესტის გამოხატულებაც იყო, რომელსაც შინაგანად ითავსებდა ეპოქის ტერორისტული სიმპტომებით გაფერებული ფორმაცია.

ქმნილებათა კომპოზიციები თუ რიტორიკულ-ტროპოლოგიური კონსტრუქტები თავისში ითავსებდნენ პოლივალენტური აღქმისა და ინტერპრეტირების შესაძლებლობებს, რამეთუ მათი ენის სპეციფიკა დიაქრონული ფორმით, ანუ ალეგორიულად იყო გაცხადებული... ქმნილებათა სწორედ მეტაფორული „ქსოვილი“ წარმოადგენდა მათი საჯაროობის გარანტს...

აბსოლუტურ ჭეშმარიტებათა მხატვრული რეპრეზენტაციები ამ საუკუნის მწერლისათვის ოდენ ქიმერაა... ამიტომაც იყო პრინციპულად უალტერნატივო არა თავისუფალი პოლიტიკური იდეალების კონცეპტუალიზაცია, არამედ ადამიანური ღირსებების, მისი იდენტობის საკრალიზაცია, აპოლიტიკური კონცეპტებით არტიკულირება...

სიმპტომურია ისიც, რომ პოზიციებს „არ თმობდა“ საუკუნის გარიჟრაჟიდან „მოდევნებულ“ ევროპულ ესთეტიკურ ნოვაციათა მოდიფიცირებული სიმპტომები... მათი კულტივირების პრეცედენტები...



ყოფიერების ბესტიარული რეჟიმიდან „გამოტანჯულიყო“ მაღალმხატვრული ქმნილება, მწერლის „ამბიციასთან“ ერთად, საზოგადოების საკრალური ოცნებითაც იყო იმპულსირებული, რათა გადარჩენილიყო ეროვნული კულტურის, ანუ მისი ყოფიერების უმძლავრესი ინსპირატორი – მწერლობის სახით...

მწერლობისა, რომელიც არასოდეს კარგავდა აქტუალობას და ერის ერთად კონსოლიდაციისა თუ სულიერი აღორძინების „სტრატეგოსად“ ევლინებოდა თავის ქვეყანას...

მისთვის იმ უსასტიკეს ჟამს ერის სრული დემორალიზაციისა და დეზორიენტაციის ძლევამოსილ „სტიქიონს“ იგი ალტერნატივად აღემატა და შეძლო ერში უკეთეს მომავალზე ფიქრის გადარჩენა...

კულტურული და ისტორიული წარსულიდან დისტანცირებულნი, ადამიანები სულიერების ამ ერთადერთი ინსტანციიდან იშინავდნენ ეროვნულსა თუ პიროვნულ იდენტობას, რეალობასთან დამოკიდებულების იმპულსებს...

საყოველთაო ჩაკლული სულის პანაცეად დაემკვიდრება XX საუკუნის ეროვნული კლასიკური მწერლობა ქართველი ერის კულტურულსა და ისტორიულ მესიერებას...



თამაზ ჭილაძის, როგორც შემოქმედისა და პიროვნების მენტალობა, უნივერსალური სულიერებით აღბეჭდილი მწერლისა და მოღვაწის მორალური და ინტელექტუალური კონტექსტებითაა გენერირებული...

ბრწყინვალე ლირიკოსი, პროზაიკოსი, დრამატურგი, ესეისტი... ქართული მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ერთი ლიდერთაგანი უსაჩინოესი ლიტერატურული თაობისა...

მისთვის, თხემით ტერფამდე პოეზიით ინსპირირებულისათვის, შემოქმედების ყოველი აქტი „ჩართულია“ ონტოლოგიური მგრძობელობის იმ დინამიკაში, რომელიც პოეზიით იმპულსირდება.

ექსტრაორდინარული დიაპაზონის ქმნილებებში რაფინირებული ანალიტიკოსის სული იღვწის და ამკვიდრებს ერისა და ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლების უმაღლეს მორალურ იერარქიათა იმ ფორმაციებს, რომელთა სიცოცხლისუნარიანობამაც უნდა განსაზღვროს მომავლის საზოგადოების ისტორიული მისია...

მის მრავალრიცხოვან მხატვრულ პერსონაჟთა გალერეა ყოფიერების კონცეფციის ორიგინალური აღქმით, პლურალისტური აზროვნების მოდიფიკაციებითა და პიროვნული დისკურსითაა აღბეჭდილი...

საგულისხმოა, რომ მწერლის ფსიქოლოგიაში ექსპლენციური ანალიტიკის რეგისტრებითაა აქცენტირებული... სემანტიკურად და ტემპორალურად სტრუქტურირებული არტიკულაციები, თავისუფალი პიროვნების პრეცედენტის მნიშვნელობას ამკვიდრებს, აკეთებს რა აქცენტს არა ზოგადად კაცობრიობაზე, არამედ ადამიანზე, მის განუმეორებელ, ცენტრირებულ სუბსტანციაზე...

„ვჯდები რა საწერად, ჩემთვის დგება უზენაესი სიმართლის ჟამი... სიმართლე კი არ არის ჯადოსნური ზღაპრების თემა თუ მოტივი“-ო, უთქვამს უილიამ ფოლკნერს...

დიდი მხატვრული სიმართლეა თამაზ ჭილაძის ლიტერატურული სივრცე... ადამიანის კონცეფციისა და მისი ყოფიერებასთან ჰარმონიზაციის იმანენტიციაა მწერლის ქმნილებათა ბაზისური ვექტორი...

იგი, როგორც საყოველთაოდ გამძლავრებულ კვაზინოვაციათა კლასიკური ალტერნატივა, რეალობის, უნივერსალური ინტელექტუალიზმისა და მომავალზე ორიენტირებული დროისა და ადამიანის ჰუმანიზაციის ინიციირებითაა აღბეჭდილი...

ეროვნული კოლოსალური სულიერი მემკვიდრეობის სემანტიკურ-აქსიოლოგიური ინტერპრეტაციის სამაგალითო ნიმუშებს წარმოადგენს თამაზ ჭილაძის ესეისტური ოპუსები...

მწერლისა და ანალიტიკოსის ძალის-ხმევამ ქართული ჰაგიოგრაფიისა და „ვეფხისტყაოსნის“ სწავლულთაგან სა-გულდაგულოდ შესწავლილ და აღქმულ ტექსტებში სემანტიკურ „ვიზრაციათა“ ის „ფარული“ შრეები წარმოაჩინა, რომელ-ნიც სრულიად ახალ „ნაკვთებს“ სძენენ მთავარ პერსონაჟთა ფსიქოტიპსა და სა-ერთო სიუჟეტურ დინამიკას...

თამაზ ჭილაძე შემოქმედია პოსტკლასიკური მსოფლხედვითა და მსოფლშეგ-რძნებით, სულიერი კონფიგურაციებითა და ექსისტენციური ღირებულებებით, მონოლითური სუბსტანციითა და შეუბ-ღალავი მენტალური ტრადიციით...

და კიდევ:

ტოტალური ამნეზიისა და სულიერი დაღტონიზმის „მეტასტაზებისაგან“ თავ-დახსნის სტრატეგიითაა აღბეჭდილი მისი ლიტერატურული ყოფიერება...

ადამიანში, გადარჩენის სურვილზე გა-მარჯვების სურვილის პრევალირება და მორალური რეალობის – ბიოლოგიურ რეალობაზე მაღლა დგომაა ის კონცეპ-ტუალური ეთიკური კატეგორიები, რო-მელთა ექსპრესიითაც არიან აღბეჭდილ-ნი მწერლის მხატვრული ქმნილებები...



რა მრავლისმეტყველი შემოქმედები-თი ვნებათა ლელვა „ქროდა“ გარდასუ-ლი საუკუნის „გარიჟრაჟის“ ესთეტიკური მოდიფიკაციებით გაჯერებულ ე.წ. „პოს-ტსიმბოლისტურ“ ევროპასა თუ რუსეთ-ში... მათი გალანტური მხატვრულ-იდეო-ლოგიური ნოვაციები იდუმალი თრთოლ-ის მოლოდინით აკრთობდა ახალგაზრდა ქართველ შემოქმედთა ცნობიერებას... მაგიურ სიტყვათა შუქ-ჩრდილების მუ-სიკალური ეკვივალენტები და მეტაფი-ზიკურ განცდათა აქცენტაცია – აი, ის ესთეტიკური „მატრიცა“, რომელსაც არ-სებობითად დაეფუძნა ევროპულ „რადიუს-ზე“ მეოცნებე და მასში ინტეგრირებით გატაცებული ლიტერატურული თაობა...

იუველირის სინატიფით „აკეთილშო-

ბილებდნენ“ ისინი პოეტური თუ პროზა-ული ტექსტის „სხეულს“...

ტრადიციული პროსოდიით „აღჭურ-ვილთათვის“ დიდ სიძნელეს არ წარმო-ადგენდა, საკუთარ პოეტურ ოპუსებ-ში დაენერგათ „საორკესტრო“ ტემბრის განსხვავებული ვარიაციები – ტრადიცი-ული ხალხური პოეზიის სადა და უშუალო მშვენიერებიდან ქართული კლასიკური პოეზიის უნატიფეს ფორმებამდე...

ეს იყო ჟამი უნეტარესი შემოქმედე-ბითი ღვწისა, ქართული პოეტური კულ-ტურის ახლებური ესთეტიკური არტი-კულაციებით გამრავალფეროვნებისა და მომავალ განახლებათა ინსპირირებისა...

ოდენ იმ ინფერნალურ წელთა ბინ-დბუნდიდან სახიერდებიან XX საუკუნის უნიკალურ ტალანტთა ძვირფასი სილუ-ეტები, სრული სიცხადით რომ წარმოგ-ვადგენინებენ შეურყვნელი თაობის ნა-ადრევ მელანქოლიასა და უწარმტაცეს ოცნებათა უსაზღვრო „ჰორიზონტებს“...



„სიყვარულის გროტესკული გამოვლი-ნებანი ყოველთვის ხელს მიშლიდა გულით მიგნდობოდი მის ვნებიან ტალღებს... რამდენჯერმე მეც მქონდა სურვილი მოვ-წონებოდი ბანოვანთ, თუმცა ფიქრი იმა-ზე, თუ რა უცნაური სანახავი ვიქნებო-დი იმ მომენტში, იმდენად კომიკური იყო ჩემთვის, რომ სურვილი უმალ ირონიის სიმხურვალეში იფერფლებოდა“, – „მა-დამ ბოვარის“ ავტორის ეს გალანტური „აღიარება“ ერთგვარ სინქრონიზია **შოთა ჩანტლაძის** ტრფიალისა და სიყვარულის ირონიით შეფერილ მონოლოგებთან... მი-სი ლირიკის იმ „დელიკატურ“ მოტივაცი-ასთან, ილუზორული „ტრუიზმის“ კლასი-კურ განსახიერებას რომ წარმოადგენს – „მახსოვს სიფითრე და ჩურჩული თქვენი ბაგისა /მეუბნებოდნენ: – ჩამოგყვებით სამარეშიცო/,... დიდი ხანია მე მომელის ჩემი სამარე/, წამობრძანდებით?...”

ამგვარი პიკანტური გროტესკებით და ირონიული იმპულსებით პროვოცირებუ-

ლი „ტრანსცენდენციები“ ოდენ ორგანიზული იყო მისი ლირიკული „განწყობილებებისათვის“...

შოთა ჩანტლაძის თავისუფლების კანონზომიერება ყოველგვარი ილუზიების გარეშე იცნობიერებს მარტოსულობის დიალექტიკას, მისთვის ორგანიზული რიტორიკული ფიგურებისა და რეპერტუარის საზღვრებს, მოქმედების სტრატეგიასა და ამპლუას... აქედან გამომდინარე – ტექსტის სემანტიკა, ობიექტი თუ პრობლემატიკა სტრუქტურირებულ ლირიკულ ფრაგმენტებად „ლაგდებიან“ ნარატორის მონოლოგებში...

მძაფრი რომანტიკული კონოტაციებით აღბეჭდილი, ისინი სენტენციის „უფლებამოსილებით“ გვაუწყებენ „აქტორის“ ტრაგიკული მოლოდინის სიმძიმის – „საცაა მოთოვს და ვარდები მოვლენ ასწილად/ და მერე თოვლი, მომაკვდავი მზისგან გალღვება/ და მე დარდები დაშთენილი ნელა გამწირავს,/ მეც გამაღლობს და სული ჩემი ზამთარს გაჰყვება./ და ასე მძიმედ დასრულდება ჩემი ნვალება,/ მოხდება მზეთა უამრავი გარდაცვალება“...

სიმპტომურია, რომ პოეტის ამბივალენტურ მხატვრულ ნარმოსახვევებში და მათ ცვალებად დრო-სივრცულ განზომილებებში ნაკლებია ფილიგრანულ ასოციაციათა ნაკადი, რიტმიკისა თუ ფონიკის დომინაციური აქტივობა... სამაგიეროდ მეტია სტრუქტურულად მოტივირებული ემოციები, ინიციაცია, ენის „ინტუიციური“ პლასტები, შინაგანი სიტყვის პოეზიად ქცევის ხელოვნება, ანუ ის, რაც ჭეშმარიტად „მყოფობს“ მასში, მისთვის ორგანიზული ესთეტიკის შესაბამისად...

„ჩვენ გვლუპავს რალაც ერთობ სულელური „გემოვნება“... ცუდი გემოვნების შიში გვამძიმებს, როგორც უჟმური ნისლი და ვერ გადაგვინწყვეტია რა ნაბიჯის გადადგმა, ვრჩებით უმოძრაოდ, – ჩვენ გაგვიჩნდა საკუთარი პოეტური თეორიები, პრინციპები, აკვიატებული იდეები... გამბედაობა, აი, რა არ გვყოფნის ჩვენ...“

ეჭვებით შეპყრობილი, ჩვენ იმ საბრალო მორწმუნეებს ვემსგავსებით, ჯოჯოხეთის შიშით რომ განუდგნენ ცხოვრებას და სისხამ დილით აღვიძებენ მოძღვარს, რათა სიზმრად ნანახი ტრფიალი მოინანიონ... ნუ ვიქნებით ზედმეტად შეძრწუნებულნი შედეგებით, გავაგრძელოთ ტრფიალი... გვიყვარდეს! განა მის ამბორში არ არის ყველაზე წმინდა სიამოვნების განცდა?“... – ეს კვლავ სიტყვის გენიალური „იუველირი“ გუსტავ ფლობერია... და კვლავ „მასთან“ უნისონშია შოთა ჩანტლაძის „ფილოსოფიურ“ განსჯათა „ანატომია“ – „დუმილი იყო ჩემი გზა და ჩემი წარსული/ და მერე, როცა დადუმების ზეცამ გადილო,/ სიამისაგან მოთენთილმა და ლუდნასვამმა/ მე პოეზია ამოსუნთქვით წელში გავტეხე/ და ერთი-ორჯერ კამათელიც გამისროლია,/ ასე დამთავრდა ჩემი გზა თუ პრესტორია“...

შთამბეჭდავია ეს რომანტიკული სინანულით აღბეჭდილი რეცეფციები... ყოფიერების ქრონიკულ „პილიგრიმად“ წარმოდგენილი მეოცნების ლირიკული „აღსარებანი“ – „რადგან ეს სული, ასე ობოლი/ არ იყო მათი სულების მსგავსი.../ არსად ძმობილი, არსად დობილი,/ მე მარტოსული ვიყავი კაცი...“

ოდენ სიმპტომატურია ამპლიტუდა მისი სულიერი გრადაციებისა – საკუთარი თავის სიბრაღულიდან დეკლარირებულ გმირად და წმინდანად თვითაღიარებამდე – „მე ვარ სამყარო, მე ვარ ღმერთი, მე ვარ გენია,/ ვიძახდი მუდამ დაჯერებით, ვიძახდი გზნებით,/ კი არ მივლია, გზები თურმე გამირბენია/ გამირბენია – მიჩვენეთ გზები“...

ქალაქური რომანტიკის მოტრფიალე, თუმცა ან უკვე მისი პაროდირებული ინერციის მსხვერპლი, ირონიის სუსხით „იგრილებდა“ მომძლავრებულ ამბიციათა სიმხურვალეს... ლირიკული მონოლოგებით ამკვიდრებდა საკუთარი სულიერი სუბსტანციის გამომხატველ „პორტრეტს“...

ეს მისი ცხოვრება იყო, ერთადერთი

და ამიტომაც კანონზომიერი... თვითონაც ჯეროდა ფატალური ბედისწერისა...

მთავრდებოდა მისი „სიურრეალისტური“ ცხოვრების „შემოდგომის“ ჟამი და მისი სულის თვალსაწიერი ზამთრის მელანქოლიით „ითალხებოდა“ – „არ გსურდა სიცოცხლე და მაინც იცოცხლე/ არ გსურდა სიკვდილი და მოკვდი მაინც“...

უკან დარჩენილმა წარსულმა ამონურა შთამაგონებელი იმპულსები... რაღაც ახლის ფუჭმა მოლოდინმა კი ამაოების განცდა გაამძაფრა და მიხვდა, ამ სულიერი პროსტრაციიდან თავდახსნის ერთადერთი „გზა“ რომ არსებობდა: „მე მინდა სიცოცხლე შენი,/ შენ გინდა სიკვდილი ჩემი,/ რადგან შენ სიცოცხლე გშვენის,/ რადგან მე სიკვდილი მშვენის“...

შთამბეჭდავია „დილოგი“ პოეტთან, რომელიც სულიერად გაჯერებს საკუთარი ვნებათა ლელვის, მწუხარებისა თუ სიხარულის გულწრფელობაში...

გაჯერებს თვით იმ პროვიდენციულ „ხილვაში“, საკუთარი სიკვდილისა და დასაფლავების რეცეფციებით რომ მოდელირდება...

სულ რამდენიმე სიტყვით რომ შეეძლო სულის დაუნჯებული „ქვითინის“ ამოთქმა – „წავიდა თოვლი/მოვიდა მინა“...



არცთუ შორეული წარსულის ეკზისტენციური ლანდშაფტი და ჰუმანიზმის ფუნდამენტალიზაციის იდეა პრევალირებს **ზაირა არსენიშვილის** რომან „ვა, სოფელო“-ს ტრაგიკული ბატალიებითა და ფსიქოლოგიური წიაღსვლებით აღბეჭდილ ტექსტში...

სახელმწიფოებრივი ფორმაციის ტერორისტული მოდელი, მასში წარმოდგენილია ტოტალური დისკურსით... კოლიზიებით გაჯერებული, იგი ონტოლოგიურება იმ ბაზისური პარადიგმებისა, რომელნიც წარმართავდნენ ქვეყნისა თუ ცალკეულ ადამიანთა ბედსა და სიცოცხლეს...

რომანის პერსონაჟთა ყოფიერების

„სტრატეგია“ ალოგიკური და დეტერმინირებული რეალობის პასიური აღქმა და შინაგანი რეფლექსირებაა...

ბრმა და სასტიკი ბედისწერის ჯვარზე გაკრულნი, ისინი სავალალო ტეხილებით აღბეჭდილი ცხოვრების იმ ეკლიან გზას მიუყვებიან, გამძვინვარებული ქაოსისა და ცოდვა-მადლის შეუვალ ციხესიმაგრედ რომ გარდასახულა...

სიმპტომურია ნარატორის მაღალი ხელოვნება პერსონაჟთა მასშტაბური წარმოდგენისა, მათი ემპირიულ თუ სულიერ ნიშან-თვისებათა დემონსტრირებისა და ზოგადად ადამიანთა საცხოვრისის მითო-უნივერსალური მოდელისა...

რომანის გეოგრაფიული „ავანსცენა“ კახეთია... ბოლშევიკური რეპრესიების უმახინჯესი გრიმასები საქართველოს ამ დინჯსა და გონიერ კუთხესაც შემზარავად აღბეჭდვია, გაუსასტიკებია, ცრემლად და ტკივილებად უქცევია...

ბრუტალური, ავისმომასწავებელი „ლაბირინთებით“, დინამიური პარალელური სივრცეებითა და განზომილებებით, ფუნქციებითა და კომპლექსებით აღბეჭდილი სიუჟეტური პასაჟები ტრაგიკული ეპოქებისათვის ორგანული კონოტაციებით სახიერდება... ხდება დეფორმალიზაცია დროისა და ისტორიისა, დიაქრონიზაცია და რეპრეზენტაცია წარსულისა...

ცხად „სიზმრებად“ გარდასახულ დრო-სივრცეში „მყოფი“ ნარატორი თვით პროზაულ ყოფით მოვლენასაც კი მძაფრი მნიშვნელობის ფაქტად წარმოსახავს და რაღაც ესქატოლოგიური პროექციის ნიშნით აღბეჭდავს...

ფრიად საგულისხმია ისიც, რომ მწერლის შემოქმედებითა პოტენციამ თავისში „მომამწიფა“ ადამიანთა აღქმის დომინაციური კოორდინატები და მათი სრულიად უცდომელი დეფინიციები... ანუ „ადამიანთმცოდნეობის“ ენციკლოპედიური დიაპაზონი...

აი, ძალზედ ზოგად შტრიხებში მწერლის მიერ აღქმული და მხატვრულად



მოდელირებული ის „ინფერნალური“ პანორამა, წარსულის ან უკვე დაძინებული ფარდის მიღმა რომ იხილება და ოდენ მწერლის კლასიკური აღქმით „გაცოცხლებული“ თანამედროვე ქართული პროზის ქვეშარტი ფაქტად წარმოჩინდება...

ალარაფერს ვამბობ ამ ქმნილების ენობრივი „ქსოვილის“ მაღალ ღირსებებზე, დინამიურ „სტიქიად“ და ცხოვრების ფორმად ქცეულ იმ ლინგვისტურ „ნაკადებზე“, რომელთაც „ხელთუპყრიათ“ დიდი მხატვრული სიმართლით „ნაგები“ ეს ქმნილება...

თვით ამ ერთი რომანის კონტექსტში მისი ავტორი თანემედროვეობის იმ იშვიათ შემოქმედთა შორის წარმოიდგინება, რომელთა მიმართ დრო არასოდესაა გულგრილი და დასავინწყებლად განწყობილი...

●
მანანა ჩიტიშვილი ლირიკოსია, რომლისთვისაც დღესაც, ამ სულიერი „სიბერნის“ ჟამსაც, აქტუალური და ორიგინალურია პოეზიის პასტორალური მოტივაციები, არამარკირებული სულიერების გამოხატველი რომანტიკული ინიციაციები... იგი ამ მშვენიერებათა ქვეშარტი ინსპირატორია...

ადამიანურ სევდასთან „ჭიდილი“ მის ლექსებში ლირიკულ შეგრძნებებად, სულიერ განცდათა უნივერსალიებად რედუცირდება...

გულწრფელი ემოციური „ამბოხი“, არასოდეს კარგავს მშვენიერებასთან შერწყმის სურვილსა და ხელოვნებას...

მის ელეგანტურ წარმოსახვებში შიდა თუ გარე რეალობის რეფლექსირებით მიიღწევა ლირიკულ იმპერესიათა ის სასურველი ჰარმონია, რომელიც განწყობილებათა კამერულობას, საკუთარი თავისადმი განკუთვნილი „კომპლიმენტებით“ ანეიტრალებს – „ისე დაიღალა ჩემი გული, ისე ამოშრა, დაიღალა, დაპატარავდა,/ მისკენ მომართულ ისარსაც კი ლოცვას უგზავნის“...

პოეტის რაღაც ღრმადიდუმალი სევ-

დის ანარეკლი თუა ლირიკული „განგაშით“ აღბეჭდილი მონოლოგები... მათში პრევალირებს საკრალური წარსული და მონატრების პერმანენტული განცდა. განცდა მანდილოსნისა, უნივერსალური სიყვარულით ბედნიერისა, ეპიკურ ძალმოსილებამდე ამალღებული შემოქმედისა...

არ ვაპირებ მის აშკარა ღირსებათა გაზვიადებას, მისი პოეტური ხელოვნების ზეაღმატებულ ამპლუაში წარმოდგენას, მაგრამ არც მისი უნიკალური ტალანტის იგნორირება იქნებოდა სამართლიანი...

და კიდევ:

მისი პოეზია განზიდულია ირაციონალური ვიზიონებისაგან, ყოველგვარი ტრანსცენდენციებისაგან...

მასში დომინანტია სიტყვა, მისი ძლევამოსილი ელასტიკა და შუქ-ჩრდილთა ათინათები...

საკუთარი სუბსტანციის „მადიებელი“, იგი გზადაგზა „მრისხანებს“ და ლირიკული ემოციებით „უსწორდება“ ამასოფლის უკუღმართ გამოვლინებებსა თუ უსიამოვნოდ „ადევნებულ“ შინაგან სკეფსისსა და განწყობილებებს...

მისი პოეზიის ანალიტიკური დისკურსი იმპრესიონისტული ჩანახატებითაც მოდელირდება და უაღრესად შთამბეჭდავ ემოციებს აღძრავს მკითხველის ცნობიერებაში – „საკმარისია, ლოგინიდან წამოდგეს ქალი/, ერთი მოქნევით გადაიცვას კაბა,/ თმა გაისწოროს, ჭიფერი წაისვას ტუჩზე,/ – სხვა არის უკვე – შენგან ათასი კილომეტრით დაშორებული“...

მედიტაციურია მისი სატრფიალო ლირიკა... მასში ნაკლებადაა ტკბობა საკუთარი თრთოლის არტისტიზმით, გალანტური რევერანსებითა და რიტორიკული ფიგურებით... ესთეტიზებული და ბუტაფორიული სიმულაკრებით...

მისთვის ორგანული პრაქტიკა – იყოს განონასწორებული და ანალიტიკური იმპულსებით მეტყველი, განსაკუთრებით აქ, მისთვის ესოდენ დელიკატურ თემატიკაში გაცხადდა...

საოცრად დინამიური სიტყვიერი ორნამენტები, პოეტის ლირიკულ ძალთახმევას უნივერსალურ ადამიანებამდე ამაღლებს, „ითრევს“ რა მკითხველს ნოსტალგიურ ფიქრთა ახლებური „ყვავილოვნების“ ციკლში...

ასეთია იგი – მანანა ჩიტიშვილი, თხემით ტერფამდე პოეტი... ლექსის მოყვარულთათვის კარგად ნაცნობი და ალბათ უკვე მონივრებით წარმოსათქმელი სახელი...



გია ჯაფარიძის ხელოვნების ვრცელი დიაპაზონი რეკონსტრუირებული რეალობის მეტაფორულ განსახიერებას წარმოადგენს...

მისი სტილისტიკური აქცენტები ზოგჯერ „უარს“ აცხადებენ ფორმის მარგანიზებელ კონსტრუირებაზე და სილუეტურ თუ კონტურულ კომპოზიციებად რეალიზდებიან...

მიუხედავად ამგვარი „სუბიექტივიზმისა“, მძაფრია ქმნილების დინამიკა და შთამბეჭდავია მასთან დაკავშირებული სააზროვნო კონტექსტები...

რაოდენი ემოციური რეპერტუარია მოდელირებული ადამიანთა „შეჩერებულ“ დინამიკაში... ან გრაციოზულობის რაოდენი ფარული ნაკვთები „მჭვირვალეებს“ უნატიფეს მდებრთა ფიგურებში...

ერთობ „ნოსტალგიურია“ სახარების ჯაფარიძისეული რეცეფციები... იგი არ არის „წმინდა მამათა“ სტერეოტიპული ვიზუალიზაციის მორიგი გამოვლინება...

შთამაგონებელი კომპოზიციებითა და ფერთა იდუმალი ჰარმონიით შემოდიან ისინი ჩვენს ცნობიერ თვალთახედვაში...

საკრალური რწმენის ნეტარი სიყვარულით „მოსილნი“, მშვიდნი და მიზანსწრაფულნი, ძალუმად გვაგრძობინებენ უფლისაკენ მიმავალი გზის სათნოებითობასა და მათში დაუნჯებული მაგიური „რეალობის“ ეფექტს...

ხელოვანის მხატვრულ „ინიციაციათა“ რეალიზაციის ერთ-ერთი „მედიუმი“ ქვაა...

საოცარი გრძნეულებით აღიქვამს იგი ქვის ფარულ „თვინიერებას“, მისი პლასტიკური „მეტყველების“ ემბლემატურ პარადიგმებს...

მისი ქვის „პოეტიკა“ შთამბეჭდავი ალუზიებისა და ემოციათა ექსპრესიის გენერირებითაა აღბეჭდილი...

ვცდილობ, აღმოვაჩინო უნივერსალური ფორმულა, რომელიც ამომწურავად გამოხატავდა გია ჯაფარიძის ტალანტის სუბსტანციურ სპეციფიკას, მისი, როგორც ხელოვანის იდენტობას...

ბრწყინვალე მხატვარი და მოქანდაკე, კომპოზიციის დიდოსტატი – და ეს ყოველივე იმდენად თვალსაჩინოა, რომ ნონსენსია ამ ღირსებათა დაჟინებული დეფინიცია...

საგულისხმოა, რომ მის ქმნილებებში სიმბოლურად განზოგადებული „სიურრეალიზმის“ ელემენტებიც „იპოვება“... ინტელექტუალური ძიებები და პოზიციები ამ შემთხვევაშიც ისტორიულად განპირობებულ იმ სოციოკულტურულ დისკურსში „ჯდება“, რომელიც კლასიკური ესთეტიკისთვისაა დამახასიათებელი...

„ახალი საგნობრიობა“ და მისი სიღრმისეული, იმანენტური პარადიგმების ძიება – გია ჯაფარიძის, როგორც სოციალური მისიით აღბეჭდილი ხელოვანის ბაზისური ესთეტიკური კონცეპტია და ზოგადად ხელოვნების ევოლუციური ბუნების კანონზომიერებითაა განპირობებული... იგი თანამედროვე ქართული სახვითი ხელოვნების იმ კონცეპტუალურ ძიებათა გამოხატულებაა, რომლის იმპულსები შორეული წარსულის წიაღიდან იღებს დასაბამს და არასოდეს ამთავრებს თავის ცხოველმყოფელობას...

კვაზისულიერების მომრავლებულ მქადაგებელთა დაჟინებულმა ძალთახმევამ მაღალ ღირებულებათა კომპრომეტაციის ასპარეზად აქცია დღევანდელი მეტ-ნაკლებად კულტურული სივრცე...

რა შეიძლება დაუპირისპირდეს ამ ბუნდოვანსა და გაურკვეველ, სრული სიბერწის ზღვარზე ბალანსირებულ რეალობას...



იყო ეპოქები, როცა სწორედ ესეთი ტიპურ უნივერსალიებში პოვებდა თავის ერთადერთ მყარ სანქციას საზოგადოებრივი მორალური და ინტელექტუალური კულტურა...

საყოველთაოდაა ცნობილი, სოციალურად რა მნიშვნელოვანი აღმოჩნდნენ პარიზის სამხატვრო თუ ლიტერატურული სალონები...

თუმცა ცნობიერების ფილოსოფიის სულ სხვა, დიამეტრალურად განსხვავებული ვექტორები განაპირობებდნენ საზოგადოებრივი კულტურის სტრატეგიას იქ, და „განაპირობებენ“ აქ, ჩვენთან...



როცა „პოლიტიკოსობა“ საყოველთაო „ჰობის“ კონტექსტად იქცევა, როცა თითქმის ყოველი მეორე მოქალაქე სერიოზულ პრეტენზიას განაცხადებს ქვეყნის წამყვანი პოლიტიკური აქტიორის როლზე, როცა ე.წ. პლურალიზმის შლეიფით „მოსილი“ სრული უმეცრის დაუნაწევრებელი „ყმუილი“ ეროვნული პოზიციის უფლებით სარგებლობს და ამ „დემოკრატიულ“ დისკურსებს განმკითხავი არავინ ჰყავს, რა გასაკვირია, თუნდაც ნომინალურმა თავისუფლებამ დისტროფიული სახე რომ მიიღოს...

სიმპტომურია ისიც, რომ პოლიტიკოსობის „ბუმმა“ მნიშვნელოვნად დააჩაღუნა ერის სულიერება და საყოველთაო მორალურ აპათიას მისცა ფართო „სადინარი“...

ხომ სრულიად ნათელია, რომ „ერისკაცობის“ საყოველთაო სურვილი პროფესიული უნიათობისა და უპერსპექტივობის ერთგვარი კომპენსაციაა, რომელმაც რესპექტაბელური იერით უნდა „შემოსოს“ მავანთა უსახური „სუბსტანცია“...

„ღმერთო, რა ბევრია ლაპარაკი და რა ცოტა საქმე“-ო, გულისტკივილით აღმოსხდომია ერთ ცნობილ ევროპელ ანალიტიკოსს, ალბათ ჩვენი ყოფიერების არცთუ ანალოგიური ვითარების შემყურეს, რადგან იგი მაინც ევროპელი იყო

და ჩვენი სიდუხჭირის მსგავსს ვერაფერს ნახავდა...

„გათავისუფლდი ნარცისიზმისაგან და მიიღე ტრაგიკული შეზღუდვები, რომელნიც ადამიანური არსებობისთვისაა დამახასიათებელი... გათავისუფლდი ილუზიებისაგან და შეიგრძენ თავი შენი შენს ადგილზე...“ ერის ფრომის ამ მორალურ შეგონებას, რამდენად შეიმეცნებს ჩვენი ბუნდოვანი დრო-ჟამი, ძნელი სათქმელია...

რამეთუ დახშულია მრავალთა და მრავალთა სმენა და დავსილი გონების თვალი...



ე.წ. „კონტრკულტურა“, როგორც პოტენციური შესაძლებლობა, ნებისმიერი სოციალური სისტემის „თანმდევია“ და იგი თავს იჩენს სოციალური არასტაბილურობის, იდეოლოგიური კრიზისებისა თუ კულტურული პროცესების არაადეკვატური რეფლექსირების დროს...

რეალური სინამდვილის ონტოლოგიური აღქმის პარალიზება – კულტურის „ახალი ენის“, ანუ სტიქიურ კონტრკულტურულ ძიებათა პათოსს ამძაფრებს...

ბანალურ სტერეოტიპებად შერაცხულ ტრადიციულ ღირებულებათა დესაკრალიზაცია და წინამორბედ სააზროვნო „მითოლოგმათა“ მსხვერვა ამ „რევოლუციური“ დისკურსის სტრატეგიული პარამეტრებია...

წარსულის „მსხვერპლშენიშვა“ ახალი იდეალებისა და მისი შესაბამისი აზროვნების ახალი სისტემის ფორმირების წინაპირობაა, ანუ დათრგუნვა და გადალახვა „ოფიცოზისა“ და მისგან „ინსპირირებული“ კულტურისა...

აი, სტრატეგია იმ „ნონსელექციური ინტერვენციის“ გენეზისისა და მისგან გენერირებული კულტუროლოგიური „ნოვაციებისა“, რომლის განხორციელების ჯერ უმნიშვარი ნაბიჯების ხმა ასე აკრთობს და აფიქრებს ე.წ. ინტელექტუალურ საზოგადოებას...



**ნინო
სადლობელაშვილი**



**ნინო
კოჭიაშვილი**

**„გული მიმიწევს კავკასიისკენ“
ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე**

ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის ხელშეწყობით გერმანულ ენაზე ითარგმნა და გამომცემლობა POP Verlag-მა დასტამბა ქართული პოეზიის ანთოლოგია. გამოცემაში გაერთიანებულია ყველა ეპოქის 80-ზე მეტი ქართველი ავტორის პოეტური ნაწარმოები. ანთოლოგიის შემდგენლები არიან: გერტ რობერტ გრიუნერტი და ნინო პოპიაშვილი. თარგმანზე მუშაობდნენ: გერტ რობერტ გრიუნერტი, შტეფი ხოტივარი-იუნგერი, ნაირა გელაშვილი, მაია ლიზოვსკი, ნინო პოპიაშვილი, შორენა შამანაძე, თამარა ზიგერი. წიგნს ახლავს აუდიო-დისკი, სადაც 37 ქართველი პოეტი თავად კითხულობს საკუთარ ლექსებს.

ანთოლოგიის შემდგენელსა და მთარგმნელს, ფილოლოგიის დოქტორს, ნინო პოპიაშვილს ესაუბრება ნინო სადლობელაშვილი:

ნინო სადლობელაშვილი – ნინო, დავინწყით სულ თავიდან: როგორ გაჩნდა ანთოლოგიის იდეა? რატომ დაინტერესდა გერმანული გამომცემლობა ქართული პოეზიის თარგმნით?

ნინო პოპიაშვილი – ქართველი პოეტების ლექსების თარგმნისა და ანთოლოგიის გამოცემის იდეა ეკუთვნის თანამედროვე გერმანულ პოეტს, გერტ რობერტ გრიუნერტს. იგი 2013 წელს დამიკავშირდა გერმანელი პროფესორის მეშვეობით და დავინწყით ანთოლოგიაზე მუშაობა. უნდა აღინიშნოს, რომ მანამდე ბატონმა გრიუნერტმა ამ იდეით მი-

მართა რამდენიმე ქართველ გერმანისტს, თუმცა თანამშრომლობა ვერ მოხერხდა. როცა ბატონმა გრიუნერტმა და მე ანთოლოგიაზე მუშაობა დავინწყით, მას უკვე ჰქონდა რამდენიმე ათეულ გერმანულ, ავსტრიულ, შვეიცარიულ გამომცემლობასთან ურთიერთობა, ყველას სთავაზობდა ქართული პოეზიის ანთოლოგიის გამოცემას, თუმცა, სამწუხაროდ, ზოგი პოეზიით არ ინტერესდებოდა, ზოგი – ანთოლოგიით, ზოგი – ქართული კონტექსტით. ორმოცდაათზე მეტი გამომცემლობიდან მიიღო უარი ქართული პოეზიის გამოცემაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ პოეზია ინდივიდუალური ნიშანია ერისა. ქართული პოეზია მართლაც არის ერის სულიერი მოძრაობის, განვითარების თანაზიარი და მუდმივი თანამგზავრი. ქართული პროზა ძალიან თვითმყოფადი და საინტერესო თავისი აგიოგრაფიული ტექსტებით, გვიანდელი შუასაუკუნეებით, სულხან-საბა ორბელიანის „სიბრძნე სიცრუისათი“ (ჩემი დისერტაციის ემპირიული ნაწილი სწორედ ამ ტექსტს ეყრდნობოდა) და ასევე ძალიან მნიშვნელოვანი მეცხრამეტე, მეოცე და ოცდამეერთე საუკუნეების ქართული პროზით, თუმცა პოეზიის ანთოლოგიაზე მუშაობამდეც ვხედავდი, რომ ქართული სული გამორჩეულად ქართულ ლექსში დევს, რომ ქართული ხატოვანება ერთდროულად გულისხმობს მონუმენტურობასაც და მის დეტალებში დამუშავებასაც, მოჩუქურთმებასაც. მაგალითად, როგორც „ვეზისტყაოსანია“ დიდი და დახვეწილი; ყველა ჩუქურთმა – იუველირის სიზუსტით დამუშავებული, ჩანსული; ყველა რითმა – გამართული, ჩამოქნილი. გალაკტიონს უთქვამს, ძალიან მინდა, პროზაც დავწერო, მაგრამ ვერ ვახერხებ, მაშინვე ლექსად თქმა მინდებაო... და ასეთი პოეტური წარსულის ქვეყნისათვის ძალიან რთულია, როდესაც ამბობენ, რომ პოეზია არაკომერციულია, მას არ ჰყავს მკითხველი, არ ჰყავს გამომცემელი, მით უფრო თარგმნილ პოეზიას თანაც, ანთოლოგიას და თანაც ქართულს...

ვიდრე გამომცემელს ვიპოვიდით, დავინწყეთ მუშაობა. შევადგინეთ, ჩემი აზრით, ძალიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე მთარგმნელთა ჯგუფი. ეს არის ქართველი გერმანისტების, გერმანელი ქართველოლოგის, ქართველი ფილოლოგისა და გერმანელი პოეტის თავისებური ტანდემი, გუნდი, რომლის შიგნითაც ყველას თავისი ფუნქცია და კომპეტენცია ჰქონდა. მინდა თავად გერტ რობერტ გრიუნერტის შესახებ ვთქვა რამდენიმე სიტყვა: თანამედროვე გერმანელი პოე-

ტია. გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე კრებული, მათ შორის ლექსები, საკუთარი ინტერპრეტაციით, ანალიზით. მისი ლექსები დაბეჭდილია თანამედროვე გერმანულენოვან ანთოლოგიებშიც. ის არის ერუდირებული, ძალიან ნაკითხი ინტელექტუალი, ფილოსოფიური და რელიგიურ-თეოლოგიური ნაშრომების ავტორი. მრავალი წელია დაინტერესებულია ქართული ლიტერატურით, კულტურით. ჰყავს ქართველი მეუღლე, თამუნა ჯობორდი და ორი გოგონა: რებეკა და მედეა.

გამომცემლობა პოპფერლაგის შესახებ ვიცოდი დათო ბარბაქაძისა და ირმა შიოლაშვილის გერმანული წიგნებიდან. ეს არის პატარა გამომცემლობა, რომელსაც უკვე აქვს გამოცემული რამდენიმე ქართველი ავტორის ლექსების კრებული გერმანულ ენაზე. გამომცემლობის ხელმძღვანელია რუმინელი მწერალი და ლიტერატურის კრიტიკოსი ტრადიან პოპი. როდესაც ბატონმა ტრადიანმა თანხმობის წერილი გამოგვიგზავნა, გერტი და მე ემოციებს ვერ ვმაღავდით – ეს უკვე დიდი წარმატება იყო. ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენთვის ქართული წიგნის ეროვნული ცენტრის მხარდაჭერას.

– რამდენი ხანი დასჭირდა თარგმნას? პოეზიის თარგმნა ურთულესი საქმეა, ალბათ, იყო ბევრი ხელშემშლელი ნიუანსიც მუშაობის დროს... რა იყო ყველაზე წინააღმდეგობრივი, რა გახსენდებათ ახლა, უკვე დასრულებული სამუშაოს შემდეგ?

– უნდა ითქვას, რომ ანთოლოგია რთული აგებულების წიგნია. მით უფრო, ყველა საუკუნის პოეზიის ანთოლოგია. ჩვენს ანთოლოგიაში თერთმეტსაუკუნოვანი ქართული პოეზიის შედევრებია წარმოდგენილი. სხვადასხვა ეპოქის, სტილისა და მიმართულების ტექსტები ერთმანეთს კვეთს, ეხმაურება, ხან უარყოფს კიდევ. ჩვენი იდეა ყველა საუკუნის ქართული პოეზიის ანთოლოგიის ერთ წიგნად გამოცემის შესახებ დიდ და

რთულ სამუშაოს ითვალისწინებდა.

თარგმანებზე ორი წელია ვმუშაობთ. ეს იყო რთული და დიდად პასუხსაგები სამუშაო. გვინდოდა, ყველაფერი გადაგვეტანა: ფორმაც, შინაარსიც, რითმაც. მოგეხსენებათ, ქართული რითმა მრავალფეროვანია. გვაქვს ერთმარცვლოვანი, ორმარცვლოვანი, სამმარცვლოვანი რითმები, შიდა რითმები, არცთუ იშვიათად გვხვდება ლექსებში ალიტერაცია, ასონანსი. გერტი ხშირად ამბობდა, უძლური ვარ ქართული რითმის წინაშე, რადგან გერმანული რითმა ასეთი მდიდარი არ არის. დიდი ძალისხმევა იყო საჭირო, რათა სრულყოფილად გადმოგვეცა სათქმელიც და ფორმაც. ძალიან რთული იყო ძველ ტექსტებზე მუშაობა. იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართული-სა ენისაი“ ერთ-ერთი რთული ტექსტია ამ მხრივ. ყველაზე საპასუხისმგებლო, ბუნებრივია, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ იმ თავების თარგმნა იყო, რომლებიც ანთოლოგიაში შევიდა. ეს არის „პროლოგი“ და „ავთანდილის ანდერძი“. პოემის სული, პოემის გონი... ჩვენ საგანგებოდ ვუდარებდით არსებულ თარგმანებს ორიგინალს და ახალი თარგმანიც ასეთ ჭიდილში იზადებოდა. ვიღებდით რჩევებს რუსთველოლოგებისგანაც. ძალიან მემამყება, რომ შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა ოცდამეერთე საუკუნეშიც არ კარგავს მნიშვნელობას – ყველა სტრიქონი განსაკუთრებულად დამაფიქრებელი და აზრით დატვირთულია.

ლექსების დიდი ნაწილი ტანდემში ითარგმნა. ტანდემში მუშაობა გულისხმობს მუდმივ დიალოგს. თითო ლექსს ათჯერ, ოცჯერაც მივბრუნებდით. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია თანამედროვე ავტორების ლექსების თარგმანები. როცა ავტორი შენს დროში ცხოვრობს, შეგიძლია დაურეკო, მისწერო, ჰკითხო, დააზუსტო, რაც ძალიან ბევრს ნიშნავს. ბატონი გრიუნერტიც და ქალბატონი შტეფი ხოტივარი-იურგენიც ბოლომდე ცდილობდნენ ყველა ტექსტში

ჩაღრმავებას. ამიტომ არაერთხელ შეგვიწუხებია ავტორები, დაეზუსტებინათ ესა თუ ის ფრაზა, სიტყვა, სტრიქონი. ვფიქრობ, ასეთი მუშაობით თარგმანი ძალიან იგებს. ამ მხრივ ძალიან საინტერესო იყო ნაირა გელაშვილისა და გერტ გრიუნერტის ტანდემი. როგორც მოგეხსენებათ, ქალბატონი ნაირა ბრწყინვალე გერმანისტია. მათ ერთად თარგმნეს ქალბატონი ნაირას ლექსები. მნიშვნელოვანი იყო ჩემთვის ბესიკ ხარანაულის ლექსებზე მუშაობა. მიუხედავად იმისა, რომ ლექსების შინაარსი ჩემთვის გასაგები იყო და გერმანულად გადატანაც არ იყო რთული, მაინც ვაზუსტებდით, რა ემოცია, რა აზრი უნდა გვეძებნა ამა თუ იმ პოეტურ სახეში. დაუვინყარია ჩემთვის ახალგაზრდა ავტორების ლექსებზე მუშაობა. მე ასე მგონია, თარგმანი ლიტერატურათმცოდნეობითი დისკუსიაა ავტორსა და მთარგმნელს ან მთარგმნელებს შორის. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თარგმანი არის მხოლოდ მიმსგავსება ორიგინალთან. მით უფრო რთულია პოეზიის თარგმნა. ლექსი არის სრულიად განსაკუთრებული ფენომენი. სამართლიანად მიიჩნევა, რომ, რაც უნდა ახლოს იყოს ორიგინალთან თარგმანი, ის მაინც არ არის სრულყოფილი. მრავალჯერ უთქვამთ, აქვს კი თარგმნას აზრი? შეიძლება ითარგმნოს ვაჟა? ან გალაკტიონი? მაგრამ, მეორე მხრივ, დიდი ანთოლოგია, ღირებული ტექსტების ტრანსლაცია, სხვა ენაზე გადატანის, გადათარგმნის მცდელობა მაინც ძალიან მნიშვნელოვანია, ერის სულის, მისი კულტურის პრესტიჟის საქმეც არის.

ჩვენი ანთოლოგიის ღირსებად მიმაჩნია ის, რომ მას ერთვის აკადემიური აპარატი: ავტორთა ბიოგრაფიები, ასევე, სქოლიოები, სადაც ლექსებში ნახსენები გეოგრაფიული და საკუთარი სახელები, ასევე, ისტორიული ფაქტებია განმარტებული. ქართული საზოგადოებისათვის ძალიან ცნობილი ისტორიული პირები გერმანულენოვანი მკითხველისთვის

სრულიად უცნობია, ამიტომაც განმარტება აუცილებელი იყო. სქოლიოებზე და შენიშვნებზე მუშაობამ დაგვანახვა, თუ რამდენად განსაზღვრავს ლექსს მსგავსი ატრიბუტიკა.

– საერთოდ, რა ტრადიცია აქვს ქართული პოეზიის გერმანულ ენაზე თარგმნას? რამდენად ცნობილია გერმანულენოვანი მკითხველისათვის ჩვენი პოეზია?

– ქართული პოეზიის გერმანულ ენაზე თარგმნას დიდი ხნის ისტორია აქვს. გერმანულ წყაროებში დასტურდება, რომ ქართული კულტურით, ლიტერატურით გერმანელი მოაზროვნეები, მწერლები და მოგზაურები მეთექვსმეტე საუკუნიდან დაინტერესდნენ. ამ მხრივ აღსანიშნავია მეჩვიდმეტე საუკუნის გერმანელი მწერლის, ანდრეას გრიფუსის ქართულ თემაზე დაწერილი ტრაგედია „ქეთევან დედოფალი“; ქართული პოეზიის პირველი თარგმანები ეკუთვნის ცნობილ გერმანელ საზოგადო მოღვაწეს, არტურ ლაისტს, რომელიც ილია ჭავჭავაძემ მოინვია საქართველოში, გააცნო ქართული კულტურა, ლიტერატურა, პოეზია და სთხოვა, ქართული პოეზია გერმანულად ეთარგმნა. არტურ ლაისტი თავის „მოგონებებში“ აღნიშნავს: „დიდი სურვილი მქონდა, ჩემი თანამემამულე ევროპელებისათვის სრულიად უცნობი ქართული ლიტერატურა გამეცნო. ილია ფიქრობდა, რომ მე უნდა შემედგინა ქართულ ლექსთა კრებული გერმანულ ენაზე. ჩვენ ერთმანეთს გულმოდგინედ შევუდექით ამ საქმეს. იმხანად ქართულ ენაში მაინცადამაინც განაფული არ გახლდით. ამიტომ ილია სიტყვასიტყვით მითარგმნა და ქართულ ტექსტს, რაც სრულიად არ ამახინჯებდა არც აზრსა და არც ლექსის პოეტურ სილამაზეს. ჩემი პირველი კრებულის დიდი ნაწილი საგურამოში ვთარგმნე“. როგორც ჩანს, ეს არის ერთ-ერთი პირველი ქართულ-გერმანული მთარგმნელობითი ტანდემი. 1187 წელს ლაიფციგში დაიბეჭდა არტურ ლაისტის მიერ თარგმნილი პირველი გერმანულენოვანი ქართული პოეზიის ანთოლოგია „ქართველი პოეტები“. წიგნი 150 გვერდისაგან შედგება, მასში 11 ქართველი პოეტის შემოქმედებაა წარმოდგენილი. ამ წიგნში 32 ხალხური და ქართველი პოეტების 57 ლექსია შეტანილი. სამი წლის შემდეგ გამოვიდა მისი შევსებული გამოცემა, სადაც უკვე 21 პოეტის 151 ლექსია თარგმნილი. არტურ ლაისტს ეკუთვნის „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გერმანულენოვანი თარგმანიც. როგორც ცნობილია, რუსთაველის უკვდავი პოემის თარგმნაში დიდ მონაწილეობას იღებდნენ ილია ჭავჭავაძე და ივანე მაჩაბელი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ გერმანულ ენაზე „ვეფხისტყაოსანი“ რამდენჯერმეა თარგმნილი და გამოცემული როგორც პროზაულად, ისე პოეტურად. მათ შორის, ცნობილია პოემის შვიდი სრული თარგმანი (ა. ლაისტის – 1889 წ., ჰ. ჰუპერტის – 1955 წ., მ. წერეთლის – 1957 წ., ჰ. ბუდენზიგის – 1976 წ., ვ. რულკ-ფრონცის – 1977 წ., მ. პრიტვიცის – 1936 – 1948 წ. წ., რუთ ნოიკომის – 1974).

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს 1971 წელს გერმანიაში გამოცემული ანთოლოგია: „რვასაუკუნოვანი ქართული პოეზია“, რომელიც შეადგინეს ადოლფ ენდლერმა და რაინერ კირშმა. ეს იყო დღემდე ყველაზე ვრცელი ქართული პოეზიის ანთოლოგია გერმანულ ენაზე. იგი 340 გვერდისაგან შედგება. ახლავს ადოლფ ენდლერის წინასიტყვაობა. ეს ანთოლოგია კიდევ ორჯერ გამოიცა, ბოლოს – 1976 წელს. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამ ანთოლოგიის გამოცემაც, ისევე როგორც დღეს ჩვენი ანთოლოგიის გამოცემა, საქართველოს კულტურის სამინისტრომ დააფინანსა. იმედი გვაქვს, ჩვენი ანთოლოგია ამ დიდი ტრადიციების ღირსეული გაგრძელება გამოდგება.


– ნებისმიერი ანთოლოგია თანაბრადაა სრულყოფილიც და არასრულყოფილიც, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მისი შედგენა შემდგენლის ესთეტიკურ და კონცეპტუალურ ინტერესებზეა დამოკიდებული.

ბული, შესაბამისად, ანთოლოგიის გარეთ მუდმივად რჩება ვილაც, ვინც შეიძლება უკმაყოფილება გამოთქვას... ჩვენს ლიტერატურულ სინამდვილეში ეს გამორჩეული ემოციების ფონზე ხდება ხოლმე. როგორ გაართვით თავი ამ სირთულეს? რა იყო მთავარი კრიტერიუმი ავტორების შერჩევისას?

– რთული იყო ანთოლოგიის შედგენაზე მუშაობა. სადამდეც შესაძლებელი იყო, ანთოლოგია ეყრდნობა ქართული ნაციონალური ლიტერატურის კანონს. ანუ შეტანილია ყველაზე მნიშვნელოვანი, ყველაზე სავალდებულო ტექსტები. ის, რაც ყველა ქართველმა უნდა იცოდეს, რაც სკოლაში ისწავლება, რაც უმაღლესი სასწავლებლის პროგრამაშია შეტანილი. ნაციონალური ლიტერატურის კანონი არის სავალდებულო ტექსტების ერთობლიობა, ყველაზე მნიშვნელოვანი და ყველაზე პოპულარული ლექსები. ვეყრდნობოდი კვლევებსაც, ვინტერესდებოდი, რომელი ავტორია პოპულარული, რას კითხულობენ ახალგაზრდები და სხვ. მოვიძიეთ ყველა პოეტური ტექსტი, რაც ქართულიდან გერმანულად არის თარგმნილი და გამოცემული, შევადარეთ ორიგინალებს და ვნახეთ, რომ თარგმანები დაშორებულია ორიგინალს. ასევე, აღმოჩნდა, რომ თარგმანების ენა ხშირად უკვე მოძველებულია, რადგან თარგმანების დიდი ნაწილი ორმოცდაათი წლის წინათ არის შესრულებული.

ჩვენი ანთოლოგია 580 გვერდისაგან შედგება. ეს არის დღემდე

ყველაზე დიდი ქართული პოეზიის ანთოლოგია. მაგრამ, ბუნებრივია, ის მაინც არ არის სრულყოფილი. ქრონოლოგიურად ჩვენი ანთოლოგია იწყება ხალხური შემოქმედებიდან: „ლექსი ვეფხისა და მოყმისა“ (ითარგმნა პირველად) და სხვ. მასში შესულია იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ (ითარგმნა პირველად), ჩაბრუხაძის „თამარიანის“ ორი ოდა (ითარგმნა პირველად), შოთა რუსთაველის ორი თავი (უახლესი, გამოუქვეყნებელი თარგმანი), დავით გურამიშვილი, ბესარიონ გაბაშვილი, რომანტიკოსები, ილია, აკაკი, ვაჟა... ოთხმოცზე მეტი ავტორია. განსაკუთრებით ფასეულია ჩვენთვის, რომ კრებულში ორმოცამდე თანამედროვე ავტორია. წიგნს, როგორც უკვე იცით, ერთვის აუ-



დიოდისკი; ანთოლოგია იმ მხრივაც არის უნიკალური, რომ დღემდე არც ერთ ანთოლოგიას აუდიოვერსია არა აქვს. ასევე საგულისხმოა ისიც, რომ ავტორები თვითონ კითხულობენ თავიანთ ლექსებს. დამეთანხმებით, პოეტის მიერ წაკითხულ ლექსს განსაკუთრებული ესთეტიკა ახლავს. ანთოლოგიაში სამი ლექსი ქართულადაც არის დაბეჭდილი, იქვეა ლექსების ტრანსკრიფცია ლათინური ასოებით. ვფიქრობთ, ქართული შრიფტის გრაფიკა, ასევე, ქართული სიტყვების ტრანსკრიფცია საინტერესო ექსპერიმენტი იქნება მკითხველისთვის.

როგორც ანთოლოგიაში, ისე აუდიოდისკში დიდი შრომა დევს. წიგნის კონცეფციიდან მის განვითარებამდე ხანგრძლივი და დიდი გზა გავიარეთ. მე მინდა მადლობა ვუთხრა ჩვენი ანთოლოგიის ავტორებს, ასევე, საავტორო უფლებების მქონე პირებს, პოეტების მემკვიდრეებს, ქართული წიგნის ეროვნულ ცენტრს, ხმის ჩამწერ სტუდია „ხომლს“, სადაც ჩავინერეთ ლექსები, ჩვენი გუნდის წევრებს: ქალბატონ შტეფი ხოტივარ-იუნგერს, შორენა შამანაძეს, მაია ლიზოვსკის, თამარა ზიგერს, განსაკუთრებით კი ბატონ გერტ რობერტ გრიუნერტს და ბატონ ტრაიან პოპს. რომ არა მათი თანადგომა, ხშირ შემთხვევაში, უანგარო დახმარება, ეს ანთოლოგია არ გამოიციმოდა.

– თქვენი აზრით, როგორ მიიღებს ანთოლოგიას გერმანელი მკითხველი? როგორ იგეგმება მისი პოპულარიზაცია ევროპაში?

– გერმანულენოვანი მკითხველი ძალიან განებივრებულია მრავალფეროვანი,

მრავალჟანრული და თემატური ტექსტებით, მათ შორის, პოეზიითაც. ძნელია, გააოცო გერმანელი მკითხველი, თუმცა ჩვენი ანთოლოგია ითვალისწინებს თანამედროვე ტენდენციებს: ანთოლოგიას უძღვის ჩემი და გერტ გრიუნერტის წინასიტყვაობები, ერთვის აუდიოდისკი, სქოლიოები, ავტორთა და მთარგმნელთა ბიოგრაფიები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ანთოლოგია თვისობრივად ევროპული, დასავლური წიგნია. მაგალითად, არ არის დალაგებული ქრონოლოგიურად. ჩემთვისაც ძალიან საინტერესო იყო, როდესაც ბატონმა გრიუნერტმა შემომთავაზა ლექსების თემატური ნიშნით დალაგება. გამოვყავით რამდენიმე თემა: პოეზია, ფილოსოფია და რელიგია, სიყვარული, სამშობლო, თაობები და სხვ. ქართული პოეზიის ანთოლოგიის ყდაზე გამოსახულია გერგეთის სამებისა და მყინვარის სურათი („ალიონი ყაზბეგზე“, – ფოტოს ავტორია გერმანელი ფოტოგრაფი არმინ შმოლინსკე). ანთოლოგიის სათაურად გამოტანილი გვაქვს სახელგანთქმული გერმანელი ლირიკოსის, ფრიდრიხ ჰოლდერლინის სიტყვები: „გული მიმინევს კავკასიისკენ“.

2016 წლის თებერვალში დაგეგმილია „ქართული პოეზიის ანთოლოგიის“ პრეზენტაცია ლაიფციგის წიგნის ბაზრობაზე. ეს არის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნის ბაზრობა გერმანიის მასშტაბით. ასევე, ვფიქრობთ, წიგნი ღირსეულ ადგილს დაიკავებს ფრანკფურტის წიგნის ბაზრობაზე 2018 წელს, როდესაც საქართველო საპატიო სტუმრის სტატუსით იქნება წარდგენილი.

შოხანა ქახთიშვილი



„სალი კოლხელი“

დიდი ხანი არ გასულა მას შემდეგ, რაც მკითხველმა საზოგადოებამ გაიცნო მწერალ ლია რუსიაშვილის „სალი კოლხელი“, რომელიც 2013 წელს ოთხტომეულის სახით გამოიცა, ხოლო მოგვიანებით მე-5 ტომიც შეემატა, სახელწოდებით „ტყის ქალი“. ჩვენს ხელთ არსებული ხუთივე ტომი თემატურად და იდეურად ერთი მთლიანი ნაწარმოები გახლავთ, ერთგვარი ეპოპეა, ამსახველი თბილი და ზნეკეთილი ქრისტიანული ოჯახის ცხოვრებისა. მწერალი ამჟამად მეექვსე ტომზე მუშაობს და ვუსურვოთ, მკითხველის გასახარად მალე დაესრულებინოს თორმეტი მოციქულის სახელზე ჩაფიქრებული თორმეტტომეული, რომლის საერთო სახელწოდებაა „სალი კოლხელი“, ხოლო სხვადასხვა ტომს სხვადასხვა სათაური აქვს: 1. „უცნობი დედოფლის საგანძური“; 2. „ოქროს ვაშლის საიდუმლოება“; 3. „მარადიული ებრაელი“; 4. „ყვარლის ლოდი“; 5. „ტყის ქალი“...

თხზულების მთავარი გმირი ამ დიდი მოსიყვარულე ოჯახის ერთ-ერთი წევრი გახლავთ: კეთილი, მოსიყვარულე, ღვთისათვის გოგონა – სალი კოლხელი, მეოცნებე და სათუთი ბუნების გოგონა, რომელიც გამორჩეულად გრძნობს უფ-

ლის სიყვარულსა და მასთან მყოფობას, ღოცვით ადიდებს ყოველი დღის გათენებასა და დაღამებას.

სალი კოლხელის ბავშვობის ისტორია ღვთისმომში მშობლებსა და დაძმასთან ერთად არ არის ოდენ გასართობი ამბების თანმიმდევრობა, რაც ისედაც საამური თავშესაქცევი იქნებოდა პატარა მკითხველებისათვის, არამედ ეს არის ღრმად გააზრებული მოვლენების ჯაჭვი, რომლის კვალდაკვალ მწერალს სურს, გამოკვეთოს იდეური ჩანაფიქრი და მოგვცეს ახნა-განმარტებანი თანამედროვეობის ყველაზე საჭირობოტო საკითხზე: როგორ უნდა იზრდებოდნენ ბავშვები ისე, რომ არ უმახინჯდებოდეთ სული და ცნობიერება?.. აქვე იპოვით პასუხს იმ მშობელთათვისაც, რომელთაც აინტერესებთ თუ როგორ დაიცვან საკუთარი შვილები ბოროტისაგან, რაც ასე მომძლავრებულია ჩვენს აპოკალიფსურ, დასნებოვნებულ საზოგადოებრივ ყოფიერებაში.

აქვე იმაზეც მივუთითებდი, რომ მწერლისათვის ადვილი როდია, იაროს იმ გზით სიტყვიერ ხელოვნებაში, რომელიც რელიგიური მსოფლალქმისათვის დამახასიათებელი იდეურ-თემატური ას-

პექტებითა და შესაბამისი სტილიზაციით ასე ხაზგასმულად ჯერ არავის გამოუყვეთავს. ცხადია, ჩვენ გვყავდნენ საუკეთესო საბავშვო მწერლები და პოეტები, რომლებიც ქადაგებდნენ და გალობდნენ ღვთისათვის თემებზე, სიყვარულსა და სიკეთეს უნერგავდნენ თაობებს, მაგრამ, დამეთანხმებით, რომ ეპოქალური სიახლენი ყოველთვის ითხოვდა შემოქმედისაგან ახალ მეთოდოლოგიასა და გამოხატვის განსხვავებული საშუალებების დაძებნას. სწორედ ამგვარი მოთხოვნებითაა ნაკარნახევი ლია რუსიაშვილისათვის არა მარტო „ტკბილ ხმათათვის“, არამედ ორთავე სოფელს შინა კონტექსტში სულის საკურნებლად და საცხოვრებლად შექმნილი მწერლობა, რომელიც წიგნში მოწოდებული ყმანვილური ლალი სიანცეების და იუმორის ფონზე ზოგიერთი ოპონენტისთვის „ქრისტიანობისთვის შეუთავსებელ“ და დაუძლეველ ბარიერად გადაიქცა... მათდა სანუგეშოდ მოგანვდით წმინდა ბასილი დიდის სწავლებას: „სულიწმინდამ უწყოდა, რომ ძნელია კაცთა მოდგმის წაყვანა სათნოებისაკენ და რომ ჩვენ საღვთო ცხოვრება არ გვიზიდავს ტკბობისაკენ მიდრეკილების გამო. და როგორ მოიქცა დავით მეფესალმუნე? მოძღვრებას მელოდიის სიტკბოება შეუერთა, რათა იმასთან ერთად, რაც სმენას ნაზად ეალერსება და ატკბობს, შეუმჩნევლად მიგველო სიტყვათაგან სასარგებლონიც. ასე იქცევიან ბრძენი ექიმები, რომელნიც მწარე წამალს იმათ, ვისაც მისი დაღვევა უჭირს, თაფლწასმული თასით აძლევენ. მწყობრად მელოდიური ფსალმუნები ჩვენთვის შეითხზა, რათა ასაკითაც ყრმებსა და ხასიათითაც ჩვილებს ეფიქრათ, რომ მხოლოდ მღერიან, სინამდვილეში კი სულიერად განსწავლულიყვენ. ესაა ბრძნული ჩანაფიქრი მასწავლებლისა, რომელმაც მოიფიქრა, რომ სასარგებლო სიმღერით გვესწავლა. მისი მეშვეობით მოძღვრებანი უკეთ აღიბეჭდებიან სულში, რადგანაც იძულებით ნასწავლი დიდხანს არ შეგვრჩება, ხოლო

ის, რაც კმაყოფილებითა და სიამოვნებითაა მიღებული, ჩვენს სულში ფესვს მტკიცედ იდგამს“.

ღია რუსიაშვილმა სწორედ ამ მეთოდით გადანყვიტა, რომ ქრისტიანული სწავლებითა და ეკლესიური ცხოვრების წესის ჩვენებით ჩამოუყალიბოს მომავალ თაობებს ცხოვრების ჯანსაღი ზნეობრივი და მსოფლმხედველობრივი პრინციპები.

მხატვრული ფანტაზიისა და ხალასი იუმორის წყალობით მწერალს ხელენიფება, რომ მიმზიდველად დაასურათხატოს პატარების მხიარული, ნათელი ცხოვრება. ოინბაზობისა და ხალისიანი თავგადასავლების გარეშე მონვდილ ინფორმაციას ხომ ვერც ერთი ბავშვი ბოლომდე ვერ ჩაიკითხავს?.. სწორედაც რომ გამორჩეული ნიჭიერება და ყოვლისმომცველი ხედვა ეხმარება ლია რუსიაშვილს იმაში, რომ მეტად მიმზიდველად გამოგვცეს პატარა გმირების კინკლაობანი, სამყაროს ავანჩავანის შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი და მათივე „პირველადმოჩენები“. მწერლის განსაკუთრებულობად მიმაჩნია – ასეთი მსუბუქი თხრობის ფონზე შემოიტანოს (მაგრამ არ გადატვიროს) ასაკოვანთათვისაც კი ძნელად „მოსანელებელი“ თეოლოგიურ-მსოფლმხედველობრივი საკითხები, რაც ამ წიგნს ერთგვარად ენციკლოპედიურ დატვირთვას ანიჭებს და შესაძლოა, ვინმეს ეჭვი გაუჩნდეს – მაინც რა ასაკის ბავშვზეა წიგნი გათვლილი? შემკითხველი თავადვე გასცემს პასუხს – მწერლის ოსტატობის თუ მადლის წყალობით წიგნი ყველა ასაკს აკმაყოფილებს. ამ ყოველივესთან ერთად მწერალი სიცხადითა და მგრძობელობით აღგვიწერს საქართველოს ულამაზეს ბუნებას, თითოეული კუთხის მშვენიერებას და ხაზგასმით მიუთითებს, რომ ყველგან უფალი მეფობს, რასაც მკვეთრად შეიგრძობენ სათნო ადამიანები. ასეთი გარემო კიდევ უფრო შთამბეჭდავსა და ფერადოვანს ხდის სალი კოლხელის ფათერაკიან ბავშვობას. და მაინც, რა არის ის მთავარი ღირ-

სება და თავისთავადობა, რაც „სალი კოლხელსა“ და სახელდობრ, მის მეხუთე ტომს – „ტყის ქალს“ გამოარჩევს საბავშვო თემატიკის ამსახველი სხვა ნაწარმოებებისაგან?

მწერალი ახლებურად აცოცხლებს და დღევანდლობისათვის აქტუალურ თემად წარმოაჩენს ძველთაძველ ნარატივს – კეთილისა და ბოროტის მარადიულ ბრძოლას. ის იძულებულია, ნილაბი ჩამოგლიჯოს საშიშრად მომძლავრებული ბნელი სანყისის რეალურ სახეს, ამხილოს მისი მზაკვრული ჩანაფიქრი. ადამიანები ხომ ჩვენს რეალობაში სავალალოდ ცდუნდებიან არასწორი სწავლებებითა და ცრუ მოძღვრებებით, რამეთუ ვაი, რომ „სატანა თავადია ამა სოფლისა“ და დამატყვევებლად მიმზიდველია დემონური ხრიკები სარწმუნოებრივად განუსწავლელთათვის. არადა, მომავალმა თაობამ ხომ მაინც უნდა ისწავლოს ავ-კარგის გარჩევა, ხომ უნდა შეიცნოს ჭეშმარიტება, რასაც ხელს უშლის თაობიდან თაობაზე ინერციით გარდამავალი ცრუმორწმუნეობა, ცნობიერებისა და ყოფიერებისათვის საჭირობოტო საკითხების გაყალბებული აღქმა; ხომ უნდა დასრულდეს ეს ავტომატურად გადმოცემული შაბლონური, სტერეოტიპული შეხედულებები, მზა ფორმულები, როგორიცაა, ვთქვათ, „თეთრი მაგი კეთილია, ხოლო შავი მაგი კი ბოროტი?“ სინამდვილეში ხომ ორივე ერთი და იგივე უარყოფითი ძალისგანაა და პარადოქსია, როცა „ჰარი პოტერი“ სწორედ ამ ხერხით იზიდავს მკითხველს – პოზიტიურად წარმოუჩინოს თეთრი მაგები, როგორც ბოროტ მაგებთან მებრძოლები. ეს დემონური სიცრუე და ინსპირაციაა, ისეთივე, როგორიცაა მაგიურ-ზღაპრულ-ჯადოსნური ფოლკლორი თუ მწერლობა, რისგანაც განსხვავდება ლია რუსიაშვილის „სალი კოლხელი“, რადგანაც იგი მათებრ პოპულარიზაციას კი არ უწევს, არამედ ამხელს და ებრძვის ბოროტ, დემონურ ძალებს.

ნაწარმოების ანტიგმირია ბოროტი

სულების ტყვეობაში მყოფი ტყის ქალი ნადია. მისი „სწავლებებისა“ და ქცევების გადმოცემასთან ერთად მწერალი ახერხებს მათ გაბათილებას და ნილბის ახდას ღვთიური სასწაულების ამოქმედებით, რითიც დამაჯერებლად განმარტავს, რომ „უხილავი სხივი“, „წარმოსახვის საიდუმლოება“ თუ სხვა ჯადოქრული სასწაულები მხოლოდ დემონთა დახმარებით აღესრულება. ნაწარმოების იდეური ჩანაფიქრის განხორციელებაში დიდი როლი ენიჭება ერთ-ერთი მთავარი გმირის, სალის მამის ნამბობსა და ახსნა-განმარტებებს; ამავე პოზიციას აძლიერებს მთლიანი ეპოპეის მარადიული მეგზური – გმირი, გლახა, რომელიც სხვათათვის უხილავად მეგობრობს სალისთან და ეხმარება მას ღვთიური და დემონური მოვლენების განსხვავება-გააზრებაში. გლახა და ნადია ანტიპოდებია: გლახა შუახნის პერსონაჟია, თანამედროვეთაგან განსხვავებული ქცევა-ჩაცმულობით გამორჩეული – იქნებ სალოსიცაა, რამეთუ იგი სარწმუნოებრივად განსწავლის სალი კოლხელს და, შესაბამისად, მკითხველის სულიერ ორიენტაციას განსაზღვრავს.

აქვე მინდა გამოვეხმაურო მკითხველი საზოგადოების ერთი ნაწილის, კერძოდ, სასულიერო პირების (საბედნიეროდ, თითო-ოროლას) მიერ გამოხატულ კრიტიკულ დამოკიდებულებას ამ მოთხრობათა ციკლში აღწერილი დაუჯერებელი, ჯადოსნური მოვლენების მიმართ. მე უკვე ზედა აბზაცში განვმარტე, რომ „სალი კოლხელი“ პოპულარიზაციას კი არ უწევს ფანტასტიკურ-ჯადოსნურ სამყაროს, არამედ, აფიქსირებს რომ ის ჭეშმარიტად არსებობს და იბრძვის მათ დასამარცხებლად მართლმადიდებლურ ძალთა მეშვეობით. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შემოგთავაზებთ ჩემს მოკრძალებულ პოზიციას და ასევე, მწერლის იდეურ-თემატური არჩევანის გამამართლებელ მნიშვნელოვან მექანიზმზე და მეთოდოლოგიაზე გავამახვილებ ყურადღებას.

უპირველესად, ვიტყვოდი იმას, რომ როდესაც საქმე მწერლობას (ან ხელოვნების რომელიმე დარგს) ეხება, უნდა ვითვალისწინებდეთ მის ჟანრულ სპეციფიკასა და სტილურ თავისებურებებს. სიტყვაკაზმული ხელოვნების მთავარი ფუნდამენტი არის მხატვრული გამონაგონი, სადაც დიდი გასაქანი ეძლევა მწერლის ფანტაზიას. ეს ყველაფერი საშუალებაა, რათა მკითხველმა ამოიცნოს ავტორის სათქმელი, შეაფასოს და აღიქვას მისი პოზიცია, გაუჩნდეს სწორი დამოკიდებულება ძირითადი საზრისის მიმართ. საბავშვო მწერლობა, იგავ-არაკი და ზღაპრულ-მითოსური გადმოცემები ის ჟანრებია, სადაც ყოველთვის აღინერებოდა ხოლმე დაუჯერებელი ამბები, რეალობისათვის უცნაური ქმედებები, მაგ.: ადამიანის ფრენა, საგნების უხილავი გადაადგილება, ადამიანის გადაქცევა ცხოველად ან პირუკუ და სხვ. ფანტასტიკური სიუჟეტებით იქმნებოდა მითოლოგია, ლეგენდები, ზღაპრული შემოქმედება და სწორედ მათი საშუალებით გამოითქმებოდა ხალხური სიბრძნე, იძერწებოდა მორალი, ხოლო ზნეობრიობა ისახებოდა იდეალად. აქვე ხდებოდა მკითხველის განსწავლა ღვთაებრივი სიბრძნითაც. დიდი მეიგავე, სულხან-საბა ორბელიანი ხომ სწორედ „სიცრუის მეთოდით“ ამხელდა უკეთურებას და განადიდებდა მორალურ კანონებს. მხატვრული გამონაგონი, სიმბოლიზაციის მეთოდი, ყოველთვის იყო და იქნება საუკეთესო იარაღი მწერლის ხელში. ღია რუსიაშვილმა მანამდე არსებულ მწერლობას აღამატა „სალი კოლხელი“ იმით, რომ თეთრი მაგიტ კი არ დაუპირისპირდა შავ მაგს, არამედ მართლმადიდებლობით. „სალი კოლხელი“ თანამედროვე სარწმუნოებრივი ნაწარმოებია, შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი დარგია ქრისტიანული მწერლობისა, როგორც აგიოგრაფია, რადგანაც ესეც რეალური ოჯახის ისტორიას ასახავს, რეალურ ამბებზეა აგებული

და აქაც ქრისტიანები ებრძვიან დემონურ ძალებს.

დაუჯერებელი ამბების გადმოცემა „სალი კოლხელში“ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მხატვრული ხერხია, რადგანაც იგი ეხმარება მწერალს მთავარი საზრისის მკაფიო ჩამოყალიბებაში. ამავე საზრისის გასაცნობიერებლად დიდი ფუნქცია ეკისრება ოჯახის მამას, რომელიც სტუმრად ყოფნისას მასპინძელს, სანდრო ბაბუას ხშირად ესაუბრება მისტიკურ თემებზე და მასთან ერთად განსწავლის მკითხველსაც. მამა ხშირად განამრტავს-ხოლმე ამგვარი მოვლენების არსს და მიუთითებს აგრეთვე თუ როგორ უნდა განსაზღვროს ადამიანმა, ესა თუ ის სასწაული ღვთისგან მომდინარეობს თუ ჯადოქრისაგან? საამისოდ თხზულებაში მოტანილია არა ერთი მაგალითი ღვთივგაბრძნობილ მამათა ცხოვრებიდან, რომლებიც ჩანართია მოცემულ მხატვრულ რეალობაში და აღარ განეკუთნება მხატვრულ გამონაგონს. ეს ჩანართები სწორედაც რომ განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს ნაწარმოებს, რადგან მხატვრული სიტყვისა და სივრცის საუფლოში ასე ბუნებრივად შემოდის საღვთისმეტყველო ისტორიის რეალური მაგალითები, რაც ამდიდრებს და აკეთილშობილებს პატარა მკითხველის შემეცნებას.

ნაწარმოებში დროდადრო ვხვდებით ღვთისმსახური გლახას დარიგებებს, რომლითაც ის სალის (და მკითხველსაც) განუმარტავს ამა თუ იმ მოვლენის ჭეშმარიტ არსს: „ადამიანს თავისი აზრით არც არაფრის შექმნა ძალუძს და არც არაფრის გაკეთება – იქნება ეს ჰაერში ფრენა, გაუჩინარება თუ კედელში გასვლა! დააკვირდი, როგორ ახდენდნენ სასწაულებს წმინდანები: – ისინი ჯერ უფლისაგან გამოითხოვდნენ შენვენას და შემდეგ კი ამ შენვენით აღასრულებდნენ სასწაულებს – უვნებლად გამოდიოდნენ კოცონიდან, ამსხვრევდნენ კერპებს, აცოცხლებდნენ

მიცვალებულებს, კურნავდნენ დავრდომილებს, იმორჩილებდნენ მძვინვარე მხეცებს, მართავდნენ სტიქიებს და რომელი ერთი ჩამოვთვავლო... ჯადოქრებს კი თავიანთი „აზრის“ განხორციელებაში დემონები ეხმარებოდნენ და ეხმარებიან – აი, ესაა ამ წუთისოფლის კანონი და ამას ვერავინ შეცვლის! ჩვენ მარტოოდენ თავისუფალი ნებით შეგვიძლია ავირჩიოთ გზა ან ღმერთისაკენ, ან – დემონისაკენ“.

ქრისტიანულ სარწმუნოებაში განსწავლისა და განმტკიცების მიზნით ნაწარმოებში ჩართულია ეპიზოდი ექიმისა და მეცნიერი ჯოკოს ცხოვრებიდან. მწერალი გვიჩვენებს, რომ ჯოკოს აზრები და ლაბორატორიული ცდები ნადიას დაქვემდებარებაში გადასვლის შემდეგ დემონური ზემოქმედების შედეგია, რასაც საბოლოოდ იგი უნუგემო მდგომარეობამდე და სწეულებამდე მიჰყავს, მაგრამ სანდრო ბაბუა და მამა მას დაეხმარებიან და ეკლესიაში მიიყვანენ, სადაც მღვდელი სერაფიმე იხსნის მონანიე ცოდვილს სულიერი და ფიზიკური დაღუპვისაგან. შთამბეჭდავია მამა სერაფიმეს ნათელი სახე – მოყვასის სიყვარულითა და უფლის რწმენით გასხივოსნებული მოძღვრისა, რომლის დახმარებითაც ეკლესიაში მისული ყველა „უძღები შვილი“ განიწმინდება და ახალ ცხოვრებას იწყებს.

– „მამა სერაფიმე წამოდგა და ჯოკო მაცხოვრის ხატთან მიიყვანა... შემდეგ თავზე ხელი დაადო და წარმოთქვა:

– ჩემი უფლის, იესუ ქრისტეს სახელით გიბრძანებ ბოროტო სულო, გამოხვიდე ამ კაცისაგან და სამუდამოდ დაიკარგო აქედან!

ჯოკოს უეცრად მიტკლისფერი დაედო, შებარბაცდა და ხელები თავზე იტაცა. ყველამ დაინახა, როგორ გამოვიდა მისგან რალაც უფორმო, შავი კვამლისმაგვარი, საზარლად დაიკლავნა და სარკმელში გასხლტა...“

მწერლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი მხატვრული სიტყვის ძალით დამაჯერებლად გადმოსცემს უმთავრეს სათქმელს: ქრისტეს სახელითა და ღოცვით ქვესკნელში დაინთქმებიან დემონები და მისი მსახურები, ისე, როგორც ეს დემართათ ნადიასა და მასზე გაბატონებულ ბნელ ძალას.

დასასრულ, კიდევ ერთხელ დავძენ, რომ ღია რუსიაშვილის მრავალტომეული „სალი კოლხელი“ ჩვენი დროებისა და ეპოქის მოთხოვნილებით ნაკარნახევი შემოქმედებაა. ეს არის გამრუდებული ცნობიერების ხელოვნების მეშვეობით გასწორების ცდა. და აქვე დავამატებდი იმასაც, რომ ამ ნაწარმოების ადგილი არა მხოლოდ საბავშვო, არამედ საღვთისმეტყველო მემკვიდრეობის გვერდითაცაა; მართლაცდა, დროა ვასწავლოთ ჩვენს შვილებს მართებული სარწმუნოებრივი მიდგომა სამყაროსეული მოვლენების მიმართ და დავეხმაროთ ჯანსაღი სულიერი მსოფლხედვის ჩამოყალიბებაში.



დინა რუბინა

დინა რუბინა თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი რუსი მწერალია. დაიბადა 1953 წელს ტაშკენტში, მხატვრის ოჯახში. დღესდღეობით ცხოვრობს ისრაელში. არის ათზე მეტი რომანისა და ოცზე მეტი მოთხრობათა კრებულის ავტორი. მისი ნაწარმოებების მიხედვით, ათიოდე კინოფილმია გადაღებული. არის ისრაელისა და რუსეთის რამდენიმე ლიტერატურული პრემიის მფლობელი, მათ შორის 2007 წელს მიენიჭა რუსული პრემია „Большая книга“, რომანისათვის „ქუჩის მზიან მხარეზე“.

მოთხრობაში „ლუბკა“ ებრაული წარმოშობის მწერალი ხაზს უსვამს თავისი ერის ტრაგიკულ ბედსა და მის მარად დევნილობას, რაც, ძველი აღთქმიდან მოყოლებული, ისტორიის ისეთ მძიმე მომენტებში იჩენს თავს, როგორც მოთხრობაში ასახული სტალინის რეჟიმია (დევნილობის ბიბლიურ მოტივს დინა რუბინას ნაწარმოებში გამოკვეთს ტირიფის წნულისაგან დამზადებული ბავშვის ეტლი, რომელშიც მთავარი პერსონაჟის შვილი იზრდება, მსგავსად დაწვრილ აკვანში ნაპოვნი მოსე წინასწარმეტყველისა).

ლუბკა – განსაკუთრებულად შთამბეჭდავი სახე – რუსული ხასიათის ძლიერი, ერთგული და საიმედო მხარეების მატარებელია. მას, კრიმინალური წარსულის მიუხედავად, სამართლიანობის მძლავრი განცდა აქვს და ნამდვილი მეგობრობა შეუძლია. მოთხრობის დრამატული მოვლენები ერთგვარი გამოძახილია იმ ლიტერატურული სიტუაციისა, რომელიც ალექსანდრ პუშკინმა დაგვიხატა მოთხრობაში „კაპიტნის ქალიშვილი“. ექიმ ირინა მიხაილოვნასა და ლუბკას ურთიერთობა შეიძლება ავაზაკ პუგაჩოვისა და თავადიშვილ გრინიოვის უცნაური ძმობის ვარიაციად მივიჩნიოთ...

მთარგმნელი

ლუბკა

ლუბკას ფეხები გლუვი ჰქონდა, გამოკვეთილი და, ერთი შეხედვით, დაულალავი. არადა, თითოეულ ტერფზე, ცერების გასწვრივ, ლურჯად ჰქონდა ამოსვირინგებული: „დაიღალნენ“... შეხედავ: ლოყები – ჩაცვენილი, მხრები – გაჩხიკილი, მუცელი ზურგს მიახმა, ფეხები კი ისეთი აქვს, მიმიქარავს ფსიქეა, ღმერთმანი, საკვირველიც კია!

– შეგიძლიათ ჩაიცვათ! – უთხრა ირინა მიხაილოვნამ და, ვიდრე ლუბკა ნაჩქარევად და ცხაცახით ცდილობდა პერანგში ხელების გაძვრენას, ჩაფიქრდა.

ლუბკას ტერფებზე გულისმომთუთქავ წარწერას არ შეუშინდა. მეორე წელი იყო, რაც სამედიცინო კომისიაში იჯდა და ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ უნახავს. ისიც კარგად ესმოდა, რომ ადამიანს

მუდამ გაკრეჭილ მოლზე როდი უნევს ბავშვობისა და სიყმაწვილის გატარება. ლუბკას მოკრძალებულად ეჭირა თავი, პატიოსნად იყურებოდა, გასინჯვისას ფეხის თითებს მორცხვად კეცავდა.

როცა ლუბკა, როგორც იქნა, გაქუცული მწვანე ბლუზის მკლავების უაზროდ ჩაბრუნება-ამობრუნებას მორჩა, ირინა მიხაილოვნამ ის დერეფანში გაიყვანა.

– ყური დამიგდეთ... ლუბა... – უთხრა და ახალგაზრდა ქალს თვალებში შეხედა, – ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენად მძიმე შრომაა აღმასის დამუშავება. სულ რაღაც ერთ თვეში ხელების ნაცვლად ქრილობები და დმწვრობებილა შეგრჩებათ.

ლუბკა ეჭვის თვალთ, მდუმარედ უცქერდა მეტისმეტად მზრუნველ ექიმს და ფიქრობდა, ნეტავ რა ჯანდაბა ალაპარაკებსო.

– ჩემთან ძიად ხომ არ იმუშავებდით? ბავშვი მყავს, რვა თვის. დამტოვებული არავინ მყავს. მძიმე მდგომარეობაში ვარ... მე კი... სამოც მანეთს გადაგიხდით...

ექიმი ნასწავლი მშობლების კარგად აღზრდილ ქალიშვილს ჰგავდა. შეუხედავი იყო, ჭოროფლიანი. ცხვირი მაინცდამაინც დიდი არ ჰქონდა, მაგრამ რაღაცნაირად თითქოს წინ იწევდა, პირველი მე გამატარეთო. სახეც ისე ჰქონდა ასხმული, თითქოს მთელი გულისყურით იწევსო თანამოსაუბრისაკენ. ტუჩები რბილი და ფუმფულა ჰქონდა, თვალები ისეთი, თითქოს ყველას წინაშე თავს დამნაშავედ ცნობსო. ქათქათა ხალათის გულის ჯიბეზე ლურჯი აბრეშუმის ძაფით კოხტად ჰქონდა ამოქარგული ინიციალები: „ი. მ. ზ.“

უყურე შენ ექიმს... მაშ, კარგი, იყოს ძიად...

ლუბკამ შუბლი შეჭმუნა და თქვა:
– დავფიქრდები. მისამართი დამინერეთ...

ბაზრის მოედნის გარშემო ორსართულიანი სახლების ორი-სამი ქუჩა, ფოსტა, ფიცრულ ქობმახებში განთავსებული ხუთი მაღაზია და რამდენიმე ათეული ბარაკი – ერთი ბენო ქალაქი მეტალურგიულ კომბინატზე იყო მიტმასნილი და მის გაგრძელებას წარმოადგენდა. ის მცირე სანიტარული ნაწილიც, სადაც ირინა მიხაილოვნა ინსტიტუტის დასრულების შემდეგ გაანაწილეს, კომბინატს ეკუთვნოდა.

ორმოცდათერთმეტი წლის სექტემბერი იდგა. ხისტი, მომგუდავი ქარი ყოველ შესახვევს მქროლავი ქვიშით ხეხავდა.

კაცმა რომ თქვას, ინსტიტუტის შემდეგ უფრო სახარბიელო ადგილასაც შეეძლო მოხვედრა, საამისოდ მხოლოდ დროულად უნდა აეღო ცნობა ფეხმძიმობის შესახებ, მაგრამ დედამ, რომელიც ძლიერი და მამაცი ადამიანი გახლდათ, თავის უგონო ქალიშვილს უთხრა: „ირა, როგორ არ გესმის? ახლა რაც უფრო გადაკარგულში წავალთ, მით მეტი შანსია თავს ვუშველოთ. არაფერია, მუცელი აიკრიფე და წავიდეთ.“

იმ დროისათვის უკვე ორი წელი გასულიყო მას მერე, რაც მომცრო სარკმიდან ჩესურისკოსტუმთანა უსახო, რუხმა არსებამ შეატყობინა, რომ მამა მიმონერის უფლების გარეშე სხვა ბანაკში გადაიყვანეს. მისთვის გზავნილის გადაცემაზეც უარი უთხრეს. დედა უკვე კარგა ხანია, რაც ჰოსპიტლიდან დაითხოვეს, სადაც წინათ ნევროლოგიურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. დედა-შვილს ირინას სტიპენდიაზე უწევდა ცხოვრება და, შესაბამისად, მისი მომავალი ხელფასიც ერთადერთ საარსებო წყაროდ ესახებოდათ.

ასე რომ, „მუცელი აიკრიფეს“ და „განაწილების ადგილზე“ გაემგზავრნენ.

დედა-შვილს აგურის სახლში ოთახი გამოუყვეს – თორმეტიოდე მეტრიანი წესიერი ოთახი, ერთი მეზობლით, დიდი სამზარეულოთი, აბაზანაში „ტიტანიც“ კი ედგათ. ყველაფერი შესანიშნავად მო-



ენყო, შესანიშნავად. ირინა მიხაილოვნამ სამი თვე იარა სამსახურში, მერე კი დეკრეტში გავიდა. სონეჩკა იმავე სანიტარულ ნაწილში შეეძინა, ხოლო, რატომ, როგორ და ვისგან – ეს ღრმად პირადული ამბავი გახლდათ და არავის ეხებოდა...

მთვარია, რომ დედასთან ერთად საშინო არაფერი იყო, დედას ხომ ყველაფერი ეხერხებოდა: პალტოს გადაკეთება, ბაზრობაზე შევაჭრება, არაფრისაგან ბორმის მოხარშვა, დაგლეჯილი საბნის პირისაგან ჩვილის საფენების შეკერვა... როგორც ჩანს, თავის დროზე სწორედ ამისათვის დაუმთავრებია სორბონა. ერთი სიტყვით, ირინა იმ რწმენით გაიზარდა, რომ დედა კაჟივითაა და არასოდეს უმტყუნებს.

მაგრამ დედამ უმტყუნა. თვალის დახამხამებაში გათავდა: ფანჯარასთან იდგა, ხელში ხუთი თვის სონეჩკა ეჭირა და უცბად მშვიდად თქვა:

– რალაც ცუდად ვარ, ირა, წყალი მომანოდე, რა, – მოასწრო ბავშვის ეტლში ჩანწენა და... დედას არასოდეს არაფერი სტკენია!.. გულაღმა დაეცა.

როცა ირინა მიხაილოვნამ ჭიქით ხელში სამზარეულოდან მოიღებინა, თან წყლის ნახევარი გზადაგზა დაღვარა, დედა უკვე აღარ სუნთქავდა. დიპლომიანი ექიმი ირინა მიხაილოვნა დედას გარშემო კარგა ხანს ისე დაცოცავდა, როგორც

ბელი დაცოცავს მკვდარი ძუ დათვის გარშემო; ბინას სასონარკვეთილი ღრით ავსებდა, ვერ გაეგო, რატომ არ აქვს დედას არც პულსი და საერთოდ აღარაფერი...

აი, ასეთი ამბავი იყო... დედა სანახევროდ ცარიელ, ქვიშიან სასაფლაოზე დაკრძალეს (დედა! სად სორბონა, სად მამა, სად შენი საფლავი?!) და ამის შემდეგ ირინას სონეჩკასთვის რალაც უნდა მოეხერხებინა. კომბინატს კი ჰქონდა თავისი ბაგა-ბალი, როგორ არ ჰქონდა, მაგრამ ჯობდა არ ჰქონოდა. ცოდო იყო ბავშვი.

მაშინ მეზობელმა ქალმა, კონდაკოვამ, დახმარება შესთავაზა. ის ფოსტაში ტელეფონისტად მუშაობდა, ყოველ მესამე დღე-ღამეს მორიგეობდა და სხვა დროს მზად იყო, ბავშვთან დარჩენილიყო – ცხადია, ძვირად. უფასოდ სხვის ბავშვს მხოლოდ სულელი თუ დაიტოვებს, მაგრამ სხვა რა გზა იყო. კონდაკოვას მორიგეობის დღეებში ირინა მიხაილოვნას სონეჩკა სანიტარულ ნაწილში მიჰყავდა და თავის ჭკუაზე უშვებდა საორდინატოროს იატაკზე სალოლად. ბავშვი ზოგჯერ მინდობილად ძვრებოდა რომელიმე კუთხეში და იქ გუბებს ტოვებდა.

არა, სონეჩკას ნამდვილად პატრონი სჭირდებოდა. თანაც, ირინა მიხაილოვნა ველარც სახლში ასწრებდა რაიმეს: სამსახურის შემდეგ სონეჩკას ფაფას მოუმზადებდა, მაგრამ საკუთარი თავისთვის



ველარ იცლიდა. ერთ-ორ ნივთს გარეცხავდა, დალაგების თავი კი სადღა ჰქონდა. სახლი დაბინძურდა, კარადის ქვეშ ქერის გორგლები დაგორავდა. ეჰ, დედა, დედა...

მოკლედ, ვიღაც სჭირდებოდა. ამ მიყრუებულ ქალაქში კი სანდო ადამიანი სად უნდა ეძებნა?..

კომბინატი ყოველწლიურად ნთქავდა, ფქვავდა და ინელებდა ახლომდებარე ბანაკის ასობით პატიმარს, ტყვე იაპონელს და, ცხადია, თავისუფლად დაქირავებულ მუშას.

ლუბკა თავისუფლად დაქირავებულებს მიეკუთვნებოდა...

სალამოს გამოცხადდა იმავე გახუნებული ბლუზით. არც ჩემოდანი ეჭირა, არც ტოპრაკი. ამაყი უსახლკარობის იერი დაჰკრავდა. დერეფნის კედელს მძიმედ მიეყუდა და განაცხადა:

– დღეს ბავშვს არ მივეკარები. აქვე, შემოსასვლელში დავწვები. ძირს რამე ძველი საბანი დამიფინეთ.

გაოგნებული ირინა მიხაილოვნა უსიტყვოდ დამორჩილდა. როგორც შემდგომში გაირკვა, ლუბკას ისე ეხერხებოდა ფრაზაში ინტონაციის განაწილება, რომ შეკითხვებს თუ დაზუსტებებს სრულიად გამორიცხავდა. თან ხელის აქნევა იცოდა, აქაოდა, სიტყვები ზედმეტიყო.

მეორე დილით, კვირა დღეს, ლუბკა ადრე ადგა, ნავთი მოითხოვა, აბაზანაში ჩაიკეტა და სამი საათის განმავლობაში ბანაობდა.

– ტილებს იშორებს, – ნიშნისმოგებით გამოთქვა აზრი კონდაკოვამ, რომელსაც ძიძის ჯამაგრი ხელიდან ეცლებოდა და ამის გამო გამწარებას ვერ მალავდა. თავის პრიმუსთან იდგა, კოვზით მარჯვედ ურევდა კისელს და მოვლენათა განვითარებას ელოდებოდა. კონდაკოვა შუა ხანს მიტანებული შინაბერა გახლდათ, მრგვალი, რძისფერი დანისლული თვალებითა და ქათმის კურტუმოსავით გაპუტული წარბებით, რომლის ადგილზეც ყოველ

დილით, დადორბლილი ყავისფერი ფანქრით, ძაფივით თხელ, განზე აზიდულ რკალებს იხატავდა.

როგორც იქნა, შიშველი, ორთქლში გახვეული ლუბკა სააბაზანოდან გამოვიდა და სუფთა ტანისამოსი მოითხოვა. ვიდრე ირინა მიხაილოვნა კარადაში იქექებოდა და საკუთარ მწირ გარდერობს არჩევდა, პირსახოცში გახვეული ლუბკა სამზარეულოში სონეჩკას ლალად ეჭიკჭიკებოდა. კონდაკოვა ვითომდა კისელს ურევდა, თან თვალს ლუბკას მარმარილოსავით ჩამოსხმული შიშველი ფეხებისაკენ აპარებდა და ამოსვირინგებული წარწერის გაშიფრვას ცდილობდა. ვერაფრით გაერჩია, თვალებს ძაბავდა და თავს იატაკისაკენ ხრიდა. როცა ბოლოს და ბოლოს ცნობისმოყვარეობისაგან ვარცლივით მოირკალა, ლუბკამ უეცრად ფეხი ასწია და კონდაკოვას თავისი ტერფი სახეზე ააფარა.

– ჰა, ნაიკითხე, ბრუციანო, – გამოსცრა მრავლისმთქმელი კილოთი. კონდაკოვამ ქვაბს ხელი დასტაცა და თავის ოთახში შეიძურნა, საიდანაც სალამომდე აღარ გამოუყვია ცხვირი.

ლუბკა დაჭმუჭნილ კუბოკრულ კაბაში გამოეწყო, ოდესღაც ტაშკენტის საუკეთესო მკერავს გამოსაშვები სალამოსათვის რომ შეეკერა და ყავლგასულ მწვანე კოფთას საჩხრეკით ლუმელში დიდხანს, სიამოვნებით ატრიალებდა.

– აი, კიდევ რა, ექიმო, – წარმოთქვა ლუმლის სიმხურვალისაგან გაბადრულმა ლუბკამ, – ჩემს ფულს ხელში ნუ მომცემთ... სადმე დააგროვეთ... მე რომ არ ვიცოდე ადგილი, ისე...

მამინვე ითავა სახლის ყველა საქმე. ხეხავდა, რეცხავდა, ადულებდა, ხარშავდა, თავდავინყებით უვლიდა პატარას. როგორც ხალხში იტყვიან, ციბრუტივით ტრიალებდა. ირინა მიხაილოვნა განიცდიდა, ერთხანს ლუბკას მოთოკვა სცადა, მაგრამ რას მოთოკავდა! სანიტარული ნაწილიდან შინ დაბრუნებულს სახლი დალაგებული ხვდებოდა, სადილი – გამზა-



დებული და დედას თავსაფრის ქვეშ ჩათბუნებული ბავშვი – დაპურებულ-დამშვიდებული. სულ რაღაც ორ-სამ დღეში ირინა მიხაილოვნას ცხოვრება შინაური სიმყუდროვითა და მზრუნველობით განიმსჭვალა; ასე ეგონა, დედა დამიბრუნდაო და ამის გამო საღამოობით გული უგმინავდა.

ორიოდე კვირის შემდეგ ირინა მიხაილოვნამ ლუბკას პასპორტი აიღო და მილიციის განყოფილებაში წავიდა შინამოსამსახურის ჩასაწერად.

როგორც კი მაიორმა სტეპან სემიონოვიჩმა პასპორტს ჩახედა, სავარძელში


ლამის აყირავდა, უცბად ვერც კი ალაპარაკდა, მხოლოდ ლუბკას გადაშლილ პასპორტს იქნევდა ხელში.

– ირინა მიხაილოვნა, რას სჩადიხართ? – როგორც იქნა, შესძახა მაიორმა, – ეგ თქვენი ლუბკა ბანდის მეთაურია, ახლახან მოიხადა სასჯელი!

პასპორტი მაგიდაზე დააგდო.

– რომ გაგძარცვოთ, მერე სად მიდიხართ?

ირინა მიხაილოვნა დაჯდა, მაიორს შეხედა, ლუბკას, ერთი შეხედვით, ჩვეულებრივი პასპორტი ხელში დაატრიალა, მერე დედა გაახსენდა... დედა, ძლიერი



ადამიანი, მუდამ ამბობდა: „ემშაკსაც ნა-
ულია ყველა პირობითობა!“ ირინა მიხა-
ილოვნამ, პატარა გოგოს მოძრაობით,
მუხლებზე კაბა გაისწორა, ლუბკას პას-
პორტი თითით მოკრძალებულად მიაჩოჩა
მაიორისკენ და დამნაშავეს იერიით თქვა:

– გამძარცვავს და თქვენს იქით გზა
მაინც არ მაქვს...

შინ მიმავალს იმაზე ფიქრი სტანჯავ-
და, ლუბკასთან თავი როგორ დაეჭირა.
მხნედ ეთქვა: ყველაფერი კარგადაა, ლუ-
ბა, გენდობით? ფუჰ, რა ფარისევლობაა!
მთავარია, არ შეიმჩნიოს, როგორ ეშინია
ბანდის მეთაურთან ერთ ბინაში ძილი.

შემოსასვლელში გაიხადა, ფეხაკრე-
ფით მიუახლოვდა თავის კარს და ჩუმად
შეაღო. ოთახიდან ხმადაბალი, ნაღვლია-
ნი სიმღერა ისმოდა. ლუბკა სიბნელეში
კარისკენ ზურგმექცევით იჯდა და ბავ-
შვის ეტლს რიტმულად არწევდა. დერეფ-
ნიდან შემოჭრილმა ვინრო სხივმა ბეჭე-
ბი გაუსერა და ფეხებთან მიუწვა. ეტლი
ჭრიალებდა. მისი კორპუსი ტირიფის ტო-
ტებისაგან დაწნა ტყვე იაპონელმა ტაკე-
ტორიმ, რომელიც ირინა მიხაილოვნამ
პერიტონიტისგან მოარჩინა. ეტლი ჭრი-
ალებდა და ლუბკაც ყელისმიერი ნოტიო
ხმით ამ ჭრიალ-შრიალს უწყობდა უცნა-
ურ იავნანას:

*უცხო ძია ჩემ დედააას,
უცხო ქსოვილს დაპირდა.
მოატყუა დედაო,
იავ-ნანა, ნანაო.*

ირინა მიხაილოვნამ კარი მიხურა და
სამზარეულოსკენ, რატომღაც, ისევ ფე-
ხაკრეფით გაემართა. იქ კონდაკოვა იჯ-
და თავის მაგიდასთან და დღვრემილი
იერიით წრუპავდა ჩაის ფიალიდან, თან
უზბეკურ ყვითელ შაქარს აყოლებდა.

– სულმთლად შემავინროვა სამზარე-
ულოში, – შესჩივლა ირინა მიხაილოვნას
და ხმაურიანად შეხვრიპა ჩაი, – მთელი
დღე შემწვარ-მოხრაკულებს ამზადებს,
გეგონება აქ რესტორანი იყოს. უხეშია.
ნამდვილი ბანდიტი!

გასავათებულმა ირინა მიხაილოვნამ

გაიფიქრა, კონდაკოვა ჭეშმარიტებასთან
ასე ახლოს არასოდეს ყოფილაო. მერე
ქვაბს ქსოვილი შემოხსნა, ხუფიც ახადა
და მუხუდოს ცხელი წვნიანის სურნელით
გაბრუებული გაინაბა.

არც ერთს კრინტი არ დაუძრავს.
გეგონებოდათ, ლუბკას ბიოგრაფია სა-
მედიცინო კომისიის კაბინეტში დაიწყო,
თუმცა ლუბკა სულაც არ ჰგავდა იმ ადა-
მიანს, საკუთარ წარსულს რომ მალავს.

– რინმიხალნა, კარადაში, მით უმე-
ტეს, თეთრეულში ფულს ნუ ინახავთ, –
ურჩია ერთხელ, – როგორ შეიძლება ასე
გულუბრყვილოდ ცხოვრება?

ირინა მიხაილოვნა დაიბნა, აილენა,
აღშფოთდა: ნუთუ ლუბკა კარადაში იქე-
ქებოდა?

– არ ვიქექებოდი, – მისი აზრები წამ-
სვე ამოიკითხა ლუბკამ, – მაშინ შევამ-
ჩნიე, კონდაკოვას როცა ასესხეთ... თეთ-
რეული მძარცველებისთვის პირველია...
ძებნას იქიდან იწყებენ.

– კარგი რა, ლუბკა, რა ფული მე
მაქვს!

– მით უმეტეს, – მკაცრად დასძინა
ძიძამ.

თვალსა და ხელს შუა გაირკვა,
რომ ლუბკა ირინა მიხაილოვნაზე ბევ-
რად უკეთ ერკვეოდა ცხოვრებაშიც და
ფულთან მოპყრობაც მასზე გონივრუ-
ლად იცოდა: არასოდეს ეშლებოდა, რო-
დის და რაზე დაეხარჯა და როდის დაე-
ზოგა. თავისთავად, ისე გამოვიდა, რომ
ბაზარში ლუბკას გაშვება უფრო ხელსაყ-
რელი იყო.

ერთხელ მოვარდა აქოშინებული და
კარტოფილით საესე ჩანთა შემოსას-
ვლელში დააგდო:

– რინმიხალნა! ჩქარა, მოიტა ოთხმო-
ცი მანეთი! ერთი დედაბერი ორ სკამს ყი-
დის, გაგიჟდება კაცი! ნამდვილი გრაფის
სკამებია! ფეხები გრეხილი აქვს, ლაქვა-
დასმული! ერთი საათი ვევაჭრე.

– ლუბა, ხელფასამდე სულ ასი მანე-
თილა დამრჩა...



– ნუ ჟმოტობთ, თავს გავიტანთ!

... მართლაც გარდასული, რევოლუციამდელი ცხოვრებიდან მოღწეული საოცრება გამოდგა, უნაზეს აბრეშუმგადაკრული რბილი სკამები: იასამნისფერ ფონზე კრემისფერი ხვიარა ყვავილებით. რომელიღაც თავადური გარნიტურის ნამსხვრევი, აზიის ამ გადაკარგულ ქალაქში რაღაც სასწაულმა რომ გადმოისროლა. სკამებმა ახლა გაქუცული მრგვალი მაგიდის აქეთ-იქით დაიკავე ადგილი და პროვინციულ სასტუმროში შემთხვევით მოხვედროლ ორ ნორჩ ფრეილინას ჰგავდა.

ლუბკამ სკამებს ერთ საღამოში შეუკერა შალითები, ყოველ დღე საგანგებო ტილოთი უპრიალეზდა ფეხებს და მუდამ მხოლოდ „ავეჯს“ უწოდებდა („რა ავეჯი, რა ავეჯი!“ და ალერსიანად დაუმატებდა: „თანაც მუქთად!“)...

ირინა მიხაილოვნა ახლა უკვე შვებით აბარებდა ლუბკას თავის ავანსაც და ხელფასსაც, როგორც წინათ – დედას. გამოანგარიშება და განაწილება, მერე კი, როგორც ყოველთვის, უკანასკნელი ოცდაათმანეთიანის შემონახვა აღარ უწევდა. ახლა ყველაფერს ლუბკა ანგარიშობდა. სკამის წვერზე ჩამომჯდარი, მაგიდაზე თავდავიწყებით დაანყობდა ხოლმე ირინა მიხაილოვნას მწირ ჯამაგირს, ჩურჩულით, დიდხანს ანყობდა დასტებად მარაოსავით, გეგონებოდათ, პასეანსს შლისო. ასეთ დროს, ღმერთმა ნუ ქნას, რაიმე გულუბრყვილო შეკითხვა დაგესვა, თუნდაც – წვნიანი მთელი საღამო პრიმუსზე რად თუხთუხებსო. ისე შეგიღრენდა, არც მოერიდებოდა:

– რინმიხალნა, ღმერთმანი, თავი დამანებეთ, ხომ ხედავთ, ვითვლი! გაუშვი, ითუხთუხოს, რა მოუვა!

ყოველ თვეს აუცილებლად ახერხებდა ორიოდ კუპიურის გამოზოგვას. თვის ბოლოს ამოაძვრენდა ხოლმე სქელი წიგნიდან „გინეკოლოგია და მეანობა“ და გამარჯვებული სახით გამოაცხადებდა: – ფარდებს ვყიდულობთ!

– ლუბა, იქნებ ბოტები გვეყიდა?

– ბოტები შემდეგში, ამჯერად ფარდები ჯობს. შიშვლებივით ვცხოვრობთ, ქუჩიდან ყველა გვხედავს...

ერთხელ, საღამოხანს წავიდა მაღაზიაში და სამი საათით გადაიკარგა. შეწუხებულმა ირინა მიხაილოვნამ სონეჩკა ხელში აიტაცა, პარმალზე გავიდა და ქუჩის ბოლოს კარგა ხანს გასცქეროდა. როგორც იქნა, მოსახვევში, ბინდის მორევიდან, მსუბუქად გამოხტა ლუბკა, რაღაცით ძალიან კმაყოფილი. თითო ხელში თითო ცალი უზბეკური, აპრეხილცხვირიანი კალოში ეჭირა.

– ლუბა!..

– აი! წყვილი აბაზად! – ბნელიდან პარმალზე ამოცურდა ლუბკა და გაოცებული ქალის თვალწინ რეზინის პრიალა ფეხსაცმელი აათამაშა.

– ეგ რა არის? რად გინდოდა?

– როგორ თუ რად? წყვილი აბაზად! ვილაც ბებერი უზბეკი ყიდდა. ეშმაკს რა მოუფიქრებია: ყველა ერთ გროვად დაახვავა, ეტყობა სულ ცალ-ცალი აქვს, ბრაკია. აი, ასეთი უშველებელი გროვაა. წყვილი თუ გინდა, იძრომიალე და ეძებ. სამაგიროდ აბაზად!

– მერე?..

– რალა მერე?! სამი საათი ყელამდე ამ კალოშებში ვილოლე... კიდევ ვილაც ბებრუხანები არჩევდნენ, მაგრამ ჩემ გარდა, წყვილი ვერავინ შეარჩია, – კალოშები ძირებით ერთი მეორეს მიადო და დააკაკუნა, – თითქმის ერთნაირია!

– კი, მაგრამ, ლუბა, რად გვინდა კალოშები? – დაბნეულად იკითხა ირინა მიხაილოვნამ და მისმა გამომეტყველებამ, როგორც ჩანს, ლუბკას გაცისკროვნებული სიხარული ჩაუშხამა. ის წამით ჩაფიქრდა, აშკარად ცდილობდა საკუთარი სიხარულის დასაბუთებას, მერე დარწმუნებით გააქნია თავი:

– რინმიხალნა, ხომ გესმით! წყვილი აბაზად! აფსუსი იყო, არ მეყიდა!

ერთი განსაკუთრებული შემთხვევა კი პალტოსთან დაკავშირებით მოხდა. რაკი

ლუბკა ირინა მიხაილოვნას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, შიშველ-ტიტველი მიადგა, ხოლო აღნაგობითა და ზომით დიდად არ განირჩეოდნენ, ბუნებრივია, დიასახლისის ტანისამოსიდან ბევრი რამ ძიძას ერგო. ზოგი რამის რიგ-რიგობით ჩაცმა შეიძლებოდა, მაგრამ სიცივეები მოახლოვდა, ოქტომბერი იდგა და თუნდაც დემისეზონური პალტოს გარეშე ვერაფრით გადაიზამთრებდნენ.

ლუბკამ ორიოდე თვე ანყო „გინეკოლოგიისა და მეანობის“ სახელმძღვანელოში თითო-თითო კუპიურა, ერთი სული ჰქონდა, ირინა მიხაილოვნა შინ ხელფასს როდის მიიტანდა...

ბოლოს მკაცრად გამოაცხადა: მგონი, პალტოს შერჩევის დრო მოვიდაო. სწორედ მაშინ ამოყვინთა კონდაკოვამ თავისი ნუტრიის ქურქით. უფრო სწორად, მისი გამოჩენა მოულოდნელი სულაც არ ყოფილა. ქურქი ფოსტასა და მის შემოგარენში საყოველთაოდ იყო ცნობილი – საკმაოდ კარგი, ნითურა, ჭაღარაშერეული, მაგრამ აქამდე კონდაკოვას მისი გაყიდვა აზრად არ მოსვლია, ახლა კი ერთბაშად დააპირა და არც ძვირი მოუთხოვია.

ირინა მიხაილოვნამ მოიზომა, ერთხანს ათვალეირა თავი კონდაკოვას შიფონერის სარკეში, ხანგრძლივი ჭოჭმანი უხერხულად ეჩვენა და გადაწყვიტა, ვიყიდო, მაგრამ იმ წამს, როცა უკვე ფულის გადათვლასაც შეუდგა, საკვირაოსაბაზრო ლაშქრობიდან ჩანთებით დატვირთული ლუბკა შემოლაგდა.

– ლუბა, აი, ეკატერინა ფიოდოროვნასგან ქურქს ვყიდულობ, – შეატყობინა ირინა მიხაილოვნამ, – იაფად.

ლუბკამ ჩანთები შემოსასვლელში დაახვავა და კონდაკოვასთან მტკიცე ნაბიჯით შევიდა. ირინა მიხაილოვნას უხმოდ გააძრო ქურქი, მკლავზე გაიშალა, ბენვი თითებით მოსინჯა, სული შეუბერა.

– ირინა მიხაილოვნა, თქვენ რა, აწი ყიდვისას ყოველთვის შინამოსამსახურეს უნდა დაეკითხოთ? – იქედნურად იკითხა კონდაკოვამ. ლუბკას ქურქის თვალიერე-

ბა არ შეუნყვეტია, ისე აქაჩა წარბები, – სასაცილოა და მეტი არაფერი, – დაუმატა მეზობელმა და ერთბაშად მოიღუპა.

უცბად ლუბკამ ბენვი თითებით გამოქაჩა და მისი ხელის ქვეშ ქურქს ქაჩალი ადგილი გაუჩნდა, გრძელი ღერები კი იატაკზე ნაღვლიანად მიმოიფანტა. კიდევ მოქაჩა, კიდევ და კიდევ... ქურქი თანდათან სულმთლად გააქაჩლა.

კონდაკოვამ აწიხლად შეჰკვივლა და ლუბკას ეცა. მან კი რალაცნაირად, თითქოს შემთხვევით გამოუშვირა იდაყვი, კონდაკოვა ზედ, როგორც არმატურას, ისე წამოეგო, ამოიხროტინა და სანოლზე დაეშვა. ლუბკას მისკენ არც კი მიუხედავს.

– კარგი რა, რინმიხალნა, ღმერთმანი, ბავშვივით ხართ! – ხმაში საყვედურიც უყლერდა, სიბრაღულიც და უცნაური ალერსიც, – ყველა ნაძირალამ როგორ უნდა გაგაცუროთ... კი ბატონო, ეს ქურქი ოდესლაც მართლაც ქურქი იყო, მაგრამ ახლა ეშმაკის ქელეხში დასაჯდომად თუ ივარგებს, ანდა სადილის გასაცხელებლად... – ლუბკამ ამოიოხრა და ოთახიდან გავიდა.

– მოკლედ, ასე, – დაიწყო ლუბკამ, თან ირინა მიხაილოვნას მსუბუქი მოძრაობით გამოაცალა ხელიდან ასმანეთიანების თხელი დასტა, – სადილი თავსაფარშია შეფუთული: ტოლმაა და ბორში...

– სასამართლოში!.. – ისმოდა კონდაკოვას ოთახიდან ისტერიული კივილი, – კანონით!.. მატერიალური ზარალის მიყენებისთვის!..

ლუბკამ გულგრილად შემოიხვია თავშალი.

– სარეცხი ჩაღობილია და სალამოდე იყოს...

...გვიან დაბრუნდა, დაღლილი, თუმცა გამარჯვებული და ნაალაფარით დახუნძლული მხედართმთავარივით შემოაბიჯა.

– აი, ნახეთ, – კმაყოფილი კილოთი წარმოთქვა და ჭრელ ფუთას კვანძი შეუხსნა, – მართალია, ქურქი არ არის, მაგ-



რამ საუცხოო ნივთია, – და გაშალა დრაპის მუქი ლურჯი, ატლასის ცისფერსარჩულიანი, ციციკის პრიალა საყელოიანი, წარმოუდგენლად ელეგანტური პალტო, – სულ ახალია. მოიზომეთ.

ირინა მიხაილოვნამ შეიცხადა, მერე პალტო ხალათზე მოისხა, ღილებს როცა იკრავდა, მღელვარებისაგან თითები უცურდებოდა. პალტო ჩამოსხმულივით მოერგო ტანზე, თითქოს საგანგებოდ მისთვის ყოფილიყო შეკერილი, მის მიერ გაცვეთილი და მისი სხეულით გამთბარი. მის წინ ჩაცუცქეული ლუბკა კალთებს უსწორებდა. ირინა მიხაილოვნამ კალთებსა და სახელოებს თვალი შეავლო... მალაზიის ბირკა არსად ჩანდა... უეცრად საშინელმა აზრმა გამსჭვალა.

– ლუბკა! – შეჰყვირა შიშით თვალებგადმოკარკულმა, – საიდან?!

ლუბკამ ქვევიდან ცივად ახედა და მწარედ ჩაიცინა.

– როგორ გეკადრებათ, ირინა მიხაილოვნა! გგონიათ, ძაღლობას მოგაყენებთ კარზე? მე ვიყო... – ერთბაშად შეცბა და დაცხრა, – ნუ შიშობთ, მშვიდად ატარეთ. ეს პატიოსანი პალტოა... აქ ერთ პატიმარს ლენინგრადიდან ცოლი ჩამოუვიდა, დეიდა რაიასთან ქირით დგას... ჩამოვიდა და ქმარი მომაკვდავი დახვდა... ამა-ნაც, ყველაფრის გაყიდვა დაიწყო, ბეჭედი მოისხნა, საყურეები, აგერ, პალტოც დათმო... მეც აღარ მივაჭრია, რაც მოითხოვა, სულ მივეცი... – თითქოს დარდი ჩამოიბერტყაო, გამხნევდა. – მაგრამ ღირს კიდევ! ნახეთ რა ბენვია! როგორ ლივლივებს!..

შემოდგომამ შეუმჩნევლად ჩაიარა. ლუბკა ისევ ისეთი შემართებით ტრიალებდა ოჯახში და კონდაკოვასთან შეტაკებებში ისევ იმ მრისხანე სამართლიანობას იჩენდა. ამ ხნის მანძილზე ლუბკამ მოიკეთა, მხრებში გაიშალა, მკლავები მოუმრგვალდა, კანზე ხავერდოვნება დაედო, პირის ბუნებრივი სიმრგვალე გამოუჩნდა, ნიკაპი გამოებურცა, ტუჩები დამცინავად მოერკალა. ლუბკა ჯერ კი-

დეგ სულმთლად ახალგაზრდა გოგო გამოდგა. ალბათ მხოლოდ რუხი თვალების სისასტიკემდე მკაცრი მზერის შემხედვარე ვერ დაუშვებდით, რომ ლუბკას შეიძლებოდა რაიმე იდილიური განზრახვებიც ჰქონოდა.

იმავე შემოდგომით პატარამ გაიარა, ციციქნა თითები ეტლის ნწულს მოსწყვიტა და ტაატით გადადგა პუტკუნა მრუდე ფეხები, თან ხმადაბალი სიცილით შეხაროდა ამ თავის გამარჯვებას. ახლა ბარბაცით დაჰყვებოდა ლუბკას სამზრეულოში, ზოგჯერ ძირს დაებერტყებოდა ხოლმე და დიდხანს, გულმოდგინედ დგებოდა ფეხზე. იმავე შემოდგომით აიდგა ენაც.

– ჩა-ათლახი, – სიმღერ-სიმღერით ამცნო ერთ საღამოს გაოცებულ დედას.

– მართალია, ჩემო ოქრო, – ენერგიულად გამოეხმაურა ლუბკა, – ჩათლახი კონდაკოვა.

– ნაგა-ავი, – დაამატა პატარამ. ბავშვური სათუთი ჩიფჩიფის ტრანსკრიპციამ ამ სიტყვას რაღაც პირველქმნილად ესპანური, რომანტიკული ჟღერადობა შესძინა, რაც, ალბათ, კარაველას სახელწოდებასაც მოუხდებოდა...

ირინა მიხაილოვნამ ერთბაშად შენიშნა, რომ საღამოობით, ვახშმისას, ლუბკას მთელი სამუშაო დღის ამბებს წვრილად უყვებოდა. ლუბკა პირქუშად უგდებდა ყურს და დროდადრო უცნაურ, მოკლე შენიშვნებს ურთავდა.

– ...მოსელცევამ კი გვერდზე ჩამიარა და ვითომც აქ არაფერიო (ელეგანტური ქალია, ეგ მისი უმთავრესი ღირსებაა), ამბობს: „რამდენის უფლებას აძლევთ თავს, ირინა მიხაილოვნა, მკურნალი ექიმის ზურგს უკან სხვის ავადმყოფს საოპერაციო მაგიდაზე რატომ უშვებთ?..“ ვუთხარი, როგორ გეკადრებათ, ზინაიდა მიხაილოვნა, ბიჭი სამი დღე გამაგრებული მუცლით გენვინათ. გნებავთ, პერენიკოვს ჰკითხეთ, ეგ ბრმანანლავი ოპერაციის დროს ხელში ჩაგვეღვარა-მეთქი.

– პერენიკოვი ტყუილად ახსენეთ,

– უეცრად გაანყვეტინა ლუბკამ, – მისი საყვარელია.

– ვისი? – გაოგნდა ირინა მიხაილოვ-
ნა და კოვზი თეფშში ჩაუვარდა.

– ვისი და მაგ გაბურძგნილი კახპასი,
მოსელცევასი.

– ვაიმე, ლუბა, საიდან მოიტანეთ?..
ისე, ჩვენთან მართლაც ლაპარაკობენ...

ლუბკას ენას სულ უფრო ხშირად
სწყდებოდა საექიმო სიტყვები, რომელ-
საც ის სათუთად და დაკვირვებით გა-
მოთქვამდა:

– დღეს მოვდივარ და ვხედავ, მალა-
ზიაში ჩითი გამოუტანიათ: ცისფერია,
ისეთი, შეიძლება გაგიჟდე! პულსი ამიჩ-
ქარდა, ვფიქრობ: მომივა... არ მომივა.
სანამ რიგი მომიწევდა, მეგონა, ტაქიკარ-
დიით მოვკვდებოდი...

იმ შემოდგომით სონეჩკამ ფილტვე-
ბის ანთება გადაიტანა. ლუბკამ ეს ფაქ-
ტი პირადად თავის დანაშაულად აღიქვა,
ლამ-ლამობით დგებოდა და ამონებდა,
ბავშვი სუნთქავდა თუ არა. როცა ირინა
მიხაილოვნა ნემსს უკეთებდა, სონეჩკას
ბლავილის გაგონებაზე კედლებს აწყდე-
ბოდა, ერთხელ კი კონდაკოვას მტკიცედ,
მაგრამ თავაზიანად უთხრა:

– ბავშვს პნევმონია აქვს. დაჟინებით
გთხოვთ, ბინაში არ მოწიოთ, თორემ ცხ-
ვირ-პირს დაგინაყავთ.

ერთხელ ირინა მიხაილოვნას სანიტა-
რული ნაწილიდან შეაგვიანდა და სალა-
მოს ნემსის გაკეთების დრო გამოტოვა.

ლუბკამ მშვიდად გაულო კარი:

– რას მორბოდით, რინმიხანა, მე უკ-
ვე ყველაფერი გავაკეთე.

– რა ყველაფერი? – ადგილზე გაიყი-
ნა ცალბოტგახდილი ირინა მიხაილოვნა.

– რა და... ნემსი. რამ გაგაშეშათ?
ყველაფერი ზუსტად თქვენსავით გავაკე-
თე: დავმდულრე, ამპულა ბამბით გავტე-
ხე, ნემსის წვერს ხელით არ შევხებოვარ.
არც კი უტირია, – და დაუმალავი სია-
მაყით დასძინა: – თქვენთან კი, სხვათა
შორის, ყოველთვის ტირის.

ზამთარში, როგორც ყოველთვის, სა-

მუშაომ იმატა: მოყინულობები, გრიპის
ეპიდემიები. სანიტარული ნაწილი გავსე-
ბული იყო – დერეფნებშიც კი პაციენტე-
ბი ეწვინათ.

ხისტი, ქვიშიანი ქარი გამვლელებს
სახეს სინითლემდე უხეხავდა, ხაოია-
ნი თრთვილით დაფარულ ხმელ ტოტებს
ხვეტდა. დილაობით სახურავებს ალუმი-
ნის ლაპლაპი გაუდიოდა.

გული ლბილ, ღრმა თოვლში ჩაფლო-
ბას ნატრობდა, მაგრამ იანვარი ხალვა-
თი, მშრალი და სუსხიანი გამოდგა.

დილით, შემოვლამდე, ექთანმა ლე-
ნამ, ყავლგასულმა ქალწულმა, ლოყე-
ბი, იდაყვები და მუხლები მომჩვარულ
ტოპრაკებად რომ ეკიდა, მუდამ გაფა-
ციცებულად მფრთხალმა, კედლის გაზე-
თისათვის ყოველთვის რომ აგროვებდა
პრესიდან ამონაჭრებს საერთაშორისო
მდგომარეობის შესახებ, ათრთოლებული
ჩურჩულით ჰკითხა:

– ირინა მიხაილოვნა! „პრავდა“ ნაი-
კითხეთ? – ირინა მიხაილოვნამ ამის გა-
გონებისთანავე გულისრევის შემოტევა
და კუჭ-ნაწლავის სპაზმური ზაფრა განი-
ცადა. ამ ზაფრამ პირველად თხუთმეტი
წლის იმ ღამეს აიტაცა, მამა რომ დაუ-
პატიმრეს – ჰოსპიტლის მთავარი ექიმი,
ქირურგი, გენერალი, უბრალოდ მამა.

– ბანდა აღმოუჩენიათ... ექიმების
შეთქმულება... – ჩურჩულებდა ლენა და
თან საორდინატოროს კარისკენ აპარებ-
და თვალს, – როგორ, „პრავდა“ არ წაგი-
კითხავთ? წერილის სათაურია „თეთრხა-
ლათიანი მკვლელები“... ხალხს წამლავ-
დნენ თურმე...

– ჩვენთან „პრავდა“ სალამობით მო-
აქვთ, – ცარცისფერი ტუჩებით ამოთქვა
ირინა მიხაილოვნამ. მუცელში ტკივილსა
და სიცარიელეს გრძნობდა, საოცარიც კი
იყო სიცარიელის ასეთი ტკივილი, – და...
გვარები?..

– არარუსული გვარებია! – ცხარედ
ჩასჩურჩულა ლენამ, მაგრამ ირინა მიხაი-
ლოვნას თვალი რომ გაუსწორა, შეცბა, –
ძირითადად... პერეჩნიკოვმა უკვე გამო-

აცხადა: სამზე მთელი პერსონალის კრება დანიშნული.

მთავარი ექიმი პერენიკოვი ასეთ კრებებს, როგორც წესი, უგერგილოდ, მოქალაქეობრივი გზების გარეშე ატარებდა, მაგრამ ამჯერად საგანგებო შემთხვევამ მოუწია, რადგან სანიტარული ნაწილის არცთუ მრავალრიცხოვანი კოლექტივის თავზე თეთრად შეფერილი პროფესიონალური შიში აფრიალდა. ირინა მიხაილოვნას გვერდით ფელდშერი კოლია როჟკოვი ეჯდა, რომლის ცოლსაც წუთი წუთზე უნდა ემშობიარა: უკვე ორი დღე იყო, რაც სამშობიარო ბლოკში იწვა. წყლებიც დაღვარა და ამ დროს კრება დანიშნეს. კოლია გაქვავებული სახით იჯდა და აცახცახებულ მუხლზე წვრილწვრილად ირტყამდა მილაკად დახვეულ „პრავდას“. ირინა მიხაილოვნა კოლიასთვის გაზეთის გამორთმევას აპირებდა, მაგრამ რაღაც აჩერებდა. მერე მაინც ყველას გასაგონად ნაიკითხეს.

კითხულობდა ადგილკომის თავმჯდომარე მოსელცევა – ფაშფაშათიანი, ეშხიანი ქერა ქალი. ვერც კი წარმოიდგენდით, მთავარ ექიმთან სასიყვარულო კავშირი თუ ჰქონდა. პერენიკოვი მხრებში მოხრილი, უღიმღამო კაცი იყო, რომელსაც სახე გალიფეს ტოტს მიუგავდა: შესიებული ლოყები თხელ, მოგრძო ნიკაპში გადაუდიოდა.

მოსელცევა გამოთქმითა და გრძნობით კითხულობდა. თითოეული მკვლელი ექიმის გვარის შემდეგ წარმოსახვით ძახილის ნიშანს სვამდა და მოკლე, მაგრამ მნიშვნელოვან შესვენებას აკეთებდა, რომლის დროსაც ირინა მიხაილოვნას ეჩვენებოდა, მთელი დარბაზი ჩემკენ იყურებო.

დასასრულს პერენიკოვმა უგერგილო ხმით ჩაილულლულა, რაც ჩვეულებრივ ითქმის ხოლმე: კლასთა მზარდი ურთიერთდაპირისპირების, თითოეული შეგნებული მოქალაქის სიფხიზლის, ექიმის პროფესიონალური ვალის შესახებ ისაუბრა. სიტყვა დაასრულა თუ არა, კოლია წამოხტა, გაზეთი ძირს დააგდო და

სამშობიარო განყოფილებისაკენ იდაყვებით გაიკვლია გზა.

ირინა მიხაილოვნა საკონფერენციო დარბაზის (ფიცრისგან შეკრული მერხებით სავსე ოთახის) დაცარიელებას დაელოდა, გაზეთი იატაკიდან აიღო და საჩქაროდ გადაავლო თვალი გვერდებს. აგერ წერილიც: „თეთრხალათიანი მკვლელები“. გული შიშის მღვრიე მორევში უფართხალებდა.

– გაუგებარი იყო რამე, ირინა მიხაილოვნა?

კარში მოსელცევა იდგა. ტუჩებს იღებავდა და ჯიბის პატარა სარკეში სიამოვნებით იხედებოდა.

მართლაც ტურფა იყო მოსელცევა: ოქროსთმიანი, კოხტად აწეული თავი, ოდნავ ჩასკვნილი, მაგრამ მკვრივი ბიუსტი. კარგი შესახედი გახლდათ!

ზედა ტუჩი ქვედას მოუსვა და პირი რგოლად გამობოჟკა. გულისამაჩუყებელი, ჩამტკბარი გამომეტყველება გაუჩნდა.

– მ-გონი გარკვევით ნავიკითხე, – დამარცვლა და წამით ენის წვერი გამოაჩინა.

ირინა მიხაილოვნამ ნებისყოფის დაძაბვით აიძულა თავი, ათრთოლებული გაზეთისათვის კიდევ ორიოდე წამს არ მოეცლებინა თვალი, მერე სწრაფად დაახვია და ხალათის ჯიბეში ჩაიდო.

– დიახ, – თქვა ბოლოს, – ძალზე დამაჯერებელი იყავით.

მოსელცევამ თითქმის გულითადად გაუღიმა.

– რომელიმე გვარი ხომ არ გეცნოთ? თქვენ ხომ, თუ არ ვცდები, მოსკოველი ექიმების ოჯახში გაიზარდეთ?

ირინა მიხაილოვნამ გაფითრებული და გაფაციცებული სახით მისკენ წაინია. ოჰ, ეს წყეული, თანდაყოლილი დამნაშავე მზერა! ნეტავ შეეძლოს უდრტინველი შეუვალობა! დედა მოსელცევასნაირებს ერთადერთი სიტყვით ჩააკმენტიანებდა ხოლმე ენას...

– არ ცდებით, – ხმადაბლა უპასუხა,

– მაგრამ ჩემი ოჯახი უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში ტაშკენტში ცხოვრობდა.

მოსელცევას კარში გვერდი აუარა, იმან კი ზურგს უკან დაადევნა:

– სხვათა შორის, ტუჩის საცხს სულ ტყუილად არ ხმარობთ... ცოტათი შეგაფერიანებდათ მაინც...

...როცა ირინა მიხაილოვნა შინ ბრუნდებოდა, ქარი ერთბაშად ჩადგა და თოვლი წამოვიდა. ფიფქები ისე კანტიკუნტად და გზაბნეულად მოფარფატებდნენ, გეგონებოდათ, ზეციური კანცელარიის რომელიმე უწყებას სულ შემთხვევით გამოჰპარვოდნენ; ამაოდ ცდილობდნენ ერთიმეორის დაწვევას, ლანდისფერ ქარბუქად მაინც ვერ ეხვეოდნენ და, ალბათ, ამის გამო ჰაერში მარტოსულობისა და უმიზნოდ განვლილი ცხოვრების სუნი ტრიალებდა...

სახლის კარი როგორც კი შეაღო, მაშინვე კონდაკოვას გამარჯვებული ხმა მოესმა და პირველივე სიტყვებიდან შეუცდომლად იცნო საგაზეთო წერილის ტექსტი, არასწორი გამოთქმითა და სასვენნი ნიშნების სრული უგულვებელყოფით, უცნაურად დამახინჯებული.

ირინა მიხაილოვნა ჩაბნელებულ შემოსასვლელში, პალტოთი და ბოტებით, გაშეშებული იდგა და ისმენდა კონდაკოვას ალტაცებულ ხმას, ერთი ბენო ბინაში მეტისმეტად ხმამაღალს. მაშინვე შემზარავი სურათი წარმოუდგა: კონდაკოვა და ლუბკა, პატრიოტული აღშფოთების ნიადაგზე, შეხმატკბილდნენ და სამზარეულოში ერთად კითხულობენ „პრავდას“. ერთგვარი კომუნალური კრება: კონდაკოვა კითხულობს, ლუბკას კი ლოყა ხელისგულზე ჩამოუდია და უსმენს, თან დროდადრო შენუხებული სახით უქნევს თავს.

დერეფნის წყვდიადში იდგა და დედას შენატროდა, აღუნერლად შურდა მისი არცოდნის, მისი შეუვალობის, თავს ინყევლიდა იმის გამო, რომ ამ ქვეყანას კიდევ ერთი წყეული, მარად დევნილი

სულიერი მოავლინა. ამ ციციქნა სულიერს ახლა, ალბათ, თავის ტირიფის წნულის აკვანში ეძინა და მისი ხათრით აუცილებელი იყო ნაბიჯის გადადგმა, პალტოს გახდა, ცხოვრების გაგრძელება, იმ ერთი ციციქნა სულიერის გულისთვის... ვიდრე შენ სიცოცხლეს ვილაც მნიკვში არ მოიქცევს და თითებს შორის ჩრჩილივით არ გასრესს.

ლუბკა იატაკს რეცხავდა, კაბის კალთები აეკეცა და ოთახის ჩამონოლილ ბინდში ანტიკური სილამაზის ფეხები უელავდა.

– აჰ, რინმიხალნა... – დაბნეულად ჩაილაპარაკა და წელში გასწორდა, – ბოტებით სუფთა იატაკზე სად მოდიხართ? დაიცაო...

ტაბურეტი კართან მიუდგა და ირინა მიხაილოვნა ზედ მოცელილივით დაეშვა.

– გესმით?.. სამზარეულოში... ბებერი ბოზი თავის თავს მოხსენებას უკითხავს... მეორე წრეზე წავიდა უკვე... ჩემ გასაგონად გაჰკივის... ველოდები, მესამედ თავიდან რომ დაინწყებს, გავალ და ანთებულ პრიმუსზე შევსვამ...

იატაკის ტილო მაგრად განურა და ირინა მიხაილოვნას ტყლაშანით დაუგდო ფეხებთან.

– ჰა, გაინმინდეთ.

– ლუბა... – წამოიწყო ირინა მიხაილოვნამ სუსხისაგან გახისტებული ხმით, ლაპარაკისას სიტყვები ყელს უკანრავდა, – ალბათ, ჯობს წახვიდეთ... მე და სონეჩკა დაგვტოვოთ...

ლუბკა წელში გასწორდა და თვალები ბოროტად მოჭუტა:

– რაო? სად წავიდე? რით განწყენით? ჰა, რინმიხალნა?

ტაბურეტზე მჯდომი ქალი კედელს მიეყრდნო და კეფით მისი სიცივე იგრძნო.

– საქმე ისაა, ლუბა... თქვენ, იქნებ, არც იცოდეთ... მეც იმ ეროვნებას ვეკუთვნი, რომელსაც ის ექიმები... ადამიანებს რომ წამლავდნენ.

– ეგენი? ეგენი ვის წამლავდნენ?!

– ღრმად ამოიკვნესა ლუბკამ, – კარგი რა, რინმიხალნა, თქვენ ხომ მაინც სრულ ჭკუაზე ხართ?!

– ჩუმად, ლუბა, ჩუმად!

– მე მაინც ნუ მაბოლებთ, კონდაკოვა ხომ არ გგონივართ? ზონაში ასეთი მანებლები, იცით, რამდენი მყავს ნანახი?!

– მოიცადეთ, საქმე ეს არაა!.. – გატანჯული სახით შეიშმუშნა ირინა მიხაილოვნა, – მე იმის თქმა მინდა, რომ ჩვენთან დარჩენა თქვენთვის შეიძლება საშიში იყოს...

ლუბკა კიდევ წამით გაოგნებული აშტერდებოდა, ვერ გაეგო, მერე კი ლაღად და გულიანად ახარხარდა, თეძობზე, მუცელსა და ლოყებზე ხელისგულებს ილანუნებდა და იცინოდა.

– ჩემთვის? ჩემთვისაა საშიში?.. არ შემეძლია... ოჰ, რა მაცინეთ, რინმიხალნა! – ლუბკა გულწრფელად ხალისობდა, – მაშ, თქვენთვის კი არაა საშიში ჩემისთანა ქურდსა და ვიგინდარასთან ერთად ცხოვრება?! ჩემთვის ყოფილა საშიში თქვენთან დარჩენა... რას მოვესწარით... სიცილით მოვკვდი... – კარგა ხანს ველარ დამშვიდდა.

სამზარეულოდან კონდაკოვას ხმა გუგუნებდა... მესამე წრე წამოიწყო.

– რადიო გადაყლაპა. კარგია, ჩვენმა მიმღებმა ხომ მესამე კვირაა, რაც ხმა ჩაიგდო. ნავალ, კედელზე ისე დავკიდებ, რომ ტრაკით რადიოს მისწვდეს.

– ლუბა, გემუდარებით!..

მაგრამ ლუბკა დაჟინებით, თუმცა თავაზიანად მიაწვა კარს და ირინა მიხაილოვნა ოთახიდან არ გაუშვა.

– თქვენ, ჯობია, არ გახვიდეთ, რინმიხალნა, – მოძრაობები რბილი გაუხდა, ხმა მშვიდი და დამაჯერებელი, გაქვავებულ სახეზე ყვრიმალეები გამოეკვეთა, – ნუ გეშინიათ, არ მივასიკვდილებ მაგ ბოზანდარას.

გავიდა და კარი მაგრად მოიხურა. ნუთის შემდეგ სამზარეულოში კითხვა ერთბაშად შეწყდა და ისეთი მჭახე და გამჭვირვალე სიჩუმე ჩამოწვა, რომ ბავ-

შვის ეტლიდან სონეჩკას ფშვინვა ისმოდა.

ირინა მიხაილოვნა დაფრთხა და კარი ოდნავ გააღო. სამზარეულოდან ხმადაბალი, ალერსიანი ჟღურტული გაიგონა:

– ცინგლებთან ერთად დაგანთხევიანებ მაგ ბინძურ სულს... – მერე კონდაკოვამ ამოიწრიპინა, აფხაკუნდა, მერე ვილაცამ ხმაურით გააჩოჩა სკამი, რაღაც ძირს დაებერტყა, ვილაცამ ამოიხროტინა და კვლავ წყაროს წყალივით აჩუხჩუხდა ტკბილი ხმა: – ...ერთი გადაკრული... ერთხელ მაინც ცუდად შეხედავ... საკუთარი ტრაკის გარშემო ცოცვა მოგინევს... ჩაუშვებ და, იცოდე, კარგი ადამიანები საფლავიდანაც კი ამოგთხრიან...

მთელი ეს მონოლოგი, კალათაში ფოთლებით განყოფილ კენკრასავით ისეთი ნარჩევი, ბარაქიანი გინებით იყო განყოფილი, კონდაკოვას წარმოსახვას უკიდევანო შესაძლებლობებს რომ აწვდიდა და გამოუცდელ მსმენელს სახტად ტოვებდა. ირინა მიხაილოვნას ვერც კი წარმოედგინა, რომ ასეთი პრიმიტიული ელემენტებისაგან ასეთი რთული მხატვრული კონსტრუქციების აგება შეიძლებოდა.

მეორე დილით, შემოვლისას, კრიუკოვმა, მესამე პალატიდან, გადამბმელმა კრიუკოვმა, ვაგონებს შორის გასრესილმა და წელში განყვეტილმა, ირინა მიხაილოვნას მიერ საიქიოდან მობრუნებულმა, კრიუკოვმა, რომელიც ირინა მიხაილოვნას „ექიმ გოგონას“ უწოდებდა და მუდამ ამატებდა: „ღმერთმა ჯანი მისცეს“, გადამბმელმა კრიუკოვმა განაცხადა, დღეიდან მოსყიდულ ჯაშუშებს აღარ დავნებდები და ჩემზე ცდებს აღარ ჩავატარებინებ. აღარც ნემსს გაგაკეთებინებთ, აღარც წვეთოვანს დაგადგმევენებთ, – დაიხსომეთო.

ექთანი ლენა, ხელში შტატივითა და ფიზიოლოგიური ხსნარის ბოთლით, ადგილზე გაშეშდა, მომჩვარული ლოყები და კიდურები წვრილ-წვრილად აუცახცახდა...

– ვის? – ჩაეკითხა ავადმყოფს ირი-

ნა მიხაილოვნა, თან გრძნობდა, სისხლი მფეთქავ ტალღებად სახეზე როგორ მო-
ანვა, – ვის არ დანებდებით, ჯაშუშებს?
– პალატა, თხუთმეტი მძიმე და საშუალო
სიმძიმის ავადმყოფი, ავისმომასწავებ-
ლად დუმდა, ყველანი მზერას არიდებ-
დნენ. ირინა მიხაილოვნას სახის სინით-
ლე ნელა ჩამოსცილდა. ხმადაბლა და და-
მარცვლით იკითხა:

– კიდევ ვის არ სურს მოსყიდულ ჯა-
შუშთან მკურნალობა? – დუმილი... მხო-
ლოდ სამშენებლო კანტორის ბუღალტერ-
ი დრინიშევი კართან მდგომ სანოლში
შეიძრა და წვრილი ხმით გასძახა:

– აბა, ველოდოთ, სანამ ყველას დაგ-
ვნამლავთ და დედას გვიტირებთ?..

ირინა მიხაილოვნამ პალატა დატოვა
და სანოლებით სავსე დერეფანს საორდი-
ნატოროსკენ გაუყვა. დიდი იმედი ჰქონ-
და, რომ ახლა, შემოვლის დროს, იქ არა-
ვინ დახვდებოდა და პირსაბანთან ტირი-
ლით გულის მოხებასა და ცივი წყლით
პირის დაბანას შეძლებდა, მაგრამ ათიო-
დე ნაბიჯზე უკვე მოესმა აღელვებული
და, ამავედროულად, მოგუდული ხმები:

– ...პროფესიული ეთიკის ამბავია!

– მორჩით მაგ ლოლიავს, რა ეთიკა,
რის ეთიკა! – ეს მოსელცევას ხმა იყო, –
აი, ავადმყოფები ხელმონერილ განცხა-
დებას რომ გაამზადებენ და, სადაც ჯერ
არს, იქ გაგზავნიან, თქვენი პროფესიუ-
ლი ეთიკის გამო რა დღე დაგადგებათ,
იმასაც ვნახავთ... ერთი ჭუჭყიანი ლორის
გამო მთელი კოლექტივი გაისვრება...
ხომ არ გგონიათ, ხალხს მოატყუებთ?..
გვარიც ტიპური აქვს და გარეგნობაც –
გამოკვეთილი...

ირინა მიხაილოვნა გატრიალდა და
წავიდა. რომელიღაც სანოლიდან მოხუც-
მა ქალმა საცოდავად გასძახა: „შვილო,
შვილო...“ – მაგრამ უკან არ მიუხედავს, მე-
რე კი იგივე ქალი კიდევ დიდხანს უძახდა
სიზმრებში, მაგრამ მისკენ სიზმრადაც კი
არც ერთხელ არ მიბრუნებულა.

პალტო საორდინატოროში დარჩა.
ჯანდაბას პალტო. სახლამდე სირბილით

სულ რალაც ათი წუთია.

ცარიელ შესახვევში ის იშვიათი, მიმ-
ქრალი და მშვიდი ნათელი ფარფატებ-
და, როგორც მხოლოდ მაღალფანჯრი-
ან ფართო ოთახებშია ხოლმე (ბუნდოვ-
ნად ედგა თვალწინ ბავშვობის მოგონება:
მოსკოვის მაღალფანჯრებიანი ბინა...).
შესახვევის თავზე გაჭიმული მორუხო
ვინრო ცა სათბურის დიდი ხნის გაურეც-
ხავ მინას ჰგავდა.

უეცრად მის ზურგს უკან ვილაცამ
გულისმომთუთქავად დაიყვირა:

– ი-რრ-ააა!!! – ამ ტანჯულმა ღრი-
ალმა ქალი ტკივილის აფეთქების ტალ-
ლით აისროლა და სახლის კედელს მია-
ხეთქა. მამას ხმა იყო. ეს მამამ დაიღრი-
ალა გულისმომთუთქავად და მკაფიოდ:

– ირა!

მუხლები წვრილ-წვრილად უცახცა-
ხებდა, ხერხემლის გასწვრივ ცივი ოფ-
ლის წვეთები ჩამოუგორდა. დამბლად-
ცემულივით პირით ამოდ ხაპავდა ჰა-
ერს. კუთხის სახლს დაბამულქურთუ-
კებიანი სამი მუშა არემონტებდა. ქვევით
მდგომმა კიდევ ერთხელ ყურისნამღებად
დაიყვირა:

– ვირ-რა! – დანარჩენმა ორმა ბაგირი
აქაჩა და ცემენტის ხსნარიანი ვარცლი
მალლა აზიდა.

ირინა მიხაილოვნა ერთხანს კიდევ
იდგა აცახცახებული, მერე სახლში შე-
ბარბაცდა.

ლუბკამ გაულო, თვალი შეავლო და
შეიცხადა:

– პალტო აგნაპნეს?

ირინა მიხაილოვნამ თავი გააქნია,
პასუხის გაცემა დააპირა, მაგრამ ლუბ-
კა უეცრად გვერდზე გადაიზნიქა, მუჟუ-
ჟივით შეჯანჯლარდა, წამის შემდეგ კი
გულწასულმა ირინა მიხაილოვნამ თვა-
ლები აქაჩა და ლუბკას მკლავებში ჩაუ-
ვარდა.

მთელი საღამო იწვა ორ საბანში სა-
თუთად გახვეული, ზემოდან დედას ძვე-
ლი პალტოც ეფარა, ცახცახებდა და ქა-
რის ხმაურს უგდებდა ყურს, ფანჯრის



წინ სარეცხის თოკს რომ აფრიალებდა და სარჭებს კასტანეტებივით აჟღარუნებდა. იქნებ ამ ხმაურის გამო უცებ ვერც კი შეამჩნია ფანჯარაზე ჩუმი, მორიდებული კაკუნი. ნამობტა, ფანჯარას ეცა: თოვლით დანამქრულ ქუჩაზე პერეჩნიკოვი ატუზულიყო და რალაცას გაუგებრად ბუტბუტებდა. ქალმა სარკმელი გამოაღო და გაიგონა:

– ...ორი სიტყვა მაქვს სათქმელი... იქნებ გამობვიდეთ...

ჩანდა, ფანჯრის წინ უკვე ათიოდე წუთს უნდა მდგარიყო, რადგან მშრალი თოვლის თხელი ფენა მის ფეხქვეშ გამდნარიყო და შავი მიწა მოჩანდა. მკლავზე მსხვილი ბადის ჩანთა ეკიდა, რომელშიც რალაც ლურჯი შეკრულა თამთამებდა. ირინა მიხაილოვნამ დედას შალი მხრებზე მოიგდო, გარეთ გავიდა და სახლს უკნიდან შემოუარა:

– ფიოდორ ნიკოლაევიჩ, რა ხდება?..

– არაფერია, ნუ შეშინდებით... – ამოილულულა კაცმა და სიგარეტის ნამწვი ძირს დააგდო, – ნუ შეშინდებით... დღეს პალტო დაგრჩენიათ და, აი, მოგიტანეთ, რადგან ცივი ამინდებია და... თან სალაპარაკოც მაქვს თქვენთან... უჰ, არც კი ვიცი, რით დავიწყო...

– იქნებ სახლში შემობვიდეთ?

– არა, არა! – პერეჩნიკოვი შეკრთა და პალტოს საყელო აიწია, – და ძალიან გთხოვთ, ირინა მიხაილოვნა, ჩემო კარგო, გთხოვთ, ამ ჩვენი საუბრის შესახებ ნურც მტერს, ნურც მოყვარეს ნურაფერს ეტყვიტ...

თბილი, ყურებიანი ქუდის ქვეშ მისი სახე სასაცილო შესახედი იყო, მომჩვარული ლოყები სუსხისაგან ასწითლებოდა, ცხვირს ნამდაუნუმ ასრუტუნებდა. დროდადრო ლობის ძირას ნაგვის გროვისაკენ იყურებოდა, სადაც მოლურჯო არდლილებივით კატები დაძრწოდნენ.

– პალტო სულმთლად თხელი გაქვთ... ჩაგეცვათ მაინც, ღმერთმანი... არ მინდა ამ სიცივეში დიდხანს გაგაჩეროთ... – ცხვირსახოცი ამოიღო და ცხვირს წვალე-

ბა დაუნყო, – განანილებით კიდევ ერთ წელიწადს გინევედათ ჩვენთან მუშაობა, ასე არ არის?.. ჰოდა, ირინა მიხაილოვნა, მოდით, რაიმე საპატიო მიზეზი მოვიფიქროთ, თუნდაც ჯანმრთელობის მდგომარეობა, და წყნარად, მშვიდად, საკუთარი სურვილით გაგამწესებთ ამ გადაკარგულიდან ტაშკენტში, დედაქალაქია მაინც...

ირინა მიხაილოვნა პერეჩნიკოვსა და მის აწითლებულ, გათოშილ ხელს აშტერდებოდა, რომლითაც კაცი ცხვირსახოცს ჭმუჭნიდა. მალულად მოვიდა, „ორი სიტყვის“ სათქმელად ნაგავსაყრელთან გაიყვანა. თანაუგრძნობს თუ რა ხდება?

ქალმა დაჭმუჭნილი პალტო მოიცვა და ალაპარაკდა:

– ფიოდორ ნიკოლაევიჩ, ტაშკენტში მოხუცი დეიდას გარდა, აღარავინ შემჩნა და, რასაკვირველია, არც სამუშაოზე ამიყვანს ახლა ვინმე... გულუბრყვილო ადამიანი არ ხართ და ჩემზე უკეთ უნდა გესმოდეთ, რომ ტაშკენტში ახლა აქაურობზე ბევრად უარესი ამბავი ტრიალებს. ზოგჯერ გადაკარგულში უფრო გადაირჩენს კაცი თავს, ვიდრე დედაქალაქში... მადლობელი ვარ თქვენი, მესმის, გსურთ, სკანდალს ამარიდოთ. ისიც კარგად მესმის, რომ ახლა ჩემი გვარის პატრონი თქვენთვის მხოლოდ ზედმეტი ხათაბალაა...

– ირინა მიხაილოვნა, ჩემო კარგო, – ამოიგმინა პერეჩნიკოვმა, – გემუდარებით, ამ გაცვეთილ ფრაზებს მოეშვით! ჩემთან მაინც სამდურავი არაფერი გაქვთ. როგორც ხედავთ, აგერ, მოვედი... მუდამ დიდ პატივს გცემდით... ჩემი აზრით, არაჩვეულებრივი დიაგნოსტი ბრძანდებით, ეს ღვთის მომადლებული ნიჭია. აბა, ჩვენ რას გავანყობთ? დროა ასეთი! – ქალს თავისი გათოშილი, უხეში ხელი ჩასჭიდა, – კაბინეტში შემომიცივივდნენ... კოლექტიური განცხადებით... მოდი და დატოვებ რეაგირების გარეშე... კეთილი ინებე, გაარკვიე და ზემდგომ ინსტანციებს მოახსენეო. მოსელცევა რალაცას ბოდავს... თურმე ვილაც ყირიმის

თათრებს საჯაროდ თანაუგრძობთ... გული მერევა, მაგრამ რა ვქნა... თანამდებობა მაიძულებს...

„აკი ლაპარაკობდნენ, მოსელცევასთან რომანი აქვსო, – დაბნეულად გაიფიქრა ირინა მიხაილოვნამ, – მაინც რატომ თათრებს?.. იაპონელები არ ჯობდა? უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. თათარი შპიონი რაღაც არასოდეს გამიგია...“

– ასეთ საფრთხეს აბუჩად ნუ აიგდებთ, ირინა მიხაილოვნა... ნუ აიგდებთ... ხომ გესმით, სულ ცოტა, თქვენი სამსახურიდან დათხოვნა მევალება!

– ჰოდა, დამითხოვეთ, – უპასუხა ქალმა, – აქედან გასაქცევი არსად მაქვს.

პერეჩნიკოვი კიდევ ხუთიოდე წუთს დამნაშავის კილოთი რაღაცას ელაპარაკა, დაუინებით, მაგრამ მიხვდა, რომ ქალი ყურს არ უდგებდა, მის თვალეში რაღაც ზოგადი, ზედროული დარდი ამოიკითხა, გატრიალდა და წასვლა დააპირა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯი რომ გადადგა, უეცრად უკან მოიბრინა და ჩასჩურჩულა:

– ისმაილოვთან სამშენებლო კანტორაში დამლაგებლად ნახვალთ? ვეცდები დავითანხმო.

– წავალ, – გახევებული ტუჩებით ამოთქვა ქალმა...

პერეჩნიკოვი მარცხენა ფეხს ოდნავ ითრევედა, თითქოს თოვლზე შავი ჩრდილის მძიმე ტვირთს მიალოლებდა.

ირინა მიხაილოვნამ ჩრდილის შავი კოშკით დამძიმებულ კაცს თვალი გააყოლა და გაოგნებით გაიფიქრა, ნეტავ წინათ ასე სასაცილოდ რატომ მეჩვენებოდაო.

შინ შებრუნებული დიდხანს დუმდა და ლუბკას მიერ ამოკვესილ-ამონამღერ, უკვე ჩვეულ უცნაურ იავნანას ისმენდა, ბოლოს კი თქვა:

– მე თუ რაიმე შემემთხვა, ლუბა, სონეჩკა დეიდაჩემს ჩაუყვანეთ ტაშკენტში. მისამართს დაგიწერო...

უცხო კაცი ჩემ დედააას,

უცხო ქსოვილს დაჰპირდა.

– მეტი საქმე არ მაქვს, ბავშვი სად-

ღაც ჯანდაბაში წავიყვანო, – ჩაიბუზღუნა ლუბკამ, – როგორმე თვითონ მივხედავ... ხეიბარი კი არ ვარ...

...დედა მოატყუაო,

იავ-ნანა, ნანაო.

იმ ღამით ოთახის კუთხეში თვითნაკეთ ლეიბზე მწოლარე ლუბკამ არეულ-დარეული ჩურჩულით უამბო თავისი ცხოვრების შესახებ. ორ ქალს შორის ის უკანასკნელი ზღუდე ჩამოიქცა, რაც აღზრდას, განათლებას, ცხოვრებას აეგო. განკიცხულმა განკიცხულს გადაუხსნა გული.

ღვიძლი მშობლები ლუბკას ბუნდოვნად, სამოყვარულო ფოტოსავით გათხანნილად ახსოვდა. მხოლოდ ის იცოდა, რომ ოჯახი გაუკულაკებიან და ციმბირში გადაუსახლებიან; გზად ორი უფროსი ძმა, ანდრია და მიშკა, შიმშილით დახოცილან, ორი წლის ლუბკა კი სასონარკვეთილებამდე მისულ დედას რომელიღაც სადგურზე პროფესიონალი ქურდი ცოლ-ქმრისათვის დაუტოვებია. უშვილო კატიას გული მიუვიდა ლურჯთვალეზა სიფრიფანა გოგონაზე და მის სანაცვლოდ გაუკულაკებულისათვის ერთი პური, სამი ქაშაყი, ერთი თავი ნიორი და საპნის ნაჭერი გაიმეტა.

ასე გადარჩა ლუბკა – და ასე დაიღუპა.

სულ რამდენიმე თვეში უკვე ოსტატურად ძვრებოდა სარკმლებში, დანანალეზა სადგურებში („დეიდა, დავიკარგე, ტუალეტში მინდა...“ – ამ დროს გულისხმიერ დეიდას ზურგს უკნიდან ჩანთებსა და ჩემოდნებს აცლიდნენ), მატარებლებში მათხოვრობდა და ასე შემდეგ... სამართლიანობა მოითხოვს, ვალიაროთ, რომ უკვე მობერებულ კატიას და ვირტუოზ მძარცველ შტირიას გოგონა თავისებურად უყვარდათ, უხეშად არ ექცოდნენ (თითიც კი არ დაუკარებიათო, სიამაყით აღნიშნა ლუბკამ), დროდადრო სინანული მოაწვებოდათ და სკოლაშიც კი გაამწესებდნენ ხოლმე, მაგრამ ლუბკას ისეთი მრისხანე ხასიათი გამოეკვე-

თა, რომ თხუთმეტი წლის ასაკში უკვე მომრევი არავინ ჰყავდა, გულჩვილ ლოთ შტირიას ხშირად დაუტატანებდა ხოლმე, კატიას კი კუთვნილ ადგილს მიუთითებდა – ჯანდაბაში აგზავნიდა.

ამიტომაც მას მერე, რაც შტირიას ერთ მშვენიერ დღეს, ხანგრძლივი ლოთობის შემდეგ, დამბლა დაეცა, ლოგინად ჩავარდა და კატიას მოსავლელ-ჩასაბანი გახდა, ლუბკა მშვიდად, მძლავრი ხელით გაუძღვა „საქმეს“. ყველანი დაემორჩილნენ: კანაოც, ტოლჩაც, კოტიკიც და ბინძურიც.

– იმიტომ, რომ მე ტვინიანი ვარ, – ცხარე ჩურჩულით აუხსნა ლუბკამ, – ერთ წუთში მთელი გეგმა უკვე თავში მქონდა, ეგენი კიდე რა? მთავარი იყო, გაეძარცვათ, ნაძარცვი გაესაღებინათ, მერე გაიღებოდნენ და ერთი შვიდი წლით ჩასხდებოდნენ. მაგ ჩმორების გულისთვის მეც ციხეში მოვხვდი...

როცა, ბოლოს და ბოლოს, დადუმდა, ირინა მიხაილოვნამ იდაყვზე წამოიწია, ოთახის კუთხეში მოგუბებულ წყვილად ჩაამტერდა და ბანდის მეთურს უთხრა:

– ლუბა, თქვენ ძლიერი და ნიჭიერი ქალი ხართ. ღვთის შენეებით, ამ საშინელებას თუ გადავურჩით, ტაშკენტში წავალთ, სალამოს სკოლაში მოგანყობთ. მერე სამედიცინო სასწავლებელში, იქ ჩემი კურსელი მუშაობს... თქვენგან ნამდვილი... – უნდოდა ეთქვა, ადამიანი გამოვო, მაგრამ შეცბა, სიბნელეში განითლდა და მტკიცე კილოთი დაასრულა: – თქვენგან ნამდვილი ექთანი გამოვა.

ისმაილოვმა მართლაც აიყვანა დამლაგებლად, ოღონდ ირინა მიხაილოვნა კი არა, ლუბკა. როცა შეიტყო, ირინა მიხაილოვნა ექიმობის ნაცვლად რა სამუშაოზეც აპირებდა მოწყობას, ერთი ამბავი აუტეხა.

– რაო, იატაკი უნდა ხეხოთ?! – მრისხანედ უყვიროდა დამფრთხალ ირინა მიხაილოვნას, – იმ გაბურძენილ გომბიოს ფეხქვეშ ტილოები უფინოთ?!
– ლუბა, მოსელცევა რა შუაშია? ეს

სამშენებლო კანტორაა, სულ სხვა დაწესებულება.

– მე მოვკვდე, ერთხელ მაინც ვინმემ ვედროთი ხელში თუ გნახოთ!

ლუბკა შემზარავი შესახედი იყო, თვალებიდან ცეცხლებს ყრიდა და არავითარ შეპასუხებას არ ითმენდა. დილას ადრე თვითონ მივიდა ისმაილოვთან, საქმე წამში მოაგვარა და სამშენებლო კანტორის კოლექტივსაც შეერწყა.

ახლა ირინა მიხაილოვნა შინ იჯდა, კარტოფილს წვავდა და ობლის მოუთმენლობით მოელოდა ლუბკას შინ დაბრუნებას. ხანდახან ფაფას რომ ურევდა, მწარედ ეციხებოდა და ფიქრობდა, კაცმა რომ თქვას, ეს ყველაფერი ძალიან სახალისოა და კარგ საზოგადოებაში გემრიელად, იუმორით მოსაყლი ამბავი: როგორ დაუდგა ლუბკას მოსამსახურედ, თანაც უნიჭო და არაფრისმაქნის მოსამსახურედ. რა იქნება, ლუბკას შვეტულება ან პრემია რომ მოსთხოვოს?.. მამას კარგად გამოსდიოდა ასეთი ამბების მოყოლა, არც არაფერს თხზავდა, უბრალოდ განცალკევებული მოვლენების ამორჩევა იცოდა და ერთურთთან ძალზე სასაცილოდ ათავსებდა... მხოლოდ კარგი მსმენელების საზოგადოებლა აკლდა და...

იმ რამდენიმე კვირის მანძილზე, შებინდებისას, პერეჩნიკოვი ორჯერ მიეპარა ფანჯარას და სარკმელში მარჯვედ, კალათურთელივით ისროლა ჩაკუჭული ოცდაათმანეთიანი. ირინა მიხაილოვნა იმავე გზით ეცადა ფულის დაბრუნებას, მაგრამ პერეჩნიკოვმა ორივეჯერ თვალები გადმოუკარკლა, ხელები სასაცლოდ აუქნია და სასწრაფოდ გაეცალა ფანჯარას, თან ისევ შავ კუმტად მოკუნტულ ჩრდილს მიათრევდა.

მარტში მწირი თოვლი დადნა, მაგრამ ცივი ქარი ისევ ისე დაულალავად გლეჯდა სარჩებს სარეცხის თოკიდან და ტრიალ მინდორზე წკეპლებივით წვრილ ალვებს ღუნავდა. ადრეული გაზაფხულის შიშველი, გამჭვირვალე, მიუსაფარი დღეები იდგა...

სალამოს გასავათებული ლუბკა შინ ბრუნდებოდა, მიმწვარ ან სანახევროდ უმ კარტოფილს თავს აცხრებოდა და ხმადაბლა ყვებოდა:

– რადიომიმღებს უკვე ორი დღეა არ თიშავენ. როგორც კი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობებს აცხადებენ, ყველა გაიტრუნება, ყურს უგდებს და ისეთი სიჩუმეა ხოლმე, საშლელს ფურცელზე რომ უსვამენ, ისიც კი ისმის.

ირინა მიხაილოვნა ყურს უგდებდა, ექიმის თხელ, მოკლეფრჩხილებიან თითებს ერთმანეთში ნერვიულად ხლართავდა და თვალს ნაგვის გროვებით მოფენილ მინდორს უშტერებდა.

ერთ-ერთ ასეთ წუთს ლუბკამ უცებ ღეჭვა შეწყვიტა და გაბმით მიაჩერდა.

– რინმიხალნა, აი, სულ დუმხართ, დუმხართ... თქვენ ხომ ექიმი ხართ... მითხარით რა, წუთუ გადარჩება?

ირინა მიხაილოვნა შეკრთა და კონდაკოვას ოთახისკენ განწირული მზერა ისროლა, მერე მკვეთრი ჩურჩულით უპასუხა:

– მოეშვით ზედმეტ ლაპარაკს, ლუბოვ ნიკიტინა!

ერთხელ, შუადღისას, ირინა მიხაილოვნამ სონერკა დააძინა და წინდების კემსვას შეუდგა. უეცრად შემოსასვლელი კარი მიჯახუნდა, ვილაცამ დერეფანი გამოიბინა... ოთახში ლუბკა შემოვარდა. ირინა მიხაილოვნამ ერთბაშად გამშრალი, ჩაცვნილი, შემზარავი თვალებით ახედა. ხმას არ იღებდა.

არც ლუბკა იღებდა ხმას, მუშტებშეკრული ერთ წერტილს მიშტერებოდა და სახეზე შთაგონებული სიძულვილის გამომეტყველება ჰქონდა. ასეთი სახე იმას აქვს, ვინც თავისი გვარ-ტომის მოსისხლე მტერი ეს-ესაა საიქიოს გაისტუმრა.

– ღმერთო!.. – აღმოხდა ირინა მიხაილოვნას.

– ჩაძალდა! – მოკლედ ამოისუნთქა ლუბკამ.

– ლუბა... ჩემად... არ შეიძლება... – ქვითინის შუალედებში ლულულულებდა

ირინა მიხაილოვნა, – ასე თქმა არ შეიძლება...

– შეიძლება, შეიძლება! – მრისხანე აღტაცებით იმეორებდა ლუბკა, – ჩაძალდა, ჩაძალდა! აღარ არის ჩოფურა ძალი!

მთელი ის სალამო კონდაკოვა თავის ოთახში მოთქმით ტიროდა. მხოლოდ წუთით გამოვიდა სამზარეულოში ჩაიდნის დასადგმელად – სახედასიებული, დაბერებული, გათხაპნილწარბებიანი. ვიდრე ჩაიდნის წამოდულებას ელოდებოდა, ერთი-ორჯერ ამოიგმინა.

– წარმოგიდგენიათ, – ერთგვარი მონინებით აღნიშნა ლუბკამ, – როგორი გლოვა სცოდნია. რინმიხალნა, იცით რას ვფიქრობ? დღეს ქვეყანაში, ალბათ, ბევრი გლოვობს ასე...

– ჰო, ბევრი, ლუბა, – სერიოზულად უპასუხა ირინა მიხაილოვნამ.

აპრილის ბოლოსკენ უდაბნოდან ქალაქს სიცხე მოაწვა, ქვიშა გაშრა, ჰაერში ქარბორბალად ტრიალებდა და ალიზით გადახურული ქობმანების სახურავებიდან ყაყაჩოს ყვავილებს ხვეტდა. ციციქნა რუხი ხვლიკები მზის გულზე ინაბებოდნენ.

ირინა მიხაილოვნა სანიტარულ ნაწილში, ძველ სამუშაო ადგილზე ალადგინეს, ლუბკა კი სამზარეულოს დაუბრუნდა.

აპრილის ბოლოს ლუბკამ მოიწყინა.

პირველი მაისის წინა სალამოს ფანჯარასთან იჯდა და გაჰყურებდა, მილიციის შენობაზე დროშას როგორ ამაგრებდნენ. სონერკა კარგა ხანს უშედეგოდ ითხოვდა ქოთანს, ბოლოს იმედეგადანურულმა შარვალში მოისაქმა. ლუბკამ დაბნეულად გამოუცვალა ტანისამოსი. სალამომდე ფანჯარას აღარ მოსცილებია, იჯდა ტაბურეტზე და ყალბი ბრილიანტებით დახუნძლულ შავ ცას უბღვერდა.

დილით, როცა ყველა დინამიკიდან სადღესასწაულო მარშები გრგვინავდა, ლუბკამ თმა დაივარცხნა და თქვა:

– რინმიხალნა, ფული მომეცით, წავალ, ვიგრიალე.

ეს სიტყვები ისევ იმ კილოთი იყო ნათქვამი, ყოველგვარ შეკითხვებსა და დაზუსტებებს რომ გამოორიცხავდა.

ირინა მიხაილოვნამ მხრები აიჩეჩა: მაინც სად აპირებდა ლუბკა ამ ღვთით-მივიწყებულ ქალაქში „გრიას“? მაგრამ რაც ჰქონდა, თითქმის მთელი ფული მისცა.

– იგრიალეთ, ლუბოვ ნიკიტიჩნა.

ლუბკა წავიდა და – გადაიკარგა.

გავიდა ერთი დღე, ორი, სამი... ლუბკა არ ჩანს... ირინა მიხაილოვნა ლოდინით დაიტანჯა, მაგრამ მილიციაში წასვლისაგან თავს იკავებდა. ლუბკა ამას არ მოუწონებდა.

მესამე ღამით (ირინა მიხაილოვნა უკვე დაწვა და მოუსვენრად ჩასთვლიდა) კარზე მსუბუქად დააკაკუნეს. ირინა მიხაილოვნამ ეს მსუბუქი კაკუნები ძილშივე იცნო, წამოხტა, შეჩქვიფდა, ფეხშიშველმა გამოირბინა დერეფანი, კარი გააღო

და შეჰკვივლა.

ზღურბლზე ლუბკა იდგა ნამთვრალევი, მთვარისებრი მოელვარე სახით, წარმოუდგენლად მდიდრული კაბით, რომელიც, გეგონებოდათ, ეს-ესაა, ოპერეტის პრიმადონას გახადაო. გულისგამხეთქავად ღრმა დეკოლტე მუცელზე სოლად უვინროვდებოდა, გვერდებიდან შეჭყლეტილი მკერდი შუაში ორ ჩამოსხმულ ბურთად ამობურცვოდა.


ლუბკას ახირებული კინკრიხოს თავზე ირმის ნახტომი იკლაკნებოდა და უსასრულობაში იკარგებოდა. აზიის მუქი ცა მძიმედ ჩამონოლილიყო, იტალღებოდა, ურიცხვი ვარსკვლავური სამყაროს მორევით სუნთქავდა...

ამ ყველაფრის ფონზე ირინა მიხაილოვნას უეცრად მეცო-სოპრანოს დრამატული ჰანგები მოელანდა, რალაც, მგონი, „რიგოლეტოდან“... მთელი ეს სურათი სიზმრის გაგრძელებას ჰგავდა.

და ამ მთვარეულ, ბუნდოვან, ციებიან სიზმარში ლუბკამ გამტერებულ ირინა მიხაილოვნას მინამდე დაუკრა თავი და მჟღერი ფხიზელი ხმით წარმოთქვა:

– ირინა მიხაილოვნა! მაღლობელი ვარ ყველაფრისათვის... შემიკედლეთ, მენდეთ, კარადები არ ჩაგირაზავთ, თქვენობით მომმართავდით. ჩემი დღე და მოსწრება არ დაგივიწყებთ... ახლა კი ჩემი პასპორტი მომეცით, წავალ... – და ხელი აიქნია, როგორც იცოდა ხოლმე, აქაოდა, სიტყვები საჭირო არ არისო.

ირინა მიხაილოვნას გული მოენურა, იგრძნო, რომ ლუბკა დალუბულია, მაგრამ მთვარეულივით კარადისკენ გალასლასდა, პასპორტი ამოიღო და უსიტყვოდ გაუწოდა. ლუბკამ მძინარე სონეჩკას აკოცა და კარში გავიდა. კიბის ქვედა საფეხურზე ირინა მიხაილოვნას მხრებში ხელები დაავლო და დიდხანს, მდუმარედ



უყურა თვალებში, ემშვიდობებოდა. უცბად ერთი მეორისაკენ წაინიეს, ერთმანეთს გადაეხვივნენ, ირინა მიხაილოვნა ატირდა. ლუბკა გატრიალდა და წავიდა.

– ლუბა! – გული ამოისკვნა აცახცახებულმა ირინა მიხაილოვნამ, – ლუბოვნიკიტირინა!

ლუბკა მიუბრუნდა და სიბნელეში ოპერეტის ბრდღვიალა სამოსი აალაპლაპა.

– ანი ბინას სულაც ნუ დაკეტავთ ხოლმე: ჩემი ბიჭები მიხედავენ... და, თუ ღმერთი გნამთ, არ მეძებოთ... ამ უღირსი ნაცნობობით ნუ გაისვრებით...

...აზიის მუქი ცა მიძიმედ ჩამონოლილიყო, იტალღებოდა, ურიცხვი ვარსკვლავური სამყაროს მორევით სუნთქავდა. ცხოვრება მიედინებოდა, წუთითაც არ ჩერდებოდა. არსაიდან მოსული მეცო-სოპრანო დარდით დასტიროდა ამ ცხოვრებას, ამ წყვდიადს, ამ ქალაქს – უდაბნოს პირას უმიზნოდ მიტმანნილ ხორცმეტს და მასში რატომღაც მცხოვრებ ადამიანებს...

ლუბკა თბილ წყვდიადში გაუჩინარდა. იმ წელიწადს ოცდასამი წელი შეუსრულდა. მისი დიასახლისი მასზე სულ ცოტათი იყო უმცროსი.

მოკლედ, ლუბკა „ჩაჯდა“. გულკეთილმა მაიორმა სტეპან სემიონიჩმა ხმაში შეპარული საყვედურით აუწყა თავზარდაცემულ ირინა მიხაილოვნას, რომ ლუბკას თავის ამფოსონებთან ერთად ტაშკენტის ოპერისა და ბალეტის თეატრი გაუქურდავთ (აი, თურმე, საიდან უმოვნია ბრჭყვიალა კაბა! აი, რატომ მოელანდა ირინა მიხაილოვნას მეცო-სოპრანოს წინასწრამეტყველური ჰანგები!). ბუფეტის მთელი შემოსავალი ხომ აიღეს, არც ეს აკმარეს და სარეკვიზიტოში ხულიგნობას მოჰყვნენ, ყველაფერი აურ-აურიეს. დარაჯი გათიშეს, საბრალო გულწასული მოხუცი მიძინარე მზეთუნახავის კოსტუმით შემოსეს და სარეკვიზიტო ბროლის კუბოში ჩააწვინეს, სადაც ოპერატიულმა ჯგუფმა აღმოაჩინა. ერთი სიტყვით – სა-

შინელება დაატრიალეს! ხედავთ, რა რისკზე წასულხართ, ირინა მიხაილოვნა?... რა საფრთხეში ჩაიგდეთ საკუთარი თავი და ბავშვიც...

ირინა მიხაილოვნამ სონეჩკა ბაგამი შეიყვანა, თუმცა ამ ქალაქში დიდხანს აღარ გაჩერებულა, დარჩენილი ერთი წელი იმუშავა და ტაშკენტში დაბრუნდა. დეიდა ცოცხალი დახვდა, მიილო და ბინაშიც ჩანერა.

სად იყო და სად არა, გამოჩნდა სონეჩკას მამა – ოჯახით ისევე ისე შებოჭილი, ბავშვების წინაშე ყოველმხრივ დამნაშავე, მაგრამ როგორღაც დახმარებისა და ცხოვრების შემსუბუქების წრფელი სურვილით აღვსილი. პირველივე ზაფხულს სოჭში საგზური უმოვნა და ირინა მიხაილოვნამაც, ბავშვის გულისთვის, როგორც იტყვიან, თავმოყვარეობა ხელჩანთაში შეინახა და სონეჩკა ზღვაზე წაიყვანა. დედა-შვილი გარუჯული და ჭორფლიანი დაბრუნდა, ორივე ერთნაირად გრძელცხვირა იყო, ორივეს სარაფნები ეცვა და გუნებაც ორივეს ხალისიანი ჰქონდა. ირინა მიხაილოვნამ ჩინური ბეჟისფერი, წელში გამოყვანილი ლაბადის ტარება დაიწყო, ახლა ტუჩის პომადაც ჰქონდა, პუდრიც და სუნამო „ნითელი მოსკოვიც“. მოკლედ, ცხოვრებამ თანდათან გემო, აზრი და ფერი შეიძინა...

შვიდიოდე წლის შემდეგ ირინა მიხაილოვნა პერენიკოვმა მოძებნა, რომელიც ტაშკენტში კვალიფიკაციის ამალღების კურსებზე ჩამოსულიყო. ირინა მიხაილოვნა იმხანად უკვე დიდი ინფექციური საავადმყოფოს თერაპევტულ განყოფილებას ხელმძღვანელობდა.

პერენიკოვი არ გამოცვლილა და ისევე ოდნავ სასაცილოდ ეჩვენა – განსაკუთრებით, როცა მუჭში ჩაახველა: ამ დროს ლოყები ებერებოდა და კიდევ უფრო მეტად მიუგვდა გალიფე-შარვლის ტოტს. დანვრილებით უამბო ქალაქის, რომელიც ამ ხნის განმავლობაში გაზრდილიყო (ვერც კი იცნობდით!),

გაფართოებული სამედიცინო ნაწილის, ნაცნობების ამბები... როცა ლაპარაკობდა, იქაურობა ირინა მიხაილოვნას იმდენად შორად, პროვინციულად და უცხოდ ეჩვენებოდა, თითქოს ამ ქალაქში სამი უმძიმესი წელიწადი არ ჰქონოდა გატარებული.

– ირინა მიხაილოვნა, თქვენ არც კი წარმოგიდგენიათ, რა როლი ითამაშეთ ჩემს ცხოვრებაში, – უხერხულად ჩაიციინა პერეჩნიკოვმა, – მოსელცევა, ცხადია, გეხსომებათ? მე და ის უკვე ხელის მონერას ვაპირებდით, ორმოცდათორმეტში, ის თქვენი ამბავი როცა მოხდა. ჰოდა, თურმე ადამიანის ბუნება როგორ იჩენს თავს – მოსელცევას ვგულისხმობ... ისე შემძულდა, მისი დანახვაც აღარ მინდოდა! და მორჩა, – გაეცინა კაცს, – მას მერე მარტოხელა ცხოვრების დათმობა აღარ მიფიქრია.

უკვე წასვლა რომ დააპირა და შემოსასვლელში ახალთახალ ჩინურ ფეხსაცმელს რომ იცვამდა, თავში ხელი შემოირტყა და ორად დაკეცილი, ნაკეცში გაცვეთილი მისალოცი ბარათი ამოუღო:

– კინალამ არ დამავინწყდა! ოთხი წელია ვინახავდი, თქვენი ნახვის საბაბი რომ მქონოდა... სანიტარული ნაწილის მისამართზე მოვიდა. განსაკუთრებული არაფერია. უბრალო მილოცვა.

ირინა მიხაილოვნამ ბარათს დახედა. ერთბაშად ტალღასავით მოაწყდა და თავზე გადაეწყო ის, მაშინდელი – წნულის ეტლის ჭრიალი, ფანჯარასთან კასტანეტების კაკუნის, სუსხიანი ქარები და:

*უცხო კაცი ჩემ დედააას,
უცხო ქსოვილს დაჰპირდა...*

„ძვირფასო ირინა მიხაილოვნა და სონეჩკა! – ეწერა მსხვილი, გაკრული ხელით და, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა

იყოს, უშეცდომოდ, – გილოცავთ რვა მარტის დღესასწაულს! გისურვებთ...“ და ასე შემდეგ, როგორც წესი და რიგია, ჯანმრთელობით, ბედნიერებით, ყველაფრით, რაც კი ადამიანს ცხოვრებაში ესაჭიროება. ბოლოს – ხელმოწერა: ლუბა და ვალენტინი...

არც მისამართი, არც მინიშნება, სად შეიძლება მოძებნოს კაცმა. მაინც რა ხასიათი აქვს!

ირინა მიხაილოვნა შინ მთელი საღამო თავგზაბნეულივით დაიარებოდა. ბოლოს, როგორც იქნა, ორი კვირის დახვავებული სარეცხის უთოობას შეუდგა. საბნის პირზე მძიმე უთოს დააცურებდა და იხსენებდა, იხსენებდა იაპონელი ტაკეტორის მიერ ტირიფისაგან დანული ეტლის ჭრიალს, ორ თითქმის ერთნაირ უზბეკურ კალოშს – წყვილი აბაზად, კონდაკოვას გაქუცულ ქურქს... გაიფიქრა: არდადეგებზე სონიასთან ერთად დედას საფლავი უნდა მოვინახულოთო. სონიამ საბანსქვემოდან ორჯერ ჰკითხა:

– დედა, რა მოგივიდა?
– არაფერი...

...ეტლის ჭრიალი, აზიის შავი ცა, ქვედა საფეხურზე, ღამის ზღვარზე უსასოოდ გადახვეულ ორ გოგონას რომ დასცქეროდა. და კიდევ:


*უცხო კაცი ჩემ დედააას...
უცხო ქსოვილს დაჰპირდა...*

მაინც რა ხასიათი აქვს! არც მისამართი შეატყობინა, არც მინიშნება, სად შეიძლება მოძებნოს კაცმა.

*...დედა მოატყუაო...
იავ-ნანა, ნანაო...
იავ-ნანა, ნანაო...*

თარგმნა
თამარ კოტრიკაძე

**გუჩამ
ოდიშარია
GURAM
ODISHARIA**



**მარმარილოს ჩამომსხვრეული
საფხური**

სოხუმში, ფრუნზესა და კუიბიშევის ქუჩების გადაკვეთაზე, ერთი ლამაზი, ორსართულიანი, ყვითლადშეღებილი სახლი დგას. სახლს იტალიური ტაძრების მსგავსი მაღალი, მომრგვალოთაღიანი სახურავი ამშვენებს.

ერთ დროს იქ მინისტრთა საბჭო იყო, მოგვიანებით – შემოქმედებითი სახლი. ჟურნალ „რინის“ რედაქციაც აქ იყო, მწერალთა კავშირიც. ერთად ვმუშაობდით ქართველი და აფხაზი მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები, მსახიობები. ბევრი მოგონება მაკავშირებს იმ სახლთან. მას დიდებული, გალავანშემოვლებული ბაღი აქვს. ბაღის შუაგულში კაკლის უზარმაზარი ხე დგას, მის კიდეებში კი პალმები და ვარდ-ყვავილები ჰყვავის.

სახლის ისტორია ასეთია: დაახლოებით ერთი საუკუნის წინ იტალიაში ერთ-ერთი უმდიდრესი კაცის ქალიშვილს მამამისის სასახლის სამზარეულოში თეფშების მრეცხავი ჭაბუკი შეუყვარდა. ქალიშვილის სიყვარულის ამბავი მამამ რომ გაიგო, ქალიშვილი მკაცრად გააფრთხილა. შემდეგ თეფშების მრეცხავი გააგდო სახლიდან. ამან უფრო გააძლიერა შეყვარებულთა გრძნობა და ისინი ჩუმად

**Ип̄еу амармалташьтә
шьап̄еап̄са**

Акәа Фрунзеи, Куибишеви амәакәа ахеихысуаз акны, шеихагыларак змаз, ишәжны ишәыз онып̄шзак гылан. Аоны Италиатә ауахуамакәа реип̄ш ихракын, ихыгыжәааз ахыбра иарп̄шзон.

Аамтак азы уака аминистрцәа рее илакра ыкан, нас арфеиаратә аоны. Ажурнал “Ритца” аредакциаггы ара икан, ашәкәыщәа реилакгы. Аус еицах уан акыртуааи, ап̄суааи, ашәкәыщәа, асахъатыхщәа, амузыкантицәа, артиестцәа. Агәалашәара рацәа сымоуп уи аоны акнытә. Уи иаакәыршаны абахча бзиа амоуп. Абахча агәтаны акәакан тла ду гылоуп, уи иаакәыршаны апальмакәеи, агәил’шәткәеи шәтуеит.

Аоны, абас еип̄ш икоу атоурых амоуп: шәышыкәса рап̄хәа Италия даараза ибеиаз азәы ип̄ха, уи ихан’оны, амапурта акны, ачанах зыжәәоз чкәынак бзиа дылбит. Азҗаб лыбзиабара атәы лаб иахаит, уи ип̄ха ифәфәаны длацәхаит. Нас ачанах азәжәады аоны ддәылицеит. Уи еиха иарфәфәеит бзиа еибабоз рцәанырра, урт мазала ибналит. Аб ип̄ха дикәиҗеит.

გაიპარნენ. მამამ ქალიშვილი მოიკვეთა.

შემდეგ მათი საქმე ისე წარიმართა, რომ შეყვარებულებს იტალიაში არ დაედგომებოდათ და რომელიღაც ხომალდს სადღაც გაჰყვინენ. სადღაც-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ მათ არც უკითხავთ, საით მიცურავდა გემი. წავიდეთ, საითაც ღმერთი გვიჩვენებს გზასო, – თქვეს. ქალს თან დიდძალი ქონება ჰქონდა წაღებული მამისეული სახლიდან – ფული, ოქრო-ვერცხლი, ძვირფასი სამკაულები.

შეყვარებულების გემი სოხუმს მიადგა. მათ მოენონათ სოხუმი – მშობლიური, ზღვისპირა ქალაქი მოაგონდათ.

დასახლდნენ სოხუმში და უმალ სახლის მშენებლობა დაიწყეს. სწორედ იმ სახლისა, რომლის შესახებ ეს-ესაა გესაუბრებოდით.

სახლს იტალიელი მშენებლები აგებდნენ. ცოტა ხანში მოამთავრეს კიდეც მშენებლობა.

...და დაიწყეს იტალიელებმა ახალი ცხოვრება სოხუმში, მაგრამ სამიოდენელში ამოუხსნელმა და გაუსაძლისმა სევდამ დარია მათ ხელი. განსაკუთრებით ქალი ვერ შეეგუა უცხო მინას, სამშობლო ესიზმრებოდა ყოველდღე. ავად გახდა.

ფული და სტუმრები არ აკლდათ, მოსამსახურეებიც ბლომად ჰყავდათ, მაგრამ... იტალია იყო ძლიერ შორს სოხუმიდან, სამშობლოში არ იდგა მათი სიყვარულით ნაშენები ლამაზი სახლი.

კაცი სასმელს მიეძალა, ბანქოს თამაში დაიწყო. ცოტა ხანში მთელი ქონება კარტში წააგო კიდეც, ბოლოს კი – ის სახლიც.

ისინი უკვე აღარ იყვნენ შეყვარებულები, მათ უკვე უფრო ყოფილი შეყვარებულები ეთქმოდათ. დამარცხდნენ, ვეღარ გაუძლეს ღმერთის გამოცდას. უკვე ერთმანეთის სიახლოვე აღიზიანდებოდათ კიდეც. არ აღმოჩნდნენ ციო ბოძებული სიყვარულის ღირსნი.

ქალი ლოგინად ჩავარდა.

ექიმმა მის მეუღლეს ურჩია: იტალიაში

Анаџс урт дара ишақәгәыџуаз икамлџ ит, Италия аанхара рылшомзт азы, ирбаз џбак ала иқәтит. Ирбаз џбак зызсхәазгы, изықәтәаз аџба ахьџоз иаџ зымџаит. Хџап анџәа иахирбо амџа х ақәланы рхәит. Аџхәыс амал ду лымџ ан, лаб иџны ақнытә иқәылгаз, аџара, ахы'аразны, ахымаџәа раџәан.

Бзиа еибабоз рыџба Ақәа иадгылит. Урт Ақәа ргәаџхеит, рыџсадгыл, амше ын ақәара иқаз рықалақь ргәаланаршәит.

Анхара иалагит Ақәа, аџны бзиа аргылары иалагит. Хара хыхь ишәаххәоз аџны ақун уи.

Аџны Италиатәи аџныргылаџәа идыргылон. Иаарласны аџны аргылары иалгеит.

...Абас иалагит италиаа аџыџ аџстаџ заара Ақәа, аха хышықәса раамышьтаҳь идырымз, зычхара бааџсыз агырџа роуит рыџџагы. Чыдала атәым дгыл дзе амышьџылеит аџхәыс, еснагь лыџсџ адгыл џхыз илбон. Дыхычмазааит.

Аџарей, асысџәеи рыгымзт, амаџџәагы раџәаџны ирымან, аха ... Италия Ақәа ақнытә даараза ихаран. Рыџсадгыл ақны ақумзт иахыгылаз бзиабарала иргылаз урт рыџны'џшза.

Ахатџа аџы ажәра иџадицалеит, амаџ ца асра даџын. Иаарласны урт рмал зегьы амаџа ақны даџахан, иџџызит, аџыхәтәаны рыџнгы.

Урт рыбзиаеибабара рџәызит. Урт уаанџа бзиа еибабоз рыхьзын. Иаџахит, ирылымшеит анџәа ирықәитџаз анықәгара. Дар' дара еибачхауамзт. Анџәа иқнытә ирымаз абзиабара иаџсамхит.

Аџхәыс аиарџа дагәылџуамзт.

Аҳақым уи лыџшәама идиџеит, Итџ алиақа дгы, уи ауп илыхәо.

Иџеит аџба иақәтәаны, араҳь изааз еиџш ихәынхәит.

Аха аџхәыс лыџсадгыл, Италия ақне ынџа дзымнеит, амџа дзықәыз дыџсит.

Уи анаџс, ахатџа иџџстазаара атәы

წაიყვანეთ, ეს თუ იხსნისო.

წავიდნენ კიდეც – გემით, ისევე, როგორც ჩამოვიდნენ.

მაგრამ ქალმა მშობლიურ იტალიამდე ვერ ჩააღწია – გზაში გარდაიცვალა.

კაცის შემდგომი ცხოვრებისა არაფერი ვიცი.

სახლი ერთ-ერთმა შერვაშიძემ მოუგო ბანქოში იტალიელს – სამშობლოში გამგზავრებამდე ერთი წლით ადრე.

ლხინისა და მეგობრების მოყვარული შერვაშიძე ხშირად ქეიფებსა და წვეულებებს მართავდა. სახლიდან სულ სიმღერები და მუსიკის ხმა ისმოდა, მაგრამ მალე რევოლუციამ თავისი წესი და რიგი დაამკვიდრა სოხუმშიც. შერვაშიძე საზღვარგარეთ გაიქცა და სახლი კომუნისტებს დარჩათ – იქ აფხაზეთის ბოლშევიკების ლიდერმა – ნესტორ ლაკობამ დაიდო ბინა.

იმ სახლში რამდენიმე წლის განმავლობაში მომინია მუშაობამ. ძალიან შევეჩვიე. მართალია, სახლს ფლიგელი მიუშენეს, მაგრამ მის სიმშენიერეს ამით მხოლოდ ცოტა რამ თუ დააკლდა. ხშირად დავეხეტებოდი მის უძველესი ხის პარკეტით მოგებულ ოთახებში, მარმარილოს კიბეებზე, ვათვალიერებდი მონახტულ-მოგვირისტებულ ჭერს, ანგელოზების პატარა ქანდაკებებს, ეგზოტიკურ ბუხრებს.

სახლის თეთრი მარმარილოსაგან ანკობილი კიბის მეშვიდე თუ მეცხრე საფეხური შეკეთებულია. ერთხელ ნაქეიფარი შერვაშიძე ცხენზე ამხედრებული ასულა თურმე შიდა კიბეზე და მარმარილოს საფეხურს მისი ცხენის ფლოქვისთვის ვერ გაუძლია. ცხენიც წაფორხილებულა. ფეხი დაუზიანებია. საფეხური ჩინებული ოსტატის ხელით არის შეკეთებული. ოსტატს ჯერ ჩამომტვრეული მარმარილო იუველირის სიფაქიზითა და სიზუსტით ამოუჭრია და მერე ასევე მოხდენილად ჩაუსვამს ზუსტად მსგავსი მარმარილოს მართკუთხედი.

ომის დროს რამდენჯერმე გაუჩნდა

აკგყ სыздыраам.

Аоны Шервашезеа азәы, амаца ахамарра акны Италиатәык дииаае ин, игит, иҭсадгьыл ахь дхынхәаанза шықәсык аҭхьа.

Аамта ахыгареи, аоыза рцаа бзиа избоз Шервашизе еснагь ақяфура иман, асасцаа идиқылон. Аоны акнытә ашәахәареи, амузыкеи абжыы гон, аха иаарласны ареволиуциа ахатәы тасқәеи, азақуани мәаҭнагеит Акәагы. Шерве ашизе ахәаанырцака дыбналит, аоны акомунистцаа ирзаанхит, уака Аҭсны абольшевикцаа рҭыза, Нестро Лакоба анхара далагит.

Уи аоны акны акыр шықәса аусура сықәшәит. Даараза сашьцылит. Ииаше оуп аоны афлигель аҭаҭыршьит, аха уи ала аоны аҭшзара ускак иҭхастамхит. Лассы ари аоны ажәытә апаркет ала ирҭшзз азутахқәа срыџнысуан, амае рмалташьтә амардуан, срыхәаҭшуан атуан ианыз атыхымта ҭшзакәа, амаалықьцаа ахатәыра хәычқәа, иц ъоушьаша ауацакқәа.

Аоны амармалташь шкәакәа ала иқатаз амардуан, абыжьбатәиу, ажәбатәиу сыздыраам ашьапқәыргыла еитақатан. Енак зқәаф қатаз Шерве ашизе аеы дақәтәаны дыхәназаап ари аөнүтқатәи амардуан ала, амае рмалташьтә ашьапқыргыла уи иеы ахьынтра азышьтымхқәа иацаҭеит. Аәгы аахьҭхьҭеит. Ашьапы ахьит. Ашьапқәыргыла ақаз а ду ила еитақатәоуп. Ақаз а зны иҭеыз амармалташь, ахьиратә ус ала, ииашацәкьаны иҭиқеит, иара атыҭ акны итаиршәит уи амармалташь еиҭшыз аицақьа.

Аибашьра аан иазныкымқуа аоны амца ацралит. Хҭоу, ҭшьбоу уатах ҭхастахит. Насыҭс иқаз иаамтаны идырцәон амца. Аоны амца зацралоз еилкаамзт, азәгы издыраамзт уи амца зацралоз.

სახლს ხანძარი. სამი თუ ოთხი ოთახი დაზიანდა. ბედად, დროულად აქრობდნენ ცეცხლს. ვინ აჩალებდა სახლში ხანძარს, გაუგებარი რჩებოდა.

ბოლო დროს ხშირად მაგონდება იტალიელთა სახლი, იტალიელთა, რომელთა დიადი გრძნობა სხვა, არანაკლებ დიად-მა გრძნობამ – მამულისა და მშობლიური ქალაქის მონატრებამ დათრგუნა.

მერე მარმარილოს შეკეთებული საფეხური მახსენდება. იტალიელებსაც ხომ ჩამეტვრათ საფეხური, მარადი სიყვარულის, მარადი ბედნიერებისკენ აღმავალი კიბის საფეხური, მაგრამ გამოჩნდა განა ვინმე ისეთი, ვინც შეეშველებოდა მათ, ვინც ფაქიზი ხელით გაუმრთელებდა ჩამომტვრეულ მარმარილოს?! მერე ისევ ხანძარგაჩენილ სახლს ვიხსენებ, ომის სახლს, მკვნესარე სახლს – ძეგლს უიღბლო სიყვარულისა.

ტუტკა

ტუტკას ნამდვილი სახელი არც ვიცი. მთელი სოხუმი ტუტკად იცნობს. ასე, ორმოცდახუთი-ორმოცდაექვსი წლისაა.

ტუტკას სანაპიროზე, კატერების ნავსადგურის წინ უყვარდა დგომა, სასტუმრო „ტყვარჩელთან“. ჩვენზე უფროსი იყო და მისაბაძ ბიჭად გვყავდა მიჩნეული.

არავის ისე არ უხდებოდა თეთრი შარვალ-კოსტუმი, როგორც მას, ქალაქში ჯინსებიც ერთ-ერთმა პირველმა მან ჩაიცვა.

ტანადსა და მოხდენილს, ლალსა და კეთილშობილს ალენ დელონს ადარებდნენ, თუმცა სრულებით არ ჰგავდა მას.

ბიჭები ცდილობდნენ, ტუტკასავით დაევიარცხნათ თმა, ჰალსტუხიც მასავით გაენასკვათ – პრეზიდენტულად; ჩაცმითაც მასავით ჩაეცვათ. ზოგი სიარულშიც ბაძავდა. ერთმა ჩვენმა ამხანაგმა კი ისე გამოიღო თავი, ლამის ტუტკას ორეული გახდა.

გოგონებზე ნუ მკითხავთ, ლამის ნა-

Атыхәтәантәи аамтазы лассы исгәалашәоит Италиатәи аәны, италиаа, урт рцәанырра ду даәакын, аха уи ацкье ыс имачымзт ирымаз ацәанырра рыпцәе адгьыли, ирызгәакьаз ақалакьи ахь, уи агәхьаагара икәнахит.

Анаәс амармалташь ала еиҭақатцаз ашьапқәыргыла сгәалашәоит, италиаагьы ирыцәҭҭеит ршьапқәыргыла, шьардатәи рыбзиабара, шьардатәи рынасыпҭ ишье тыҭуаз амардуан ашьапқәыргыла, аха дцәырҭма азәы урт ирыцхраашаз, знә апы ала ирыцәҭҭеыз амармалташьтә ашьапқәыргыла еиҭақатцаразы ?! Анаәс амца зку аәны сгәалашәоит, айбашьра аәны, игәынкьуа аәны – инасыпҭдаз абзиабара абақа.

Тутка

Тутка ихзыщәкьоу сыздыраам. Акәа зегьы Тутка хәа дырдыруеит. Фынәәе жәихәба'фынәәжәифба шықәса ихыҭуан.

Тутка акәара акны, акатерқәа рбаҭәаза аҭхьа агыларა бзиа ибон, асаә сааирҭа “Ткәарчал” акны. Хара хатккьыс деиҳан, убри акнытә ҧырҭшыгас дхаман.

Аикәеи'აკостиуми шкәакәа азәгы ус инааломз иара ишинаалоз еиҭш, ац ынскәагьы ақалакь акны раҭхьа иара иоуп изшьазҭаз.

Иоура'итбаара деиҭқааза дҧаҭха'ҧаче чо, агәыхалалк Ален Делон дидыркыло, аха иара уи зынзагы диеиҭшымзт.

Ацкәынцәа ирҭахын Тутка еиҭш рхәхәы ахәара, уи еиҭш рыхәхәца аикәхәалара' ахада еиҭш, аееилаә хәарагьы, иара еиҭш ирҭахын. Шьоукы иныкәашьагьы карҭон. Хьызцәа азәы убас ихы мәаҭигон Тутка ицииз еиҭш.

Азҭабцәа рзы шәсазҭаауазар ишәасә

ხევარი სოხუმის გოგონებს უყვარდათ ტუტკა.

მის გარშემო ყოველთვის ხალხმრავლობა იყო.

ტუტკას ძმა – თამაზი, ჩემს პარალელურ კლასში სწავლობდა; ჩუმი, უსიტყვო ბიჭი იყო. სკოლის შემდეგ სამედიცინო სასწავლებელი დაამთავრა და აფთიაქში პროვიზორად მუშაობდა. ერთ მშვენიერ დღეს, თამაზმა მეორე მსოფლიო ომის-ჟამინდელი, ძველი გერმანული მანქანა შეიძინა, თუ არ ვცდები, – „Khorkhe“. მანქანა უზარმაზარი იყო, თეთრი ფერის. ვეება, შავი სავარძლები ჰქონდა. გადახსნიდნენ ძმები „Khorkhe“-ს ბრეზენტის სახურავს და მეგობრებთან ერთად დასეირნობდნენ ქალაქის აყვავებულ ქუჩებში. მათი ნახვისას სკოტ ფიცჯერალდის დიდი გესტები და მისი მანქანა მახსენდებოდა. რამდენჯერმე მათი თანამგზავრი მეც გახლდით.

თამაზი ათიოდე წლის წინათ რესტორანში 13-14 წლის მთვრალმა ბიჭებმა დანით მოკლეს. ერთმა თანაკლასელმა მის გასვენებაზე მითხრა – მთელი ცხოვრება დიდების მეშინოდა და ახლა, როცა თავად დიდი ვარ, პატარა ბიჭების მეშინიას.

ტუტკას რამდენიმეჯერ შევხვედრივარ სუფრაზეც. სიტყვამოზომილი იყო, ხუმარაც. არასოდეს მოგაჩვენებდა თავს იმაზე მეტად, რასაც სინამდვილეში წარმოადგენდა.

ბოლო წლებში იშვიათად ვხვდავდი. მე ჩემი საქმეები მქონდა, მას – თავისი.

ამას წინათ, თბილისში, მეტროს ვაგონში შევხვდით ერთმანეთს. წინა დღით ნალვინევს თვალები ჩასწითლებოდა, ნაოჭებიც გამრავლებოდა სახეზე. მოტეხილი, ძლიერ მოტეხილი მომეჩვენა, უფრო სულიერად, ვიდრე ფიზიკურად. ტუტკა თავის თავს აღარ ჰგავდა.

ვისაუბრეთ.

ნეტავ ცოცხალი არ ვიყო, – მითხრა გამომშვიდობებისას.

„რუსთაველზე“ ჩამოვიდა. ალბათ,

ჯეოიტ, აქაა აქაა რეიხარაკ Тутკა ბზია დырбон.

Уи иаикәыршаны еснагь ауаа рацәа ықан.

Тутка иашья – Тамаз, сара сыкле асс еицтәараз акны дтәан, тынчк, ажәк зымхәоз чкәнак иакун. Ашкә ол аамышьтахь амедицинатә атцарае иурта далгеит, аңтека акны провие зорс аусура далагит. Енак зны, Тамаз аңынцътәылатә айбашьяра аантәи, ижәйтәыз, анемец машьяна ааихәит, излсгәалашәо ала. Амашьяна даарә аза идуун, ишкәакәан. Атәартакәа еиқәатәан. Амашьяна абырзент ахыб аахыртуа, аешьцәа, рөызцәеи дарей ишәтны иқаз Акәа амәакәа ирнын амә ашьына иакәтәаны. Урт анызбалагь Скот Фицъералди “Гестби”, уи амашьяна сгәалашәон. Изныкымкуа урт рмашьяна саргы сакәтәахьан.

Тамаз жәашықәса раңхья аресторан акны 13'14 шықәса зхытуаз абы иашьыз чкәнцәак дыршьит. Хакласс итәаз азәы уи анышә данартоз исеихәит – схәычра зегьы ауаа дуцәа срыцәшәон, уажәы иансызха ахәычкәа срыцәшәо салагит.

Тутка изныкымкәа аишәа акны сикәшәеит. Иажәа рацәамкуа дықан, алафхәафык. Ианакәызаалагь иара дызә лакамз еиханы акгы уирбомзт.

Атыхәтәантәи ашықәсқәа рзы усқак лассы дызбомзт. Сара сусқәа сыман – иаргы иара иусқәа.

Уажәыааигәа Қарт, аетро авагон акны хәикәшәит. Иблақәа қаңшьза иацы акыр шижәыз инубаалон, ихы'иҧы акчыра иаганы иқан. Даараза деилах аны, даараза дыңыны дызбит, ицәеижыы атқыс, еихарак доухала. Тутка избахьаз иакуымзт, иара иакәымзт.

Ҷаицәажәеит.

Сыңсхьазар еиха еиңын – ихәит х анеипыртуаз.

„ივერიაში“ მიდიოდა, „ივერიელებთან“.

ელდა მეცა მის სიტყვებზე.

მაშინ ველარ მოვასნარი და ახლა ვე-
უბნები: მარტო თავის თავს არავინ ეკუთ-
ვნის, ტუტკა, არცა აქვს ამის უფლება.
შენც გამონაკლისი როდი ხარ. ჩემი ტო-
ლები კარგი სოხუმელი ბიჭის სიმბოლოდ
გსახავდნენ, დარჩი იმ სიმბოლოდ. გაიხ-
სენე ჩვენი სანაპირო, კატერების ნავსად-
გური, სასტუმრო... ჩვენ, სოხუმელები,
ახლა ხშირად ვხვდებით ერთმანეთს სხვა
ქალაქებში და ნუ გგონია, სოხუმი მარტო
სოხუმშია.

სოხუმი თბილისშიცაა!

სასტუმრო „რინა“

სასტუმრო „რინა“ 1992 წლის დეკემ-
ბერში დაინვა.

მეზობლებმა გადმომცახეს – „რინა“
ინვისო და გარეთ გავვარდი.

ლამის 11-12 საათი იქნებოდა.

უშუქო, ჩაშავებულ სოხუმში უზარმა-
ზარი კოცონივით ანათებდა „რინა“.

ციოდა, მაგრამ არ დავიზარე და „რი-
ნისკენ“ გავემართე. მინდოდა გამეგო, რა
მოხდა, როგორ გაუჩნდა ცეცხლი.

როცა მივედი, უკვე სასტუმროს ახ-
ლოს მდგარი რამდენიმე პალმაც იწვოდა,
ცეცხლმოკიდებული, ფრინველებივით
უმწეოდ ფართხალებდნენ ზღვის ნიაე-
ში. სახანძრო მანქანები მონდომებულად
ასხამდნენ წყალს. მაგრამ ვერა და ვერ
აქრობდნენ ხანძარს. უშედეგო იყო მე-
ხანძრეთა უთავბოლო ფაცი-ფუცი, ალ-
თა-ბალთა ბრძანებები – „რინა“ გუგუ-
ნით გიზგიზებდა.

შენობის გარშემო მდგარი ხალხის
ნითლად აპრიალეული სახეები სასტუმ-
როს მისჩერებოდნენ.

უმრავლესობა სამხედრო იყო.

ნითლადვე ანთებულყო სასტუმროს
ნატიფი შენობის თეთრი კედლები. სახუ-
რავიდან აღმოდებული ფიცრები და მო-

“Руставели” длыбааит. “Ивериа” ахь
дцозар каларын “Ивериаа” рахь.

Снеилыпсааит иихэаз иажэакэа рые
мшала.

Ускан сахьымзеит аха уажэы иасхэоит
: азэгьы иара ихы датэым, Тутка уи
азин имазам. Уи уаргьы иуызкуп. Сара
сыкэра зыкэроу зегьы, Акэа ачкэын бзиа
символс урыпхьазон. Уи уасимволны
уаанха. Уажэы лассы хаикэшэоит даеа
қалакьқэак ркны, аха угэы иаанамгааит
Акэа, Акэа мацара акны акэзам.

Акэа Қартгьы икоуп

Асасаирта “Рица”

Асасаирта “Рица” 1992 шыкэса
пхыгчкэын мза иблит.

Сгэылацаа сыкэфьртит “Рица” блоит,
саргьы сыфнкэит аоны.

Уахэынла асаат 11’12 ыкан.

Лашарада, илашьцаз Акэа акны, амца
ду лашон “Рица”.

Ихьтан аха смашьякэа “Рица”
ахьыказ аган ахь сдэыкэлит. Истахын
еилыскаар уа икалаз, амца ацралара
зыхкьаз.

Уа санней, асасаирта ааигэара игьле
аз апальмакэа абылра иафын, амца зыцре
аз, атыс еипш ирыцхаха ипурпурьуан
амшын апшыхэ апхьа. Амца арцэара
иафын. Амцарцэага амашьына акнытэ
азы акэтэара иафын иаакэымтцакэа.
Аха амца рзырцэомз. Лытшэа
амамзт амцарцэацэа иаакэымтцакэа
рылей’деира, анах’арахь адцакэа катцо –
“Рица” агэгэыхэа абылра иафын.

Аргыларა иаакэыршаны игылаз ауаа
зегьы рыцкэа ифыкапхьшааза асасаир-
рта иахэапшуан.

Рееихарак аруаа ракун.

Акапхьпштэаыла икыдлашон
асасаирта пшжа аргыларა атзамц
шкэакэакэа.

რები, თუნუქის ფურცლები ცვიოდა.

უკან-უკან ინევდა ხალხი.

ცოტა ხანში გრილით ჩაიშალა სახურავი.

წითელი კვამლი, მტვერი და ბული ავარდა ცაში.

წითელი ფერი გადარეული წითელი ცხენივით დაჰქროდა შენობაში.

სისხლისფერი იღვრებოდა ფართოდ-გახელილი თვალებივით ფანჯრებიდან. ომის ფერი. განადგურების ფერი.

კიოდა „რინა“, მაგრამ ეს კივილი ხალხს როდი ესმოდა!

ქვითინებდა სანაპირო, მაგრამ არც ეს ქვითინი იყო კაცთათვის გასაგები.

იცრემლებოდა სოხუმი...

მასსოვს 1976 წლის იანვარ-თებერვალი. ჩემი დაქორწინების დღეები. ერთი თვე „რინაში“ ცხოვრება. მისი მესამე სართული, კუთხის ნომერი. მეგობრების სტუმრობა, წვეულებები, ხუმრობა, სიცილი, მუსიკა...

ახლა ყველაფერი ეს ინვოდა „რინასთან“ ერთად.

„რინა“ ჩემთვის ულამაზესი შენობა იყო. და განა მარტო ჩემთვის?..

გვერდით მდგომი სასტუმრო „აფხაზეთი“ ადრე დაინვა, ომამდე ხუთი წლით ადრე. მნამს, „აფხაზეთის“ დანვა ომის დაწყების ნიშანი იყო, მაგრამ ეს ნიშანი ჩვენ ვერ გავიგეთ მაშინ. არავინ ვიღეთ ყურად და... აფხაზეთიც ცეცხლში გაეხვა; შენობებს კი არა, ერთმანეთს ვერ ვუგებდით ადამიანები.

შენობებს ყოველთვის ცოცხალ, მოაზროვნე არსებებად აღვიქვამდი. ზოგი მამშვიდებდა, ზოგიც მაღიზიანებდა, ზოგი მიყვარდა, ზოგიც არ მეხატა გულზე.

„რინაზე“, როგორც „გაგრიფშე“, შეყვარებული ვიყავი. სხვა ქალაქში მყოფი როგორც კი გავიხსენებდი ზღვასთან მდგომ, შპილიან შენობას წარწერით – „რინა“, გულში სითბო მეღვრებოდა. მიყვარდა მის ქვემოთ, ყავახანაში ყოფნა.

ინვოდა „რინა“ და წითლად აფერადებდა გვერდით მდებარე გამშრალ აუზს,

Ахыб акнытә амца зыцраз амартақыи, амаркаци, ахыбреи алыөрны илеиуан.

Шьтахька'шьтахька анаскъара иафын ауаа.

Хуцык аамышьтахь агәараха илеилабгеит атанақыи иалхыз ахыбра зегьы.

Амцабзи, алџақи, абби ажџәан ахь ишьтытцит.

Ап̄штәы кап̄шыы, иаап̄кыз аеы кап̄шыы еип̄ш аргыларა иалагыжьаауан.

Ашьап̄штәы катәон ик̄як̄ьаза иартыз аблақәа реип̄ш ап̄анцьырқәа р̄кнытә. Аибашьра ап̄штәы. Арбгара ап̄штәы.

Итџәауан “Ритца”, аха уи атџәара ауаа рлымхә иахауамзт !

Игәынқыуан акәара, аха уи агәынкырагы ауаап̄сыра рзы идырымзт.

Акәа алафьрз леиуан...

Исгәалашәоит 1976 шықәса жьырныхә'жәабарн мзақәа. Сара счара амшқәа. Мызкы “Ритца” акны ханынхоз. Ахп̄тәи аихыргыла, акәакьтәи аномер. Сьызцәа сасра раaira, аап̄хьарақәа, алафхәара, аччара, амузыка. ..

“Ритца” иацны уи зегьы уажәы абылра иафын.

Сара сзы “Ритца” зегьы реихаза ип̄шз аз ргыларан. Сара сзы мацара ақум ?...

Аган игылаз асасаairта “Ап̄сны” уаанза ибылхьан, аибашьра алагара хәышыкәса загыз. Агәра згоит “Ап̄сны” абылра аибашьра алагара иашанан, аха уи ашана хара иахзеилымкаaит усқан. Азәгы ххафь иаахгомзт... Ап̄сныгы амца ацралит, аргыларакәа рақум, ауаажәлар хәизеилибакаауамзт. Аргыларакәа ианакәызаалагь сгәы атца акны зып̄сы тоу акы еип̄ш избон.

“Ритцей”, “Тагрып̄шыи” сзелахауаз рақун. Даеа қалақьк акны саныказ, амшәын акәара акны атқәа аларсны, “Ритца” антцаны игылаз анаасгәалашәалагь, сгәы атца п̄харак нталон. Бзи избон уи атцака, акахуажәырта ахь анеира.

აუზში მდგარ ხახადაღებულ ურჩხულებსა და გრიფებს. ომამდე ისინი პირიდან წყალს ანთხევდნენ და ასე აგრილებდნენ „რინისა“ და თეატრის შემოგარენს. ახლა თვალედაჭყეტილი და ხახადაფრენილი არსებების ხორკლიან-ქაცვიანი თავები და სხეულები ხან ერთ, ხან მეორე ადგილას წითლად ინთებოდნენ სიბნელეში და უფრო საზარელს ხდიდნენ ხანძარს.

ნახევარ საათზე მეტხანს არ ვმდგარვარ „რინასთან“, სახლში დავბრუნდი.

წამოსვლის წინ ნაცნობ ჯარისკაცს გამოველაპარაკე. „რინაში“ მეომრები ცხოვრობდნენ თურმე. რამდენიმე კარგა გვარიანად შეზარხოშებულ ჯარისკაცს ავტომატის ჯვრით დაუცხრილავს ქერი. მანათობელმა ტყვიებმა, გახვრიტეს რა ქერი, სახურავს ცეცხლი წაუკიდეს.

„რინას“ სანაპიროს ქუჩის მხრიდან გაუჩნდა ხანძარი...

გვიან მივედი სახლში. სიბნელეში ხელის ცეცებით ავედი მეათე სართულზე, გავედი აივანზე და ისევ „რინას“ გავხედე.

მის შუაგულში ცეცხლი ჩამქრალიყო. მხოლოდ კიდეები იწვოდა.

შორიდან მეფის გვირგვინს ჰგავდა „რინა“, იმ მეფისა, რომელიც ტრაგიკულად დაიღუპა და მემკვიდრე აღარ დარჩა მის სისხლში მცურავ გვირგვინს.

სოსუმელი გიჟები

სოსუმელი გიჟები მომენატრა.

როგორ არიან, რას შვრებიან? არიან კი ცოცხლები?

დიდკაცები მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ხან ჩამოაქვეითებდნენ მათ, ხანაც სულაც მოხსნიდნენ. დარდობდნენ მერე დიდკაცები, სულ სხვაგვარები ხდებოდნენ. ზოგსაც გული უსკდებოდა. იცვლებოდნენ სოსუმის, აფხაზეთის ხელმძღვანელები, თავკაცები, ლიდერები, მედრო-

Ибылуан “Ритца”, каҭшьыла иашәуан аган акны игылаз итацәыз азтарчы уа зҕы раҳаны итагылаз агыгәшыгәкәеи, аҭрифинкәеи. Аибашьра иалагаанза урт рҕы акнытә азы тытуан, убри ала идырхьшәашәон “Ритцеи”, атеае три акәша’мыкәша. Уажәы рыблакәа тырхаха, рыҕкәа раҳаны, рыҭрықәцәкәа чҭаҭыҭра игылаз агыгшәыгкәа зны акы каҭшьхон нас даеа акы ахь ииасуан акаҭшьра, алашьцара акны абылра еих а икааметны иканатон.

Саатбжак акрагы сымгылеит “Ритца” акны, аоныка схынхәит.

Сықәцаанза издыруаз аруаҕыки сарей хнейцәажәеит. “Ритца” аруаа нхозаарын. Урт рыкнытә азәы, зкьяф бзианы икыде ыз, автоматла атуан дацахысит. Алашае ра зкәытцуаз ахы атуан кылжәаны, ахыб амца ацранатит.

“Ритца” акәара аган ала амца ацрале ит...

Аамта акыр инеихьаны аоны снеит. Алашьцара сәатаны снапыршьшьуа хыхь аәбатәи аихыргыла сықәлит, абарца сықәгыланы еиҭах “Ритцахь” сыҭшит.

Уи агәҭа акны амца ицәахьан, аганқәа абылра иаҕын.

Харантә ах игәыргын еиҭшын “Ритца”, уи ах, рыцухарала итаҳаз ах, ахылтшьтра ззанымхит ашьа акны изсо ихыз агәыргын...

Акәатәи ахагацәа

Акәатәи ахагацәа гәхьаазгоит.

Ишҭакоу, икарцои ? Рыҭсы иҭоу’иҭаму дара ?

Ауаа дукәа иаауан ицон, зны иладые ркәуан, зных зынза иамырхуан. Игәые рәуан нас ауаа дукәа, зынза даеа шые оуки ракухон. Шьоуки ргәы ҭжәон. Рә ырҭсахуан, Акәа, Аҭсны анапхгара, аих абыра, аҭызацәа, аамталатәиқәа. Ахае

ვენი. გიჟები კი მარადნი იყვნენ, უეშმა-კონი, უნიღბონი, თავისუფალნი.

გიჟებს მთელი სოხუმი იცნობდა, დიდკაცებს კი მცირენი ცნობდნენ სახით. უფრორე მათი სამსახურის მანქანები იცოდნენ. რიგითი სოხუმელები მანქანის ნომრითაც ცნობდნენ დიდკაცებს. აფხა-ზეთის საოლქო კომიტეტის მანქანების ნომრები 11-ით იწყებოდა. ორი ერთიანი ბევრ რამეზე მიუთითებდა, მრავლისმეტყველი იყო. „ობკომის“ მანქანააო, იტყოდნენ. მინისტრთა საბჭოს მანქანების პირველი ორი ციფრი კი 12 იყო. ესე იგი, ერთიანი და ორიანი. მეორადობა მინისტრთა საბჭოსი ნომრით იყო დადასტურებული. პირველი პარტიისა იყო: 1101 – საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო, 1102 – მეორე მდივანი, 1103 – მესამე. 1201 – მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა იყო, 1202 – მისი პირველი მოადგილისა და ასე შემდეგ. მოკლედ, ასე მარტივად და გასაგებად იყო დანაწილებული პირველ-მეორადობა, მესამე-მეოთხეობა.

გიჟებს მანქანები არ ჰყავდათ. ისინი ფეხით დადიოდნენ.

ჩემს მეზობლად აპოლონი ცხოვრობდა. სულ მღეროდა ხოლმე. ისეთი ხმა ჰქონდა, ზღვისპირას რომ გააბამდა სიმღერას, ტრაპეციაზე ისმოდა მისი ხმა, ხანაც ბაგრატის მთაზეც. ქუჩებს ჰგვიდა ხოლმე და თან სულ ვილაცას ებუზღუნებოდა. ქორწილებსა და ქელებებში უყვარდა სიარული, ღვინის სმა. ერთსაათიანი სადღეგრძელოები იცოდა, მაგრამ ვინ უსმენდა?! ისიც თავისთვის ბურტყუნებდა რაღაცას. ერთხელ ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერთა მიტინგზე ვილაცამ ასწავლა – ნადი, რადიორეპროდუქტორის მავთული ჩამოგლიჯეო. ჩამოგლიჯა. დადუმდა რეპროდუქტორი. შემოგზავნილიაო, – იყვირა ვილაცამ და გამოენთენ... გაშმაგებული მოსდევდნენ, დაიჭირეს და ცემეს, კბილები ჩამოუღეს, მეორედ ედუარდ შევარდნაძე მოიხსენია

გაეა ესნაგ იკან, გызმალრა рытамкәа, рхы иакәйтны.

Ахагацаа Акәаа зегы ирдыруан, ауаа дукәа рхафкәа здыруаз ауаа мацын. Еих арак урт рматуратә машынакәа ракун ирдыруаз. Акәа инхо ауаа амашына аномеркәа рыла ирдыруан ауаа дукәа зракуз. Аҧсны ахаблатә еилак иатәыз амашынакәа рномеркәа 11 ала иалагә он. Аккәа аба зныз, даараза акыр зхәо ракәын. “Обком” амашына ауп, рхәон. Аминистрцаа реилак амашынакәа рномеркәа раҧхьатәи ацифрак 12 акун. Аки абеи ракун. Аабатәи, аминистрцаа реидгыла аномер шыакәнарҧәәон. Актәи апартия, 1101 – ахаблатә еие лак актәи амазаныкәааы иакун, 1102-аабатәи амазаныкәааы, 1103 – ахҧатәи амазаныкәааы. 1201 – аминистрцаа реидгыла акун, 1202 – уи актәи ихатыҧуааы, убас итеггы. Ажәакала абас имариан, еилкааны еизшаны икан актәи – аабатәи, ахҧатәи – аҧшьбатәи.

Аагацаа амашына рымазамт. Урт шыапыла иныкәон.

Сара сгәылара Аполон дынхон. Еснаг ашәа ихәон. Убас бжык иман, амшын акәара акны ашәа ахәара даналагалагә Трапедиа ираҳон уи ибжы, зны’зынла Баграт ишьха акнгы. Амәакәа иҧсә сон, насгы еснаг азәы диҧабарбаруан. Ачаракәеи, аҧсхәаракәеи рахь аныкәара бзиа ибон, ааы ажәра. Саатк иназоз аныхәафәкәа идыруан, аха уи изызыөрүе адаз ?! Уигы иара ихы дацәажәон. Енак Звиад Гамсахурдиа идгыло амитинг акны азәы иирцеит – уца, арадиорепродуктор ател ежәа хәа. Иҧижәеит, арепродукте ор еихәлашәит. Даашьтуп,- дхәааит азәы, амца ркит, иеилаганы ишьталит, дааныркылан, дрыпкәит, ихапыцкәа ҧыреит, даәа зных Едуард Шевардназе

თურმე აუგად და კიდევ „აბურთავეს“, ასევე სასტიკად. მხოლოდ ამის შემდეგ დაანება თავი ასეთ „პოლიტიკურ აქციებს“. აქვე უნდა აღვნიშნო, რომ იმ პერიოდში მსგავსი ისტორიები ქვეყანებსაც გადახდათ თავს.

მარადონა ყველაზე მობილური გიჟი იყო გიჟებს შორის. სად არ ნახავდით მას – ხან დიდ საათთან იდგა, ხან ნითელი ხიდის მიდამოებში დასეირნობდა, ხან – ბაზართან, ხანაც – შუქურას რაიონში. ზამთარ-ზაფხულ ნახევრადმიშველი დადიოდა. მზეზე გარუჯულს კისერზე ქვებისა და თოკისაგან გაკეთებული ყელსაბამი ეკეთა. ერთხელ ჰკითხეს – საპრეზიდენტო არჩევნებში თუ მიიღებ მონაწილეობასო? რატომაც არა, სხვებზე ნაკლები რითი ვარო, უპასუხა. ასე რომ, პოლიტიკა სოხუმელი გიჟებისთვისაც არ იყო უცხო ხილი. მარადონა ადვილად ეცნობოდა ადამიანებს, ყველას უცინოდა.

მარადონას, როგორც ახლახან ვთქვი, ქალაქის ნებისმიერ კუთხეში ნახავდით. ჩუმა კი სხვა იყო, მას მხოლოდ ერთი უბანი ჰქონდა ამოჩემებული – ცენტრალური ფოსტა და ორჯონიკიძის პარკი. ეს იყო და ეს, მეზღვაურად ნამსახურევს დღენიდაგ მეზღვაურის ზოლებიანი მისური ეცვა და საზღვაო ქუდი ეხურა. ჩუმა მონოლოგების დიდოსტატი იყო. მონოლოგებს ასე იწყებდა: *Слушайте, это я, Чума!*.. ყველაზე ხშირად ბავშვებზე ლაპარაკობდა ხოლმე, მე მსოფლიოს ბავშვები უნდა გადავარჩინო.

ცისფერთვალეა კოტიკი სულ სახეგაბრწყინებული დადიოდა, სულ რაღაც უხაროდა, ყოველთვის სიგარეტს თხოულობდა ხოლმე. ერთხელ შეეშალა და ორი ღერი ერთად ჩაიდო პირში, მერე სანთებელათი ისე მოუკიდა, თმაზე ალი წაეკიდა. ძლივს ჩაუქურეთ ცეცხლნაკიდებული ქოჩორი.

გაბოზე გიჟიაო, ვერ იტყოდით, მაგრამ არც ნორმალურის შთაბეჭდილებას ტოვებდა მაინც და მაინც. პორტის მუ-

იეიმკუა დიხჯაჯაააა, еитах ампыл еиҭш илахәмарит шыапыла, даараза иҭҭәаны дрыпкеит. Уи аамышьтахь ас еиҭш иҭказ “аполитикатә акциақәа” рахь анеира ҭҭиҭәеит. Иара абрацәкыа иасырбароуп ас еиҭш иҭкоу атоурых акәышцәагы ирыхьхьеит.

Марадона зегы реихаца амобилра змаз ахага иакән ахагацәа ркнытә. Дабаумбоз уи- зны асаат ду ахькнахаз дгылан, зных ацха қаҭшь ааигәа’сигәа длеиуеиуан, зных - аҭьармыкь акны, насх – Алашарбага араион акны. Азын – аҭхын дрыцхаза деилахәаны дықәын. Амра зыҭштәы агахьаз ахахәқәеи, ашашәеи ирылхыз хәташшьык еснагь ихәда икыдын. Зны иазцааит – ахада иалхра акны уалахәуазар хәа ? Избан сзаламхәа, егырт сызреицәеи, атак ритит. Убри акнытә аполитика Акәа инхоз ахагацәа рзы итәым шәырымзт. Марадона ауаа имарианы иҭеридыуан, зегы дырҭаччон.

Марадона, ишысхәахьоу ала, ақалакь иарбын кәакьзаалагь дукәшәон. Чума даеа акала дықан, уи хаблак акны маце ара акун иалхны имаз – аҭошьта хадеи, Орҭьоникизе ипарки. Абарт ракун иҭказ, амшыуаа рымаҭәа , ацәахәа зылгаз акьаҭ ишәын , ахәылаҭа ихан. Чума амонологкәа рқаза ду иакун. Имонолог абас далагон еснагь : *Слушайте,это я,Чума!*.. Еиҳарак ахәцқәа дрылацәажәон, сара адунеи ахәцқәа зегы еиқәсырхароуп.

Аблаҭрычкән Котик еснагь ихыиҭы ччо ддәықәын, еснагь акы игәы иаахәон, еснагь ацигар дахәон. Зны ицәеилаган ҭцигарак еицны иҭы итеикит, нас арке ыгала иаиркит, ихахәу амца ацралит. Аае рлаха идырцәит амца зыцралаз ихахәы.

Габо дхагоуп хәа узыхәомзт аха ихы атыҭ иқәуп хәагы узыхәомзт. Абаҭәаза акны аус иуан Габо. Нас – ауатахқәа

შა იყო გაბო. კიდეც – ბინების გამქირავებლებსა და დასასვენებლად ჩამოსულ ხალხს შორის შუამავლობდა. ხანდახან რომელიმე სოხუმელი რომეოს რომელიმე ქერათმიან მადონასთან რომ ნახავდა, მიეჭრებოდა: ბინა არ გინდა, ბინა არ გინდა? ერთი ღამით მოგაქირავებ, კარგი ბინა ვიცი. უცდომლად ცნობდა, თუ ვის სჭირდებოდა ბინა და ვის არა.

იდგნენ სოხუმელები და დასცინოდნენ თავიანთ გიჟებს...

მხოლოდ ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, აზრად ასეთი რამ მომდის: გაბო ებრაელი იყო, კოტე – აფხაზი, ჩუმა – რუსი, აპოლონი – ქართველი, მარადონა – თვით მარადონასათვისაც უცნობი, გაურკვეველი ეროვნების. არც მე და არც ერთი სოხუმელი მათ ჩხუბს არასოდეს შევსწრებივართ. პირიქით, ხანდახან დანყვილებულიც კი დადიოდნენ, ძმაკაცურად. ვინ იცის, ამქვეყნად ჩვენზე – ჭკვიანებზე, მეტნი გიჟები რომ ყოფილიყვნენ, იქნებ არც დაგვტყომოდა ის უბედურება, რომელსაც ომი ჰქვია სახელად.

თარგმნა
ირმა ოსიამ

азтози пꝑсшьара иааз ауааи рыбжьара дыбжьаказан. Зны зынла Акѳатѳи Ромеок, ахышкѳакѳа пꝑхѳызбак длыцны данибалак дрызнеиуан: ауатах утахзами, ауатах утахзами? Уахык хѳа уѳнасцоит, ауатах бзиа здыруеит. Елагара амамкѳа идыруан ауатах изтахызи, изтаымзи.

Акѳаа гыланы ирхыччон рхатѳы хагаѳѳа.

Уажѳы абарт ажѳакѳа анысыѳуа, сыхшыѳ акны абас акы сзааит: Габо – дыуриан, Коте – дапꝑсуан, Чума – дурысе ын, Аполон – дакѳыртуан, Марадона иара Марадонагы идыруамзт дызмие латыз, еилкаара змамз милатын. Сара ма даѳѳа Акѳатѳик ахаан ихамбацызт урт рыкѳѳара. Зны зынла еицны иныкѳон, айѳызѳѳа реипꝑш. Ари аѳѳстазаара акны – хара хатꝑкыс ахагаѳѳа еиха ираѳѳазтгы, идыруада хзыкѳѳѳаз акааметра, айбаѳѳ шьра зыхьзу хақѳымшѳѳаргы.

Ирма Осиа –
იჭა





ჩრდილი და სინათლე ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტზე

ვანო კეზუა მიაბობს: „სამიოდე წლის წინათ, ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს, ახალგაზრდა მხატვრები, ძმები კუხალაშვილები – გიორგი, კახა და ლაშა ჩემთან ჩამოვიდნენ, შეკვეთილში. იქ ზღვა და ლამაზი ბუნებაა და პეიზაჟების ხატვა დაიწყეს. მაშინ 16 წლის ვიყავი. ნიკოლაძეში ქანდაკებას ვსწავლობდი. გიორგი მეუბნება – შენც დახატეო. დავხატე... კარგი გამოვიდა. ბიჭებს მოეწონათ და მიდი ხატეო, მითხრეს. ერთი თვე ვხატავდი პეიზაჟებს და ძალიან გამიტაცა. იმავე წლის შემოდგომაზე „რუსულმა კლუბმა“ 18 წლამდე ასაკის მხატვრებში კონკურსი გამოაცხადა ფერწერაში. თემა გახლდათ – „ბედნიერი“. გადავწყვიტე, მონაწილეობა მიმელო და გამიმართლა.

კონკურსში – „ბედნიერი“ რვაასამდე მოზარდი მონაწილეობდა. მათ შორის ყველაზე ბედნიერი ივანე კეზუა აღმოჩნდა – პირველი ადგილი მოიპოვა. ეს იყო 16 წლის მხატვრის პირველი წარმატებული ნაბიჯი, რამაც განაპირობა კიდევ საბოლოო არჩევანი – ფერწერა. ახლა იგი სამხატვრო აკადემიის სტუდენტი და ფერწერის ფაკულტეტზე სწავლობს.

წინა წლის მიწურულს, საახალწლოდ, გიორგი კუხალაშვილის თაოსნობით, მოეწყო მხატვრებისა და მოქანდაკეების გამოფენა – „თბილისი და თბილისელები“, რომელშიც მონაწილეობდნენ: გიორგი, კახა და ლაშა კუხალაშვილები, ნიკო-

ლოზ მელივა, ბექა თაბუკაშვილი, ალექსი თეთრაძე, გიორგი დვალი, ზაქარია მირუაშვილი, გიორგი გორდამაშვილი და მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა, ვანო კეზუა. ცხრამეტი წლის მხატვარი ამჯერად საზოგადოების წინაშე წარსდგა, უმთავრესად, როგორც პორტრეტისტი.

რა თქმა უნდა, როდესაც 19 წლის ხარ, ისედაც ბედნიერი ხარ, მაგრამ, თუ ამ ასაკში ისეთ პორტრეტს ქმნი, რომლის წინაშეც მნახველი ჩერდება, უყურებს და ფიქრობს, რომ მხატვარი ჩასწვდა პიროვნების შინაგან სამყაროს, შეძლო, წარმოეჩინა მისი ბუნება და ხასიათი, ეს უკვე ნიჭია! ნიჭი, რომლის მძევალი „განწირულია“, მთელი სიცოცხლე ემსახუროს მას, ყველაზე სასტიკ და დაუნდობელ დემონს – ტალანტს... ვანომ ეს იცის. იცის ისიც, რომ ნამდვილი ოსტატობა დიდი შრომის შედეგად მოდის და ამბობს: „ყველაზე დიდი და ნამდვილი ბედნიერება ადამიანისათვის სწორედ ის არის, რომ მთელი სიცოცხლე საყვარელი საქმე აკეთოს.

– ვანო, ჯერ ოცი წლისაც არ ხარ. შენი ასაკის ბიჭების დიდი უმრავლესობა გართობის, დროსტარების და თავგადასავლების ძიებაშია, ბოჰემისკენ ილტვიან, მით უმეტეს მხატვრები. შენ კი, მგონია, რომ ზუსტად იცი, რა გინდა და რა უნდა აკეთო. ასეა?

– შესაძლოა, მთლად ასე ჩამოყალიბებული არ ვიყო, თუმც რაღაც მიზან-

სწრაფვა მაქვს. რაც შეეხება იმ ყველაფერს, რაც თქვენ გაქვთ მხედველობაში, მეც გამოვიარე. დიდი სულიერი კრიზისიც მქონდა. დიდი ძალისხმევა დამჭირდა, რომ დამეძლია. ახლა ვუყურებ ჩემი განვლილი ცხოვრების ერთ მონაკვეთს და, სიმართლე გითხრათ, ძალიან მრცხვენია და ვნანობ.

– ოჰო, დამინტრიგებლად უღერს, განა ასეთი რა მოხდა... თუმცა, შეგიძლია, არ თქვა, სათქმელი თუ არ არის.

– ვთამაშობდი და ძალიან დიდი ფული ნავაგე, მართლა დიდი ფული. ყველა და ყველაფერი დავივიწყე, თამაშის გარდა. ჩემს ოჯახს ძალიან დიდი ტკივილი მივაყენე. მოკლედ, დიდი შეცდომა დავუშვი, მაგრამ მოვახერხე და თავი დავანებე თამაშს. ამის მისაღწევად დიდი ძალისხმევა დამჭირდა. ქალაქიდან წავედი; ოთხი თვე ტყეში, მონასტერში ვიყავი; ვკითხულობდი ბევრს და ბევრი რამის გააზრება და გადაფასება დამჭირდა; რთული და მძიმე პერიოდი მქონდა და ვფიქრობდი, რომ არც ვიყავი ღირსი, მხატვარი ვყოფილიყავი. ამ გადასახედიდან რომ ვუყურებ, ვხვდები, ძალიან გამიმართლა იმ თვალსაზრისით რომ ოჯახი გვერდით დამიდგა. არადა, ამას არ ვიმსახურებდი... და

კიდევ, იმ პერიოდმა, იმ ოთხმა თვემ, დიდი ძალაც მომცა. ახლა მარტივად შემიძლია უარის თქმა ბევრ რამეზე. როდესაც ვუყურებ იმ ახალგაზრდებს, რომლებიც თამაშობენ, ერთია, რომ მანუხებს, მეც რომ ასეთი ვიყავი, მეორე კი, მინდა, ვუთხრა – შეჩერდი!

– არც კი ვიცი, რა ვთქვა... სიმართლე გითხრა, განცვიფრებული ვარ, მაგრამ ახლა აღარ მიკვირს, რატომ არის შენი ნამუშევრები, ასაკთან შედარებით, ასე ღრმა და გამომსახველობითი. კარგი, სხვა თემაზე გადავიდეთ, ქანდაკებას ვსწავლობდიო, თქვი, რატომ ქანდაკებას? და საერთოდ, ხატვა რა ასაკიდან დაიწყე და ყველაზე მეტად რა მომენტი გახსოვს ბავშვობიდან?

– ვხატავ ბავშვობიდან. ყველა ბავშვი ხატავს, მაგრამ დამამახსოვრდა ერთი – მოცეკვავე ფიგურები, კარგი გამომივიდა და მერე სკოლაშიც სულ ვხატავდი. მხატვარი არავინ მყავს, მაგრამ მამას აქვს დიზაინერის ნიჭი, გემოვნებიანია, სახლის ინტერიერს აკეთებს კარგად. დედა პოეტია, სხვანაირად მოაზროვნეა. გამიმართლა, რომ ასეთი ოჯახი მყავს, სხვანაირი სიტბო და სიყვარული მოდის მათგან, რაც ემოციურ მხარეს კიდევ უფრო მიმძაფრებს. რაც შეეხება ქანდა-



კებას, დედას იდეა იყო, უნდოდა მოქანდაკე გავმხდარიყავი. ქანდაკებით ძალიან დავინტერესდი, გავიარე კურსი და ძალიან დამეხმარა.

ჩემი ბავშვობის ყველაზე საინტერესო და დასამახსოვრებელ მომენტს რაც შეეხება, იყო ერთი... ცამეტი წლის ვიყავი და ბათუმში წავედი მარტო. ის მომწონდა და მაინტერესებდა, მარტო რომ ვიყავი, ამით ვკაიფობდი. ზურგჩანთაში ფამუქის წიგნი მქონდა – „მე მქვია წითელი“, ვკითხულობდი და ფანქარში ჩანახატებს ვაკეთებდი. დავდიოდი, ვერთობოდი, ლამეც დავდიოდი.

– გაიპარე თუ გაიქეცი?

– ოჯახში იცოდნენ, რომ დედაჩემის მეგობართან უნდა ჩავსულიყავი და ერთი დღე-ღამე „მოვიპარე“. მაშინ სელინჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ მქონდა წაკითხული და, ალბათ, პერსონაჟის ზემოქმედების ქვეშ ვიყავი. ის „მოპარული“ ერთი დღე-ღამე ძალიან მაგარი იყო და ძალიან ტკბილად მახსენდება. მერე მივედი დედაჩემის მეგობრის ოჯახში და დანარჩენი დრო იქ გავატარე.

– წიგნები ახსენე და არ შემიძლია არ გკითხო, ბოლოს რა წაიკითხე?

– წავიკითხე „ოსტატი და მარგარიტა“ და ძალიან მომეწონა. არც ისე დიდი ხანია, რაც ეს რომანი ჩავამთავრე და შთაბეჭდილების ქვეშ ვარ. ამ ნაწარმოებში ერთმანეთშია გადაწნული სამი შრე, სამი პლასტი: რეალური, მეტაფიზიკური, ანუ ფანტასტიკური და ისტორიული. სიუჟეტი, გმირების სახეები, კომპოზიცია და მწერლის ენა – ყველაფერი უჩვეულო, მიმზიდველი და ძალიან საინტერესოა. ბოლომდე ჩაგითრევს და ჩაგიყოლიებს, ვერ მოშორდები. ერთმანეთშია გადაჯაჭვული რეალური და არარეალური, გრძნობათა პოეზია და ამავე დროს სატირა. იმდენად მასშტაბური რომანია, რომ მარტივად, იოლად მისი აღქმა შეუძლებელია, რადგან, საბოლოო ჯამში, ეს წიგნი ფილოსოფიურია. მწერალი ადამიანის სულის წიაღში გახედებს, სადაც ბნელი,

სატანური და ნათელი, ღვთიური, ერთმანეთის განუყოფელი ნაწილია და ერთმანეთთან კავშირშია. ამ რომანის ფინალში არის ერთი მომენტი და, ვფიქრობ, ყველაზე მნიშვნელოვანი – ლევი მათე უკვე მიდის და ეშმაკი ეუბნება: რა არის ხეები თუ მათ ჩრდილი არ აქვსო, ანუ ის ჩრდილი, ის სიბნელე ჩვენიაო. როცა წიგნს ვკითხულობ, ასეთი დეტალები მომწონს და მაფიქრებს: ადამიანი ირჩევს ნათელ მხარეს, მაგრამ ამ ნათელს ბნელი, როგორც მისივე ჩრდილი, სულ თან დაჰყვება, არ შორდება.

– ან ირჩევს ბნელს და მისი განუყოფელი, ნათელი მხარე, ცოდვებით დამძიმებული, განუზომელ ტანჯვაშია. სატანის მეჯლისზე ეს შესანიშნავად გვაჩვენა მწერალმა... მაგრამ ამ თემაზე საუბარი შორს წაგვიყვანს. ვანო, მე გავიგე, რომ მზის შვილებთან მეგობრობ, მართალია?

– უკვე ხუთი წელია, ვიცნობ და ვმეგობრობ მათთან. გრემთან ახლოს არის მათი სკოლა-ინტერნატი. გერმანელი ახალგაზრდები ჩამოდიან და ეხმარებიან მათ. ზაფხულობით შეკვეთილში ჩამოჰყავთ ხოლმე. ჩემს სახლთან ახლოსაა მათი საზაფხულო სახლი და ასე გავიცანი. პირველად მამა დაუხლოვდა და დაუმეგობრდა, მერე მე. სხვათა შორის, მამა უფრო უყვართ, მერაბი უფრო ბევრ დროს უთმობს და გიჟდებიან მასზე. ერთი ბიჭია, პეტრე, 17 წლისაა და მამაჩემი მამასავით ჰყავს, მერაბს იგოეთში დაჰყავდა ხოლმე და ისეთი ბედნიერი იყო პეტრე, რომ, რა გითხრათ. საერთოდ, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ძალიან თბილები და საყვარლები არიან, ძალიან მგრძნობიარეები. პატარა საჩუქარზეც კი ისეთი რეაქცია აქვთ და იმდენ მადლობას გიხდიან, გაგიკვირდებათ. სითბოსა და მზურნველობაზე ხომ საერთოდ... ვერ აღწერ, როგორი ბედნიერები არიან. უკან რომ ბრუნდებიან, მირეკავენ ყოველდღე, ლამის 50-ჯერ დღეში და ყოველ დარეკვაზე, სულ მცირე, 20 ბავშვი მელაპარაკება.

- ეს ხომ ძალიან ძნელია?

- დიას, მაგრამ არ ვაგრძნობინებ. თუ ეტყვი, რომ ახლა არ გცალია, ჩვეულებრივად ესმით, გიგებენ. ჩემს მეგობრებსაც ვეუბნები ასეთი სიტუაციაა-მეთქი და ფული რომ ჩაგვივარდება, შაბათ-კვირას ჩავდივართ ხოლმე. დავსხდებით ერთ სუფრაზე 20-30 ბავშვთან ერთად და ვსაუბრობთ. ისინი თავიანთ ამბებს გვიყვებიან, ჩვენ - ჩვენსას. ზოგიერთებს, უფროსებს, ოჯახებიც აქვთ, შვილებიც ჰყავთ და იქვე ცხოვრობენ.

- შვილებსაც დაუნის სინდრომი აქვთ?

- არა, ჩვეულებრივი ბავშვები არიან. ამ ზაფხულს რომ იყვნენ შეკვეთილში, ხომ ჩამოხვალ ახალ წელსო, მთხოვეს და დამაბარეს აიპოდი, ტელეფონი, სათამაშოები. ცოტა მსხვილი თანხა ჩამივარდა ხელში, ვუყიდე საჩუქრები და მივუტანე. ისეთი ტიპები არიან, არ გიკარგავენ მზრუნველობას და სიკეთეს.

- ისევ ხელოვნებას მინდა დავუბრუნდე. შენს პორტრეტებს ასე ღრმად როგორ სწვდები? შენ ხომ ასე ახალგაზრდა ხარ!

- ალბათ, არც ასე პატარა ვარ. ამაზე მე ჩემი შეხედულება მაქვს. რაფაელი 21 წლის იყო, მაგისტრის წოდება რომ ჰქონდა და რამდენიმე წელიწადში მთელი ქალაქის დაპროექტებაში მიიღო მონაწილეობა. 25 წლის რომ გავხდები, ამაზე ბევრად მეტს გავაკეთებ ან შეიძლება პირიქით, საერთოდ არ განვვითარდე, მაგრამ, რა თქმა უნდა, წინ მინდა წავიდე.

- ვუყურებ გივი ბერიკაშვილის პორტრეტს: სათნობაც და ირონიულობაც, ასაკიც და ბავშვურობაც, ცელქი მზერა და სიცოცხლის სიყვარული, ცოტა ნიჰილიზმიც... ყოვლივე ეს თითქმის ერთდროულად გამოსჭვივის მასში; ვფიქრობ, თამამი ყვითელი ფერი ძალიან მოუხდა პორტრეტს. რამდენ ფერშია შენი სამყარო?..

- ყველა ფერში. გივი ბერიკაშვილის პორტრეტისათვის სამი ფერი მაქვს გამოყენებული: ყვითელი, შავი, თეთრი და მერე გადაყვანები. ბატონი გივის პორტრეტი ძალიან კარგი იმიტომ გამო-

ვიდა, რომ ბევრი ვიმუშავე, ღამეები ვათენე. ძალიან მანვალა გივი შაჰნაზარის პორტრეტმა. ოთხი თუ ხუთი პორტრეტი გავაკეთე, არა და არ გამოდიოდა. ერთი მომენტი მეგონა, გავგიჟდები-მეთქი, ის ხასიათი ვერ დავიჭირე. შევისვენე და პეიზაჟის ხატვა დავინწყე, სწრაფად მოვრჩი და, რომ იტყვიან, გამეხსნა... მერე უცბად დავამთავრე შაჰნაზარის პორტრეტი.

- კლასიკური მხატვრული ნორმების, კანონების დანგრევა თუ გიცდია?

- მე გამიკეთებია ასეთი რაღაცები, ოღონდ გაუაზრებლად. იმიტომ რომ ჯერ მაინც დამწყები ვარ. მაშინ ვიქნები ძალიან მაგარი მხატვარი, მაშინ ჩავთვლი ასეთად თავს, როდესაც ამას გააზრებულად გავაკეთებ. რასაც დღესდღეობით ვაკეთებ, შეიძლება შეცდომებს ვუშვებ, მაგრამ ემოციის ხარჯზე გამომდის. აი, ფანქარი სხვა რამეა, ფანქარში ვერ მოიტყუები, მხოლოდ ემოციის ხარჯზე ვერ გახვალ ფონს. ფანქარში ხატვა არ მიყვარს, მაგრამ ფანქარი აუცილებელია. ფანქარში უნდა დაამტკიცო, რომ ხატვა იცი.

- გინდა პროფესიონალი მხატვარი გახდე და შენი შემოსავლის წყარო ხელოვნება იყოს?

- რა თქმა უნდა. თუ გიყვარს ის, რასაც აკეთებ, აკეთებ გულით, არ გეზარება, ათენებ ღამეებს, შრომობ და ოსტატდები. ხელოვნება კი ისეთი სფეროა, რომელიც ყოველთვის სჭირდება ადამიანს.

- ახლო მომავალში რა გეგმები გაქვს?

- ვაპირებ, გავაკეთო პროექტი შოთა რუსთაველზე - ფერწერაში დანახული „ვეფხისტყაოსანი“. ამ პროექტში მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მხატვრები. ძალიან ბევრი ნიჭიერი მხატვარია ახალგაზრდებში, რომელთაც საზოგადოება ჯერ არ იცნობს. მინდა, ისინი ამ პროექტის საშუალებით გამოჩნდნენ. მჯერა, პროექტი წარმატებული იქნება და არა მარტო თბილისში, უცხოეთშიც მოვანყობთ გამოფენებს.

ესაუბრა მარიკა ხახაძე



დიკენსის „საშობაო სიმღერა“ მარჯანიშვილის თეატრში

საბჭოთა საბავშვო ლიტერატურის მამად აღიარებული კორნეი ჩუკოვსკისთვის უკითხავთ: როგორ უნდა წერო ბავშვებისათვის? ისევე, როგორც დიდებისთვის, – უპასუხია მას, – ოღონდ უფრო უკეთესად. ცნობილი მწერლის, მთარგმნელისა და ლიტერატურული კრიტიკოსის ეს პასუხი მეხსიერებას შემორჩა, რადგან, სამწუხაროდ, დღემდე არსებობს მოარული აზრი, თითქოს ბავშვებისთვის წერა ადვილი საქმე იყოს!

ზამთრის არდადეგებზე, როდესაც დედაქალაქის ყველა თეატრის რეპერტუარი მეტ-ნაკლებად საახალწლო პროგრამასაც ითვალისწინებს, „მარჯანიშვილში“ „საშობაო სიმღერა“ იდგმება – ჩარლზ დიკენსის ამავე სახელწოდების მოთხრობის მიხედვით. სპექტაკლის რეჟისორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ლევან წულაძე. წარმოდგენა გათვალისწინებულია 12 წელს ზემოთ ასაკის მყურებლისთვის, თუმცა, ვინც „დევიდ კოპერფილდის“ ავტორის ხიზლს ოდესმე ზიარებია, მისთვის ნათელია, რომ დიკენსთან ასაკობრივი შეზღუდვის დანესება (ისევე, როგორც ლუის კეროლის და ანტუან დე სენტ ევზიუპერისა) მხოლოდ პირობითია და, როცა ვამბობთ: „12 წელს ზემოთ“, ვგულისხმობთ – 92 წლამდე! გამიმართლა და ამ წარმოდგენას ორჯერ, გასულ წელს და ახლაც დავესწარი. შარშანდელი შთაბეჭდილებები ჩემში ისევ ცოცხლად ინახებოდა, მხოლოდ ოდნავ თუ გადაკვროდა (ბრიტანული?) ბურუსი. მაინტერესებდა, განმეორდებოდა თუ არა ის აღტაცება და სასწაულის რწმენის განცდა, რაც მაშინ დამეუფლა: საშობაო ამბებთან დაკავშირებული განსაკუთრებული მყუდრო ატმოსფერო და იდილია, საღამოთი მოგუგუნე ბუხრის გარშემო შეკრებილი ოჯახის წევრები...

გარეთ ბარდნის, ვილაც ზღაპარს ჰყვება... ყველაფერი განმეორდა, მეტიც, სიამოვნებისგან წინასწარ მეღიმებოდა, როცა მოწონებული რეპლიკისა თუ მოძრაობის მოლოდინს ვაჭაშნიკებდი.

ბებერი, ძუნწი სკრუჯის ამბავი ყველას ახსოვს. მთელ ბრიტანეთში ძნელად თუ მოიძებნებოდა მასზე უფრო საძულველი ადამიანი. აი, რას ვკითხულობთ მის შესახებ: „გარეთ სიცხე იყო თუ სიცივე – სკრუჯს ეს ნაკლებად აწუხებდა. არავითარ სიტბოს არ შეეძლო მისი გათბობა და ვერანაირი ყინვა ვერ გაატანდა მის ძვალ-რბილში. ყველაზე მძვინვარე ქარსაც კი არ ძალუძდა, სკრუჯიზე უფრო გულბოროტი ყოფილიყო, ყველაზე საშინელი ქარბუქიც ვერ იქნებოდა ასეთი სასტიკი, ყველაზე კოკისპირული წვიმაც არ იყო ესოდენ დაუნდობელი. უამინდობა მას ვერაფერს აკლებდა. თავსხმას, სეტყვას, თოვლს შეეძლოთ, სკრუჯის წინაშე მხოლოდ ერთი უპირატესობით ეტრატებახათ – ისინი არცთუ იშვიათად ეშვებოდნენ დედამიწაზე უშურველი სიუხვით, სკრუჯისთვის კი უცნობი იყო უშურველობა“.

ერთხელაც, შობა ღამეს, სახლში მარტო მყოფს გარდაცვლილი კომპანიონის, მარლის სული რომ არ გამოცხადებოდა, ალბათ, მალე თავადაც მის გზას გაუდგებოდა და ჯოჯოხეთის კუპრში აღმოჩნდებოდა უკუნითი უკუნისამდე. ჯაჭვების გრუხუნით მოდის აჩრდილი და აშინებს ჯოჯოხეთის სურათებით.

– მე შენზე ვიზრუნე, რათა ჩემს დღეში არ აღმოჩნდე სიკვდილის შემდეგ, – ეუბნება მარლი მასზე უფრო დიდ ცოდვილს. – ახლა შენ სამი სული გამოგეცხადება, კარგად მიიღე და მიჰყევი მათ რჩევებს, თორემ წამება არ აგცდებო, – გააფრთხილებს და ქვესკნელში ბრუნდება

(დამეთანხმებით, რომ დიკენსის შავი იუმორი კომენტარებს არ საჭიროებს...). ასე იწყება ცნობილი ნუნურაქისა და გულქვა სკრუჯის (რომელმაც ეშმაკს ისე მიჰყიდა სული, რომ ვერც კი მიხვდა) ფანტასტიკური მოგზაურობა დროსა და სივრცეში... მთავარი გმირისგან განსხვავებით, სპექტაკლის სულისჩამდგმელს, ლევან ნულაძეს, არ ჰყვარებია დაწვრილმანება: მან პერსონაჟებს მგზავრობისთვის „მფრინავი“ ორთქლმავალი გამოუყო და არც ორთქლი დაიშურა. წარმომიდგენია, როგორ უხაროდათ ბავშვებს, როცა ეს „ეშმაკის მანქანა“, ბაგირის დახმარებით, სცენას მოსწყდა და ჰაერში გაჩერდა!

აი, ჩემს საყვარელ თემასაც მივადექი: უსასრულოდ შემოძლია, ვისაუბრო „საშობაო სიმღერის“ უბადლო დეკორაციებსა და კოსტიუმებზე... პატარა ინგლისური ქალაქი გაცოცხლდა ჩვენ თვალწინ, მისი მკვიდრნი სხვა ეპოქიდან გვესტუმრნენ, ორთქლმავლების ხანიდან, შორეული მე-19 საუკუნიდან. – საით მიიჩქარის ის სანდომიანი ქალბატონი? მოდი, გავყვით. აჰა, ეს კანტორაა, „სკრუჯი და მარლი“ აწერია. შემინული კარი შევალეთ და შევედით... თითქოს მართლაც კანტორაში ვიმყოფებოდეთ და შიგნიდან ვადევნებდეთ თვალს ამბის განვითარებას. თითქოს სპექტაკლის შემქმნელებმა სკრუჯის ხელმოჭერილობას ხელგაშლილობა დაუპირისპირეს, მის კაცთმოძულეობას კი – კაცთმოყვარეობა! ერთდროულად გამოვლინდა მათი ერთდროული, გემოვნება და უშურველობა, ანუ, როცა აკეთებ იმაზე მეტს, ვიდრე აუცილებელია, საგულდაგულოდ ამუშავებ თითოეულ დეტალს და არ გეშინია მათი სიუხვისა და მრავალფეროვნებისა... მაგრამ არც ზომიერების გრძნობა გლალატობს, რადგან სიყვარულით აკეთებ! – თეატრის, მაყურებლის, დიკენსის სიყვარულით. და, როცა ვამბობთ: „ჩარლზ დიკენსი“, გვულისხმობთ „კეთილ, ბებერ ინგლისს“ თავისი ნაირფერი, მყუდრო სახლებით, პლედებითა და პუდინგებით. ერთი სიტყვით, ძალი-

ან „ბრიტიშ სტორი“ (ბრიტანული ამბავი) გამოვიდა, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია. სრული ორი საათის განმავლობაში მართლა ინგლისში გგონია თავი და შიგადაშიგ ჩართული ქართული იუმორიც კი არ გიშლის ხელს, რომ ეს დაიჯერო.

ცალკე აღვნიშნავდი რეჟისორისა და მსახიობების მონადინებას. მარჯანიშვილის თეატრის დასმა უარი თქვა შესრულების ზედმეტად ემოციურ მანერაზე და გვიჩვენა ინგლისური თავშეკავება, ინგლისური ხასიათი მკვეთრი მოძრაობებისა და ნივილ-კივილის გარეშე. მადლობა მათ ამისათვის! სპექტაკლში შთამბეჭდავია ბარათაშვილ-ჩოლოყაშვილის დუეტი. ბრიტანულისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართული არისტოკრატიზმი ნამდვილად მოსდგამთ. საკმარისია სკრუჯისთვის (ბესო ბარათაშვილი) თვალის ერთი შევლება, მისი ერთთავად უყმური გამომეტყველების დანახვა, რომ იგრძნო, როგორ ბუნებრივად და გულწრფელად... ვერ იტანს გარშემომყოფთ – თავის ხელქვეითებს, ერთადერთ ნათესავს, ფრედის და მის მეუღლეს, მერის, საერთოდ, ადამიანთა მოდგმას. შობის წინა დღეს სამსახურიდან დაითხოვს საბრალო ბობ კრეჩეტს (ირაკლი ჩოლოყაშვილი) მხოლოდ იმისთვის, რომ მან გაბედა და მძიმედ ავადმყოფი ბიჭუნას სამკურნალოდ ერთი თვის ხელფასი წინასწარ სთხოვა... ირაკლი ჩოლოყაშვილმა ბრწყინვალედ მოახერხა თავისი გმირის დრამატული სახის შექმნა: გარეგნული მხიარულების მიუხედავად, თვალნათლივ ჩანს, სიღარიბესა და მწუხარებას რა მძიმე კვალი დაუტოვებია მასზე. მისი ეს გაუთავებელი მანჭვა-გრეხა, უხერხული პოზა, ცალი ფეხის აწევა თუ სრუტუნი ცხოვრებისგან უმოწყალოდ გალახულ, მაგრამ უეშმაკო და მოსიყვარულე ადამიანს გვიხატავს. ჟღალთმიანი ფრედი (ნიკა კუჭავა) ხომ, საერთოდ, ნამდვილი ინგლისელი ჯენტლმენია, იმდენად მომხიბლავი, რომ თვით ზეციური არსებაც კი – დამდეგი შობის სული (ნანი ჩიქვინიძე) ცდუნებას



ვერ გაუძლებს და ლოყაზე ორჯერ ეამბორება. დიახ, გასული, დამდეგი და მომავალი შობის სულებისთვის მთლად უცხო არ არის მოკვდავთა ვნებები, მაგრამ, რაც მთავარია, ისინი დიად მიზანს ემსახურებიან – „ბნელით მოსილი“, ცოდვილი სულის გადარჩენას და ამ მიზანს აღწევენ კიდეც, როცა სკრუჯის თვალებში სინანულის ცრემლი აკიაფდება, ისეთივე წმინდა და კამკამა, როგორცაა ცაზე იმ ღამით გაბრწყინებული შობის ვარსკვლავი.

და ყველაფერი კარგად მთავრდება, ისე, როგორც საკუთარი პერსონაჟების

ღმერთმა – დიკენსმა ინება. ყველაზე უფრო დიდი ძუნწი ერთ ღამეში ყველაზე დიდ ქველმოქმედად იქცა. შეიბრალა და შეიყვარა ადამიანები. აბა, რა აზრი დევს ჩვენს სიცოცხლეში, თუ არ გვაქვს მოყვასის სიყვარული და არ ძალგვიძს ქმნა სიკეთისა? ალბათ, ეს უნდა იყოს „საშობაო სიმღერის“ მორალი და, როცა ვამბობთ „შობა“, ვგულისხმობთ „სასწაულს“, ხოლო თუ კარგად დავფიქრდებით, ჩვენი ცხოვრებაც დიდი და პატარა სასწაულებისგან შედგება, ოღონდ უნდა გჯეროდეს, რომ „ყოველი წამი სასწაულია!“

ჰერმან ჰესე და სხვა მხატვრები...



„კალმით და ფუნჯით შექმნის პროცესი ჩემთვის კარგი ღვინოსავითაა. ამით თრობა იმდენად ათბობს და ალამაზებს ცხოვრებას, რომ მას ასატანს ხდის.“

ჰერმან ჰესე (1920 წელს ფრანც გინცკისადმი გაგზავნილი წერილიდან).

ჰერმან ჰესე – პროზაიკოსი, პოეტი და ესეისტი, 1946 წლის ნობელის პრემიის ლაურეატი ლიტერატურის დარგში – ფართო საზოგადებისთვის ნაკლებადაა ცნობილი, როგორც მხატვარი. ამიტომ, როდესაც ბერლინსა და ბერნში კი არა, არამედ ჩვენს დედაქალაქში გალერეა „ვერნისაჟმა“ მიგვიწვია გამოფენაზე „ჰერმან ჰესეს ორი პეიზაჟი“, ჩემს პირველ რეაქციას, ალბათ, გაოცება უფრო ეთქმოდა, ვიდრე სიხარული.

ჯგუფური ექსპოზიცია, უკვე ტრადიციად ქცეული შემაჯამებელი გამოფენა გაყიდვა, ოღონდ ამჯერად თანამედროვე ქართველი მხატვრებისა და ფოტოგრაფების (რომლებიც გალერეასთან მუდმივად თანამშრომლობენ) ნამუშევრებთან ერთად, ძველი, უკვე ისტორიად ქცეული მხატვრობის ნიმუშებიც ვიხილეთ. კერძოდ კი, გრიგორი გაგარინისა (1810-1893) და ვერა როხლინას (1896-1934), ელენე ახვლედიანისა და სერგო ქობულაძის ფერწერა, გრაფიკა, ლითოგრაფია. ამგვარი დიალოგი მოაწყო გალერეამ წარსულსა და აწმყოს შორის და, რაც მთავარია, 22 იანვრიდან 2 თებერვლამდე

„ვერნისაჟს“ სტუმრობდა ჰერმან ჰესეს ორი პეიზაჟი – ქართველი კოლექციონერის კერძო საკუთრება, რომლის მუდმივი მისამართი დღეს, სავარაუდოდ, თბილისის ერთ-ერთი ბანკია; ასეთია ცხოვრების პროზა ფერ-უმარილის გარეშე. თუმცა ამაზე მსჯელობას გვიჯობს, ჰესეს ბიოგრაფიის რამდენიმე მომენტს და მის მხატვრობას გავეცნოთ.

ჯერ გავიხსენოთ, რომ პირველი მსოფლიო ომის ყველაზე მძიმე დღეებში ორმოციოდე წლის გერმანელმა მწერალმა ხელში პირველად აიღო კალამი და ფუნჯი, რაც მის ღრმა დეპრესიას, სულიერ კრიზისს უკავშირდება, გლობალური და პირადი ხასიათის კატასტროფებს, ოღონდ რას უნდა მივანეროთ ქართველი საზოგადოების არასათანადო ყურადღება ამ გამოფენის მიმართ: სულიერების დეფიციტს თუ მხოლოდ თავისუფალი დროის უქონლობას? რა თქმა უნდა, ჰესეს პეიზაჟების ნახვას ინტერნეტსივრცეშიც შევძლებთ, ისევე, როგორც, ზოგადად, ფილმების ყურებას და წიგნების წაკითხვას და მაშ, რალა საჭიროა გალერეები, კინოთეატრები და ბიბლიოთეკები ანდა მოდური მედიათეკები? ხომ არ გაგვეუქმებინა საერთოდ? ისლა დამრჩენია, საუკუნის დაავადებად ქცეულ ეგოისტურ „განმარტობას“ (და არა ბაირონის შპლენდიდ ისოლატიონ-ს) დავუპირისპირო დრომოჭმული გამონათქვამი – „ადამიანი საზოგადოებრივი ცხოველია“... არ იფიქროთ, თითქოს ჯოგურ ინსტინქტზე ან კოლექტივის მიერ ინდივიდის ნებისა და თავისუფლების ჩახშობაზე ვსაუბრობდე! დაარქვით ამას, გნებავთ, მოყვასის სიყვარული, მოქალაქეობრივი თვითშეგნება თუ სოლიდარობა... კაცობრიობა ხომ ბევრად უფრო მეტია, ვიდრე ინდივიდების არითმეტიკული ჯამი. უდავოდ, ჰერმან ჰესე

სეც ასე ფიქრობდა, როდესაც 1914 წელს გერმანულ პრესაში (Neue Zürcher Zeitung) გამოქვეყნებული წერილით «O Freunde, nicht diese Töne» გერმანელ ინტელექტუალებს მოუწოდა, შეენწყვიტათ წუნწინი და, თანაც, ნაციონალისტური პოლემიკის საშიშროების შესახებ გააფრთხილა, რითაც სამშობლოში საყოველთაო რისხვა დაიმსახურა. მოგვიანებით მწერალი ტოვებს გერმანიას და საცხოვრებლად შვეიცარიაში გადადის.

მომდევნო წლებში ჰესეს ერთბაშად თავს დაატყდა რამდენიმე უბედურება: მამის გარდაცვალება, ვაჟის მძიმე ავადმყოფობა და მეუღლისთვის დასმული დიაგნოზი – შიზოფრენია, რამაც სიყმანვილიდანვე დეპრესიისადმი ისედაც მიდრეკილი მწერლის ცხოვრება აუტანელი გახადა. იგი იძულებული გახდა, თავი დაენებებინა გერმანელი ტყვე ჯარისკაცების დახმარებისთვის და მკურნალობა დაენწყო.

1916 წელს „დამსვენებლის“ ავტორი გაიცნობს გუსტავ იუნგს, ფსიქონალი-



ზის კურსს გადის და მკურნალი ექიმის რჩევით იწყებს სიზმრების ქალაღზე „გადმოტანას“, ოღონდ ნახატების სახით. უმათავრესად ცნობილია ჰესეს აკვარელები, სადაც ლოკარნოს მიდამოები და ტესინოა გამოსახული და თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რა სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა მწერლისთვის სეირნობას, გასაგები გახდება, რომ სასიამოვნოსა და სასარგებლოს ასეთი შეთავსება მისთვის სულიერი სიმშვიდის მომტანი უნდა გამხდარიყო (ჰერმან ჰესე „სეირნობა ფეხით“. 1920 წელი). მართლაც, მწერალი არა მხოლოდ საბოლოოდ დაძლევეს სულიერ კრიზისს, არამედ გაათმაგებული ძალით უბრუნდება ლიტერატურულ საქმიანობას. საკმარისია, გავიხსენოთ, რომ თავისი შედეგების უმრავლესობას („ზარატუსტრას დაბრუნება“ (1919) „სიდჰარტა“ (1922), „დამსვენებელი“ (1925) „ტრამალის მგელი“ (1927)) იგი სწორედ ამ პერიოდის შემდეგ ქმნის. „...ფერწერის გარეშე ბევრს ვერაფერს მივალწევი, როგორც პოეტი“, – აღნიშნავს იგი (1924 წელს გეორგ რაინჰარტისთვის მიწერილი წერილიდან).

ჰერმან ჰესეს ხატვა არც მომდევნო წლებში შეუწყვეტია, მოაწყობს რამდენიმე გამოფენა, გამოსცა ფერწერული ალბომი და წიგნები საკუთარი ილუსტრაციებით. ამასთანავე, მას პროფესიონალ მხატვრად არ მიაჩნდა თავი. „ჩემი პატარა აკვარელები ერთგვარი პოეტური გამონაგონი ან სიზმრებია, რომლებიც „სინამდვილის“ მხოლოდ შორეულ გახსენებას გამოსცემენ და ცვლიან მას პირადი გრძნობებისა და განწყობების შესაბამისად (...), ასე რომ, მე მხოლოდ დილეტანტი ვარ, რასაც არასოდეს ვივინყებ“ (1919 წელს ჰელენ ველთისთვის მიწერილი წერილიდან).


ალბათ, შეიძლება, საერთოდ არ გვეხსენებინა ჰერმან ჰესეს პირადი ცხოვრებისა და ფსიქონალ-

იტვიკოსის „დივანი“, მაგრამ, მაშინ, მისი აკვარელების წარმომავლობაც ბუნდოვანი იქნებოდა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ისიც, თუ რას წარმოადგენდა ისინი თავად ავტორისათვის. „აუტანელი ნალველისგან გამოსავალი ვიპოვე, დავიწყე ხატვა, რაც არასოდეს გამიკეთებია და სურათების შექმნაც ვცადე. ჩემთვის არა აქვს მნიშვნელობა, აქვს თუ არა ამას ობიექტური ღირებულება, ჩემთვის ესაა ხელოვნებით ნუგეშისცემა, რაც, პრაქტიკულად, მწერლობას არ მოუცილო. – წერდა ჰერმან ჰესე 1917 წელს ფელიქს ბრაუნისთვის გაგზავნილ წერილში.

მადლობა გალერეა „ვერნისაჟს“ და ქალბატონ ზაირა ბერელიძეს ამ მოულოდნელი საჩუქრისათვის, რაც, თავის მხრივ, დიდი მწერლის, მოაზროვნისა და მხატვრის – ჰერმან ჰესეს კიდევ ერთხელ გახსენების საბაზად იქცა.

აღინა ქადაგიშვილი







ფასი 4 ლარი